მემკვიდრეობის განაწილების გენდერული ასპექტები ქართულ კულტურაში

მაია არავიაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების ინტერდისციპლინური პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ემზარ ჯგერენაია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის - მემკვიდრეობის განაწილების გენდერული ასპექტები ქართულ კულტურაში - ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ მიერ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაია არავიაშვილი

05/03/2015

აბსტრაქტი

მემკვიდრეობის განაწილების გენდერული ასპექტები ქართულ კულტურაში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მიიღო ახალი კონსტიტუცია, დაამტკიცა ლიბერალური კანონმდებლობა და შეუერთდა საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ფორმალურად გენდერული თანასწორობის გარანტის როლს ასრულებენ. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, საკანონმდებლო რეგულაციები არ მიესადაგება კულტურულ ღირებულებებს და საზოგადოება მათ არ იზიარებს. აქედან გამომდინარე, გენდერული დისკრიმინაციის პრობლემა კვლავ მწვავედ დგას ქართული საზოგადოების წინაშე. ეს კარგად ჩანს საქართველოში სქესობრივი განსხვავების ნიადაგზე მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილების პრაქტიკაში. ტრადიციულად, მზითვის გატანების არაფორმალური პრაქტიკა ქალს ოჯახური ძალადობისგან იცავდა, რადგან ქმრის ოჯახში გადასვლის შემდეგ მზითვი მის მფლობელობაში რჩებოდა და თავის სურვილისამებრ განკარგავდა. ეს გარემოება ქალს გარკვეულ უფლებებს ანიჭებდა და მის როლს მნიშვნელოვანს ხდიდა ახალ ოჯახში. თანამედროვე საქართველოში მზითვის გადაცემის ტრადიცია თითქმის აღარ არსებობს, თუმცა მემკვიდრეობითმა სამართალმა, რომლის თანახმად ქალიშვილსა და ვაჟიშვილს მშობლების ქონებაზე თანაბარი უფლებები აქვთ, ფეხი ვერ მოიკიდა. უმეტესწილად, ქალი არ იყენებს მემკვიდრეობაზე თავის უფლებას. დის მხრიდან ძმასთან ქონებაზე პრეტენზიის გამოხატვა ქართული საზოგადოებისათვის მიუღებელია, მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო რეგულაციები ამის ლეგალურ უფლებას იძლევა. შესაბამისად, ფორმალური ინსტიტუციები არ არის იმდენად ძლიერი და ქმედითი, რომ აღკვეთოს ოჯახური ძალადობის ეს ფორმა, რომელიც შეიძლება გახდეს ქალის მიერ ქმრის მხრიდან სხვა ტიპის (ფიზიკური, სექსუალური, ეკონომიკური) ძალადობის დათმენის მიზეზი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს: ექსპერტულ ინტერვიუებს, სიღრმისეულ ინტერვიუებს, მემკვიდროების რეგისტრაციის და მასთან დაკავშირებული

სასამართლო დავების მონაცემების კონტენ-ანალიზს. კვლევის შედეგები ასახავს ამ ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემის კომპლექსურ ხასიათს, რომელიც კვლავ დიდ გავლენას ახდენს პოსტ-საბჭოთა ქართულ საზოგადოებაზე.

Abstract

After gaining independence Georgia adopted the new constitution, received liberal laws and joined international conventions, which formally guarantee gender equality. However, law regulations do not come in accordance with cultural values, and are not shared by society. Consequently, the problems of gender inequality are still vital issues in Georgian society. Traditionally, informal practice of dowry giving protected women and gave them independence in a new family. Nowadays, in Georgia a daughter and a son formally have equal access to their parent's inheritance, but there are very rare cases when a woman demands her part of it. This is not justified by society to contend for the inheritance with a brother. Formal institutions are not strong to prevent this economic form of domestic violence. The methodology of the research is complex: expert interviews and in-depth interviews were recorded and analyzed to study data about the inheritance registration and court records pertaining to inheritance litigations, the method of content analysis was used. The findings of the proposed research article provide a complex picture of this really vital problem still affecting the post-soviet Georgian society.

მადლობა

სადისერტაციო ნაშრომის მომზადება შეუძლებელი გახდებოდა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფესორ ემზარ ჯგერენაიას, როგორც პროფესიული, ასევე ადამიანური მხარდაჭერის გარეშე. ბატონი ემზარი უაღრესად მნიშვნელოვან რჩევებს და რეკომენდაციებს მაძლევდა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე. აქ იგულისხმება, როგორც საკვლევი საკითხის შერჩევა და დაზუსტება, ასევე ნაშრომის საბოლოო სახით ჩამოყალიბება.

მადლობა მინდა გადავუხადო შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში (2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი) ჩემი სადისერტაციო კვლევითი პროექტი დაფინანსდა და შესაძლებელი გახდა კვლევის საველე სამუშაოების განხორციელება, როგორც საქართველოში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ფონდის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, ძალიან გართულდებოდა საველე სამუშაოების ჩატარება.

ამასთანავე, მადლობა მინდა გადავუხადო ნიუ სქულის უნივერსიტეტის (ნიუ იორკი, აშშ) სოციალური კვლევის სკოლის ფარგლებში მოქმედ *დემოკრატიული სწავლების ტრანსრეგიონალურ ცენტრს*, რომლის მიწვევითაც და ფონდ "ღია საზოგადოების" ფაკულტეტის განვითარების პროგრამის დაფინანსებით 2010-2013 წლებში მკვლევრის სტატუსით შესაძლებლობა მქონდა, მესარგებლა მრავალფეროვანი მატერიალური და ადამიანური რესურსებით. მათ შორის, საშუალება მომეცა, დავსწრებოდი ჩემი საკვლევი საკითხისთვის რელევენატურ სასწავლო კურსებს. მადლობა მინდა გადავუხადო პროფესორ ელზიეტა მატინიას, რომელიც მენტორობას მიწევდა ამ მნიშვნელოვან კვლევით და სასწავლო ცენტრში ვიზიტების ფარგლებში, სამეცნიერო პროექტის დასახვეწად ღირებულ რჩევებს მაძლევდა; ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ამავე უნივერსიტეტის პროფესორს ტერი უილიამსს, რომელიც დამეხმარა კვლევის მეთოდოლოგიის ინსტრუმენტების სრულყოფაში.

ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეუღლეს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გვერდით მედგა და მნიშვნელოვან რჩევებსაც მაძლევდა სადისერტაციო ნაშრომის ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებით.

სარჩევი

შესავალი ---------- 11

- საკვლევი პრობლემა ---------- 11
- კვლევის მნიშვნელობა ---------- 12
- კვლევის მიზნები ---------- 12
- ჰიპოთეზა ---------- 13
- ისტორიული საფუძვლები ---------- 13
- თანამედროვე რეალობა ---------- 16

მეთოდოლოგია ---------- 20

1. ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 23

2. შედეგები ----------32

2.1. სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის კონტენტ-ანალიზის შედეგები ---------- 32

2.2 ექსპერტული გამოკითხვის შედეგები ---------- 39

2.2.1 მემკვიდრეობის განაწილება: კანონმდებლობა და კულტურული რეგულაციები ----------39

2.2.2 მემკვიდრეობის განაწილების პრაქტიკები საქართველოში ----------45

2.2.3 მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება, როგორც პრობლემა --------- 52

2.2.4 ცვლილებები ---------- 54

2.2.5 პრობლემის გადაჭრის გზები ---------- 57

3. სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები ---------- 60

3.1 ვის და რატომ რჩება მემკვიდრეობა ---------- 61

3.1.1 და-ძმის შემთხვევა ----------61

3.1.2 რძლების დამოკიდებულება მულების მიმართ ---------- 68

3.1.3 მემკვიდრეობის განაწილება ერთი და იმავე სქესის შვილებს შორის ------ 71

3.1.4 მემკვიდრეობის განაწილებისას ეკონომიკური რესურსების მნიშვნელობა - 74

3.2 მზითვი, როგორც მემკვიდრეობის ალტერნატივა ----------75

3.2.1 რას ატანენ მზითვში საქართველოში ----------78

3.2.2 მზითვი და მისი არამატერიალური ღირებულება ----------81

3.2.3 მზითვი და უფლებები ახალ ოჯახში ----------82

3.2.4 მზითვისთვის მზადება ----------84

3.3 კანონმდებლობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა ----------85

3.4 რატომ არ ითხოვენ ქალები მშობლების მემკვიდრეობას ----------87

3.5 რა შემთხვევაში ითხოვენ ქალები წილს მემკვიდრეობიდან ---------- 90

3.6 მემკვიდრეობის წილის მოთხოვნა ქმართან ან ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ----------91

3.7 მემკვიდრეობის უფლების დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობები ---------- 95

3.8 საზოგადოების გამოკიდებულება დის მიერ მემკვიდრეობის წილის მოთხოვნის ან სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში ---------- 98

3.9 მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში ქალების ცხოვრების ცვლილებები -------99

3.10 რესპონდენტების მშობლების მემკვიდრეობის განაწილების გამოცდილება --- 102

3.11მემკვიდრეობის განაწილება და ვალდებულება მშობლების მიმართ ----------104

3.12 მშობლების როლი მემკვიდრეობის განაწილებაში ----------107

3.13 რესპონდენტების მიერ შვილებისათვის მემკვიდრეობის განაწილების დაგეგმვა- ---------- 110

3.14 ცვლილებების ტენდენციები ----------118

3.15 რეკომენდაციები მდგომარეობის შესაცვლელად ----------120

4. შედეგების ინტერპრეტაცია და დისკუსია ----------123

5. დასკვნა ----------129

6. რეკომენდაციები ----------138

7. ბიბლიოგრაფია ----------137

შესავალი

საკვლევი პრობლემა

გენდერული თანასწორობის და ოჯახური ძალადობის პრობლემა 21-ე საუკუნეში ჯერ კიდევ აქტუალური საკვლევი საკითხია, განსაკუთრებით კი ე.წ. განვითარებად ქვეყნებში, სადაც კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში გაწერილი გენდერული თანასწორობის პრინციპები ხშირ შემთხვევაში არ არის გაზიარებული საზოგადოების მიერ. გარდა ამისა, ნაკლებად ხდება რეფლექსია ეკონომიკური და სტრუქტურული ძალადობის ისეთ ფორმაზე, როგორიცა სქესობრივი განსხვავების საფუძველზე მემკვიდრეობის არათანაბრი განაწილება. საბოლოოდ ამ პრაქტიკას გენდერული დისკრიმინაციის ისეთ ფორმებამდე მივყავართ, როგორებიცაა ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობა. იგივე შეიძლება ითქვას თანამედროვე საქართველოს შემთხვევაშიც, სადაც კანონი იშვიათად მოდის შესაბამისობაში იმ კულტურულ ღირებულებებთან, რომლებიც ტრადიციულად ქართულ საზოგადოებას „მისაღებ“ ქმედებებს კარნახობს. საკანონმდებლო ჩარევა და მემკვიდრეობითი სამართალი არ აღმოჩნდა საკმარისი ქალთა დისკრიმინაციის ტრადიციული ფორმების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, კანონმდებლობის თვალსაზრისით, ქალი და მამაკაცი მშობლების მემკვიდრეობის მიღებისა და განკარგვის შემთხვევაში თანაბარი უფლებით სარგებლობენ ,თუმცა „კანონის წინაშე სქესთა თანასწორობის მიუხედავად, ტრადიციული შეხედულებები და ქალების მიერ საკუთარი უფლებების უცოდინრობა მამაკაცებს პრიორიტეტულ მდგომარეობაში აყენებს"(საბედაშვილი, 2007, 29). ქალები ან შეგნებულად არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას, ან, როგორც აღინიშნა, საერთოდ არ იციან მისი არსებობის შესახებ. ტრადიცია იმდენად ძლიერადაა ფესვგადგმული ცნობიერებაში, რომ ქალების მხრიდან მემკვიდრეობის საკუთარი წილის მოთხოვნა გაუმართლებელად აღიქმება საზოგადოების მიერ. ამიტომ ქალი, იმისათვის, რომ ოჯახის და სოციუმის მოლოდინები გაამართლოს, თავს არიდებს კანონით მინიჭებული უფლების გამოყენებას. ოჯახური ძალადობის სხვადასხვა ფორმა კი უმეტეს

შემთხვევაში იმ ქალებზე ხორციელდება, რომლებიც ეკონომიურად დამოკიდებულნი არიან.

კვლევის მნიშვნელობა

მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება სქესობრივი განსხვავების საფუძველზე ეკონომიკური ძალადობისა და ქალთა დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა ნაკლებად შესწავლილი პრობლემაა. ამ საკითხის კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს გავაანალიზოთ მემკვიდრეობის განაწილების გენდერული ასპექტები და გამოვიკვლიოთ ხშირ შემთხვევაში გაუცნობიერებელი უთანასწორობის გამომწვევი მიზეზები, რომლებსაც ამ დრომდე ნაკლები ყურადღება ეთმობა. ასევე, დავადგენთ მზითვის, როგორც მემკვიდრეობის ფორმის, ტრადიციის რღვევის, ასევე გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული კანონების უფუნქციობის და ჩვეულებით სამართალთან წინააღმდეგობაში მოსვლის მიზეზებს. ზემოაღნიშნული საკითხების კვლევით მიღებული ინფორმაცია საშუალებას მოგვცემს დავსახოთ პრობლემის გადაჭრის გზები, რაც ხელს შეუწყობს ქართულ საზოგადეობაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპების რეალურ დამკვიდრებას.

კვლევის მიზნები

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია საქართველოში გენდერული თანასწორობის პრინციპების ანალიზი ეკონომიკური და სტრუქტურული ძალადობის ერთ-ერთი კომპონენტის - მემკვიდრეობის განაწილების პრობლემის კონტექსტში. ამ პრობლემის შესწავლისთვის საჭიროდ ვთვლით კვლევას ისეთი საკითხებისა, როგორებიცაა: მზითევის, როგორც ქალზე მემკვიდრეობის გადაცემის ერთ-ერთ ალტერნატივად ჩამოყალიბების და დროთა განმავლობაში მისი ფორმის შეცვლის მიზეზები;

მემკვიდრეობის სამართლის ქართულ კულტურასთან შესაბამისობის და პრაქტიკაში ქალების წინაშე მდგარი პრობლემები; ქალების მიერ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობის ან გაუთვითცნობიერებლობის მიზეზები; არსებული რეალობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში საზოგადოებრივი აზრის როლი.

ჰიპოთეზა

მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება სქესობრივი განსხვავების საფუძველზე, როგორც ეკონომიკური და სტრუქტურული ძალადობის ფორმა, არ არის გაცნობიერებული და აღიარებული საზოგადოების მიერ. ლიბერალური კანონმდებლობა საქართველოში ქალსა და მამაკაცს მშობლების ქონებაზე თანაბრად წვდომის საშუალებას აძლევს, თუმცა, მიუხედავად ამისა, კულტურული ნორმები და ტრადიციები იმდენად მყარია, რომ ქალი უმეტესწილად მემკვიდრეობის გარეშე რჩება. ქალები ხშირ შემთხვევაში შეგნებულად არ იყენებენ თავიანთ უფლებას მემკვიდრეობაზე ან საერთოდ არ იციან ამ უფლებების არსებობის შესახებ.

ისტორიული საფუძვლები

ტრადიციულად საქართველოში ქალი გათხოვებისას მშობლებისგან მზითევს იღებდა, რომელიც მის მფლობელობაში რჩებოდა და ახალ ოჯახში გადასვლის შემდეგაც თავისი სურვილისამებრ განკარგავდა მას. ეს ქალს გარკვეულ უფლებებსა და დამოუკიდებლობას ანიჭებდა ოჯახში და მის როლს მნიშვნელოვანს ხდიდა. მაგალითად, შუა საუკუნეებში ქალებს მემკვიდრეობაზე წვდომა უფრო ჰქონდათ, ვიდრე დღეს. როგორც გ. ნადარეიშვილი წერს, მე-8-18 საუკუნეების საქართველოში ქალთა ქონებრივი ურთიერთობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო და ქორწინება არ ცვლიდა ქალის ქონებრივ მდგომარეობას და ის დამოუკიდებელ სუბიექტად რჩებოდა. მართალია, ქალის

უფლებების გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც ფეოდალური ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი, არსებობდა, მაგრამ ქმრის ძალაუფლებას ცოლზე არასოდეს მიუღია ისეთი რადიკალური ფორმები, როგორებიც მუსლიმური აღმოსავლეთისა და ქრისტიანული დასავლეთის ქვეყნებში ხდებოდა (ბექაია, 1980, 60-65). ქალები იღებდნენ მზითევს, როგორც მშობლების ქონების წილს, თუმცა ამავდროულად მშობლები მათ დაოჯახებასა და სიძის შერჩევაში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ. ქალის ქონება შედგებოდა მშობლებისგან მიცემული მზითვისა და თანხისგან, რომლებსაც სიძის ოჯახი ქალის ოჯახს აძლევდა. ქალისთვის მზითვის მიცემა არ იყო სამართლებრივად რეგულირებული, მაგრამ ტრადიცია ფესვგადმული იყო და კარგად ფუნქციონირებდა. როგორც დავით ბატონიშვილი წერს, ზუსტი ოდენობა ქონებისა, რომელსაც მშობლები ქალიშვილს მზითვის სახით გადასცემდნენ, არ იყო განსაზღვრული და მათ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. გლეხის ქალისთვის მზითვი ტანსაცმლის, თეთრეულის, ძროხისა თუ ფულისგან შედგებოდა. ქალაქში მაცხოვრებელ ქალებს კი მზითვად ფული, ძვირფასი ტანსაცმელი და სამკაულები მიჰქონდათ. თუ ქალი არისტოკრატის ოჯახიდან იყო, მშობლები მას ძვირფას ტანსაცმელს, ავეჯს, ჭურჭლეულს, ოქროს ხატებს, სამკაულებს, მიწასა და ყმებს სჩუქნიდნენ. შუა საუკუნეებში ქალის მზითვი გამოყოფილი იყო ქმრის ოჯახის ქონებისგან და მისი განკარგულების ქვეშ რჩებოდა (მაჩაბელი, 1978, 56-58). მიუხედავად იმისა, რომ მზითვის წეს-ჩვეულებები და ტრადიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული იყო, ქალი ყველგან იღებდა მზითვსა და საჩუქრებს, რომლებიც მის საკუთრებად რჩებოდა ახალ ოჯახში. მას ჰქონდა უფლება თავისი მოსაზრებისამებრ განეკარგა ის. გაყრის შემთხვევაშიც მზითვი ქალის საკუთრებაში რჩებოდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ტიპის საკუთრება მას ოჯახში მნიშვნელოვან როლსა და ადგილს სძენდა.

მე-19 საუკუნე ქართველი თავად-აზნაურობისათვის მძიმე პერიოდი აღმოჩნდა, რამდენადაც ფეოდალიზმის დასუსტების შედეგად მათ დაკარგეს სიმდიდრე და ძალაუფლება. ამდენად ძირითადად ეკონომიკური მიზეზების გამო გართულდა მზითვის გადაცემის ტრადიციის დაცვა. თუმცა ეს წეს-ჩვეულება ინარჩუნებდა მნიშვნელოვან როლს ქართულ კულტურაში, მზითვი ქალის გათხოვებისა და ახალ

ოჯახში ადგილის დამკვიდრების მნიშვნელოვან პრერეკვიზიტად რჩებოდა. ზოგადად, იმ პერიოდისათვის ქალს პარტნიორის არჩევის უფლება არ ჰქონდა. მხოლოდ მშობლებს ჰქონდათ უფლებასმოსილება დაეგეგმათ თავიანთი ქალიშვილის ქორწინება და ფინანსურად გარიგებოდნენ მომავალ სიძეს. იმ დროისათვის არისტოკრატი ოჯახის წარმომადგენელი კაცებისთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა დაოჯახებულიყვნენ მდიდარ ქალზე, რომელსაც მზითვის ახალ ოჯახში შეტანით შეეძლო გაეუმჯობესებინა მათი ეკონომიკური მდგომარეობა (მაჩაბელი, 1978, 57).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, 1918 წელს, შეივსო 1917 წლის საქორწინო-საოჯახო კოდექსი, რომლის მიხედვით, ოჯახის შექმნის საფუძველი უნდა ყოფილიყო პირადი სიმპათია და სიყვარული; ქორწინებისთვის ხელი არ უნდა შეეშალა ეკონომიკურ, რელიგიურ, კლასობრივ და ნაციონალურ ფაქტორებს; ასევე, უნდა შემცირებულიყო მშობლების მონაწილეობა შვილების დაოჯახების საკითხებში (ბექაია, 1981, 73-74).

საბჭოთა პერიოდში მზითვის მიცემა "გადმონაშთად" მიიჩნიეს და ამ ტრადიციამ რელევანტობა დაკარგა, რადგან სოციალისტური საქართველოსთვის არაპოპულარული გახდა მშობლების ნება-სურვილისამებრ დაოჯახება და წყვილები თვითონ წყვეტდნენ ოჯახის შექმნას. ქალების საკუთრებას კი უფრო ხელფასი შეადგენდა, ვიდრე მემკვიდრეობა/მზითვი (ბექაია, 1981, 48-49). მზითვის გატანების (სავალდებულო) პრაქტიკა დღესდღეობით მხოლოდ სოფლებში არის შემორჩენილი და იქაც იშვიათად გვხდება. თუმცა მემკვიდრეობითმა სამართალმა გამზითვების ტრადიცია ჯერ კიდევ ვერ ჩაანაცვლა საქართველოში, რამაც ქალი რეალურად ეკონომიკური სახსრების გარეშე დატოვა, რადგან მას არც მზითევი ერგება და არც მემკვიდრეობა.

თანამედროვე რეალობა

თანამედროვე ეტაპზე გენდერული თანასწორობა დეკლარირებული და საქართველოს კანონმდებლობის დონეზეა უზრუნველყოფილი. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში, სადაც საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანია განხილული, მე-14 მუხლის თანახმად, ,,ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა"(საქართველოს კონსტიტუცია, მეორე თავი, მე-14-ე მუხლი).

2006 წლის საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია ზოგადად აყენებდა გენდერული თანასწორობის საკითხს და აყალიბებედა ძირითად მიმართულებებს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას უნდა გაეტარებინა.

2010 წ. მიიღეს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც არეგულირებს ,,ქალისა და მამაკაცის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს (თავი I ზოგადი დებულებანი, მუხლი 1, კანონის რეგულირების სფერო). აღნიშნული კანონი მიზნად ისახავს, ,,უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას" (მუხლი 2). ამ კანონის მე-4 მუხლში გაწერილია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიებიც, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში; აღნიშნულ კანონს შემოაქვს გენდერული თანასწორობის

სფეროში სტატისტიკის შეგროვების ვალდებულება, შემდგომი სისტემატიზაცია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. მე-5 მუხლში ნათლად განსაზღვრულია გენდერულ სფეროში სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემების შეტანა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში.

კანონი, აგრეთვე, ეხება საოჯახო ურთიერთობებს, ხაზს უსვამს, რომ ქალი და მამაკაცი სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ამასთანავე, ისინი მოვალეობებსაც თანაბრად ინაწილებენ, მათ თანასწორი უფლება აქვთ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ შრომითი, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის, შვილების აღზრდის საკითხები. მნიშვნელოვანია, რომ კანონი აყალიბებს თანასწორობას ქონებრივი საკითხების მიმართულებითაც, ეს ყურადსაღებია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის თანახმად ქალსა და მამაკაცს თანაბარი წვდომა აქვთ ეკონომიკური რესურსებისა და მემკვიდრეობის მიღებისას, ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქონებისა და მემკვიდრეობის გადაცემა მამაკაცების სასარგებლოდ უფრო ხშირად ხორციელდება (ჭითანავა, 2009, 14). გარდა ამისა, შეიქმნა ორი უწყება (პარლამენტში მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია), რომელთა მიზანი გენდერული თანასწორობის საკითხში პარლამენტისა და მთავრობის კოორდინირებულ მუშაობისთვის ხელის შეწყობაა (ჭითანავა 2009, 15).

2014 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომლის მიზანიცაა ,, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა

და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად" (მუხლი 1).

აუცილებელია, უფრო კონკრეტულად შევეხოთ იმ კანონმდებლობას, რომელიც მემკვიდრეობის განაწილებას არეგულირებს. მემკვიდრეობის სამართლის 1306 მუხლის თანახმად, მემკვიდრეობის გადაცემა მემკვიდრეებზე ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ან ორივეს საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელს ანდერძი არ დაუტოვებია, მოქმედებს კანონით მემკვიდრეობის გადაცემა. ამავე კანონის 1307 მუხლში გაწერილია, ვინ შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები: კანონით მემკვიდრეობის დროს პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის და ასევე შვილები, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადნენ; ხოლო ანდერძით მემკვიდრეობისას - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე, ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ. კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან: პირველ რიგში, გარდაცვლილის შვილები (მამკვიდრებლის სიცოცხლეში და/ან მისი სიკვდილის მერე დაბადებული), მეუღლე, მშობლები, შვილიშვილები (მემკვიდრეობის სამართალი მუხლი 1336).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ლიბერალური კანონები მიიღო, შეურთდა სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციას (საქართველო 1994 წელს მიუერთდა ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციას), რომელიც გენდერულ თანასწორობას ეხებოდა, ამ კანონსა და კონვენციებში ასახული პრინციპები არ მიესადაგება საზოგადოებაში მიღებულ პრაქტიკას. ხშირად ამ პრინციპებს არათუ არ იზიარებს ქართული საზოგადოება, არამედ რიგ შემთხვევაში პრობლემადაც არ აღიქვამს გენდერული დისკრიმინაციის საკითხს. მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილების პრობლემაც არის იმ თემებს შორის, რომელებიც იგნორირებულია საზოგადოების მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1153 მუხლი პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას სქესის ნიშნით, ქალები საკმაოდ ხშირად ამბობენ უარს ქონებრივი

(მემკვიდრეობითი) უფლების განხორციელებაზე ძმის სასარგებლოდ (ხ. ჭითანავა 2009, 15-16). ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ქალი ბავშვობიდანვე, სოციალიზაციის შედეგად ითვისებს იმ სოციალურ ნორმებს, რომლებიც ამკვიდრებს ოჯახში ქალთან შედარებით ვაჟის უპირატესობის შეგნებას. თავისთავად იგულისხმება, რომ მემკვიდრე მხოლოდ ვაჟი შეიძლება იყოს. ამ ტიპის აშკარა ეკონომიკური ძალადობა ქალზე, როგორ წესი, დისკრიმინაციად არ აღიქმება საზოგადოების, ოჯახისა და მსხვერპლის მიერ. შესაბამისად, ქალებიც ხშირ შემთხვევაში აცხადებენ, რომ ,,ძმის" ქონებაზე პრეტენზია არ აქვთ, რადგან პატრიარქაული საზოგადოება ამას ნეგატიურად აფასებს და გაკიცხავს დას თუ მან მემკვიდრეობიდან თავისი კანონიერი წილი მოითხოვა. ამასთან, ოჯახთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად ქალი მზად არის, მოირგოს ,,კარგი დის" სახელი, დაკმაყოფილდეს ოჯახის მიერ დაქორწინებისას გაკეთებული საჩუქრით და ნებით თუ იძულებით უარი თქვას ქონებაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში მისი სამომავლო ცხოვრებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მემკვიდრეობის განაწილების მიღებული პრაქტიკა ეკონომიკურ ძალადობად არ აღიქმება. ფართოდ გავრცელებული შეხედულებით, ეკონომიკური ძალადობა მხოლოდ ცოლ-ქმარს ან პარტნიორებს შორის შეიძლება მოხდეს. ეს მაშინ, როცა ეკონომიკურ ძალადობად შეიძლება მივიჩნიოთ შეზღუდული წვდომა კაპიტალსა და კრედიტზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, დასაქმებაზე, განათლებასა და, სამეურნეო რესურსებზე; ასევე, გადაწყვეტილების მიღების უფლების შეზღუდვა; დისკრიმინაციული ტრადიციული კანონები მემკვიდრეობაზე, საკუთრებაზე და თემის მიწის მოხმარებაზე"(Fawole, 2008, 1).

მეთოდოლოგია

ნაშრომში ვიყენებთ სოციალურ მეცნიერებების რამდენიმე თვისებრივ მეთოდს, რომლებიც კვლევის ადექვატურ ხერხებად გვესახება; ეს მეთოდებია: სიღრმისეული ინტერვიუ, ექსპერტული გამოკითხვა, ასევე რაოდენობრივი კვლევის კონტენტ-ანალიზის მეთოდი. კვლევის საველე სამუშაოები ყველა მეთოდის შემთხვევაში მოიცავდა პერიოდს 2014 წლის თებერვლიდან-ივნისამდე.

სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის საშუალებით შევძელით, რესპონდენტებისგან მიგვეღო მაქსიმალურად დეტალური და ღრმა ინფორმაცია ქართულ კულტურაში მემკვიდრეობის განაწილების სპეციფიკაზე, იმ სოციო-კულტურულ კანონზომიერებებზე, რომლებიც იწვევს ქალისა და კაცის არათანაბარ პირობებში ჩაყენებას. თვისებრივი მეთოდების ეს ტიპი საკმაოდ ინფორმაციული იყო; ჩვენს შემთხვევაში ის პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის საუკეთესო საშუალებად მივიჩნევთ.

სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდის ფარგლებში ჩაიწერა სულ 80 ინტერვიუ. კომპლექსური სურათის წარმოსაჩენად შევარჩიეთ საქართველოს 3 ქალაქი: დასავლეთ საქართველოში - ქუთაისი, აღმოსავლეთ საქართველოში - თელავი და დედაქალაქი - თბილისი. თითოეულ ქალაქში ჩაიწერა 20 ინტერვიუ, რესპონდენტები იყვნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. შევარჩიეთ ბოლო 5 წლის განმავლობაში დაოჯახებული ადამიანები. ჩავთვალეთ, რომ ახლად დაოჯახებულებს უფრო დეტალურად ეხსომებოდათ დაქორწინების დროს მემკვიდრეობის, მზითვისა თუ საჩუქრების მიღებასთან დაკავშირებული დეტალები.

გარდა ამისა, 20 სიღრმისეული ინტერვიუ ჩავწერეთ ამერიკის შეერთებული შტატებში, კერძოდ ნიუ იორკში მიგრირებულ ქართველებთან. შერჩეულ რესპონდენტებს 5 წლიდან ზემოთ ჰქონდათ ამერიკაში ცხოვრების გამოცდილება და არ აპირებდნენ საქართველოში დაბრუნებას. ამ ინტერვიუების ჩაწერის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რა გავლენას ახდენს ქართული კულტურა და სამართალებრივი ნორმები ემიგრანტ ქართველებში მემკვიდრეობის განაწილების პრაქტიკაზე; კარგავს თუ

არა კულტურული ნორმები ძალას, როცა ქვეყნიდან წასულ ქართველებს ცხოვრება უწევთ მულტიეთნიკურ, მულტირელიგიურ და მულტიკულტურულ ნიუ იორკში, სადაც სამოქალაქო და სამართლებრივი კულტურა მაქსიმალურად მაღალია.

დისერტაციის საკვლევი მიზნებიდან გამომდინარე **ექსპერტული ინტერვიუები** ჩაიწერა გენდერის პრობლემატიკის მკვლევრებთან, სამართალმცოდნეებთან, სოციოლოგებთან და ფსიქოლოგებთან. მიგვაჩნია, რომ ამ გამოცდილი ექსპერტების მოსაზრებების გაცნობა საკვლევი პრობლემის მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოჩენაში დაგვეხმარება. კერძოდ, ექსპერტული ინტერვიუები ჩაიწერა შემდეგ რესპონდეტებთან: მზია წერეთელთან, რომელიც ფსიქოლოგიის პროფესორია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის მუშაობს გენდერის საკითხებზე და გახლავთ ავტორი წიგნისა ,,გენდერი - კულტურული და სოციალური კონსტრუქტი"; ლელა ხომერიკთან - ფსიქოლოგიის პროფესორი ილიას სახელწმიფო უნივერსიტეტში. იგი იკვლევს და ასწავლის გენდერთან დაკავშირებულ საკითხებს, არის ავტორი წიგნისა ,,გენდერი და პოლიტიკა"; ნინო ჯავახიშვილთან - ფსიქოლოგიის პროფესორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი პუბლიკაციები ეხება გენდერის კვლევების სხვადასხვა ასპექტს; თამარ გურჩიანთან - იურისტი და სამოქალაქო აქტივისტი, რომელიც მუშაობს გენდერული თანასწორობის, ადამიანის უფლებების, გამჭირვალობის, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების საკითხებზე; ლელა ტალიურთან - იურისტი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომელი; ნინო ჩიხლაძესთან - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომელი. ის მუშაობს გენდერულ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ რამდენიმე პროექტზე; თეიმურაზ ქორიძე - იურისტი და ადვოკატი სამოქალაქო სამართლის პროფილით; ვახტანგ მოსიაშვილი - იურისტი და ადვოკატი სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.

კვლევის ინსტრუმენტები:

კვლევის ინსტრუმენტად სიღრმისეული ინტერვიუებისა და ექსპერტული გამოკითხვისას გამოვიყენეთ სადისკუსიო გეგმები.

კონტენტ-ანალიზის მეთოდი გვეხმარება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტში ამა თუ იმ მაჩვენებლის გამოვლენის სიხშირის განსაზღვრაში. ეს მეთოდი როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. საკვლევ დოკუმენტებად გამოვყავით საჯარო რეესტრის ბაზების მონაცემები და მემკვიდრეობის შესახებ სასამართლო დავების გადაწყვეტილებები. ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია გამოვითხოვეთ სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ასევე თბილისის, თელავის და ქუთაისის რაიონული და საქალაქო სასამართლოებიდან. კერძოდ, სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის, თელავისა და თბილისის ბიუროებიდან ძირითადად სტატისტიკური მასალა გამოვითხოვეთ. ეს საჯარო ინფორმაცია მოიცავდა 2011-2013 წლების განმავლობაში დარეგისტრირებული მემკვიდრეობის ოდენობას და მის გენდერულ ჭრილს (რამდენი მემკვიდრეობა დარეგისტრირდა მამაკაცზე და რამდენი ქალზე).

ქუთაისისა და თბილისის საქალაქო, თელავის რაიონული სასამართლებიდან გამოვითხოვეთ 2011-2013 წლების განმავლობაში სასამართლოში შესული სამკვიდრო დავების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია. ეს მონაცემები ასახავდა, თუ რამდენი დავა წარმოიშვა მემკვიდროების გარშემო; ვინ იყვნენ მოდავეები: დები, ძმები თუ და-ძმები. გარდა ამისა, შემდგომ ეტაპზე გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია სამკვიდრო დავების გადაწყვეტილებების შესახებ.

ლიტერატურის მიმოხილვა

გენდერული თანასწორობის პრობლემებზე თანამედროვე დასავლეთში მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. სხვა საინტერესო ნაშრომებთან ერთად, გენდერული დისკრიმინაციისა და ძალადობის თემაზე მნიშვნელოვანი კვლევაა. მ. იანგის (I. M. Young) წიგნი "სამართლიანობა და განსხვავების პოლიტიკა" (Justice and the Politics of Difference). ნაშრომი საინტერესოა ფემინისტური და პოლიტიკის პრობლემების ურთიერთმიმართების ანალიზის კუთხით. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა ფორმალური თანასწორობა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და ერთმნიშვნელოვანი მორალური სუბიექტურობა. ი.მ. იანგის აზრით, მაშინ, როცა საზოგადოებაში, ერთი მხრივ, არიან პრივილეგირებულები და, მეორე მხრივ, ჩაგრულები, სოციალური სამართლიანობის მისაღწევად და დისკრიმინაციის დასაძლევად საჭიროა ჯგუფებს შორის არსებული გასხვავებების აღიარება. ძალადობა სოციალური უთანასწორობის ფენომენია, რადგან მას სისტემატური ხასიათი აქვს და სოციალურ პრაქტიკებშია დამკვიდრებული. ამ შემთხვევაში, როცა ძალადობა ინსტიტუციონალიზებულია და სისტემატურ ხასიათს ატარებს, საჭიროა რეფორმის გატარება კულტურულად განპირობებული სტერეოტიპების დაძლევის მიზნით. ხშირად გაუცნობიერებელი სოციალური ქცევები, რეაქციები და სტერეოტიპები ხელს უწყობენ ამა თუ იმ ჯგუფზე ძალადობას, ამიტომ ღიად უნდა მოხდეს მათი, როგორც არასამართლიანი პრაქტიკების განსჯა და მათ დასაძლევად აუცილებელი მიდგომების შემუშავება (Young 1990, 3;62;124; 150).

კრიტიკულ ფემინისტურ თეორეტიკოსებში გამორჩეულია მარია პია ლარა (Maria Pia Lara), რომელიც თავის წიგნში "მორალური სტრუქტურა: ფემინისტური ნარატივები საჯარო სივრცეში" (Moral Textures: Feminist Narratives in the Public Sphere) ავითარებს ახალ მიდგომას საჯარო სფეროში ფემინისტური მოძრაობის ისტორიის გაგების შესახებ. მისი აზრით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მარტო უსამართლობის ემპირიული მონაცემები, არამედ კულტურული ნარატივები. მ.პ. ლარა ასევე საუბრობს, ქალების ნარატივების როლზე იდენტობების ჩამოყალიბებაში. ის ნარატივებს დიდ

მნიშვნელობას ანიჭებს. ჩვენს შემთხვევაშიც ეს მიდგომა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ქალის დისკრიმინაციისკენ მიმართულ ნარატივს საქართველოში სწორედ რომ ქალები ქმნიან (Lara 1998, 23-49).

ხშირად ტრადიციები თაობიდან თაობას ისე გადაეცემა, რომ მოქალაქეები შესაძლოა, გაუცნობიერებლადაც კი იყვნენ მოძალადეები. მემკვიდრეობის განაწილებისას ჩვეულებითი სამართალი იმდენად არის ფესვგადგმული საქართველოში, რომ მოსახლეობამ ხშირ შემთხვევაში იცის კიდევაც მემკვიდრეობის კანონმდებლობით მინიჭებული უფლების შესახებ, მაგრამ ტრადიციას ინერციით მიჰყვება. ამ კუთხით საინტერესოა პ. ბურდიეს (P. Bourdieu) წიგნი "პრაქტიკის თეორიის მონახაზი" (Outline of a theory of practice), რომელშიც მან გამოთქვა მოსაზრება, რომ არსებობს სქემები, რომელთა საშუალებითაც სოციალური პრაქტიკები თაობიდან თაობაზე მსჯელობისა და გაცნობიერების გარეშე მეორდება, ხდება სოციალური ურთიერთობების კვლავწარმოება, როგორც თავისთავადად, ყოველთვის ამ ფორმით არსებული. ბურდიე კაბილიის[1] მაგალითზე განიხილავს ასევე მემკვიდრეობის საკითხს და აცხადებს, რომ ქალის ლიმიტირებული არსებობა არასოდეს იძლევა საშუალებას, რომ მან სრულყოფილი მონაწილეობა მიიღოს სიმბოლური თუ ეკონომიკური კაპიტალის წარმოებაში (Bourdieu 2005, 67-87), თუმცა ეს ქალის მხრიდანაც შესაძლოა არც ისე მტკივნეულად აღიქმებოდეს, რადგან ასეთ გარემოში ყოველდღიური ცხოვრების რუტინა წყვეტის გარეშე გრძელდება და პრობლემა თითქოს არ არსებობს.

ჩვენი კვლევის შემთხვევაში ბურდიეს ნაშრომი მხოლოდ იმით არ არის საინტერესო, რომ ის სწორედ, პატრიარქალურ კულტურაში მემკვიდრეობის განაწილების საკითხებს ეხება. გარდა ამისა, ის, გარკვეულწილად, აყალიბებს თეორიულ ჩარჩოს, რომლის მეშვეობითაც აღწერს სოციალურ სტრუქტურასა და აგენტს შორის ურთიერთობას. ბურდიე მათ შორის მიმართებას საინტერესოდ აანლიზებს. ის ორივეს, სოციალურ სტრუქრურასა და აგენტს, გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს და ამ ძირითად ელემენტებს განცალკევებულად არ განიხილავს. მართალია, სტრუქტურები როგორც ნორმები მოქმედებენ და განაპირობებენ ინდივიდის ქცევას, მაგრამ მეორეს მხრივ სოციალური

[1] რეგიონი ალჟირში

აგენტები მექანიკურად არ ემორჩილებიან მათ. მას სოციალური პრაქტიკა ესმის, როგორც სოციალური სტრუქტურის შედეგი კონკრეტულ ველზე (სტრუქტურა, მაკრო), სადაც გარკვეული ნორმები მოქმედებს და ასევე ერთეულის ჰაბიტუსი (აგენტი, მიკრო), რომელიც გამოხატულია ჩვენი ფიქრის, გრძნობების, აღქმისა და ქცევის სტრუქტურაში. ველზე გარკვეული სოციალური ნორმა განსაზღვრავს ინდივიდის ქცევას, მაგრამ ინდივიდების უკუკავშირი. ამ შემთხვევაში, განპირობებულია მისი ეკონომიკური, კულტურული და სოციალური კაპიტალით. ამდენად, მათი ქმედება არ შეიძლება თოჯინების" ავტომატურ ქცევად შევაფასოდ. (Walther 2014, 7-15)

ასევე მნიშვნელოვანია, პ. ბერგერის (P. L. Berger) და თ. ლუკმანის (T. Luckmann) წიგნი "რეალობის სოციალური კონსტრუირება: ცოდნის სოციოლოგიის ტრაქტატი" (The Social Construction of Reality: A Treatise in the Sociology of Knowledge), რომელშიც მათ შემოაქვთ ტიფიკატორული სქემის ცნება, რომელიც ზეგავლენას ახდენს ინდივიდის ინტერაქციზე, რამდენადაც წინასწარ აქვს მოცემული მოსალოდნელი და მიღებული სოციალური ურთიერთობის ტიპი (Berger and Luckmann 1967, 23-31).

მემკვიდრეობის განაწილების საკითხს უკავშირდება ორი კრებული "ბედისწერა და თავისუფლება: ქალების ადამიანური უფლებები ისლამურ სამყაროში" (Faithe and Freedom: Women's Human Rights in the Muslim World) Freedom) და "მუსლიმი ქალები და მონაწილეობის პოლიტიკა" (Muslim Women and the Politics of Participation). მიუხედავად იმისა, რომ ეს სტატიები ძირითადად ისლამურ სამყაროში ქალის როლსა და სტატუსს, უფლებებსა და თავისუფლებას ეხება, მასში ქართულ რეალობასთან საკმაოდ საინტერესო პარალელებს ვპოულობთ. ამ კრებულებში განხილული თემატიკა ეხება ქალის ქონებრივ უფლებებს, მათ შორის მშობლებისგან მზითვისა და მემკვიდრეობის მიღების თემატიკასაც. ნაშრომები საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ მათში განხილულია საოჯახო სამართლის მეშვეობით ქალის დისკრიმინაციის საკითხები, მათ შორის მემკვიდრეობის განაწილებისაც. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ისლამურმა ქვეყანამ მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონები, მათ შემთხვევაშიც კანონმდებლობის იმპლემენტაცია გართულდა, რამდენადაც საოჯახო სამართალთან, რომელიც რელიგიას ეფუძვნება, წინააღმდეგობაში მოდიოდა (Afkhami and Friedl 1997, 141-146). მუსლიმურ

ქვეყნებში კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ კანონი ცვალებადია და ფორმირდება სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს ზეგავლენით, რომელსაც მკვეთრად გასდევს პატრიარქალური საზოგადოებირივი წყობა. ქალთა პრობლემები არ გვარდება არა მარტო იმიტომ, რომ მათ არ აქვთ ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება, არამედ იმიტომაც, რომ ქალებისთვის ინფორმაცია და ცოდნა არ არის ხელმისაწვდომი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე ის ფაქტორიც, რომ ტრადიციები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული რელიგიასთან (Afkhami 1995, 81-87). მემკვიდრეობის გადაცემისას, მამაკაცის პრივილეგია ისლამურ სახელმწიფოებშიც ცალსახაა. ამაზე საუბარია ა. სონბოლის წიგნში ,,ქალები, ოჯახი და განქორწინების სამართალი ისლამურ ისტორიაში (Women, the Family, and Divorce Laws in Islamic History). ავტორი აღნიშნავს, რომ ისლამურ ქვეყნებში მოქალაქეობის მინიჭებაც კი მხოლოდ მამის ხაზით განისაზღვრება. მოქალაქეობის საკითხი კი გადაჯაჭვულია საკუთრების უფლებასთან, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება მემკვიდრეობის გადაცემის პრობლემას (Sonbol 1996, 9).

დისერტაციის საკვლევ საკითხთან მიმართებით ყურადღების ღირსია კიდევ ერთი ნაშრომი კრებული ,,სამხრეთ აზიელები და მზითვის პრობლემა" (South Asians and the Dowry Problem). შუა საუკუნეების საქართველოში მზითვი ქალს ახალ ოჯახში სტატუსსა და ადგილს უმკვიდრებდა და, ამასთანავე, ეს ქონება მის განკარგულებაში რჩებოდა. სამხრეთ აზიაშიც მზითვის გარეშე ქალი ვერ გათხოვდებოდა, თუმცა საქართველოსგან განსხვავებით ქონება დედამთილის განკარგულებაში გადადიოდა და, უმეტესწილად, ქალს მასზე წვდომა აღარ ჰქონდა. ქართული რეალობისგან გასხვავებით მზითვმა დღესდღეობითაც შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა სამხრეთ აზიაში და ცუდი ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში ის საზოგადოების საშუალო ფენაში ჩადენილი კრიმინალის მიზეზია. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ქალის მშობლები არ ასრულებენ თავის მოვალეობას და სიძესთან, გარიგების თანახმად, მზითვს სრული სახით არ მიიტანენ, მაშინ მათი ქალიშვილი განწირულია სიკვდილისთვის. ქმრის ოჯახი კლავს უდანაშაულო რძალს მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა მშობლებმა მისი ბოლომდე გამზითვება ვერ მოახერხეს. კაცი კი სხვა ქალზე ქორწინდება ოჯახში ახალი მზითვის შემოტანის მოტივით. ასეთი ტიპის მკვლელობები კი გამოუძიებელი რჩება. ამდენად

ოჯახში ქალის დაბადება ტრაგედიაა, რამდენადაც ოჯახების ნაწილს არ აქვს მათი გამზითვების საშუალება. მზითვის ტრადიცია შენარჩუნდა, თუმცა ქალებმა მემკვიდრეობის უფლება ვერ მოიპოვეს, მზითვი კი იმ ქონების მცირე ნაწილია, რომელიც მშობლების მემკვიდრეობიდან ვაჟებს რჩებათ. სამხრეთ აზიის შემთხვევაშიც შესაძლოა, პრობლემის გადაწყვეტა მემკვიდრეობის თანაბარ განაწილებაში მდგომარეობდეს, რაც ქალს შეუწყობდა ხელს როგორც ძმის, ასევე ქმრის თანასწორი ყოფილიყო. თუმცა ამ სირთულეს მხოლოდ საკანონმდებლო ჩარევა არ ეყოფა, საჭიროა საკითხის მოსაგვარებლად კომპლექსური მიდგომა (Menski 1998, 21-60). კიდევ ერთი ავტორი, ლ. მინთურნი ეხება ქალის მემკვიდრეობის საკითხებს ინდოეთში. ის თავის წიგნში "ზიტას ქალიშვილები, პურდაჰიდან გამოსვლა და რაჯპუტის ქალები ხალაპურიდან" (Sita's Daughters: Coming Out of Purdah: The Rajput Women of Khalapur) აცხადებს, რომ ქალები არ იღებენ მემკვიდრეობას, ისინი გათხოვებისას იღებენ მზითვს, რომელიც ძირითადად სამკაულებია. მზითვი არ მოიცავს უძრავ ქონებას, მემკვიდრეობით მიწის მიღება მხოლოდ კაცების უფლებად რჩება. ჩვეულებითი სამართალი მათ შემთხვევაშიც ბევრად ძლიერია. ხშირად ქალებმა მათი მემკვიდრეობის საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ არ იციან და თვლიან, რომ უძრავი ქონების ფლობის პრივილეგია ძმებს უნდა ჰქონდეთ (Minturn 1993, 109-112).

დასავლური და აღმოსავლური საზოგადოებების შედარებისათვის, ასევე საინტერესო იქნება, განვიხილოთ, რამდენიმე სამეცნიერო სტატია. ერთ-ერთია ს. დესანის (S. Desan) ,,ომი ძმებსა და დებს შორის: კანონი მემკვიდრეობის შესახებ და გენდერული პოლიტიკა რევოლუციურ საფრანგეთში" (War between Brothers and Sisters: Inheritance Law and Gender Politics in Revolutionary France). ავტორი აცხადებს, რომ მემკვიდრეობის კანონს დიდი გავლენა ჰქონდა გენდერულ ურთიერთობებზე ოჯახში არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფრანგები ტრადიციულად უპირატესობას ვაჟს ანიჭებდნენ, არამედ იმიტომაც რომ საქორწინო შეთანხმებები დაკავშირებული იყო ქონების საბოლოო განაწილებასთან. კანონის დამკვიდრება არ იყო ადვილი არც საფრანგეთში. ცვლილების შედეგები სხვადასხვა იყო რეგიონის, ოჯახის და სოციალური სტრუქტურიდან გამომდინარე. ფრანგი რევოლუციონერები იბრძოდნენ

სამართლიანობისათვის ოჯახსა და სახელმწიფოში, რომელიც დაამკვიდრებდა თანასწორობას ,,კარგი კანონის" პირობებში, ეს კი შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, როცა ქალები აღარ იქნებოდნენ ოჯახისათვის შეწირულები (Desan 1997, 597-634).

ნ. აშრაფი (N. Ashraf) სტატიაში "მზითვი ბიჰარის მუსლიმებს შორის" (Dowry among Muslims in Bihar. 1998, 3310-3311) და ს. გოლინი (S. Gaulin) და ჯ. ბოსტერი (J. Boster) სტატიაში მზითვი, როგორც ქალების შეჯიბრება (Dowry as Female Competition, 1990, 994-1005) განიხილავენ მზითვს, როგორც მშობლების საჩუქარს ქალიშვილებისთვის, რომ მათ მოიპოვონ საუკეთესო და შეძლებული ქმარი. გარდა იმისა, რომ მშობლები კარგი მზითვით გოგოს ხელსაყრელი დაოჯახების შანს აძლევენ, ამით ისინი ხაზს უსვამენ საკუთარ სოციალურ სტატუსსაც. მსგავსი პრაქტიკები დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების საქართველოსთვისაც, როცა მზითვი დაოჯახების პრერეკვიზიტად განიხილებოდა, ოჯახებიც ქალიშვილისთვის შესაბამისი მზითვის გაკეთებით თავიანთ შეძლებულობაზე მიუთითებდნენ.

ერთ-ერთი ხელისშემშლელი საკითხი საქართველოში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისათვის არის ადამიანისა და განსაკუთრებით ქალების უფლებების დეფინიციის არაერთგვაროვნება. ე. მატინია (E. Matinya) სტატიაში "ფემინიზმი გლობალურსა და ლოკალურს შორის: თარგმანის პრობლემა" (Feminism between the Local and the Global: A task of Translation). საუბრობს მსგავს გამოცდილებაზე პოლონეთში, როდესაც გენდერულ თანასწორობაზე დისკუსიას თან ირონია გასდევდა. პოლონეთში ტრანსფორმაციის პირველ წლებში წარმოუდგენლად დიდი სოციო-კულტურული და პოლიტიკური წნეხი მოდიოდა როგორც კაცებისგან, ისე ქალებისგან, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული დისკუსია არასერიოზულად ყოფილიყო აღქმული (Matynia 2010, 206).

რაც შეეხება, ქართულ თანამედროვე კვლევებს და მასალას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნია "ქონებრივი უფლებები: ქალების მიერ ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვები", რომელიც ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში მ. მესხმა მოამზადა. ნაშრომში მიმოხილულია ის შემთხვევები, რომლებიც ქალებს სწორედ რომ თავიანთ და-ძმებთან მემკვიდრეობის გაყოფის დროს ხვდებათ (მესხი 2004).

ქალთა სამართლებრივ გზამკვლევზე იმუშავა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამაც, რომლის ერთ-ერთი თავი სწორედ ქალსა და მემკვიდრეობის საკითხებს ეთმობა. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების შესახებ ქალთა ინფორმირებისათვის ეს ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო (GIZ 2013; 63-96).

საინტერესოა ასევე ცალკეული ქართველი მეცნიერების ნაშრომები: თ. საბედაშვილის წიგნი „ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები“ (2006 წელი), მ. წერეთლის „გენდერი - კულტურული და სოციალური კონსტრუქტი“(2006 წელი), და ლ. ხომერიკის „გენდერი და პოლიტიკა“(2006წელი). ავტორები განიხილავენ იმ ქართულ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ რეალობას, რომელშიც ქალს უწევდა თავის დამკვიდრება.

საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გენდერული თანასწორობის საკითხებზე ჩატარებულ კვლევებს თუ გადავხედავთ, მივხვდებით, რომ, ძირითადად, ისინი ეხებიან ოჯახური ძალადობის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ფორმებს. რაც შეეხება ეკონომიკური ძალადობის ფორმას, ქალისა და მამაკაცის არათანაბარი შესაძლებლობები ძირითადად შრომის ბაზრისა და დასაქმების კონტექსტში განიხილება და ყურადღება არ ექცევა ეკონომიკური ძალადობის ისეთ ფორმას, როგორიცაა მემკვიდრეობის განაწილება. მაგალითად, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის დაფინანსებით შექმნილ ნაშრომში “გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში” (2009 წელი) ერთ-ერთი თავი სწორედ ქალთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხება. ავტორები მ. თაბუკაშვილი, ნ. ფანცულაია, ი. ინარიძე და მ. თოქმაზაშვილი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხს სწორედ ამ მიმართულებით განიხილავენ. ამ და სხვა ნაშრომებშიც ეკონომიკური გაძლიერების საკითხი მემკვიდრეობის ჭრილში არ არის განხილული.

გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციათა უმრავლესობა, რომლებიც ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და ოჯახური ძალადობის საკითხებზე მუშაობს, მხოლოდ ცოლ-ქმარს შორის ქონებრივ დავაზე, ქალების მცირე ბიზნესში ჩართვასა და ზოგადად დასაქმების კონტექსტში ქალთა დისკრიმინაციაზე ამახვილებს ყურადღებას. აქედან

გამომდინარე, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სხვადასხვა პროგრამა ხორციელდება, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დონორების მიერ. მათ შორისაა "ქალთა ფონდის" პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ქალთა ეკონომიური დამოუკიდებლობის პროგრამა, რაც გულისხმობს ქალთა ბიზნესსა და მენეჯერული შესაძლებლობების განვითარებას, ასევე მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც კრედიტები და სესხები განსაკუთრებით სოფლად მაცხოვრებელი ქალებისათვის ხელმიუწვდომელია, რადგან ისინი ნაკლებად არიან უძრავი ქონების მესაკუთრეები. მიუხედავად ამისა, საკითხის განხილვისას არ ხდება ქალების მიერ უძრავი ქონების არქონის მიზეზებზე მუშაობა. მიზეზი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, არის ის, რომ საქართველოში ქალი მემკვიდრედ და უძრავი ქონების მეპატრონედ არ მოიაზარება. შესაბამისად, ქალს საზოგადოებაში დამკვიდრებისა და რეალიზების ნაკლები შანსები აქვს, ვიდრე მამაკაცს.

იმისათვის, რომ დავინახოთ, როგორ აისახება კანონმდებლობა ყოველდღიურ ყოფაზე, საინტერესო იქნება შევეხოთ ნანი ბენდელიანის სტატიას - "გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით" (2012). ეს კვლევა ეხება თანასწორობის შეფასების საკითხებს, ჩვენს შემთხვევაში კი განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც ეხება მემკვიდრეობის განაწილებისას დისკრიმინაციის პრობლემას. ავტორი განიხილავს საქართველოში გენდერული თანასწორობის შესახებ 2009 და 2012 წლების ანგარიშებს (სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი). მონაცემებს თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ სიტუაცია ინდექსის ერთ-ერთი კრიტერიუმის - მემკვიდრეობის განაწილების, და არა მხოლოდ ამ კუთხით, მიმართულებით 2009 წლიდან 2012 წლამდე გაუარესდა. ინდექსი ეფუძნება როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მონაცემებს, რომლის კოდირება შკალაზე ხდება 0 - 1 ქულების ფარგლებში. იმ შემთხვევაში, სადაც ინსტიტუტების გავლენა არ აღინიშნება, მაშინ ინდექსის მაჩვენებელი 0-ია; ხოლო, როდესაც სოციალური ინსტიტუტების გავლენა ქალების უმრავლესობაზე ვრცელდება, მაშინ ქულა არის - 1. 2009 წელს საქართველო შეფასდა 0 ქულით, ხოლო 2012 წლისათვის კი - 0.5 ქულით. თუმცა ეს გაუარესება იმით აიხსნება, რომ 2009 წლის ანგარიშში წარმოდგენილი

მაჩვენებლები მხოლოდ ფორმალურ ინსტიტუტებს აფასებდნენ, 2012 წლის ანგარიში უფრო სრულყოფილია და ფასდება არაფორმალური ინსტიტუტებიც; პირველი ანგარიში ძირითადად კანონმდებლობას ეყრდნობოდა შეფასების დროს. 2012 წლის ანგარიში 2009 წლის ანგარიშზე უფრო ინფორმაციულია საქართველოს შემთხვევაში, რამდენადაც საკანონმდებლო დონეზე საქართველო აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები უყენებენ, რასაც ვერ ვიტყვით კულტურულ და სოციალურ ნორმებზე, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წევრებს მისაღებ ქმედებას კარნახობს. ყველაზე პრობლემურ მდგომარეობას სამოქალაქო უფლებებისა და ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების კრიტერიუმების მიმართულებით ვხვდებით (ბენდელიანი 2012, 33-35).

კიდევ ერთი საინტერესო წყარო გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარებული კვლევაა, თემაზე - ,,საზოგადოებრივი დამოკიდებულებების კვლევა გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში”. 2013 წელს ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა კვლევამ, რომელიც იყენებდა როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, პირველად მოიცვა საკითხები, რომლებიც შვილებს შორის მემკვიდრეობის განაწილებას ეხებოდა. გამოკითხულთა ნაწილი თანასწორობის მომხრეა და ფიქრობს, მშობლების ქონება თანასწორად უნდა გაიყოს ვაჟსა და ქალიშვილს შორის. თუმცა, ძალიან მცირეა იმ ინდივიდთა რიცხვი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მშობლების ქონების უმეტესი ნაწილი ქალიშვილს უნდა ერგოს. არ დაფიქსირებულა დიდი განსხვავება მშობლების ქონების შემადგენელ სხვადასხვა კომპონენტს შორის. ყველა სახის ქონება უფრო მეტად კაცის საკუთრებად მიიჩნევა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სამკაული. უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისას რესპონდენტები უფრო გენდერული თანასწორობის მომხრე პასუხებს სცემენ, თუმცა თვისებრივ მონაცემებს თუ შევხედავთ, შვილებს შორის მემკვიდრეობის თანაბარი გაყოფა ხშირად არასწორად ესმით და მაინც ძირითადი ქონების (განსაკუთრებით კი უძრავი ქონების) ბიჭისთვის გადაცემის მომხრენი არიან (UNDP 2013, 73-74).

შედეგები

სადისერტაციო ნაშრომის ეს ნაწილი მოიცავს შედეგების სამ ძირითად თავს, ესენია: სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და სასამართოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის კონტენტ-ანალიზი, ექსპერტული ინტერვიუებისა და სიღრმისეული ინტერვიების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია.

გთავაზობთ, თითოეულის შედეგებს:

სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის კონტენტ-ანალიზის შედეგები

2010 წელს მიღებული საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ მე-5 მუხლის თანახმად შემოდის გენდერული თანასწორობის სფეროში სტატისტიკის შეგროვების ვალდებულება, რომლის შემდგომი სისტემატიზაცია უნდა მოახდინოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა.

2011 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოსცა წიგნი ,,სახელმძღვანელო გენდერული სტატისტიკის გამოყენების შესახებ", სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური თუ მედიის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გენდერული თანასწორობის საკითხებით. აღნიშნული გამოცემა დაინტერესებულ პირებს სთავაზობს დახმარებას სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენების მიმართულებით, რაც გენდერული თანასწორობის მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზისათვის აუცილებელი წინაპირობაა. სახელმძღვანელოში ხაზგასმულია ამ ტიპის სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობა, რამდენადაც ეს ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას დავინახოთ და შევადაროთ ქალისა და კაცის სტატუსები სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში, რაც გარკვეულწილად არსებული უთანასწორობის გამოსწორებას უნდა უწყობდეს ხელს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2 011 წელი, 4-7).

,,გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმა", რომელიც 2011 წლის 5 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, მიზნად ისახავდა გენდერული სტატისტიკის გამართვას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ხელშეწყობას გენდერული სტატისტიკის გასაუმჯობესებლად, რაც გენდერული ნიშნის მიხედვით ინდიკატორებისა და მონაცემების სრულყოფით, ასევე ყოველწლიური სტატისტიკური კრებულის ,,ქალი და მამაკაცი საქართველოში" მომზადებითა და გავრცელებით იყო შესაძლებელი (საკანონმდებლო მაცნე, პარლამენტის 2014 წლის 24 იანვრის დადგენილება).

2014 წლის 24 იანვარს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის" დამტკიცების შესახებ, რომლის 1.7 პუნქტის თანახმადაც საჯარო სამართლის იურიდიულო პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე გენდერული სტატისტიკის ბაზები უნდა იყოს განახლებადი და მოიცავდეს შემდეგ ძირითად ინდიკატორებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, შინამეურნეობების, დასაქმების და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების, ბიზნესსექტორის, სოფლის მეურნეობის, ასევე სამართალდარღვევის სფეროში გენდერულ ჭრილებს (საკანონმდებლო მაცნე, „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის").

ზემოთ წარმოდგენილი კანონმდებლობა და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფლად შემუშავებული სამოქმედო გეგმები ნათლად აჩვენებს, რომ სახელმწიფო უწყებები გენდერული პოლიტიკის სწორად დაგეგმვისათვის უნდა აწარმოებდნენ სტატისტიკას გენდერულ ჭრილში. ჩვენს შემთხვევაში, საჭირო დოკუმენტებად მივიჩნიეთ და ყურადღება გავამახვილეთ საჯარო რეესტრის ბაზების მონაცემებსა და მემკვიდრეობის შესახებ სასამართლო დავების გადაწყვეტილებებზე.

როგორც სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიურ ნაწილში განვიხილეთ, შევარჩიეთ სამი ქალაქი: ქუთაისი, თელავი და თბილისი. გამოვითხოვეთ საჯარო

ინფორმაცია როგორც სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ასევე აღნიშნული ქალაქების რაიონული და საქალაქო სასამართოებიდან.

სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის, თელავისა და თბილისის ბიუროებიდან ძირითადად სტატისტიკური მასალა გამოვითხოვეთ. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია მოიცავდა 2011-2013 წლების განმავლობაში დარეგისტრირებული მემკვიდრეობის ოდენობას და მის გენდერულ ჭრილს (რამდენი მემკვიდრეობა დარეგისტრირდა მამაკაცზე და რამდენი ქალზე; თუ მემკვიდრეობა ქალზე დარეგისტრირდა, რამდენს ჰყავდა ძმა და ა.შ.).

ქუთაისისა და თბილისის საქალაქო, თელავის რაიონული სასამართლოდან გამოვითხოვეთ 2011-2013 წლების პერიოდისთვის სამკვიდრო დავების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია (რამდენი დავა წარმოიშვა მემკვიდროების გარშემო; ვინ იყვნენ მოდავეები, დები, ძმები თუ და-ძმები; ვის მიერ იყო დავა ინიცირებული და ა.შ.). შემდგომ ეტაპზე გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია სამკვიდრო დავების გადაწყვეტილებების შესახებ.

განვიხილოთ ინფორმაცია თითოეული შემთხვევისათვის:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკისა და ანალიზის სამსახურის უფროსმა - ვლადიმერ მაღნარაძემ 2014 წლის 7 თებერვალს შესულ წერილიზე N 23886/17 , სადაც 2011-2013 წლებში ქალაქ თბილისში, თელავსა და ქუთაისში რეგისტრირებული ტრანზაქციების სტატისტიკურ მონაცემებს ვითხოვდით, გვიპასუხა, რომ განსახილველ პერიოდში თბილისში 16375, ქუთაისში 1059 და თელავში 1064 სამკვიდრო ქონება დარეგისტრირდა (წლების მიხედვით დეტალური მონაცემები იხილეთ ცხრილში). რაც შეეხებოდა სქესის (ქალი, მამაკაცი) მიხედვით ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციას, გვაცნობეს, რომ იმ დროს სააგენტოს მსგავსი სტატისტიკური მონაცემები არ მოეპოვებოდა.

ცხრილი

ქალაქი	წელი		
	2011	2012	2013
თბილისი	5813	5555	5007
ქუთაისი	314	343	402
თელავი	318	340	406

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული პასუხის შემდეგ გადავწყვიტეთ, იმავე ინფორმაციის ბაზა გამოგვეთხოვა და სტატისტიკურად თვითონ დაგვემუშავებინა, თუმცა ამ შემთხვევაშიც უარით გვიპასუხეს[2]

საჯარო ინფორმაცია გამოვითხოვეთ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო, ასევე თელავის რაიონული სასამართლოებიდან, ჩვენ მიერ გაგზავნილი წერილი იდენტური იყო, რასაც ვერ ვიტყვით სასამართლოებიდან მიღებულ პასუხებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განაცხადის (რეგ.N08-2/3950) პასუხად მოგვაწოდა არსებული სტატისტიკური მონაცემები: კერძოდ 2011 წელს განხილული იყო 275 სამემკვიდრეო დავა, 2012 წელს - 350, ხოლო 2014 წელს - 234. რაც შეეხება მოთხოვნას, განხილული საქმეებიდან რამდენი დავა იყო და-ძმას შორის და ვინ იყო სამემკვიდრეო დავის ინიციატორი (და თუ ძმა), გვიპასუხეს, რომ აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკური აღრიცხვა და დამუშავება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება.

ქუთაისის სასამართლოდან გვაცნობეს, რომ 2011 წლის საანგარიშო პერიოდში განხილულია სამემკვიდრეო დავის 20 საქმე, 2012 წელს -13 საქმე, ხოლო 2013 წლისათვის

[2] აღმოჩნდა რომ თითოეული დარეგიგსტრირებული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ 10 ლარის საფასურად შეიძლებოდა, რაც ბოლო, თუნდაც ერთი წლის განმავლობაში (2013 წელი დარეგისტრირებული 5815 სამკვიდრო ქონება) დარეგისტრირებული სამკვიდრო ქონების გენდერული ჭრილის ანალიზს მხოლოდ სამი ქალაქის შემთხვევაში 58150 ლარი სჭირდებოდა, რაც კვლევის გაგრძელებას ამ მიმართულებით შეუძლებელს ხდიდა.

კი - 21 საქმე. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011-2013 წლებში განხილული სამკვიდრო დავებიდან რამდენი იყო და-ძმას შორის და აქედან რომელი იყო დავის ინიციატორი. როგორც ქუთაისის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის - მარინე ტყეშელაშვილის წერილობით პასუხში იყო აღნიშნული, ასეთი მონაცემები სტატისტიკურად არ მუშავდება, ხოლო მისი მოძიებისთვის საჭირო იყო საქმეების სისტემატიზაცია და საარქივო დამუშავება. რამდენადაც სასამართლო დაკავებულია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე თავისი საქმიანობის შესრულებით, ის მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნა სამკვიდრო დავების პირთა სქესის დაკონკრეტების ნაწილში, რადგან ყველაფერი ეს მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს - წერია პასუხში.

თელავის რაიონული სასამართლოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა - ნანა თეთრაულმა კი სრულად დააკმაყოფილა ჩვენი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის განაცხადი და წერილობით გვამცნო, რომ 2011-2013 წლებისათვის სულ განიხილეს 32 საქმე, აქედან 2011 წელს -15, 2012 წელს - 11 და 2013 წელს კი - 6 სამემკვიდრეო დავა. განხილული დავებიდან 8 საქმე იყო და-ძმას შორის, 4 დავის ინიციატორი იყო და, 4 დავისა კი - ძმა. დეტალური ინფორმაცია სამემკვიდრეო დავების განხილვისათვის იხილეთ ცხრილში.

ცხრილი

ქალაქი	წელი		
	2011	2012	2013
თბილისი	275	358	234
ქუთაისი	20	13	21
თელავი	15	11	6

კვლევის შემდგომ ეტაპზე სასამართლოებიდან გამოვითხოვეთ დამატებითი ინფორმაცია სასამართლო დავების გადაწყვეტილებების შესახებ. თელავის რაიონული

და თბილისის საქალაქო სასამართლოებიდან გვიპასუხეს, რომ ინფორმაცია შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს და შესაძლო იყო მხოლოდ დაშტრიხული სასამართლო დავის გადაწყვეტილებების მოწოდება. თელავის რაიონულმა სასამართლომ მოგვაწოდა მხოლოდ 4 საქმე თბილისის საქალაქო სასამართლომ - 5 საქმე. იქიდან გამომდინარე, რომ სახელები და გვარები დაშტრიხული იყო, შეუძლებელი გახდა როგორც სქესის, ასევე საქმის შინაარსის გაგება. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში კი კვლავ განგვიმარტეს, რომ ჩვენ მიერ გამოთხოვილი მასალების მოძიებისათვის საჭირო იყო საქმეების სისტემატიზაცია და საარქივო დამუშავება, რაც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვდა.

სტატისტიკის წარმოების საჭიროებაზე საუბრობს ორი ექსპერტიც: ლელა ხომერიკი და თამარ გურჩიანი. მათი განცხადებით, ხშირად წამყვანი სახელმწიფო ორგანიზაციები არ არიან გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის დანერგვაში ჩართულნი. ისინი არ ახდენენ საჭირო ინფორმაციის სისტემატიზაციას იმ პირობებში, მაშინ, როცა სქესის ნიშნით განსხვავებული სტატისტიკის წარმოება და გავრცელება გენდერული უთანასწორობის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს. ლელა ხომერიკს ამის საილუსტრაციოდ მაგალითები ილიას სახელწმიფო უნივერსიტეტში გენდერის საკითხებზე სწავლების საკუთარი გამოცდილებიდან მოყავს. მისი აზრით, სტუდენტებს საქართველოში გენდერული უთანასწორობის არსებობის არ სჯეროდათ მანამ, სანამ სასწავლო მასალა არ იქნება გაჯერებული სტატისტიკური მონაცემებით. რეალური ფაქტების გაცნობის შემდეგ ისინი ცხადად აცნობიერებდნენ საქართველოში ქალთა მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციას.

თამარ გურჩანი კი აცხადებს, რომ საქართველოში არ არსებობს გენდერულად სენსიტიური ინსტიტუტები, რომლებიც თუნდაც სტატისტიკის წარმოებით ხელს შეუწყობდნენ გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას.

ქალის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თუ ნეგატიური ცრურწმენები, სტერეოტიპები და ნორმები არსებობს, რომლებიც ქალს მეორეხარისხოვან ადამიანად აქცევს, იმათ ისევე უნდა ებრძოლო, როგორც ქალების წინააღმდეგ საკანონმდებლო და ლეგიტიმურ დონეზე დაშვებულ შეზღუდვებს. ცხადია, ჩვენს შემთხვევაში არსებობს მსგავსი პრობლემები, თუმცა საქართველოში არ არის გენდერულად სენსიტიური ინსტიტუციები, რომლებიც გამოიკვლევდნენ და აწარმოებდნენ სტატისტიკას იმის შესახებ, თუ რამდენი ქალი ამბობს უარს საკუთარ უფლებებზე და რატომ [თამარ გურჩიანი].

სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ ეს საჯარო ორგანოები არ არის გენდერულად მგრძნობიარე. ისინი არ არიან ჩამოყალიბებული იმ მდგრად დემოკრატიულ ინსტიტუტებად, რომლებიც მზად არიან, აწარმოონ და გასცენ სქესობრივი ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური საჯარო ინფორმაცია და ამით გენდერული პოლიტიკის გატარებას შეუწყონ ხელი.

ეს მაშინ, როცა მსგავსი სტატისტიკის არსებობა პრობლემის არსის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ქვეყნისათვის კულტურული თავისებურებით განპირობებული მოვლენებისათვის პასუხის გამოძებნა (Fawole, 2008, 8)

ექსპერტული გამოკითხვის შედეგები

ექსპერტული გამოკითხვა ჩატარდა გენდერის პრობლემატიკის მკვლევრებთან, სამართალმცოდნეებთან, სოციოლოგებთან და ფსიქოლოგებთან. თითოეულ მათგანს ჰქონდა გენდერული თანასწორობის პრობლემებზე მუშაობისა და კვლევის გამოცდილება. შესაბამისად, მათმა მოსაზრებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენ მიერ საკვლევი პრობლემის გააზრებასა და ანალიზს. ასევე, საინტერესო იყო მათი ხედვა გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრის გზებზე.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ეს ნაწილი მოიცავს შემდეგ თემებს:

1. მემკვიდრეობის განაწილება: კანონმდებლობა და კულტურული რეგულაციები;
2. მემკვიდრეობის განაწილების პრაქტიკები საქართველოში;
3. მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება, როგორც პრობლემა;
4. ცვლილებები;
5. პრობლემის გადაჭრის გზები.

მემკვიდრეობის განაწილება: კანონმდებლობა და კულტურული რეგულაციები

ექსპერტული ინტერვიუების ფარგლებში საკვლევ საკითხზე მომუშავე იურისტებისა და გენდერის სპეციალისტებისგან გვინდოდა, გაგვეგო რამდენად მიაჩნიათ მათ ძალადობად მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება; ასევე, რამდენად მიუთითებს საქართველოში მოქმედი მემკვიდრეობის სამართლის ხარვეზზე ის ფაქტი, რომ კანონმდებლობაზე ქმედითი ისევ ჩვეულებითი სამართალი და კულტურული რეგულაციებია. რესპონდენტების უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ განსხვავებული სქესის შვილებისათვის მემკვიდრეობაზე არათანაბარი წვდომა ძალადობაა, მათი აზრით, ყველაფერთან ერთად, ეს არის ეკონომიკური და სტრუქტურული (სოციალური) ძალადობა. გარდა ამისა, ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საზოგადოება, საკანონმდებლო რეგულაციების მიუხედავად,

მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილების პრაქტიკას ძალადობად არ აღიქვამს. თუმცა, ნინო ჯავახშვილის აზრით, გარკვეული პოზიტიური ტენდენციებიც შეინიშნება.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება (ეკონომიკური ძალადობაა), თუმცა არ აღიქმება ასე... იმიტომ რომ მშობლების მხრიდან ძალადობა არ განიხილება. იქ იყო პარტნიორის მხრიდან ძალადობა, ვთქვათ არ აძლევს ფულს, არ უშვებს სამსახურში ან მის მიერ მოპოვებულ ფულს ართმევს... და ჩვენს კანონში ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ნებისმიერი წევრის მიერ ნებისმიერი წევრის მიმართ, ამიტომ ასე თუ განვავრცობთ, მაშინ ეს არის მშობლების მხრიდან ძალადობა [ნინო ჯავახიშვილი].

კარგია, რომ სულ უფრო მეტად ხვდებიან ადამიანები, ეკონომიკური ძალადობა არის ცუდი და არასწორი. რა თქმა უნდა, ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოში საზოგადოების თუნდაც მესამედი ფიქრობს, რომ ქონება თანაბრად უნდა გაყოს, მიუხედავად იმისა, ვინ არის პირველი შვილი, გოგოა თუ ბიჭი. თუმცა, ყოველ შემთხვევაში ტენდენცია მიდის იქითკენ, რომ სულ უფრო მეტი ქალი გამოხატავს პრეტენზიას, უფრო მეტი მშობელი ფიქრობს, რომ სწორი არ არის, მეორე შვილს ან პირველ ბიჭს უფრო მეტი ხვდება, ვიდრე გოგოს. თუმცა ისეთი ნელია ტემპი, რომ რეალური შედეგის მიღწევას ძალიან დიდი დრო დასჭირდება, თუ არ დაჩქარდა რაიმე მეთოდებით [თეიმურაზ ქორიძე].

მზია წერეთლის აზრით, სოციალური ძალადობა ძალიან მძიმე ძალადობაა... და თითქმის ყველა ოჯახში ხდება. ის ინფორმაციის ნაკლებობით ხსნის ამ ტიპის ძალადობისა და უსამართლობის მიმართ საზოგადოების ინდიფერენტულ დამოკიდებულებას. ის აღნიშნავს, რომ, ხშირ შემთხვევაში, არც ქალმა და არც მამაკაცმა არ იციან, რომ ორივე სქესის წარმომადგენელი კანონით მემკვიდრეობაზე თანაბარი უფლებებით სარგებლობს. კულტურული პრაქტიკა კი ისეთია, რომ მამაკაცები "სინდისის ქენჯნის" გარეშე სარგებლობენ მსგავსი პრივილეგიებით:

კაცმა უნდა იცოდეს, რომ ქალს აქვს უფლებები და თუ დაჩაგვრას დაუპირებს, შეიძლება მან უჩივლოს. მამაკაცმა უნდა გააცნობიეროს რომ ეს არის უსამართლობა... მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ კაცები ვერ ხვდებიან ამას. ყველაფერი უწყობს მათ ხელს, რომ თვალი დახუჭონ [მზია წერეთელი]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი ნინო ჩიხლაძე კი მემკვიდრეობის არათანაბარ განაწილებას ძალადობად არ აღიქვამს, მიუხედავად იმისა, რომ ის გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ რამდენიმე პროექტს

ხელმძღვანელობდა და, შესაბისად, ინფორმირებულია, თუ რა სირთულეების წინაშე დგანან ოჯახში ძალადობის მსხვეპლი ქალები:

ამას ვერ ჩავთვლით ძალადობად, იმიტომ რომ ოთხი სახის ძალადობა გვაქვს: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობა [ნინო ჩიხლაძე].

ძნელი სათქმელია, რამდენად აცნობიერებენ მშობლები, რომ მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილების დამკვიდრებული პრაქტიკების მიყოლით ბავშვობის ასაკიდან ძალადობენ შვილებზე (იგულისხმება ძალადობის ეკონომიკური ფორმა). ვახტანგ მოსიაშვილის თქმით, მსგავსი ძალადობა მშობლების მხრიდან ცნობიერ დონეზე არ ხდება:

ქართველი მშობლები ამას რომ აცნობიერებდნენ, ალბათ ასე არ მოიქცეოდნენ, ხომ? არა მგონია რომელიმე მშობელს ისე ეჯავრებოდეს შვილი, რომ თავისი ქმედებით მომავალში მას ცხოვრება დაუნგრიოს და არ მისცეს ელემენტარული ადამიანური ცხოვრების და არსებობის საშუალება. უბრალოდ, ეს გაუცნობიერებლობით ხდება [ვახტანგ მოსიაშვილი].

ჩვეულებითი სამართალი არ კარგავს ძალას და ბევრად უფრო ქმედუნარიანია, ვიდრე კანონმდებლობა, თუმცა ექსპერტ იურისტებს ეს კანონის ხარვეზად ნაკლებად მიაჩნიათ. ისინი აცხადებენ, კანონი გენდერულად ნეიტრალურია, შესაბამისად, ყველას, განურჩევლად სქესისა, მემკვიდრეობის მიღების უფლება აქვს. ამგვარად, ისინი არ თვლიან, რომ კანონი არის ქმედუუნარო, თუმცა მიიღებს თუ არა ადამიანი კანონიერად კუთვნილ მემკვიდრეობას, ეს უკვე მასზეა დამოკიდებული და კანონმდებლობობა მას ვერ დაავალდებულებს.

ეს კანონმდებლობა ჩვენ 1997 წლიდან გვაქვს და მისი არსებობა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ის რაღაც სტანდარტის სახით სადღაც ქაღალდზე არის ჩამოწერილი და პრაქტიკასთან არანაირი კავშირი არა აქვს. ამას ვერ ვიტყვი, და არ იქნება სამართლიანი, იმიტომ რომ თუ ოდესმე შენ მოგინდება განკარგო, გაასხვისო ან გადაანაწილო ქონება, რომელიც მემკვიდრეობით გერგო, ნებისმიერ შემთხვევაში, საკანონმდებლო სივრცეში უნდა მოექცე. სხვანაირად, მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას პრაქტიკული დანიშნულებით ვერასოდეს გამოიყენებ [თამარ გურჩიანი].

კანონი ქმედუნარიანია. თუკი კაზუალურად მივუდგებით, დავების თვალსაზრისით სასამართლოში არ არსებობს პრეცენდენტი, როდესაც მოსამართლემ ქალს არ მიაკუთვნა სამკვიდრო ქონება იმიტომ, რომ ის ქალია. წმინდა სამართლებრივი და ფორმალური თვალსაზრისით ეს პრობლემა არ არსებობს [ვახტანგ მოსიაშვილი].

არის შემთხვევები, როცა კანონის ფუნქციონირებას ხელს უშლის ტრადიციები. შენ თუ არ უჩივლებ ძმას, ამით კანონს არ დაარღვევ. თუმცა კანონი გაძლევს შესაძლებლობას სარჩელი შეიტანო. ამიტომ არჩევანი შენზეა. აქ საქმე გვაქვს არა კანონის ხარვეზებთან, არამედ სოციალურ პრობლემასთან. გამოსავალი მხოლოდ საზოგადოების ცნობიერების ცვილებებშია [თეიმურაზ ქორიძე].

ზოგადად, იურისტების აზრით, იმ სტერეოტიპების და კულტურული ნორმების დაძლევა, რომლებიც ქალს მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს, გაცილებით რთულია, ვიდრე საკანონმდებლო დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

მასკულინური კულტურული ტრადიციები გვაქვს და შინაურულად წყვეტენ ხოლმე მემკვიდრეობის განაწილების საკითხს. ამაში არაკანონიერი არაფერია. კანონში დევს მექანიზმი, რომლის თანახმად თუ ადამიანი უარს ამბობს თავის სამკვიდრო წილზე, მაშინ მთლიანი წილი ეკუთვნის მეორე მემკვიდრეს. თუმცა ქალს ისეთივე უფლებები აქვს, როგორიც მამაკაცს. უბრალოდ, ტრადიცია ყოველთვის მუშაობს. ტრადიციებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თვალსაზრისით, რადგან ისინი საუკუნეების გაბმავლობაში ყალიბდება და მათ შეცვლასაც დიდი დრო სჭირდება [ვახტანგ მოსიაშვილი].

სტრუქტურული დისკრიმინაცია, რომელიც მკაფიო კულტურული ნორმებით არის განსაზღვრული, ისეთივე პრობლემაა, როგორიც საკანონმდებლო დისკრიმინაცია. ქალის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თუ ნეგატიური ცრურწმენები, სტერეოტიპები და ნორმები არსებობს, რომლებიც ქალს მეორეხარისხოვან ადამიანად აქცევს, მათ ისევე უნდა ებრძოლო, როგორც ქალების მიმართ საკანონმდებლო და ლეგიტიმურ დონეზე დაშვებულ შეზღუდვებს [თამარ გურჩიანი].

ვახტანგ მოსიაშვილის განცხადებით, მემკვიდრეობის განაწილების ეს ტრადიცია ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში ქონების საკუთრების პრაქტიკიდან, რამდენადაც იმ პერიოდისათვის საბჭოთა სამემკვიდრეო სამართალში მსგავსი ტიპის მოვლენები არ არსებობდა. ამიტომ ეს მემკვიდრეობითი ტრადიციაც თვითდინებაზე იყო მიშვებული. ევროპული გამოცდილება კი ეფუძვნებოდა ფეოდალურ გამოცდილებას. ფეოდალური გამოცდილება მიბმული იყო მიწაზე, იმიტომ რომ სამეურნეო საშუალება იყო მიწა. მოიაზრებოდა, რომ ქალი თხოვდებოდა და მიდიოდა, გვარს აგრძელებდა კაცი, ამიტომ მიწა იყო კაცის და ქალი კი სანაცვლოდ ნივთებს იღებდა. საქართველოს შემთხვევაში ფეოდალური წყობიდან ბუნებრივი გადასვლა არ მოხდა და ვერც მემკვიდრეობის გადაცემის ჯანსაღი ტრადიცია და პრაქტიკა ჩამოყალიბდა.

თ. გურჩიანის თქმით, ამ ტიპის დისკრიმინაციასთან ბრძოლა იმიტომაც არის რთული, რომ არ არსებობს ინსტიტუციები, რომლებიც გამოიკვლევენ და აწარმოებენ სტატისტიკას, თუ რამდენი ქალი ამბობს თავისი ნებით უარს მემკვიდრეობის უფლებაზე და რა მიზეზით. ამის გარდა, არც საკანონმდებლო ნორმები იძლევა ასეთი ფაქტების შემცირების საშუალებას. კანონი იცავს ყველა მემკვიდრის ინტერესებს და მისი რეგისტრაციის შემთხვევაში აუცილებელია ყველა მემკვიდრის თანხმობა. სახელმწიფო ახდენს პრევენციას იმაზე, რომ ერთმა მემკვიდრემ არ მიისაკუთროს ყველას ქონება. კანონში ქალთან მიმართებაში ასეთი ტიპის მექანიზმი არ არის ჩადებული.

რომ ყოფილიყო ისეთი რეგულაცია, რომლის მიხედვით კანონი დამატებით კითხვებს დასვამდა ქალების მხრიდან მემკვიდრეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ჩვენ ვიტყოდით, რომ კანონი არის, ასე ვთქვათ, გენდერულად დაინტერესებული, რაღაცნაირად გადახრილი ქალის მხარეს. მაგრამ, არ გვაქვს ასეთი კანონი და ვერც ვიხსენებ, რომ რომელიმე ქვეყანას ჰქონდეს. ჩვენი კანონი საკმაოდ ნეიტრალურია, ანუ თან ზედმეტ უფლებებს არ ანიჭებს მამაკაცებს, მაგრამ, ამავდროულად, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დისკრიმინაცია თავიდან იყოს აცილებული [თამარ გურჩიანი].

საინტერესოა ექსპერტების აზრი საერთაშორისო კონვენციებთან მიერთების, მათ რეგულაციებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოში დაიწყო დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, საზოგადოების დიდი ნაწილი არ იზიარებს დასავლურ ღირებულებებს. თუმცა საქართველო მიუერთდა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციას (CEDAW).

განვითარებადი ქვეყნები დიდი ხალისით აწერენ ხელს საერთაშორისო აქტებს და ახდენენ მათ რატიფიცირებას, რადგან ეს ნიშნავს საერთაშორისო "კლუბში" გაწევრიანებას. .90-იან წლებში, როდესაც ჩვენ ამ საერთაშორისო ორგანიზაციებში ვწევრიანდებოდით, წინაპირობის სახით გვეუბნებოდნენ, იცი რა, შენ თუ გინდა იყო სახელმწიფო, მაშინ ჩვენ რა გზაც გამოვიარეთ აქამდე და რა ღირებულებებიც ვაღიარეთ, კეთილი ინებე და შენც აღიარე [თამარ გურჩიანი].

გვინდა ევროპულ სივრცეში და ნატოში ინტეგრირება და საერთაშორისო სტანდარტების ინკორპორირება, მაგრამ ამას ვერ მივაღწევთ, თუ არ მოვახდეთ ჩვენი კანონების ჰარმონიზაციას საერთაშორისო სტანდარტებთან. ამიტომ, ერთი შეხედვით, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ჩვენი კანონმდებლობა დროში უსწრებს რეალობას [ლელა ტალიური].

კანონმდებლობასა და საერთაშორისო კონვენციებთან მიმართებით ვაწყდებით არაკვალიფიციური კადრების პრობლემასაც. ქალები, რომლებიც გენდერული თანასწორობის იმპლემენტაციის პროგრამებსა და ღონისძიებებში არიან ჩართულნი, ხშირ შემთხვევაში ვერ ერკვევიან ქალთა უფლებების საკითხებში. რიგ შემთხვევებში ქალები, რომლებიც ამ მიმართლებით მუშაობენ, მათ შორის პოლიტიკურ ასპარეზზე, არაფრით განსხვავდებიან მამაკაცი კოლეგებისგან.

არსებობს ათასგვარი გენდერული თანასწორობის კანონი, გენდერული თანასწორობის კონცეფცია, საბჭო და ამას ხელმძღვანელობენ ქალები, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ ქალების უფლებებზე და რომლებიც თავისივე არსებობით გამოხატავენ უკვე იმას, როგორი არ უნდა იყოს ქალი გადაწყვეტილების მიმღები... ქალების უფლებებზე წარმოდგენა იმათ არ აქვთ და ზუსტად ისეთივე პოლიტიკური პრეფერენსიები, ქცევები და სამუშაო აქვთ, როგორიც აქვთ კაცებს. იმიტომ რომ მათ იციან, იმდენად მძლავრია ოპრესია. საზოგადოება მათ კარნახობს, რომ კაცად უნდა იქცე აუცილებლად, ზოგ შემთხვევაში უნდა გამოიყურებოდე [თამარ გურჩიანი].

გარდა ამ პრობლემისა, თამარ გურჩიანი სტერეოტიპების შენარჩუნებასა და ქალის მიმართ დისკრიმინაციის მოწოდებებში ეკლესიას ადანაშაულებს. მისი აზრით, ეკლესია პატრიარქალური ინსტიტუტია და მასში ქალს მეორეხარისხოვანი როლი აქვს. ამდენად თითქოს გასაკვირი არ არის, ეკლესიის წარმომადგენლების კონსერვატული შეხედულებები; თუმცა გურჩიანს მიაჩნია, რომ თანასწორობის იდეას ვინც შეეწინააღმდეგება, რაც არ უნდა რელიგიური მრწამსის თავისუფლებით სარგებლობდეს, ის უნდა შეზღუდოს სახელმწიფომ და არ მისცეს ასეთი იდეების კულტივირების საშუალება, რადგან ეკლესია ისედაც დაჩაგრულ ქალს ამ შემთხვევაში კიდევ უფრო დაჩაგრავს.

ეკლესია ამას ხელს უწყობს. მოუწოდებს, რომ ქალი სახლში უნდა იყოს და ქმარი რომ მოვა, მოემსახუროს. მაშინ როცა საერთაშორისო ნორმების თანახმად ასეთ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას (სახელმწიფო) უნდა უშლიდეს ხელს... თუ რაიმე საშიშროება დგას ქართულ საზოგადოებაში ქალების წინააღმდეგ, პირველ რიგში, ეს არის ეკლესია, რომელიც თავისი კონსერვატიული შეხედულებებით აშკარად უწყობს ხელს ქალების უფრო მეტ ჩაგვრას... საფრთხე, რასაც ვხედავ, ეს არის ეკლესია, რომელიც, პირველ რიგში, დაჩაგრავს ყველაზე დაჩაგრულს და ყველაზე დაჩაგრულებს შორის არის ქალი საქართველოში [თამარ გურჩიანი].

მემკვიდრეობის განაწილების პრაქტიკები საქართველოში

გამოკითხული ექსპერტების უმრავლესობას მემკვიდრეობის განაწილების შესახებ კვლევა არ ჩაუტარებია, თუმცა, რამდენადაც თითოეული მათგანი გენდერის საკითხებითაა დაინტერესებული, მათ ამ პრაქტიკაზეც დაკვირვების გამოცდილება აქვთ.

ექპსერტები თვლიან, რომ მემკვიდრეობის განაწილებაზე ქალსა და კაცს არც ამჟამად და არც მანამდე თანაბარი წვდომა არ ჰქონდათ. ქალიშვილს მშობლების ქონებიდან მემკვიდრეობის სახით ეძლეოდა მზითვი, რაც მას ახალ ოჯახში თვითდამკვიდრებაში უწყობდა ხელს. მზითვის ოდენობა გარკვეულწილად განაპირობებდა ქალის მომავალ სტატუსსაც.. თუმცა საბჭოთა კავშირის დროს მზითვის მნიშვნელობა გაუფასურდა, მზითვში მიტანილმა ნივთებმა საბაზრო ღირებულება დაკარგა, რაც გამოწვეული იყო მასობრივი წარმოების დაწყებით. ის რაც მზითვის ობიექტებად მოიაზრებოდა, ძალიან გაიაფდა უძრავ ქონებასთან შედარებით. ეს სხვაობა მანამდეც არსებობდა, თუმცა ამ დროისათვის კიდევ უფრო გაიზარდა. მასობრივი წარმოების არარსებობის დროს, თითოეული ნივთი, მაგალითად, იგივე ტანსაცმელი უფრო ,,ძვირი' იყო, ვიდრე მე-20 საუკუნეში'. მზითვში ქალს მიჰქონდა კაბები და ლეჩაქები, რომლებსაც მთელი ცხოვრება ატარებდა. . გარდა ამისა, ახალ დროში მზითვის პრაქტიკის კლებაში დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ოჯახის შექმნის საფუძვლად უკვე პირადი სიმპათიები და ურთიერთობები მოიაზრებოდა და არა ეკონომიკური მოტივები.

თუ ქალი კარგად იყო გამზითვებული, ეს ოჯახში მის სტატუსზე და ოჯახის სხვა წევრების დამოკიდებულებებზეც აისახებოდა. საბჭოთა კავშირში, მზითვი ფორმალური გახდა. ნუ როგორ ვთქვა, ეს არ იყო იმ ღირებულების ქონება ... 5 ზეწარი და 2 საბანი... გაუფასურდა ამ მზითვის დანიშნულება... [ლელა ხომერიკი]

რომანტიული გაგებით, სიყვარულით დაქორწინების შემთხვევაში ეკონომიკური მოტივები არანაირ როლს არ უნდა თამაშობდეს, შეიძლება, ამ ტალღაზე მზითვი ზედმეტად პროზაულად აღიქმება. სიყვარულით დაქორწინების ღირებულება თითქოს მზითვთან წინააღმდეგობაში მოდის. ადრე მაინც დაქორწინება ოჯახებს შორის რაღაცა გარიგება, ფაქტიურად, შეთანხმება იყო, სადაც ეკონომიური საკითხებიც იყო უფრო განხილული და წერილობით სახეს იღებდა [ლელა ხომერიკი].

მართალია, საბჭოთა პერიოდში მზითვმა ღირებულება დაკარგა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, ტრადიცია ნაწილობრივ მაინც შენარჩუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ძველი დროისგან განსხვავებით, ქალი მზითვის გარეშე გასათხოვარი არ რჩებოდა, მაინც სასურველი იყო ქალს გათხოვებისას ახალ ოჯახში თავისი შენატანი გაეკეთებინა. მაგალითად, ოჯახის შექმნის დროს მამაკაცს უნდა ეკისრა უძრავი ქონებით (ბინა/სახლი) უზრუნველყოფა. ქალს კი, თუ ამის საშუალება ჰქონდა, ავეჯი უნდა მიეტანა. თუ ეს ასე არ მოხდებოდა, შეიძლება ეს ფაქტი ვიწრო სოციუმის ფარგლებში საჭორაო თემაც კი გამხდარიყო.

ამაზე კვლევა არ ჩამიტარებია, უბრალოდ, ჩემი დაკვირვებიდან შემიძლია გითხრათ, ანუ კომუნისტების დროსაც, ვთქვათ, მზითვი... რაღაცა დონეზე ტრადიციად განიხილებოდა. ანუ, როგორც ინგლისელები იტყვიან, it goes without saying, იგულისხმებოდა, რომ მზითვი უნდა გაგეტანებინა. სავარაუდოდ, ალბათ რომც არ გაგეტანებინა მზითვი, არც არავინ არაფერს არ გეტყოდა, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ რაღაცა წრეებში, ალბათ, ამის შესახებ ილაპარაკებდბდნენ კიდევაც [ნინო ჯავახიშვილი].

ოჯახი შეიქმნებოდა, მზითვი რომ არ მიეტანა ქალს, მაგრამ ამაზე რეაქცია იქნებოდა. შეიძლება დამხვედრს არ ამოეღო ხმა, მაგრამ რაიმე ეთქვა მეგობარს, რომელმაც იცოდა ეს ამბავი, ან ვიღაცისგან გაიგო... ეს, ზოგადად მაინც, იქნებოდა მსჯელობის საგანი...

იგულისხმებოდა, რომ ქმარს უნდა დაეხვედრებინა, პირობითად ბინა, ან სახლი ... ცოლს უნდა მოეტანა ,,სპალნა". აი, ზუსტად ასეთი მიდგომა იყო და, შესაბამისად, ამას მოყვებოდა თავისი ავეჯი, ამ ავეჯს მოყვებოდა თავისი თეთრეული და ა.შ ... ასე რომ მე ვერ ვიტყვი, რომ მთლად ნულზე დავიდა (საბჭოთა კავშირის პერიოდში) მზითვის მნიშვნელობა [ნინო ჯავახიშვილი]

თანამედროვე საქართველოში საზოგადოების დიდი ნაწილი მემკვიდრედ ისევ კაცს მიიჩნევს, ეს ძირითადად უკავშირდება კაცის, როგორც გვარის გამგრძელებლის, ტრადიციას. ითვლება, რომ ქალი ოჯახიდან წამსვლელია და საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება მზითვი გაატანონ, რომელიც სავსებით საკმარისად მიიჩნევა. მეორე მხრივ,. თვითონ მზითვის ტრადიციამაც ასე თუ ისე დაკარგა თავისი მნიშვნელობა, თუმცა რეგიონებში ჯერ კიდევ გარკვეული ფორმებითაა შემორჩენილი.

გოგო შთამომავლად ხომ არ ითვლება, აქ ბიჭი ითვლება შთამომავლად, ანუ, შესაბამისად, მთელი ეს ქონებრივი ურთიერთობები და მისი სიმბოლური მნიშვნელობა ერთმანეთის

შესაბამისია... ქალი რომ იყოს გვარის გამგრძელებელი, ალბათ, პირიქით იქნებოდა [ნინო ჯავახიშვილი].

ქალი გადის ოჯახიდან და იგულისხმება, რომ ის მატერიალურად მეუღლემ უნდა უზრუნველყოს. ის სხვა ოჯახში შედის და აღარ არის მშობლების მოვალეობა მისი რჩენა და მასზე ზრუნვა. მზითევი შეიძლება გაატანონ და ფიქრობენ, რომ ეს საკმარისია, მაგრამ ეს ასე არ არის. რადგან ფიზიკურად, რომ ის აღარ არის ოჯახში, არ ნიშნავს, რომ მის მიმართ ვალდებულებებიც აღარ არსებობს.. არის კიდევ მეორე მომენტი, როდესაც გოგო თხოვდება, ოჯახში ვაჟი რჩება, რომელიც ქორწინდება და, ასე ვთქვათ, მკვიდრდება მშობლებთან, რომლებიც უფრო დიდ პასუხისმგებლობას გრძნობენ ვაჟის და მისი მეუღლის და შვილების მიმართ, ვიდრე გოგოს წინაშე...ჰგონიათ, რომ ვაჟის ოჯახი მათი ოჯახია, გოგოს ოჯახი კი უკვე არა [ლელა ტალიური].

მზია წერეთლის თქმით, რადგანაც ქალი თავისი არჩევნით, მშობლებისგან დამოუკიდებლად ქმნის ოჯახს სხვა ადამიანთან, მას არ უღირს უშუალოდ მემკვიდრეობის მიღება მშობლებისგან. ამით ის გარკვეულწილად მათზე დამოკიდებული და ვალდებული გახდებოდა. ქალს "თუ აჩუქებ, არ იტყვის უარს, სწორედ ამიტომ მიიღო მზითვმა საჩუქრის და არა მემკვიდრეობის ფორმა (მზია წერეთელი). ნინო ჯავახიშვილის აზრითაც, მზითვმა თავისი პირვანდელი შინაარსი დაკარგა, მაგრამ სიმბოლური მნიშვნელობა მაინც აქვს (ნინო ჯავახიშვილი).

იგივე ნინო ჯავახიშვილი მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილების სხვა ფაქტორებზეც მიუთითებს. ის აცხადებს, რომ გარდა სქესის ნიშნით შვილებისათვის უპირატესობის მინიჭებისა, მემკვიდრეობის არათანაბარ განაწილებას ასევე ვხვდებით ერთი და იმავე სქესის შვილებს შორის. მაგალითად, ხშირ შემთხვევებში უპირატესობა უმცროს შვილს ენიჭება, რაც იმით აიხსნება, რომ უფროსი ვაჟი, ასაკიდან გამომდინარე, უფრო ადრე გადის მშობლების ოჯახიდან და იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას, პატარა კი რჩება მშობლების ოჯახში. ამგვარად, მემკვიდრეობის არათანაბარ განაწილებას პრაგმატული ფაქტორიც განაპირობებს. კერძოდ, მემკვიდრეობა ძირითადად, რჩება იმას, ვინც ოჯახში რჩება და მშობლებს მოუვლის. ხოლო ვინც ოჯახს გამოეყოფა, ქალიც და ვაჟიც, ძირითადი მემკვიდრის სტატუსს კარგავენ.

უფროსი შვილი, როცა დაქორწინდება, იგულისხმება, რომ ცალკე უნდა ცხოვრობდეს... ანუ ის გადის, მერე შემდეგი შვილი ქორწინდება და გადის და რჩება სულ პატარა, რომელიც ყველაზე ბოლოს ქორწინდება და ამიტომაც ხდება, რომ ფიზიკურად მას რჩება სახლი... ყველაფერი, რაზეც

ამბობენ, რომ ტრადიციაა, ალბათ თავის დროზე რაღაცა პრაგმატული საჭიროებიდან მომდინარეობდა [ნინო ჯავახიშვილი].

შვილებს შორის მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება, ნაწილობრივ, რესურსების ნაკლებობითაც იყო განპირობებული, თუ მშობლებს ამის საშუალება ექნებოდათ, მაშინ უძრავი ქონებით მხოლოდ ვაჟს არ უზრუნველყოფდნენ.

რესურსების განაწილება არათანაბარი ხდება მაინც მაშინ, როცა რესურსების ნაკლებობაა, მე ასე ვფიქრობ...თუ ოჯახი მილიონერია, სავარაუდოდ ბიჭსაც და გოგოსაც სახლებსაც მისცემს..., მაგრამ, როგორც კი რესურსი მცირდება, იქ უკვე უპირატესობაზე მიდის ლაპარაკი. ძირითადად პატრიარქალურ საზოგადოებაში თუ რესურსების ნაკლებობაა, ეს რესურსები ყოველთვის ბიჭისკენ მიემართება [ნინო ჯავახიშვილი].

ღრმა სტერეოტიპია, რომ ოჯახის ქონების ძირითადი მემკვიდრე არის ვაჟი და ქალი მხოლოდ მზითვით უნდა დაკმაყოფილდეს. მზითევი არის რაღაც ნივთები, და თუ ოჯახი ძალიან შეძლებულია, ეს შეიძლება იყოს ფულის გარკვეული ოდენობა, თუ კიდევ უფრო შეძლებულია ოჯახი, შესაძლოა უძრავი ქონებაც მისცეს ქალიშვილს, თუ ვთქვათ, მართლა რამდენიმე ბინა აქვს ოჯახს, ერთი ბინა შეიძლება გოგოსაც მისცეს. მაგრამ, ეს არასოდეს არ ხდება იმ შემთხვევაში, როცა ოჯახს აქვს ერთი ძირითადი ბინა ან სახლი სოფელში. ოჯახების უმრავლესობაში, რა თქმა უნდა, ეს ასეა [ლელა ხომერიკი].

განსხვავებულია სიტუაციაა, როდესაც ქალი არ თხოვდება. ამ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ მას ოჯახში ცხოვრების იქით პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, არ უნდა მოითხოვოს მშობლების ქონების გაყოფა და ცალკე ცხოვრება.

ქალები, რომლებიც არ გათხოვილან, გამოდის, რომ ცხოვრობენ არა თავის, არამედ ძმის ოჯახში, ყოფილა ძალიან ბევრი შემთხვევა, თუ ქალს მარტო ცხოვრების პრეტენზია აქვს, მაშინ ქონების გაყოფა ან ვერ ხერხდება, ან ისეთი კონფლიქტებს იწვევს, რომ დიდი სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს ქალმა, შედეგს რომ მიაღწიოს [ლელა ხომერიკი].

ლელა ხომერიკისათვის საინტერესოა მემკვიდრეობის ფაქტობრივი და მორალური მფლობელობა. ხშირად ხდება ისე, რომ ოჯახში დედაა ქონების მფლობელი, მაგრამ, თუ ვაჟი უკვე დიდია, მორალურ მფლობელად ის მიიჩნევა. გარდა ამისა, საქართველოში ტრადიცია არეგულირებს მემკვიდრეობის გადაცემას და ვერა და ვერ ჩამოყალიბდა ანდერძის დაწერის კულტურა. თუმცა, რომ დავუკვირდეთ, ვაჟისთვის ქონების გადაცემა იმდენად მყარი ჩვეულებაა, რომ მშობელი ინერციით მოქმედებს. რომც უნდოდეს ქალიშვილისთვის ქონების დატოვება, ამის საშუალებას მას ტრადიცია არ მისცემს. ლ.

ხომერიკის მოსაზრებით, თითქოს შეურაცმყოფელია და-ძმებს, მშობლებსა და შვილებს შორის ისეთი ინსტიტუციური მომენტების ჩართვა, როგორიცაა ანდერძი. მას ქართული კულტურის ნაკლად მიაჩნია, რომ წერილობითი კულტურა, ანდერძის დაწერის კულტურა არ დამკვიდრდა ქართულ საზოგადოებაში, სადაც ტრადიციულად ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახთან მჭიდრო კავშირები. როგორც ის აცხადებს, რეალურად საანდერძოც არაფერია. ანდერძი შეგიძლია დატოვო მაშინ, როცა თავისუფლად შეგიძლია შენი დაგროვილი ქონება განკარგო. ქართულ კონტექსტში უადგილოა იმის თქმა, რომ ქონებას ვისაც გინდა იმას მისცემ. ის აუცილებლად ვაჟს უნდა დაუტოვო. მშობელს არჩევანის საშულება არ აქვს ტრადიციული შეხედულებების გამო. გარკვეული თვალსაზრისით მშობელიც მსხვერპლად შეიძლება მივიჩნიოთ [ხომერიკი].

,საზოგადოებაში იმდენადაა გამჯდარი შეხედულება, რომ მშობლების ქონების ფლობა მხოლოდ ვაჟის პრივილეგიაა, თვითონ ქალებსაც არ უჩნდებათ წინააღმდეგობის გაწევის და მშობლების მემკვიდრეობაზე პრეტენზიის გამოთქმის სურვილი.

თუ ქალმა მემკვიდრეობის თავის კუთვნილ წილზე პრეტენზია განაცხადა, ზოგიერთ შემთხვევაში, საზოგადოება ამ ქმედებას ტრადიციებისა და ოჯახის ღალატადაც კი აღიქვამს. ლ. ხომერიკის თქმით, ძალიან ხშირად, ასეთი ქალი ინტრიგანად და უარყოფით პიროვნებად შეიძლება ჩაითვალოს., რომელიც ეწინააღმდეგება ისეთ რამეს, რომელიც თავისთავად ნათელია და გაზიარებულია საზოგადოების მიერ. შესაბამისად, ის ხდება ლამის მარგინალიზებული და "სამართლიანდ" გაკიცხული ტიპაჟი თავისი მიკროსოციუმის შიგნით [ლელა ხომერიკი].

აქედან გამომდინარე, ქალი უარს ამბობს თავის კუთვნილ მემკვიდრეობაზე იმის გამო, რომ ჩაჯდეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ,კარგი დის", ,,ჭეშმარიტი ქართველი ქალის'', ,,მზრუნველი ადამიანის" სტერეორიპში. მ. წერეთლის თქმით, ეს გარკვეულწილად კომპენსაციაა, რადგან ქალი იძენს ნამდვილი ქართველი ქალისა და ნამდვილი დიასახლისის სტატუსს, უფრო ზუსტად, ფსევდო სტატუსს [მზია წერეთელი].

და თავის წილ ქონებას ძმისგან მხოლოდ მაშინ ითხოვს, თუკი მათ შორის ურთიერთობა დაძაბულია,. ამ დროს, ხშირ შემთხვევაში, ქალები პრობლემის მოგვარებას სასამართლოს გზით არ ცდილობენ, რათა ეს პრობლემა საზოგადოების განხილვის

საგანი არ გახდეს. თუ მაინცდამაინც საქმე სასამართლომდე მივა, მაშინ, როგორც ჩანს, თუ დედმამისშვილებს შორის ურთიერთობა უკიდურესად გაფუჭებულია.

და-ძმას შორის დავები უფრო იყო კონსულტაციების დონეზე. ვთქვათ დებს აინტერესებდათ ერგებათ თუ არა რამე ოჯახური ქონების განაწილების შემთხვევაში. ეს საქმეები შემდეგ არ მიდიოდა სასამართლომდე... სასამართლო დავაზე უარს იმიტომ ამბობდნენ, რომ ოჯახური სიტუაცია არ გამხდარიყო სალაპარაკო [თეიმურაზ ქორიძე].

სასამართლო პრაქტიკას, რომ მიყვე, სამემკვიდრეო დავებზე საშინელი სანახავი არაფერი არ არის. საშინელებაა ადამიანის ამ დონეზე დეგრადაცია. არის ისეთი შემთხვევები, როცა იდეაში გასაყოფიც არაფერია, მაგრამ შეიძლება ორ ქვაბზე და ერთ ჭიქაზე ერთმანეთი დახოცონ [ვახტანგ მოსიაშვილი].

უნდა აღინიშნოს, რომ ქალები ქონებაზე დავას არ გაურბიან, როცა საქმე გაყრილი ან გარდაცვლილი ქმრის ოჯახს ეხება. ისინი სწორადაც მიიჩნევენ, რომ წილი ამ ოჯახიდან მოითხოვონ. გარდა ამისა, როგორც თეიმურაზ ქორიძე აღნიშნავს, საკუთარ ძმასთან შედარებით, მორალურად უფრო ადვილია ყოფილ ქმართან დავა. თუმცა, რა თქმა უნდა, კანონის დონეზე შესაძლებელია ერთთანაც იდავო და მეორესთანაც (თეიმურაზ ქორიძე). ასეთ შემთხვევაში, ცოლის არგუმენტი ქმრის ქონებაზე პრეტენზიის გამოხატვის დროს არის ის, რომ ის სჭირდება მათ საერთო შვილებს (თეიმურაზ ქორიძე). ხშირია ხოლმე დავა, ასევე, მაზლსა და რძალს შორის, როდესაც ამ უკანასკნელის ქმარი გარდაცვლილია. ცოლი ცდილობს, მემკვიდრეობაზე გარდაცვლილი ქმრის წილზე განაცხადოს პრეტენზია. ამ შემთხვევაში, ქალები არ ერიდებიან სასამართლო დავას და, როგორც წესი, მოსარჩელეები და დავების ინიციატორებიც თვითონ არიან. ასევე ნაკლებად ედარდებათ, ვინ რას იტვყის (თეიმურაზ ქორიძე).

უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეობის თანაბარ განაწილებას, როგორც გენდერული თანასწორობის პრერეკვიზიტს, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მშობლების ოჯახში დისა და ძმის, ასევე მომავალ ოჯახში ცოლისა და ქმრის თანასწორობის თვალსაზრისით. ეკონომიკური პრივილეგიების კაცისთვის მინიჭება ხელს უწყობს მის ქალზე ბატონობას.

ისტორიულად დიდგვაროვანი ქალები, რომლებიც უძეო ოჯახებში იყვნენ და ჰქონდათ მემკვიდრეობა, ძალიან ხშირად იმავე როლს ასრულებდნენ, როგორსაც კაცები სხვა ოჯახებში. ანუ იყვნენ დომინანტები... ფინანსური მხარე ძალიან ბევრ რამეს განაპირობებს

ურთიერთობებშიც და დამოკიდებულებებშიც. რა თქმა უნდა, ადამიანის მიმართ, რომელიც არ არის შენზე დამოკიდებული, აგრესიის განხორციელება გაცილებით რთულია [ვახტანგ მოსიაშვილი].

ლ. ხომერიკის თქმით, დასა და ძმას შორის მემკვიდრეობა თანაბრად რომ იყოფოდეს, თავისი ნახევარი ქონებით ქალი ახალ ოჯახში მნიშვნელოვან შენატანს გააკეთებდა. ამ შემთხვევაში, ბევრი რამე შეიცვლებოდა, რადგან ცოლიც და ქმარიც თანაბარი სასტარტო პიროებებით შეუღლებოდნენ. ტერმინი "ცოლის გაგდება" იმიტომ არსებობს, რომ ქმარს რეალურად შეუძლია თავისი სახლიდან ცოლის გაშვება (ლელა ხომერიკი).

გარდა იმისა, რომ მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება მშობლებისა და ძმის, ასევე საზოგადოების მხრიდან ქალზე ძალადობაა, ამ ტიპის დისკრიმინაცია ხშირად ხდება ქალზე სხვა ტიპის ძალადობის მიზეზი. იმ შემთხვევაში, როცა ქალი ეკონომიურად ძლიერია და უძრავ ქონებას ფლობს, მასზე ძალადობა ნაკლებად ხორციელდება. თუ მაინც ხდება მსგავსი ფაქტები, ქალი გაუთავებლად არ ითმენს ამ მდგომარეობას და არ არის იძულებული, გაუძლოს ფიზიკურ ძალადობას, რადგან მას წასასვლელი აქვს. ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ, მაშინაც კი, როცა ქალი ძალადობის მსხვერპლია და წასასვლელიც არსად აქვს, იგი მაინც ვერ იღებს გადაწყვეტილებას, ძმას თავისი წილი ქონება მოსთხოვოს. სასამართლოში თავისი უფლების დაცვაზე კი საუბარი საერთოდ ზედმეტია.

ძალიან ხშირად საზოგადოება თმენის ვალდებულებას ისევ ოჯახური ძალადობის მსხვერპლს სთხოვს. ხშირად, მსხვერპლს არც აქვს წასასვლელი. მით უმეტეს თუ მშობლების ოჯახში ძმები უკვე დაქორწინდნენ, იქ მისი და მისი შვილების ადგილი უკვე აღარ არის. ამიტომ მას არჩევანის საშუალება არ აქვს და მსხვერპლის მოთმინების ხარჯზე შეიძლება ოჯახის შენარჩუნება მოხდეს [ლელა ხომერიკი].

ბევრჯერ გვქონია შემთხვევა, როდესაც ადამიანი დარჩენილა გარეთ მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად და ჩვენ როცა ვეკითხებოდით, თუ რატომ არ მიდიოდნენ მშობლების სახლში, მათ, ძირითადად, ერთნაირი პასუხები ჰქონდათ: "იმიტომ რომ მე მყავს ძმა და რძალი, შესაბამისად ისინი ცხოვრობენ იმ სახლში და მთელი ქონება არის ჩემი ძმის", ანუ აქ პრობლემა არის ის, რომ ამ ქალებმა არ იციან საკუთარი უფლებები, რომ დასა და ძმას თანაბარი უფლებები აქვთ და შეუძლიათ მოითხოვონ ეს ქონება. ამაზე მათ არანაირი ინფორმაცია არ აქვთ და არ ეწინააღმდეგებიან მშობელს, რადგან თვითონ მამა ამბობს, მისი ქონება ეკუთვნის ბიჭს. ასეთი შემთხვევა ბევრი ყოფილა და ამის გამო ადამიანები თავშესაფარში მოგვითავსებია [ნინო ჩიხლაძე].

ოჯახური ძალადობის მსხვერპლმა, სასამართლოში რომ იდავოს ფინანსური საშუალება სჭირდება. გარდა იმისა, რომ ადვოკატს ანაზღაურება სჭირდება, რომელიც, როგორც წესი, წინასწარ უნდა გადაიხადო და თუ საქმე წააგე მას უკან არავინ დაგიბრუნებს, გადასახდელია სახელმწიფო ბაჟიც საქმის სასამართლოში განხილვისთვის. დამატებით, როცა ქონებაზეა ლაპარაკი, თანხა არის საჭირო, რომ მიიღო ექსპერტის დასკვნა ქონების მდგომარეობასთან და ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენთან საექსპერტო მომსახურება, კერძოც და სახელმწიფოც, ძალიან ძვირი ღირს. ეს ძალიან სერიოზული წინაღობაა [თეიმურაზ ქორიძე].

მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება, როგორც პრობლემა

საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა თავში (მემკვიდრეობის განაწილების პრაქტიკები საქართველოში), საზოგადოებაში კარგად არის ფესვგადგმული ტრადიცია, რომლის თანახმადაც ოჯახში მემკვიდრედ მხოლოდ ვაჟს/ვაჟებს მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ქალს თანაბარი წვდომის საშუალებას აძლევს მშობლების ქონებაზე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყველაფერი მამაკაცს რჩება. თუმცა არც ზოგადად სოციუმისა და არც ქალის მიერ ამისი, როგორც ძალადობისა და უსამართლობის აღქმა არ ხდება. ეს არის მიღებული ნორმა, რომელსაც ინერციით მივყვებით. არც მშობლები და ძმა აღიქვამენ თავს მოძალადედ და არც ქალი მსხვერპლად, რომელიც ისე ხდება ,,მეორეხარისხოვანი" შვილი, რომ ამას არც ეწინააღმდეგება.

ქალი მშობლების და მთლიანად საზოგადოების ძალადობის მსხვერპლია. თუმცა, რაც მთავარია, მას არ აქვს მსხვერპლად ყოფნის შეგრძნება. თვითონ კმაყოფილია ამ როლით, უფრო სწორედ, შეგუებულია მას, მიიჩნევს, რომ ასეც უნდა იყოს [მზია წერეთელი].

ბიჭი არ აღიქმება დაზე მოძალადედ. მას არ სჭირდება მოთხოვნა, ის პირდაპირ იღებს მემკვიდრეობას. აქედან გამომდინარე, ბიჭი, ჩანს, რაღაცნაირად ამაღლებული ამ ყველაფერზე და გოგო კი გამოდის მოდავე, საზიზღარი და პრაგმატული ადამიანი, რომელიც ძმისგან რაღაცას ითხოვს. ანუ უფლებების დაცვა ძალიან რთულია, არა მხოლოდ იურიდიული და პროცედურული კუთხით, არამედ მორალურადაც. ძალიან რთულია ოჯახში მსგავსი სიტუაციის არსებობა. სხვა საქმეა, ვიღაცა უცხო რომ მჩაგრავდეს [ნინო ჯავახიშვილი].

რაც მთავარია, გარდა იმისა, რომ ქალს არ აქვს გაცნობიერებული თავისი უფლებები, მას უკვირს კიდევაც, რომ ეს უფლება აქვს. ამიტომ ქალი თვითონაც არ იყენებს ამ შესაძლებლობას, და რამდენადაც ეს პრობლემად არ მიაჩნია, არც მომავალში თავისი ქალიშვილის მიმართ ექნება განსხვავებული დამოკიდებულება. შესაბამისად, შესაძლოა, ქალი თვითონაც აღმოჩნდეს მოძალადე.

ქალი თვითონ პოტენციური მოძალადეა, აი ეს არის უბედურება. თუ ქალი გააცნობიერებს, რომ არასწორად მოექცნენ, როცა კუთვნილი მემკვიდრეობა არ მისცეს, პროგრესი გვექნება. მან უნდა გაიაზროს, რომ ეს არის პრობლემა კულტურის დონეზე, გამოავლინოს უკმაყოფილება, გაბრაზდეს. ამ შემთხვევაში, ის იმავეს თავის შვილს არ გაუკეთებს. მაგრამ, ეს ტრადიცია გაუცნობიერებლად გადადის და ქალი ვერ აცნობიერებს, რომ უამრავი რაღაც დაკარგა, მაგალითად, განვითარების შესაძლებლობები [მზია წერეთელი].

არის შემთხვევები, როცა ქალმა იცის თავისი უფლებებიც და უფიქრია კიდევაც მათ დაცვაზე, თუმცა ის მატერიალური სარგებელი, რაც მემკვიდრეობის მიღებისას უნდა ნახოს, ვერ გადასწონის იმ მორალურ ზიანს, რაც მას საზოგაოდებისა და ოჯახის მხრიდან მიადგება.

ამ შემთხვევაში ოჯახური მთლიანობა დარღვეულია, რადგან ქალი გადადის მკვეთრ ნაბიჯებზე. თუ მკვეთრ ნაბიჯებზე არ გადახვედი და მკაფიო მოსაზრებები არ გამოთქვი, ქონების გაყოფის საკითხი ავტომატურად არ დადგება დღის წესრიგში [ლელა ხომერიკი].

მარტო ძმასთან ხომ არ იფუჭებს ურთიერთობას. იგივე ხდება დედასთან, მამასთან, ბებიასთან, ბაბუასთან და სავარაუდოდ, ბიძაშვილ-მამიდაშვილებთან, ანუ ყველასთან, ვინც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია. ჩვენ ხომ მაინც კლანური საზოგადოება ვართ, ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის [ნინო ჯავახიშვილი].

მხოლოდ იმიტომ, რომ შეინარჩუნოს ძმასთან, მშობლებთან და ახლო ნათესავებთან კარგი ურთიერთობა, ქალი ცნობიერად თუ არაცნობიერად უარს ამბობს მემკვიდრეობის უფლებაზე. ეს შედარებით უმტკივნეულოა, თუ ის წარმატებით დაოჯახდა და ქმრის ოჯახში არ გახდა ძალადობის მსხვერპლი, თუმცა ასე რომც არ მოხდეს, ახალ ოჯახშიც ქალი მათ ,,ტერიტორიაზეა". ქალი, აღზრდიდან გამომდინარე, შეგუებულია თავის ბედს და კომფორტულად გრძნობს თავს, რამდენადაც, თუ დაემორჩილება საზოგადოებაში მიღებულ შეხედულებებს, მას არავინ გაკიცხავს. მაგრამ, თუ დამოუკიდებლობასა და უფლებებისათვის ბრძოლის გზას აირჩევს, ეს არ იქნება მარტივი გზა. აქედან გამომდინარე, ქალების უმეტესობა პრობლემებს თავს არიდებს და ისევ უმოქმედობას არჩევს.

ერთი მხრივ, ალბათ ძალიან ბევრ ქალს, შეიძლება ხშირად უფიქრია ,,ბრძოლაზე", მაგრამ პრეტენზია არც წამოუყენებია. მეორე მხრივ, თუ ქალის მდგომარეობა მეტ-ნაკლებად სტაბილურია, ანუ ის თუ ჩაჯდა ტრადიციულ მოდელში - გაიზარდა მშობლიურ სახლში: სითბოსა და სიყვარულის გარემოში, მერე წარმატებით გათხოვდა და ქმართან თანაცხოვრება

შედგა, ეს მომენტი, თითქოს, ისე მწვავედ არ იჩენს თავს. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ქალისთვის მაინც ღრმად იერარქიზებულ გარემოში არსებობას ნიშნავს. შეიძლება, ეს გაცნობიერებული არ არის, მაგრამ ის მომენტი, რომ მამაკაცი დომინანტია ოჯახში და ქალი არა, გარკვეულწილად, იმ შეგნებით არის გამოწვეული, რომ ქალი მაინც სხვის ტერიტორიაზეა [ლელა ხომერიკი].

მე ამის ფსიქოლოგიური ახსნა მაქვს. კერძოდ, ქალი თავის როლში კომფორტულად გრძობს თავს. საზოგადოება მას ამ როლისთვის არ გაკიცხავს და წაახალისებს კიდეც. განათლებისა და აღზრდის შედეგია ის, რომ ახალგაზრდა ასაკში ქალი ფიქრობს არა იმაზე რომ იმუშავოს, არამედ იმაზე, რომ უნდა გათხოვდეს და ვიღაცამ არჩინოს. ახლა, ასაკში რომ უთხრა, რომ შენი ხედვა უნდა შეიცვალო, აიღე რამე პროფესია და იმუშავე, ეს, რასაკვირველია, გაუჭირდება. ამიტომ, განათლება ძალიან მნიშვნელოვანია [მზია წერეთელი].

ცვლილებები

საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დემოკრატიული ქვეყნის შენებას შეუდგა. მიიღო ლიბერალური კანონმდებლობა, რომელიც აკმაყოფილებდა დასავლურ მოთხოვნებს. თუმცა საკანონმდებლო დონეზე სახელმწიფოს ჩარევა ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე კულტურის შემთხვევაში, როდესაც სტერეოტიპებთან ბრძოლა ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და სოციალურ ნორმებთან შეხებით ხორციელდება. ამდენად, გარდამავალი ეტაპი ჯერ კიდევ გრძელდება. გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, განხორციელდა ღონისძიებები, როგორც სახელმწიფო, ასევე არაფორმალური დონეზე. უნდა აღინიშნოს გაკრვეული პროგრესი ამ მიმართულებით, თუმცა გაცილებით უფრო მეტის მოლოდინი იყო.

რეალურად ძალიან საინტერესო პერიოდში ვცხოვრობთ, იმიტომ რომ რაღაცები იცვლება. საზოგადოების ნაწილი, ასე ვთქვათ, ტრადიციებს იცავს, მეორე ნაწილი უფრო ღიაა და ცდილობს, რომ საკუთარ თავზე და წინსვლაზე იფიქროს. ნაკლებად აქცევს ყურადღებას რას იტყვის ხალხი [მზია წერეთელი].

ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ წინსვლა არ არის. ზოგადად ძალისხმევას რაღაცა ტიპის ნაყოფი მოაქვს. უნაყოფო და უიმედო მდგომარეობა არ არის ნამდვილად. მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრად ნაკლები, ვიდრე მე მინდოდა ყოფილიყო. ბევრად ნაკლები შედეგია და ბევრად ნაკლები წინსვლაა [ნინო ჯავახიშვილი].

თანდათან დავიწყეთ სტანდარტების დაკმაყოფილება. 90-იან წლებში რომ კეთდებოდა ანგარიშები, ქალების დისკრიმინაცია არ ხდება, იმიტომ რომ მე-12 საუკუნეში ქალი მეფე

გვყვავდაო, ახლა ასეთ რამეს აღარ წერენ. ანუ ინფანტილიზმის ეპოქიდან გამოვედით. მიიჩნეოდა, რომ ქალების წინააღმდეგ ძალადობა ეს არის მხოლოდ ოჯახის საქმე და არა სახელმწიფოსი. მოსამართლეც კი ამას ამბობდა. ძალიან მძიმე ვითარება იყო და არავის ჰქონდა იმედი, რომ ეს შეიცვლებოდა, მაგრამ შეიცვალა. ბრტყელ-ბრტყელი, რაღაც ტრაფარეტული ნორმები როგორც კი იცვლება პროცედურით, აი, აღმჭურველი უფლებებით, მაშინვე ჩნდება პრაქტიკა [თამარ გურჩიანი].

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები უფრო დიდწილად გარეგანი ჩარევის დამსახურება იყო, ვიდრე ქვეყნის შიგნიდან წამოსული ნება. ნინო ჯავახიშვილი აღნიშნავს, ის ფაქტი, რომ ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე უფრო თვალშისაცემი და ხელშესახებია, ვიდრე კულტურის დონეზე, იმითაც არის განპირობებული, რომ, როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები არ ან ვერ არიან ჩართული გენდერული თანასწორობის კანონების დანერგვაში. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ნება არ არსებობს, რომ ჩაიდოს თანხები გაწერილი ეროვნული სამოქმედო გეგმების წარმატებით შესასრულებლად. გარდა ამისა, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ, ხშირ შემთხვევებში გენდერულად გაუთვითცნობიერებელი პირებისაგან შედგებიან, რაც ართულებს საერთაშორისო დონორებთან პრაქტიულ მუშაობას. შესაბამისად, ხდება მხოლოდ ამ საერთაშორისო დონორების შემოთავაზებებზე მორგება და არა ადგილობრივი, აქტუალური თემების მიწოდება. ეს ქმნის პრობლემას როგორც კანონის იმპლემენტაციის, ასევე კანონში საქართველოსთვის მტკივნეული საკითხების გაუთვალისწინებლობის პრეცედენტებს.

როცა კანონი იქმნება, უნდა გაკეთდეს ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელშიც წერია, რა არის გასაკეთებელი ამ კანონიდან გამომდინარე, რა ვადებში, ვინ უნდა გააკეთოს და საიდან მოდის თანხები. აი, ეს არის სწორედ მნიშვნელოვანი, რადგან სახელმწიფომ კანონი რომ მიიღო, შესაბამისად კანონში რაც წერია, ის უნდა გააკეთოს. იქ კი თანხების გრაფა ყოველთვის ცარიელი იყო [ნინო ჯავახიშვილი].

არასამთავრობოებმა ფონდებს უნდა მიაწოდონ პრიორიტეტები, მომავალში რა არის გასაკეთებელი და დასაფინანსებელი. ეს იქნება პროექტიური მუშაობა და ჩვენ ხომ ასე მუშაობას არ ვართ მიჩვეული. ჩვენ რაღაცა შემოგთავაზეს და იმას ვერგებით. ის რომ შენ (საკითხები) მიაწოდო, ამას არ ვართ მიჩვეულები. მერე ძალიან ხშირად არის პრობლემა, რომ სფეროში არიან არაკვალიფიციური კადრები [მზია წერეთელი].

ჯავახიშვილის თქმით, “ბევრია ისეთი ორგანო, რომელიც პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებს”.

მართალია, სოციალური ინტერაქციის დონეზე გენდერთან მიმართებით თითქოს ნაკლები ძვრებია, მაგრამ ცვლილებები მაინც არის. მზია წერეთელი თვლის, რომ კაცისა და ქალის როლები ისე თვალშისაცემად დიფერენცირებული აღარაა. გარდა ამისა, ზღვარი ქალაქსა და სოფელს შორის ისეთ მკვეთრი არ არის. დაიწყო ღია ლაპარაკი გენდერულ თემატიკაზე, მეტია ხელმისაწვდომი ინფორმაციაც, თუმცა ეს რიგ შემთხვევებში რისკებსაც ზრდის, რადგან ადამიანები ინფორმაციასთან მარტონი არიან და მათ სწორად არ აკვალიანებენ. ქალებმა შესაძლოა, კარგადაც იციან თავისი უფლებების შესახებ, მაგრამ მათთვის არ იბრძვიან, რადგან საზოგადოების მხრიდან წნეხი დიდია.

რაღაცეები მაინც ძალიან შეიცვალა. ამას თან სდევს თავისუფლებების სხვადასხვანაირი გამოვლენა. იგივე ქალაქსა და სოფელში ზღვარი წაიშალა, ბევრი მოდის და დამოუკიდებლად ცხოვრობს. ფაქტიურად ისეთ ასაკში მოდის ბიჭიც და გოგოც, როცა სრულად არ აქვს ჩამოყალიბებული ღირებულებები. ეს უფრო გვიან ხდება, უნივერსიტეტში სწავლის დროს. შესაბამისად, ადრინდელი ღირებულებებები, რაც ჰქონდათ ახალგაზრდებს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი. შეიძლება ეს მათთვის პრობლემურია, იმიტომ რომ მერე ორმაგ სტანდარტში უწევთ ცხოვრება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს წინსვლად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა იმის გამო, რომ პოლიტიკა არ არსებობს ამ მიმართულებით, ზოგიერთი მათგანი მსხვერპლი ხდება, რადგან საზოგადოებრივი ზეწოლა კვლავ ძალიან დიდი [მზია წერეთელი].

გენდერული თანასწორობის კუთხით პროგრესული ცვლილებები გვაქვს, მართალია, არა იმ დოზით რა დოზითაც მოსალოდნელი იყო და გვინდოდა, მაგრამ ვახტანგ მოსიაშვილი თვლის, რომ ტრადიციული სტერეოტიპების რღვევა შესაძლებელია, მაგრამ არა მხოლოდ კანონმდებლობის ცვლილებით. ,,ზოგადად ქალის ემანსიპაცია მოიტანს იმას, რომ ნელ-ნელა ეს პრობლემა მოგვარდება”.

პრობლემის გადაჭრის გზები

ექსპერტების აზრით, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა გედნერული თანასწორობის დამკვიდრეობაში უფრო საგრძნობი უნდა გახდეს. მას აქვს ვალდებულება, დაიცვას მოქალაქეთა უფლებები. არ არის საკმარისი მხოლოდ საკანონმდებლო სისტემის დახვეწა, აუცილებელია ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა და ფართო საზოგადოებისათვის ქალთა უფლებებზე ცოდნის მიწოდება. ინფორმირებისათვის აუცილებელია სატელევიზიო კამპანიები, რომლებიც ქალთა თანასწორობის შესახებ სიახლეებს მიაწოდებს მოქალაქეებს. ამაზე უნდა იმუშაონ, როგორც სახელმწიფო, ასევე არაასმთავრობო ორგანიზაციებმა. მზია წერეთელი თვლის, რომ გარკვეულ საკითხებზე, მაგალითად ქალის მოტაცება, რაზეც სახელმწიფომ ძალისხმევა გამოიჩინა, შედეგი გვქონდა, ამიტომ საჭიროა ამ თემატიკაზე მეტი მუშაობა. თუმცა, გარდა სახელმწიფოს ჩართულობისა, საჭიროა, საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს იმ ადამიანების კრიტიკული მასა, რომლებიც თვლიან, რომ ქალზე ძალადობა მიუღებელია.

სახელმწიფოს აქვს თითოეული მოქალაქის უფლების დაცვის ვალდებულება. უფლებების ცოდნით იწყება ყველაფერი, როცა არ იცი ვერც გამოიყენებ. ცოდნა თავისთავად გადადის ღირებულებაში და ის მოქმედებას იწყებს. პასიური ცოდნა არ არსებობს... არ გამიგია არც ერთი კამპანია, არც სატელევიზიო, რომელიც მეტყოდა რამდენი ქალი არის ძალადობის მსხვერპლი... ეს თვლადია და შეიძლება რომ დათვალოს ვინმემ, ან გამოაქვეყნოს რომ ხალხმა ფიქრი დაიწყოს... ქალის მოტაცების ინსტიტუტი იყო ნორმად მიჩნეული. ეხლა უკვე ეს აღარ ხდება [მზია წერეთელი].

არსებობს ორი გზა. პირველი, სიმპტომატური "მკურნალობის" სახით, სახელმწიფოს შეუძლია შემოიღოს დროებითი ზომები, სანქციები, ამკრძალავი რეგულაციები, რომლებიც დაავალდებულებს ვიღაცას, რომ რაღაცა ქნას. ეს ზომები მოგვიანებით შეიძლება მოიხსნას, მაგრამ ხალხი აღარ დაუბრუნდება ადრინდელ მდგომარეობას. მეორე ზომა, უფრო სიღრმეში ჩადის და სტერეოტიპებს ებრძვის. კონკრეტულად, იგულისხმება ტრენინგების, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების, შეხვედრების, განხილვების, მსჯელობების, ფილმების ჩვენების და ყველა იმ საშუალებების და წყაროების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანების ინფორმირებას [ნინო ჯავახიშვილი].

ცუდი კანონმდებლობაა ის, რომელიც ოჯახში ძალადობას საერთოდ არ კრძალავს, მაგრამ ცუდი კანონმდებლობაა ისიც, რომელიც კი კრძალავს, მაგრამ აღმჭურველ პროცედურას აღარ

შემოიტანს. ასეთი კანონი, რამდენიც გინდა იმდენი გვაქვს სხვადასხვა სფეროში. ეს შეიცვლება, თუკი სახელმწიფო რეალურ მნიშვნელობას ანიჭებს არსებულ პრობლემებს [თამარ გურჩიანი].

გენდერული თანასწორობის პრობლემის საბოლოოდ გადაჭრის გზა განათლებას უკავშირდება, მართალია, ის შედეგს მოკლე დროში არ გვაძლევს, მაგრამ უფრო მყარია. თუმცა, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლას არ აქვს საკმარისი კომპეტენცია, რომ მისთვის მიბარებული მოსწავლეები აღზარდოს გენდერული თანასწორობის პრინციპების თანახმად. ეს საკითხები არ არის გათვალისწინებული არც სახელმძღვანელოებში, არც პედაგოგები არიან გენდერული თანასწორობის თემატიკასა და მათ მნიშვნელობაში გათვითცნობიერებული.

სკოლას საიდან უნდა ჰქონდეს ეს კომპეტენცია... სახელმძღვანელოში პრობლემა გვაქვს, მასწავლებლებში პრობლემა გვაქვს. საერთოდ ცნობიერებაშიც პრობლემა გვაქვს. რაზეა ლაპარაკი, როდესაც ფიზკულტურის გაკვეთილზე გოგოებს სვამენ და აყურებინებენ, ბიჭები როგორ თამაშობენ [მზია წერეთელი].

წლების განმავლობაში არ ხდება სასწავლო დოკუმენტებში, სახელმძღვანელოებში, გეგმებში თუ პროგრამებში ამ (გენდერული თანასწორობის - მ.ა.) ასპექტის გათვალისწინება. ამით, სამოქალაქო განათლების პრობლემები იჩენს თავს [ლელა ტალიური].

საბოლოო ჯამში მივდივართ განათლებამდე, იმიტომ რომ რაღაც ბალანსი გვჭირდება იმის აღსაქმელად, რომ იმავე დამოკიდებულებით უნდა მოექცნენ მშობლები ქალს, როგორითაც ექცევიან ვაჟს. ვაჟის კულტი, რაც ჩვენთან არის, უნდა დაინგრეს. ჩვენთან ერთგვარ სირცხვილადაც ითვლება მამაკაცს პირველად ქალიშვილი შეეძინა, რაც, ალბათ, ადამიანების დაბალ განვითარებაზე და სამოქალაქო განათლებაზე მეტყველებს [თამარ გურჩიანი].

გარდა განათლებისა, გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ქალების პოლიტიკაში მონაწილეობასაც. სანამ პოლიტიკურ სივრცეში არ იქნება წარმოდგენილი ქალების საკმარისი ოდენობა, რომლებიც ერკვევიან გენდერული უთანასწორობის საკითხებში, მანამდე საკითხის მოგვარება ვერ მოხერხდება.

ეს პრობლემები იმიტომ არ დაიძლევა და, იგივე, საჯარო პოლიტიკის დონეზეც სათანადო გადაწყვეტილებები იმიტომ არ მიიღება, რომ ქალები არ არიან სათანადოდ წარმოდგენილები ხელისუფლებაში. ვინც არიან, მათ წარმოდგენა არა აქვთ ქალების უფლებებზე [თამარ გურჩიანი].

როგორც ვხედავთ, ექსპერტები თვლიან, რომ მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილების საკითხი შვილებს შორის პრობლემატური საკითხია რამდენიმე მიზეზის გამო: არ ხდება ამ პრაქტიკის, როგორც ძალადობის, აღიარება. ამასთან, მიუხედავად საკანონმდებლო ჩარევისა, კულტურული რეგულაციები განაგრძობს, როგორც მშობლების, ასევე შვილების საზოგადოებისთვის მისაღები ქმედების განსაზღვრას. მართალია, გენდერული თანასწორობის იმპლემენტაციის მიმართლებით არის პოზიტიური წინსვლა, თუმცა დაგეგმილთან და სასურველ შედეგთან მიმართებით მაინც დიდი სხვაობაა. იმისათვის კი, რომ სიტუაცია შეიცვალოს, ექსპერტები რეკომენდაციად პროაქტიულ კანონმდებლობასა და განათლებას გვთავაზობენ.

სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები

სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში ჩაიწერა სულ 80 ინტერვიუ. შევარჩიეთ საქართველოს 3 ქალაქი: დასავლეთ საქართველოში - ქუთაისი, აღმოსავლეთ საქართველოში - თელავი და თბილისი. თითოეულ ქალაქში ჩაიწერა 20 ინტერვიუ, რესპონდენტები იყვნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. შევარჩიეთ ბოლო 5 წლის განმავლობაში დაოჯახებული ადამიანები. ჩავთვალეთ, რომ ახლად დაოჯახებულებს უფრო დეტალურად ეხსომებოდათ დაქორწინების დროს მემკვიდრეობის, მზითვისა თუ საჩუქრების მიღებასთან დაკავშირებული დეტალები.

გარდა ამისა, 20 სიღრმისეული ინტერვიუ ჩავწერეთ ამერიკის შეერთებული შტატებში, კერძოდ ნიუ იორკში მიგრირებულ ქართველებთან. შერჩეულ რესპონდენტებს 5 წლიდან ზემოთ ჰქონდათ ამერიკაში ცხოვრების გამოცდილება და არ აპირებდნენ საქართველოში დაბრუნებას. ამ ინტერვიუების ჩაწერის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რა გავლენას ახდენს ქართული კულტურა და სამართალებრივი ნორმები ემიგრანტ ქართველებში მემკვიდრეობის განაწილების პრაქტიკაზე; კარგავს თუ არა კულტურული ნორმები ძალას, როცა ქვეყნიდან წასულ ქართველებს ცხოვრება უწევთ მულტიეთნიკურ, მულტირელიგიურ და მულტიკულტურულ ნიუ იორკში, სადაც სამოქალაქო და სამართლებრივი კულტურა მაქსიმალურად მაღალია.

რესპონდენტების მემკვიდრეობის განაწილების დამკვიდრებული პრაქტიკები, ასევე საკითხის მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ საინტერესოა და მოიცავს შემდეგ თემებს:

1. ვის და რატომ რჩება მემკვიდრეობა:

და-ძმის შემთხვევა;

რძლების დამოკიდებულება მულებისადმი;

მემკვიდრეობის განაწილება ერთი და იმავე სქესის შვილებს შორის;

მემკვიდრეობის განაწილებისას ეკონომიკური რესურსების მნიშვნელობა.

2. მზითვი, როგორც მემკვიდრეობის ალტერნატივა:

რას ატანენ მზითვში საქართველოში;

მზითვი და მისი არამატერიალური ღირებულება;

მზითვი და უფლებები ახალ ოჯახში;

მზითვისთვის მზადება;

3. კანონმდებლობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა;

4. რატომ არ ითხოვენ ქალები მშობლების მემკვიდრეობას;

5. რა შემთხვევაში ითხოვენ ქალები წილს მემკვიდრეობიდან;

6. მემკვიდრეობის წილის მოთხოვნა ქმართან ან ოჯახში ძალადობის შემთხვევაში;

7. მემკვიდრეობის უფლების დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობები;

8. საზოგადოების გამოკიდებულება დის მიერ მემკვიდრეობის წილის მოთხოვნის ან სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში;

9. მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში ქალების ცხოვრების ცვლილებები;

10. რესპონდენტების მშობლების მემკვიდრეობის განაწილების გამოცდილება;

11. მემკვიდრეობის განაწილება და ვალდებულება მშობლების მიმართ;

12. მშობლების როლი მემკვიდრეობის განაწილებაში;

13. რესპონდენტების მიერ შვილებისათვის მემკვიდრეობის განაწილების დაგეგმვა;

14. ცვლილებების ტენდენციები;

15. რეკომენდაციები მდგომარეობის შესაცვლელად;

ვის და რატომ რჩება მემკვიდრეობა

და-ძმის შემთხვევა:

გამოკითხული რესპონდენტების მოსაზრებებზე დაყრდნობით, შეიძლება დავინახოთ, რომ საქართველოში მემკვიდრეობის განაწილებისას უძრავი ქონება, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ვაჟს რჩება. ეს საკითხი განხილვასაც არ ექვემდებარება

და თუ ოჯახში და-ძმაა, ბინა იქნება თუ სახლი, აუცილებლად მამაკაცს რჩება. უფრო მეტიც, ქალები მადლიერებიც უნდა იყვნენ, თუ ძმები, რომლებსაც მშობლების ქონება დარჩათ, ოდესმე რაიმე ტიპის დახმარებას გაუწევენ მათ. ისინი არასწორ საქციელად აფასებენ დის მიერ ძმისთვის სახლიდან წილის მოთხოვნას. დაოჯახებულ ქალებს ,,თავის“ სახლად მეუღლის სახლი მიაჩნიათ და თვლიან, რომ, როგორც წესი, ქალი თხოვდება, და შესაბამისად, ის ოჯახიდან წამსვლელია. ისინი მშობლებსა და ძმებს არც ამტყუნებენ იმაში, რომ მზითვით გაისტუმრეს და არ აქვთ არა თუ თანაბარი, არამედ ნაწილობრივი წვდომაც კი მემკვიდრეობაზე. ქალები კარგად იაზრებენ იმასაც, რომ მზითვი რაც გათხოვებისას, ან მას შემდეგ მიიღეს, იმის ძალიან მცირე ნაწილია რაც მათ ძმებს დარჩათ, თუმცა უძრავ ქონებაზე დავას ძმებთან მაინც არ აპირებენ. რიგ შემთხვევაში, ქალები ამბობენ, რომ მათ მშობლებს ერთი სახლი აქვთ და გაყოფისას ძმას ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებდნენ. ისინი მიიჩნევენ, მათ მშობლებს ორი უძრავი ქონება რომ ჰქონოდათ, მაშინ შესაძლოა პრეტენზია გასჩენოდათ; თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ინტერვიუებიდან ირკვევა, იმ ქალების მშობლებმა, რომელთაც 2-3 უძრავი ქონება ჰქონდათ, ყველაფერი მაინც ვაჟს დაუტოვეს. მიუხედავად ამისა, არც ამ შემთხვევაში გამოუჩენათ და იჩენენ დები საკუთარი უფლებების დაცვის ინიციატივას. პარადოქსულია, მაგრამ, შესაძლოა, ქალი გაჭირვების ჟამსაც არ ითხოვდეს წილს უკეთეს პირობებში მყოფი ძმისგან. ამას ზოგიერთი რესპონდენტი ქალი ,,ძმის სიყვარულით“ ხსნის და აცხადებს, რომ მისთვის ყველაფერი ემეტება. კაცებიც იმ ფაქტს, რომ დები მხოლოდ მზითვით გაისტუმრეს, ტრადიციებით ხსნიან. მათი აზრით, შეიძლება სამართლიანი იყოს მემკვიდრეობის თანაბარი განაწილება, მაგრამ ამას “დას და სიძეს ვერ შეჰკადრებენ”.

ამონარიდები ინტერვიუებიდან:

ბინა არ გადმოუციათ. სხვათა შორის ძმა მყავს, ბიზნესი აქვს და მეუბნება, რომ მოგეხმარებიო, მაგრამ ბინას მთლიანად და სრულად გიყიდი, არაო. ორი ბიჭი რომ მყავს და საუბარია, რა ვქნა, რა მეშველება მეთქი, მეუბნება, გვერდში დაგიდგებიო, ალბათ 5-7 ათასზე მეტს ვერ მომცემს [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, ქუთაისი].

არა, არ ნაწილდება (მემკვიდრეობა - მ.ა.) თანაბრად, გოგოს ძირითადად ატანენ მზითვებს, თუ ოჯახში არის გოგოც და ბიჭიც, ბიჭი იღებს მემკვიდრეობას [ქალი, 27 წლის. უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი].

პატარა ძმა მყავს. ალბათ სახლს მას უტოვებენ. ჩვეულებრივ იქნება [22 წლის, უმაღლესი განათლებით. დასაქმებული. დაოჯახებული, თელავი].

უმეტეს შემთხვევაში, ქალს ნაკლები ხვდება. ქალს მისცემენ მზითევს და ვსო, მოშორებულია. ბიჭს ყველაფერი რჩება [ქალი, 37 წლის, დაოჯახებული, თბილისი].

რომ გავთხოვდი, რაღაც თანხა მომცეს. 2000$ მომცეს, რომ სპალნა იყო თუ რაღაც ის გამეკეთებინა. ჩემს ქორწილში ესე იყო, რომ ძირითადად ბიჭმა გადაიხადა. მაგრამ სტუმრები ნახევარი-ნახევარზე. სულ 50 კაცი, გვყავდა. იმ წუთას რა შესაძლებლობაც ჰქონდათ, ის მომცეს. მე არ მომითხოვია, მაგალითად რომ სახლი გაყიდეთ და ფული მომეცით მეთქი. მე არ მომითხოვია არაფერი, თვითონ გადაწყვიტეს, რომ მოეცათ ჩემთვის რამე. მე ამას უფრო საჩუქარს დავარქმევ. ვერც მემკვიდრეობას და ვერც მზითევს ამას ვერ დავარქმევ. მემკვიდრეობას მივიღებდი თუ არ მივიღებდი, მე მაინც ესე ვიქნებოდი, რა დონეზეც ეხლა ვარ დამოუკიდებელი. ისეთს არაფერს არ მივიღებდი. ჩემებს ერთი ბინა აქვთ, მყავს ერთი ძმა, და თვითონ ცხოვრობენ იმ ბინაში, სამივე. კაი, ვთქვათ, ეს ბინა შეიძლება გაყიდო და გაიყო, მეოთხედი წილი მეკუთვნის ალბათ, ჩემი მშობლები რომ გაშორდნენ მერე როგორ მოხდება, ჩემს ძმას რაღა დარჩება საერთოდ? იმ თანხით, რაც შეიძლება იმ ბინის გაყიდვიდან მივიღო ერთოთახიანი ბინის ყიდვაც ძალიან გამიჭირდებოდა. რომ ყოფილიყო 2 ბინა, ერთი დაკეტილი სადმე, მაგ შემთხვევაში ხო. [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

მემკვიდრეობა არა, მზითვები კი. ნახატები გამომატანეს რომელიც ჩემს სახელზე დაახატინეს ადრე და დედამ თქვა მაშინვე, რომ გათხოვდება წაიღებსო. საბნები, ბალიშები, ავეჯი, თეთრეული, ჭურჭელი... საქართველოში ესეა, ტრადიციაა, რომ გოგო მიდის, თხოვდება და მიაქვს მზითვი და სახლი რჩება ბიჭს. ჩემებს რომ ქონდეთ ორი და სამი სახლი, არ არის პრობლემა. ეხლაც შემიძლია მოვითხოვო და მეორე სართულზე ვიცხოვრო, მაგრამ ამ წუთას არ მჭირდება. ჩემი მშობლები ესე არ ფიქრობენ, რომ შენ გათხოვილი ხარ და სახლი არ გეკუთვნის. მშობლებმა თვითონ გადაწყვიტეს, რა მოეცათ, მე არ მომითხოვია. მერე, რა თქმა უნდა, რაც მომწონდა და მინდოდა ჩემით წამოვიღე [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი].

არანაირად თანაბრად არ განაწილებულა (მემკვიდრეობა - მ.ა), იმიტომ რომ მარტო ჩვენების სახლი, რომ ავიღოთ სულ მცირე 50000 $ -ად გაიყიდება და იმ სახლიდან მე მერგო რაღაცა მისხალი, ესე გამოდის. სახლი არ გაყიდულა და მერგო მხოლოდ მზითვის სახით მიზერული რაღაცეები [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

რა თქმა უნდა, მე რომ არ მქონოდა სახლი, სადაც გავთხოვდი, მაგ შემთხვევაში სახლს მაინც არ გავაყიდინებდი, სავარაუდოდ, მაგრამ ალბათ უფრო რაღაცეებზე დავფიქრდებოდი. ჩემს ოჯახში ისეთი მომენტი არ ყოფილა, რომ მოთხოვნა დამჭირვებოდა. მე ბავშვობიდან მესმოდა ესეთი რაღაც, რომ თუ ექნებოდათ საშუალება, იყიდიდნენ ერთ ბინას კიდევ დამატებით, რომელიც იქნებოდა ჩემთვის... არ ნაწილდება (მემკვიდრეობა თანაბრად - მ. ა.). უნდა ნაწილდებოდეს, მაგრამ ესე გამოდის. მიფიქრია, რომ ორი ბიჭი რომ გყავს, ხომ არის ისე, რომ ერთოთახიანია თუ ნახევაროთახიანი, უნდა გაყო და ორივეს რაღაცა მისცე და თავის გზაზე

წავიდნენ. თუ და-ძმა არის, ჩემს გარშემო ვინმეს 50/50-ზე გაუყვეს მეთქი, ვერ ვიტყვი [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, ამჟამად დასაქმებული, დაოჯახებული].

ჩვენ სამი შვილი ვიყავით, ორი ბიჭი და ერთი გოგო და მე ავეჯი მომცეს. ბიჭებს გაუნაწილეს ის მემკვიდრეობა, რაც დედას ერგო. მამას ყავდა სამი დედმამიშვილი. ბაბუამ გაყიდა ძირითადი სახლი და გაანაწილა შვილებზე თანაბრად. ჩემს შემთხვევაში მომცეს მარტო ავეჯი...არა იმიტომ რომ არ მქონია მაგის საჭიროება. ჩემი მეუღლეც ტრადიციულად არის გაზრდილი, რომ ბიჭს უნდა ერგოს ყველაფერი, თუ დები ჰყავს. ბიჭი რჩება ძირითად ოჯახში. ამ შემთხვევაშიმ ჩემი მეუღლეა დედმამიშვილებში ბიჭი და მას ერგო ყველაფერი. დები გაუთხოვდა და არ დამჭირვებია, რომ ჩემი ოჯახიდან რაღაცა წილი მომეთხოვა და ჩემს ძმებს მოკლებოდათ. ჩემი მეუღლის დებსაც ისევე გაუნაწილეს, როგორც მე მომცა ჩემმა ოჯახმა - ავეჯი და მზითვი [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ექვსოთახიანი ბინა აქვს ჩემს ძმას და მე არაფერი შემხვდა. არც ვაპირებ წილის მოთხოვნას. როგორც საქართველოში ხდება, ისე მოხდა ჩვენს შემთხვევაშიც. საერთოდ მაგაზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა, ინიციატივა არ გამიკეთებია. არ მომითხოვია წილი და არც მოვითხოვ, მაგრამ დედაჩემს თავიდანვე ქონდა ლაპარაკი და რამოდენიმე დღის წინაც მითხრა (რადგან, ჩემს მეუღლეს ყავს ძმა და ჩვენი ბინა არის გასაყიდი), მომავალში როცა გაიყიდება ჩემების ნაკვეთი, რაღაცა წილს მეც მომცემენ. მე ეს არც მომითხოვია, ჩემი მშობლების ინიციატივაა.... ტრადიციებიდან გამომდინარეა ზუსტად ის რომ ის ძმა არის და შეიძლება მაგიტომაც არ მომითხოვია და არც მოვითხოვ, მიუხედავად იმისა რომ ჩემთან შედარებით გაცილებით კარგი პირობები აქვთ ჩემებს [ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ძმას დარჩა ყველაფერი რაც გვქონდა. მე რადგან გავთხოვდი და წამოვედი, მას დარჩა ყველაფერი ჩვეულებრივად. ოჯახმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, მე არ ჩავრეულვარ, არც ჩემი ძმა. დები ან ძმები როცა არიან ვფიქრობ მაშინ არის გაყოფაზე პრობლემა, ვიდრე და-ძმას შორის, რადგან და რომ გათხოვდება, მისთვის მარტო მზითვია საჩუქარი [ქალი, 33 წლის, უმაღლესი განათლები, დაოჯახებული, ქუთაისი].

თანაბრად არ განაწილდა (მემკვიდრეობა - მ.ა.), მაგრამ არ მაქვს პრეტენზია. ყველაფერი ძმას დარჩა. არ ვიცი, ვერ გეტყვით, რატომ, ტრადიციაა ეს ალბათ.... ბიჭმა მიიღო ორი საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთები, მე არა. ვამართლებ, იმიტომ რომ ბიჭი მემკვიდრეა და გვარის გამგრძელებელი [ქალი, 36 წლის, ექთან-ლაბორანტი. ამჟამად უმუშევარი, დაოჯახებული. თბილისი].

მე მაქვს ჩემი სახლი (ქმრის სახლი). საქართველოში არ მახსოვს შემთხვევა, რომ ბიჭი გაეშვათ და გოგო დაეტოვებინათ, იმიტომ რომ მემკვიდროებით ასე გადმოდის ტრადიცია [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თელავი].

მე, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ თანაბრად განაწილებაზე, მით უმეტეს ნოტარიულად არის დამოწმებული, მარა სუფრა რომ გავაკეთეთ დამაც და სიძემაც თქვეს რომ თავისუფალი ვარ ამ მხრივ და ისინი არ ჩაერევიან. ჩემი მეუღლის შემთხვევაში, მას აქვს რამოდენიმე სახლი. ფუძისეული სახლი, ქუთაისში ქონდათ კიდევ ერთი სახლი და მამამ აჩუქა ჩემს მეუღლეს, როგორც ჩანს ამით თავისი წილი მისცა. თუმცა რამე რომ იყოს მე ჩემი მეუღლის ძმას არაფერს არ მოვთხოვ, ასე ტრადიციულად რომ მოდის. თვითონაც არ მომთხოვს არაფერს, როგორც ჩანს, ეს

ტრადიციის ამბავია, მართალია კანონმდებლობაში გავასწორეთ რაღაცეები, მაგრამ მაინც ეს ტრადიციასავით მოდის. რაღაცნაირად, ვერ ვკადრებთ ვერც დას და ვერც სიძეს ამ სიტუაციას, ისეა ჩემში რაღაცნაირად გამჯდარი. ჩემი მეუღლეც ასე ფიქრობს [მამაკაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

მე რომ არ მქონოდა ბინა ჩემები რაღაცას იზამდნენ და მაინც მიყიდიდნენ, ან ორივე ოჯახი ერთად შეთანხმდებოდა. მე ძმა მყავს, უცოლო. გვაქვს ორი ბინა. არც ერთზე არ მაქვს პრეტენზია, მაგრამ რასაც ქვია წილი და რაღაც მასეთი არაფერი არ მოუციათ. მაგრამ, ვფიქრობ, რადგან სადაც ცხოვრობენ ის სახლი დიდია და მეორე სახლი არ დაჭირდებათ, რომ გაყიდიან, წილს მივიღებ. წილის მიღებამდეც, ბავშვი რომ შემეძინება, შემპირდნენ რომ სპალნას გიყიდითო, ტრადიციულად. ვფიქრობ, რომ თუ არ მექნებოდა (სახლი - მ.ა.) ან სოფელში მოვხვდებოდი ან რაღაც, მეორე სახლს აუცილებლად მომცემდნენ. არ ვარ ის ტიპი რომ, აუფ, და რადგან ჩემს ძმას ორი სახლი აქვს, მეც მომეცით. ეს განპიროებული იმით არის, რომ აქვს ჩემს ქმარს ბინა და საკმაოდ კარგად ვეტევით და, ალბათ, აქედან გამომდინარეც არ მაქვს გართულება [ქალი 28 წლის, დაოჯახებული, ქუთასი].

ჩემი აზრით, თანაბრად უნდა გაიყოს (მემკვიდრეობა - მ.ა.) ძმებს შორისაც და დებს შორისაც. და-ძმას შორის არა, რადგან ძმა ქმნის ოჯახს. მაგრამ, ისეც არა, რომ ისე გაუშვას გოგო, არაფრით დაეხმაროს. ნაწილობრივ მაინც უნდა დაეხმაროს, როგორც შეუძლია. მე მაგალითად, არასწორად მიმაჩნია, რომ ძმას სახლის წილი სთხოვო [ქალი, 31 წლის, დაოჯახებული, თელავი].

მე ორი ძმა მყავს. როგორც ხდება ხოლმე, მამამ ერთს სახლი აუშენა, მეორესაც ისე, და მე არ მქონია მაგის ამბიცია. დავოჯახდი და ჩემი სახლი მაქვს (მეუღლის).. მიყიდეს რაღაც რაღაცეები. ეხლაც ყიდულობენ [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით. დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ძმა მყავს და სულ ტრადიციულად გაიყო ყველაფერი, ბიჭი რადგან იყო, ერთი სახლი, მეორეც (მას ერგო - მ.ა.). მაგრამ, ერთი წუთით არ მწყდება გული. არ ვიცი რატომ, ეტყობა ძაან მიყვარს ჩემი ძმა. სახლი თავიდანვე ძმისა იყო. ჩემი ოჯახი ტრადიციის მიმდევარია და ქონება ასეც განაწილდა [ქალი 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

ბიჭის არის ეხლა სახლი და ვფიქრობ რომ ალბათ უფრო ბუნებრივია. თან იცით, რა არის, როცა თხოვდები და ახალი სახლი გაქვს, ესე ვერ გაიყოფი, უკვე ის ახალი ხდება შენი და იმის მოვლა არის საჭირო. ეს ჩემთვის სულაც არ არის მტკივნეული თემა, ეხლა პირველად დავფიქრდი ამ თემაზე... მამიდაჩემსაც იგივე გაუკეთებია მამაჩემისთვის. თავისი სახლი, რომელიც ვთქვი რომ მემკვიდრეობით მიიღო თავისდროზე, დათმო იმისთვის რომ მამაჩემს სჭირდებოდა და მამაჩემი კარგად ყოფილიყო. გაყიდეთ და ფულიც თქვენი იყოსო, არ წაიღო ფულიც. თავისზე იყო ბინა გაფორმებული და თავისი სახელით გაყიდა. ესეთ ოჯახში ვარ გაზრდილი და ალბათ მაგიტომ, ვერ წარმომიდგენია ჩემს ძმას, გინდა სიტყვით და გინდა სასამართლოთი, რამე გამოვართვა [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, ამჟამად დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

რესპონდენტების ნაწილს, რომლებიც ამჟამად ამერიკაში ცხოვრობენ, მემკვიდრეობის მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილების გამოცდილება ჰქონდა, ან დარწმუნებული იყო, რომ თანაბარი წვდომა ექნებოდათ მშობლების ქონებაზე. თუმცა მეორე ნაწილს, ისეთივე ტრადიციული წესებით შეხვდა მშობლების ქონება, როგორც, ზოგადად, საქართველოში ხდება.

ჩემი ძმა დარჩა მშობლებთან, ჩვენ გადავედით ცალკე სახლში, მე და ზურა. ასე ვთქვათ არავისი არ იყო ეს სახლი. სახლი დარჩა ძმას, მაგრამ არასოდეს მიგვრძნია, რომ ის ჩემი სახლი არ იყო, თვეები ვატარებდით პატარა ბავშვებთან ერთად, ჩემმა ძმამ ბევრი რამ მე მომცა, როცა ჩვენ ცალკე გადავედით [ქალი, 53 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

მზითევი კი მომიმზადეს. ბინა, საძინებელი და ჩვეულებრივ თეთრეული, ჭურჭლეული, ოქროები. ძმა რომ გვყოლოდა, შეიძლება შეცვლილიყო, იმიტომ რომ სამი დანი ვართ და სამი ბინა გვაქვს. ერთი ბინა მაინც შეგვხვდებოდა დებს. ახლა ხომ ვართ დები და კიდევ ოქროებს გვიყოფდნენ და მე არ გამოვართვი და ალბათ ძმას არც სახლს არ გამოვართმევდი [ქალი, 28 წლის დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები]

ორი დანი და ძმა ვიყავით. ყველაფერი უნდა ყოფილიყო ძმის, გოგოს უნდა მისცე კარგი განათლება და მზითვი. რატომღაც ასე მოგვდევდა, წინააღმდეგობაც არ გვქონდა. ჩემს ძმას თბილისში აქვს ბინა. ესე გავიზარდეთ, ჩადებული გვქონდა თავში, რომ ჩვენ არაფერი საერთოდ. გვეგონა, რომ ეს ასე უნდა იყოს. ჩემს ძმას დაჩა ჰქონდა, საკმაოდ დიდი სახლია, თბილისშიც ბინა აქვს. მაგრამ, რა ვიცი, მე რომ გავთხოვდი, მომცეს მზითვი (დის შემთხვევაშიც ასე იყო) და მორჩა, მე ზედმეტი პრეტენზია არ მქონია, იმიტომ რომ არ შეეძლოთ. კაცს მაინც იმდენი უნდა შეეძლოს, რომ თავისი კუთხე ჰქონდეს, არც გავყვებოდი ისეთს [ქალი, 40 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

მე საერთოდ მომხრე ვარ იმისა, რომ რადგან მამაჩემის ქონებაა და სამივე შვილები ვართ, თანაბრად უნდა განაწილდეს. მამაჩემს უსაუბრია ამაზე იმ გაგებით, რომ უთქვია შენ თუ არ იქნები ბედნიერი, შეგიძლია დაბრუნდე და ჩვენთან იცხოვრო. მე გათხოვების შემდეგაც იქ ვცხოვრობდი და არ მიგრძვნია, რომ სხვაგან ვცხოვრობდი, პირიქით ჩემი ძმა გაგვეცალა რომ თავი კომფორტულად გვეგრძნო. მანამდეც (ამერიკაში ჩამოსვლამდე) ასე ვფიქრობდი, რომ რადგან ვართ დედმამიშვილები და თანასწორობა უნდა იყოს დედმამიშვილობაში, უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს არც ერთს… ჩვენ არ გვქონია ისეთი მომენტი, რომ ბიჭია და უნდა დარჩეს ბიჭს, მაგრამ ბიჭია და გვარის გამგრძელებელი, ეგ მაინც იყო, თუმცა გულახდილად არ გვქონია საუბარი [ქალი, 34 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები]

ჩვენს შემთხვევაში, ფუძის ოჯახში მე დავრჩი და ის რა ქონებაც გვქონდა ქუთაისში, შუაზე გაიყო. მე და ჩემი და ყველაფერს ვინაწილებთ. მე ვთვლი, ქალს და ვაჟს მნიშვნელობა არ აქვს, თანაბრად უნდა განაწილდეს. ჩემი მშობლებს თითქოს ვაჟისადმი უფრო მეტი პასუხისმგებლობა ჰქონდათ ქონების გადაცემის კუთხით. თუმცა და 15 წლის გათხოვდა და 17 წელი ჩემი

მშობლებისგან ფინანსურად უზრუნველყოფილი იყო მისი ქმრის ოჯახში. რა თქმა უნდა, ჩემმა დამ, ქართული საზოგადოებიდან გამომდინარე, მიიღო უფრო სამართლიანად, ვიდრე სხვა მიიღებდა. მეც იქ გავიზარდე და კარგად ვიცი, როგორც ხდებოდა. თუმცა ეს ტრადიციაა და ამას ტრაგიკულად არ ვუყურებ, იმიტომ რომ კაცს მისდის მესიჯი, რომ უფრო მეტი უნდა იშრომოს და ოჯახი შეინახოს [მამაკაცი, 42 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

კი როგორ არა, როცა დადგება საკითხი რომ მემკვიდრეობა გაიყოს, რა თქმა უნდა თანაბრად უნდა განაწილდეს. არც ერთ სხვა საკითხში არ გვანსხვავებენ, არა მარტო სწავლის, ყოველდღიური დაფინანსების კუთხით და ა.შ [ქალი, 26 წლის, სტუდენტი, დაოჯახებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

ორი ბინა გვქონდა, ერთი დას გადაეცა. მეორე მე გადმომეცა. მშობლების გადაწყვეტილება იყო და ყველასი ერთად [მამაკაცი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

ამონარიდები ინტერვიუებიდან ცხადყოფს, რომ და-ძმის შემთხვევაში მშობლების უძრავი ქონება ან უკვე გადაეცა კაცს, ან მოიაზრება, რომ მისია და დას იქ წილი არ აქვს, მისი ოჯახიცა და ,,თავშესაფარიც" ქმრის ოჯახია. ,,ძმის სახლ-კარში" მხოლოდ სასურველი სტუმარია და არა ქონების მეწილე. რესპონდენტები, მიუხედავად იმისა, რომ, რიგ შემთხვევაში, სამართლიანად სწორედ რომ მემკვიდრეობის თანასწორ განაწილებას მიიჩნევენ, მაინც არ აპირებენ მშობლების ქონების თანაბრად გაყოფას.

ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპონდენტებს მემკვიდრეობის/ქონების განაწილებაზე გულახდილი საუბარი უჭირთ. თავის გასამართლებლად მშობლების სახლში თავისუფლად მისვლის მაგალითი მოაქვთ და ამბობენ, რომ სულაც არ ხდებიან უცხონი თავისი ოჯახის წევრებისათვის, მაგრამ ხშირად საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოდიან.

,,ფუძის სახლი" აუცილებლად ვაჟს რჩება, როგორც გვარის გამგრძელებელს, ქალი ოჯახიდან წამსვლელია და თუ მას რაიმე ტიპის უძრავ ქონებას აძლევენ მშობლები ის არ უნდა იყოს ის ძირითადი სახლი, რომელთანაც მათი გვარი და კულტურულ-სიმბოლური კაპიტალია დაკავშირებული. რამდენადაც ქალი ოჯახში დამრჩენად არ მოიზრება, მისი მატერიალური მდგომარეობაც იმ ახალი ოჯახის ,,სადარდებლად" მიიჩნევა სადაც გათხვოდება. ,,კარგი მშობლები" კი, თავის მხრივ, ქალიშვილისთვის განათლების და მზითვის მიცემის ვალდებულებას იღებენ.

თაობიდან თაობას გადაეცემა მშობლების ქონების ძმისთვის ,,შეწირვის" ტრადიცია და ამ მოვლენის ახსნა სწორედ იმით ხდება, რომ მისი კარგად ყოფნისთვის იყო საჭირო. მეორეს მხრივ, არ ხდება იმის გაცნობიერება , რომ ძმები დების სასარგებლოდ არა თუ უარს ამბობენ კუთვნილ წილზე, არამედ აუღელვებლად, თითქოს ასეც არის საჭირო, იღებენ მშობლების ქონებიდან დის წილსაც. ვაჟის უდავო უპირატესობას მემკვიდრეობაზე ძმებიც და დებიც ტრადიციით ხსნიან. რესპონდენტები ხშირად იმეორებდნენ ასეთ ფრაზას: ,,მოხდა ისე, როგორც ხდება ხოლმე საქართველოში".

საქართველოში ტრადიციისამებრ მამაკაცი ვალდებულია ჰქონდეს უძრავი ქონება. მოიაზრება, რომ ოჯახის უზრუნველყოფაც ფინანსურად მან უნდა შეძლოს, თუმცა ცალკე კვლევის საგანია რამდენად ახერხებენ ისინი დამოუკიდებლად უძრავი ქონებით თუ ფინანსურად ოჯახების უზრუნველყოფას.

რძლების დამოკიდებულება მულების მიმართ:

რძლების დამოკიდებულება მულების მიმართ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მემკვიდრეობის წილს ითხოვებ, არაერთგაროვანია. რიგ შემთხვევებში რძლები დედამთილებზე ლოიალურები არიან და ეცოდებათ ოჯახში დაბრუნებული მული, რომელზეც დედამთილი ეკონომიურად და ფსიქოლოგიურად ძალადობს.

ზოგი რძალი ბიჭისთვის უპირატესობის მინიჭებას არ მიიჩნევს სამართლიანად და კარგად ხვდება, მისი ქმარ-შვილი და თვითონ დედამთილ-მამამთილისგან პრივილეგირებულია, მაგრამ აცხადებს, რომ თვითონაც ასე მოიქცეოდა.

ტრადიციებიდან გამომდინარე ქალისგან ძმისთვის ქონებაზე მიდავება, განსაკუთრებით თუ ის დაოჯახებულია, უარყოფითად აღიქმება და შესაძლოა, რძალ-მულს შორის კონფლიქტში გადაიზარდოს.

რძლები ამბობენ, რომ იციან შემთხვევები, როცა მშობლები გათხოვილ ქალშვილს ფინანსურად ჩუმად ეხმარებიან, რადგან იციან, რომ ეს რძალს არ მოეწონება. მშობლებმა ქალიშვილს თუ ეკონომიური გაჭირვების გამო საცხოვრებელი ბინა დაუთმეს, შესაძლებელია რძლის უკმაყოფილება იქამდეც კი მივიდეს, რომ ოჯახი დაანგრიოს.

უმეტესწილად მულის მხრიდან მემკვიდრეობის მოთხოვნას რძლები უარყოფითად აფასებენ, რადგან თვლიან, რომ გათხოვილი ქალების ქონება ქმრის სახლ-კარია. თვითონ მულებიც საყოფაცხოვრებო ნივთები წამოღებასაც კი ერიდებიან მშობლების ოჯახიდან, თუკი მათი ძმა დაოჯახებულია.

ამონარიდები ინტერვიუებიდან:

არ გამიგია, რომ რამე პრობლემა ყოფილიყო გაყოფაზე. (მული - მ. ა.) ერთი გათხოვილია, მეორე ჩვენთან ცხოვრობს. მე არ შევაფასებდი, რომ მოეთხოვათ ცუდად, რადგან ისინიც შვილები არიან. ალბათ, იმიტომ რჩება ბიჭს, რომ გოგო უნდა გათხოვდეს და წავიდეს. მულს ყავს ბიჭი, მისი მეუღლეც დაქორწინდა და ყავს გოგო. ჩემი დედამთილი ამბობს, რომ ესენი უნდა გავიდნენ ცალკე, და სად უნდა წავიდნენ, არ ვიცი და ეს ბიჭი რომ გაიზრდება და დაქორწინდება, არ ვიცი რა იქნება. [ქალი, 23 წლის. უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავის სოფელი].

სამართლიანად არ მიმაჩნია, მნიშვნელობა არა აქვს, ბიჭია თუ გოგო, ყველას თანაბრად უნდა გაუყონ, მაგრამ ეხლა ჩემი გადმოსახედიდან, აი, მე რადგან რძალი ვარ, ამ ოჯახში რომ შემოვედი, მე უფრო მეტს მიკეთებენ, მეც ალბათ ასე ვიქნებოდი [ქალი, 26 წლის, დაოჯახებული, თელავი].

ჩემს მეუღლეს ძმა ყავს და მაგ შემთხვევაში ჩემს მაზლს უნდა თავისი ხარჯებით გასვლა, თვითონ აქვს ფული შექუჩებული, როგორც ასეთი, რომ ჩვენი მხრიდან იყოს ზეწოლა, რადგან ჩემი მეუღლე პატარაა, ასეთი რამ არაა, პირიქით მეც მითქვია ჩემი მაზლისთვის, რომ როგორც ბექას, ისე ეკუთვნის ბინა. და რომ ყოლოდა, არ ვიცი მაგ შემთხვევაში. წილი რომ მოეთხოვა და ნდომებოდა, მე არ ჩავერეოდი [ქალი, 23 წლის, პროფესიული განათლებით, დაოჯახებული, თელავი, სოფელი].

როდესაც ოჯახში ცხოვრობს გასათხოვარი ქალი, ასეთ დროს დგება ხოლმე საკითხი, შეუთავსებლობაა ხოლმე რძალს, ძმას და გაუთხოვარ ქალს შორის, ზოგ შემთხვევაში მშობლების კეთილი ნებიდან გამომდინარე კარგად წყდება ეს საკითხი, ზოგ შემთხევვაში კარგად არ წყდება, როგორც წესი, მე მაინც ვფიქრობ, რომ უმრავლეს შემთხვევაში იწვევს უსიამოვნებას და ცოტა ურთიერთობის გაფუჭებას მემკვიდრეობის განაწილება [ქალი, 45 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

საქართველოში კიდევ არის ერთი ცუდი რაღაც, ძირითადად ვიცი, რომ მეტი უნდა დედას გოგონასთვის, ვიდრე ბიჭისთვის, ეს მსმენია ბევრი. ზოგადად მსმენია, კონკრეტულად არ ვიცი. დამალულად და ჩუმად ხშირად ჩუქნიან თუნდაც ფულს. ქუთაისში ასეა, მაგრამ აღმოსავლეთში ვიცი, რომ უკვე სხვანაირადაა, გაყიდიან რაც აქვთ და თანაბრავ აძლევენ ყველაფერს როგორც ერთს, ასევე მეორეს. საზღვარგარეთ არის ესე და მანდაც შემოვიდა. საქართველოში თუ თანაბრად გაყვეს, დაწოლა მიდის ბიჭზე და რძალზე, თუ რამე დაჭირდება მშობელს მათ უნდა მიხედონ. ვფიქრობ ეს მიდგომა არასწორია. [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, ამ ეტაპზე უმუშევარი, დაოჯახებული. ქუთაისი].

იყო ერთი შემთხვევა, ჩემი ნაცნობის დას შეექმნა ფინანსური პრობლემები და მშობლებმა ჩემს ნაცნობს (დაოჯახებულია) უთხრეს, რომ თქვენ გამოდით მაქედან და ბინა დას დაუთმეთო და მერე ამ ბიჭის ცოლმა ვერ გაუძლო ცუდ პირობებს და ეს გახდა მიზეზი დაშორებისა. ასეთმა ცუდმა განაწილებამ, რომ ქალს მიანიჭეს უპირატესობა, ამგვარი შედეგი გამოიწვია [მამაკაცი, 28 წლის, უმაღლესი განათებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

მას (მულს - მ. ა.) თავისი სახლი აქვს და რომ მოითხოვოს, შეიძლება ეხლა ცუდად გამოჩნდეს, რომ რატო მოითხოვა. იმასაც აქვს ეხლა სახლი, თუმცა შეიძლება მშობლები რაღაცნაირად მხარში დაუდგნენ [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თელავი, სოფელი].

დედამ, მეორე ძმა რომ დაოჯახდა, სახლი აუშენა, ყველაფერი გაუყო, საქონელიც და ჭურჭელიც. ერთი ძმა დასაოჯახებელია, მაგრამ მეორეს 3 შვილი ყავს. დედამ ყველაფერი გააკეთა, რომ 2 რძალი ერთ სახლში არ იყოს. მე უძრავ ქონებას აღარ ველოდები, მაგრამ რაღაც საჩუქრებს ვიცი, რომ მიმზადებს, მაგალითად მაგიდა მინდა და დამპირდა. ის რაც მშობლების ოჯახშია, იმას ხელს აღარ მოვკიდებ, ეგ აღარ მოხდება [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ამერიკაში მცხოვრები ქართველები მულებისადმი უფრო ლოიალურად არიან განწყობილი და თვლიან, რომ ქონება მათ ქმარსა და მის დებს შორის თანაბრად უნდა განაწილდეს.

როგორც წესი, რომ თხოვდები მიდიხარ ქმრის ბინაში, ან თუ საშუალება აქვს ქმარს გადადიხართ ცალკე. მული მეუღლის სახლში ცხოვრობს კი. მე აბსოლიტურად ვეთანხმები, რომ თანაბრად უნდა გაიყოს. იმიტომ რომ სქესობრივად ასეთი განსხვავება ჩემთვის მიუღებელია, ალბათ იმიტომაც რომ ჩვენს ოჯახში არ ყოფილა ასეთი დამოკიდებულება. თუ წილი მოითხოვეს, აბსოლუტურად ნორმალური დამოკიდებულება მექნება. ისევე ეკუთვნით დებს, როგორც ჩემს ქმარს და მეც ისევე მეკუთვნის ის ბინა, სადაც გავიზარდე, ჩემი წარმოდგენით, როგორც ჩემს ძმას [ქალი, 26 წლის, სტუდენტი, დაოჯახებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები]

როგორც ვხედავთ, რძლები არც თვითონ აპირებენ საკუთარ ძმას მემკვიდრეობა გაუყონ. თვლიან, რომ ეს მისი და მისი ქმრის ოჯახის ქონებაა. თუმცა, მეორეს მხრივ, საკუთარი მულებისგანაც იგივე მოლოდინები აქვთ. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებიან ისეთი ქალებიც, რომლებსაც თუ მული ქონებას გაუყოფდა, უკმაყოფილების განცდა ნაკლებად ექნებოდათ.

ძმისთვის ,,ქონების გაყოფა" განსაკუთრებით არამართებულად მიაჩნიათ თუ მულს თავისი ბინა აქვს, თუმცა, როგორც წესი, ,,მულის სახლში" ისინი სწორედ მისი ქმრის უძრავ ქონებას მოიაზრებენ. რძლები ასევე აღნიშნავენ, რომ დედამთილებს მეტის გაკეთება უნდათ გოგონასთვის, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, "მეტის გაკეთებაში"

იგულისხმება გარკვეული სახის დახმარება, თუ საჩუქრების გაკეთება. მაგრამ, როგორც ვხედავთ, რიგ შემთხვევებში, ამ ფაქტებსაც კი რძლები უარყოფითად აღიქვამენ. რძლები უმეტესწილად ნეგატიურად ხვდებიან და უკმაყოფილებასაც დაუფარავად გამოთქვამენ იმ შემმთხვევაში თუ მშობლები ქალიშვილს გადასცემენ უძრავი ქონებას.

მემკვიდრეობის განაწილება ერთი და იმავე სქესის შვილებს შორის

და-ძმის შემთხვევაში, მემკვიდრეობის განაწილების საკითხი, ფაქტობრივად, არც დგას კითხვის ქვეშ, მის უდავო მფლობელად მამაკაცი მიიჩნევა. თუმცა განსხვავებულ შემთხვევებს ვხვდებით, მაშინ როცა ოჯახს ერთი და იმავე სქესის შვილები ჰყავს. ასეთ დროს ქონება ძირითადად თანაბრად იყოფა. როცა ოჯახში ორი ვაჟია, მშობლები მიიჩნევენ, რომ უნდა იზრუნონ ორივეს უძრავ ქონებაზე, რადგან იგულისხმება, რომ კაცს სახლ-კარი უნდა ჰქონდეს, განსხვავებით ქალისგან. თუ ოჯახი იმდენად გაჭირვებულია, რომ არ აქვს საშუალება, შეიძინოს იმდენი უძრავი ქონება რამდენი ვაჟიც ჰყავს, მაშინ სახლს ყიდიან და თანხას შვილებს უნაწილებენ. არის შემთხვევები, როცა გაჭირვებულ ოჯახში, რამდენიმე ვაჟიშვილის შემთხვევაში, უძრავი ქონება რჩება მას, ვინც უმცროსია და ოჯახში დამრჩენად მოიაზრება. სახლის/ბინის დატოვებისას ერთ-ერთი შვილისთვის უპირატესობის მინიჭება დაკავშირებულია მშობლების მოვლის ვალდებულების აღებასთანაც. ფაქტობრივად, მშობლებთან ვინც რჩება, მან უნდა აიღოს მათზე ზრუნვის ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ მშობლებთან არც ერთი შვილი აღარ ცხოვრობს და ერთ-ერთ მათგანი იღებს პასუხისმგებლობას, მათ მიხედოს, დიდი ალბათობით ქონება მას რჩება. ორი ან რამდენიმე დის შემთხვევაში ქონებას, თუ ოჯახს ერთი სახლი/ბინა აქვს, ყიდიან და თანხას იყოფენ. ზოგჯერ მშობლების სახლი რჩება იმ ქალიშვილს, რომელსაც ვაჟები ჰყავს და დამოუკიდებლად მათი უძრავი ქონებით უზრუნველყოფის საშუალება არ აქვს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, ქალები თავიანთ უძრავ ქონებად ქმრის და არა საკუთარი მშობლების ქონებას მიიჩნევენ.

ამონარიდები ინტერვიუებიდან:

უკვე დაისვა საკითხი რამდენიმე დღეა. რამდენიმე დღეა ქირით არიან გადასულები, მე ვარ პირველი რძალი, მაგრამ ცოტა გვიან მეყოლა შვილი, 4 თვითაა დიდი მათი ვაჟი ჩემს ვაჟზე, მაგრამ დადგა საკითხი, რომ უნდა გაიყიდოს ბინა, იმიტომ რომ ამათ არ აქვთ ისეთი არაფერი, რომ გაყიდონ, ამიტომ უნდა გაიყიდოს ბინა. შეიძლება გირაოთი წავიდეთ, არ ვიცი რა იქნება. ჩემი მეუღლე არის უფროსი. პატარა ძმას მშობლებთან დარჩენა არ უნდა, ცალკე უნდა გასვლა. ჩემს მეუღლესაც არ უნდა მშობლების ბინაში და გასვლა უნდა. ეხლა ყველას ცალკე უნდა ხომ იცით. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, მშვენივრად ვეგუები დედამთილ-მამამთილს. ბინის გაყიდვის შემდეგ, თანხა გაიყოფა სამ ნაწილად და თუ მშობლები რომელიმე ძმასთან იცხოვრებენ ის მესამედი წილიც იმის იქნება. ჩვენ ასე ვფიქრობთ და მე მგონი ასეა წესი [ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

უპირატესობა არც ერთისთვის არ მიუნიჭებიათ, შეძლებისდაგვარად თანაბრად გაყვეს. ჩემი ქმარი არის უფროსი, გვიყიდეს თბილისში სახლი, უმცროსი ძმა რჩება გურჯაანში. თუ იმის საშუალება ექნებათ, რომ იმასაც უყიდონ თბილისში, მაშინ გურჯაანის სახლი ორივე ძმაზე გაიყოფა [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით. დროებით უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

კი ვიცოდი, რომ ქუჩაში არ ვიქნებოდი. რაღაც ნაწილს ერქვა რომ გიორგის იყო, რაღაც ნაწილს ერქვა, რომ ირაკლის იყო [მამაკაცი, 24 წლის, სტუდენტი, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

სამი ძმა არიან, ძირითად ოჯახში თავად გადაწყვიტა უმცროსმა ძმამ, რომ დარჩენილიყო. დანარჩენ ორ ძმას, მშობლებმა გადაწყვიტეს ასე და ბინები უყიდეს...თუ ძმები ან დები არიან, იყოფენ მემკვიდრეობას, მაგალითად გაყიდიან ბინას და გაინაწილებენ. და-ძმის შემთხვევში ძმას რჩება ბინა, იმიტომ რომ გოგო მაინც გადის სახლიდან და ოჯახში შედის და ბიჭი რჩება, ეს ტრადიციაც არის [ქალი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისში].

მამაჩემს აქვს ფერმა და მეუბნება, რომ ეს ფერმა არის ჩემი თავისი ცხვრებით. სახლი და ფუტკრები არის, რა ვიცი, დის. ასე ხოლმე, პატარას რჩება სახლი. სახლის თაობაზე არაფერი არ უთქვიათ. ჩემი მეუღლის შემთხვევაში სახლი ბიჭს დარჩება [ქალი, 23 წლის. უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავის რაიონის სოფელი].

ბიჭების შემთხვევაში, ალბათ, ჩემი მეუღლის ძმას დარჩება, ხომ ასეთი წესებია, რომ პატარას რჩება. ჯერ არ ვიცი ზუსტად. ჩემი აზრით, ყველაფერს ჯობია ცოლ–ქმარმა ცალკე იცხოვროს. როგორც ჩათვლიან საჭიროდ, ისე იქნება. მეუღლეს დაეხმარებიან ალბათ, რომ ცალკე გავიდეთ [ქალი, 25 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

მამა, ალბათ, რაღაცას მოიკლებდა და ისე გააკეთებდა, რომ მეორე ბიჭისთვისაც ეყიდა ბინა. ბიჭს სხვანაირად უნდა სახლი, რომ დაქორწინდება სჭირდება [ქალი, 23 წლის, პროფესიული განათლებით, უმშევარი, დაოჯახებული, თელავის სოფელი].

ვიცი, რომ სახლი დაგვრჩება ორივეს მე და ჩემს დას და გავინაწილებთ, ალბათ თანაბრად. [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, ქუთაისი].

5 წლის წინ, როცა დაოჯახდა ჩემი ძმა, რომ უნდა გავყოფილიყავით, შევუძინეთ მას ანალოგიური 3 ოთახიანი ბინა, რაც გვქონდა მანამდე და მას შემდეგ ვიხდით თანხას ნელ-ნელა. ისეთი ვარიანტიც იყო რომ გაგვეყიდა ოჯახის ბინა და ცალკ-ცალკე შეგვეძინა 2 ბინა, მაგრამ დედა ცოტა უცნაურია და ვერ შეეგუებოდა შვილების შორს ყოფნას და იქვე 100 მეტრში ვიყიდეთ.... და რომ მყოლოდა, რაც წესად არის იმ ნივთებს შევუძენდით, რაც ახალ ოჯახში ეკლდათ და გარდა ამისა სპალნაა, თუ რაც არის ყველაზე გავრცელებული მზითვი, იმას შევუძენდით. ისე ნამდვილად არ ვიზავდით, რომ იმისთისაც გვეყიდა ბინა. მიზეზი იქნებოდა მხოლოდ ის, რომ იქნებოდა და, და არა ძმა. არ ვთვლი, რომ არის დისკრიმინაციის ფორმა ქალისა [მამაკაცი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ჩემი მეუღლის ძმა წლებია ამერიკაში ცხოვრობს და არც ჩამოვა. ერთი და გათხოვილია, მეორე დაც გათხოვდება, ალბათ, და როგორც ყოველთვის, ბიჭს დარჩება. არ უსაუბრიათ მაგაზე, მაგრამ იგულისხმება, რომ ასე იქნება [მამაკაცი, 19 წლის, სრული საშუალო განათლება, დაოჯახებული, თელავი].

მეუღლეს ყავს ძმა, აპირებენ, რომ უყიდონ სახლი და თუ ვერ შეძლეს, შეიძლება რომ გავყიდოთ ეს სახლი და ორივემ ცალკ-ცალკე ვიცხოვროთ [ქალი, 21 წლის, პროფესიული განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

არასოდეს არ მისაუბრია ჩემს ძმასთან და მშობლებთან ვისი რა არის, და სავარაუდოდ არც ვაპირებ. წილის მოთხოვას არ ვაპირებ. ჯერჯერობით მამაჩემზეა ის ბინა გაფორმებული და როგორც გადაწყვეტენ, ისე იქნება. თუ გადაწყვეტენ, რომ ორივეზე გააფორმონ, გააფორმონ და მერე ვიფიქრებ [მამაკაცი, 43 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

ვიცი რომ უფროსი ბიჭი მიდის სახლიდან, და უმცროსი რჩება, იგივე მოხდა დების შემთხვევაშიც, დედაჩემს ყავს და იმ სახლიდან თვითონ რომ წამოვიდა, მას დარჩა ასე ვთქვათ სახლი, ძირითადად. ეს უკავშირდება ტრადიციას.... ალბათ, იმიტომ რომ უფროსია დ მეტი ჭკუა მოეკითხება, უფრო შეუძლია მუშაობა და თავისი თავის რჩენა, ყოველ შემთხვევაში უმეტესად ასე ხდება. არის ისეთი შემთხვევებიც, მამა უფროსისთვის ყიდულობს ცალკე სახლს და უმცროსს იტოვებს სახლში. როცა ორი ვაჟია, მოიაზრება რომ ორივეს სჭირდება უძრავი ქონება. უმცროსის პასუხისმგებლობაა, რომ მშობლებს მიხედოს. ისიც გამიგია, მაგალითად, თუ ორივე მიდის, ვინც უპატრონებს მშობლებს, იმას რჩება ქონება [მამაკაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ინტერვიუების ამონარიდების საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს ერთი და იმავე სქესის შვილები ჰყავთ, ქონება თანაბრად იყოფა. თუმცა ზოგჯერ, რესურსების ნაკლებობის შემთხვევაში, უპირატესობას უმცროს ბიჭსა თუ გოგოს სწორედ იმ მიზეზით ანიჭებენ, რომ ოჯახში დამრჩენია და მშობლების პატრონად მოიაზრება. არის შემთხვევები, როცა მშობლების ქონება იმ დას რჩება, რომელსაც ვაჟიშვილები ჰყავს. ტრადიციისამებრ მოიაზრება, რომ მას უძრავი ქონება უფრო მეტად სჭირდება, რომ ბიჭი სახლ-კარით უზრუნველყოს.

მემკვიდრეობის განაწილებისას ეკონომიკური რესურსების მნიშვნელობა

რესპონდენტები აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მათი მშობლები ძალიან შეძლებულები იქნებოდნენ, სქესის მიუხედავად, ალბათ, მოითხოვდნენ მემკვიდრეობიდან წილს. თუ ოჯახს ბევრი არაფერი აქვს, დები ძმებისთვის ქონების ნაწილის მოთხოვნას არ გეგმავენ. რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ მშობლებს შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, საკუთარი ინიციატივით უყიდიდნენ ქალიშვილებსაც უძრავ ქონებას. ასეთ დროს ქალს შეიძლება, გაუჩნდეს მემკვიდრეობის მოთხოვნის სურვილი, მაგრამ მისი თანაბარი განაწილების საკითხი კვლავ ნაკლებად ისმება, რაც გამოჩნდა კიდევ რესპოდენტების ინტერვიუებიდან.

ამონარიდები ინტერვიუებიდან:

ვთქვათ, 10 წელი გავიდეს და ჩემმა მშობლებმა რაღაცა განძი იპოვეს, დარწმუნებული ვარ მოთხოვნა არ დამჭირდება და თვითონ იფიქრებენ, რომ ჩემი წილი მოსაცემია. მემკვიდრეობაზე ლაპარაკი არ ყოფილა საერთოდ. ტრადიციულად, ითვლება, რომ (მემკვიდრეობა - მ.ა.) გადადის ბიჭზე. მანქანა ჩემს სახელზე იყო და დღესაც ჩემია [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

გააჩნია მემკვიდრეობასაც, თუ ვიღაც მილიონებს დაგიტოვებს, ალბათ ძაან ბედნიერი იქნები, მაგრამ რაც არ აქვთ, რა მოვთხოვო? ჩემი ძმა გვარში ერთი ბიჭია და მგონი ბებიაჩემი უტოვებს კიდევ სოფლის სახლს. და ეს სახლი, სადაც ჩემები ცხოვრობენ, ალბათ, თუ ჩემი ძმა ვერ შეძლებს, რომ ცალკე იცხოვროს, მისი იქნება [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

კონკრეტული სიტუაცია გვკარნახობს, როგორ მოიქცეს (ოჯახი - მ.ა.). როცა არ აქვს ოჯახს საშუალება ფიზიკურად და ერთი სახლიც არ აქვთ, ამ შემთხვევაში, შეუძლებელია მოსთხოვო რაღაც წილი. ვიცი ისეთი ოჯახებიც, გოგოსაც იმდენს აძლევენ, როგორც ბიჭს, ბიზნესსაც და ქონებასაც. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა ქონება გააჩნია მშობელს [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

რომ ქონდეთ საშუალება (მშობლებს - მ.ა.) მაშინ, ალბათ გააკეთებდნენ ყველაფერს. მაგ თემაზე არასოდეს არ გვილაპარაკია [ქალი, 23 წლის, პროფესიული განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი, სოფელი].

ეკონომიური მდგომარეობა არ იძლეოდა საშუალებას. ეს ფაქტორი რომ არა, გაიყოფოდა ჩვეულებრივად. 18 წლის ასაკიდან სიამოვნებით მოვითხოვდი, საშუალება რომ ყოფილიყო [ქალი, 45 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

ღირებულებასაც გააჩნია. ალბათ, ასი ათასაობით და მილიონობით ქონებაზე არ შეიძლება რო არ გქონდეს პრეტენზია [მამაკაცი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

იმ შემთხვევაში თუ მშობლების ქონება დიდ მატერიალურ დოვლათს მოიცავს, ქალებიც და კაცებიც თვლიან, რომ ამ დროს მემკვიდრეობის წილზე შესაძლოა, ქალს პრეტენზია ჰქონდეს. მაშინ კი როცა მშობლებს მწირი შესაძლებლობა აქვთ, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ გასაყოფიც არაფერია და ძმას ქონება არ უნდა გაუყონ.

მზითვი, როგორც მემკვიდრეობის ალტერნატივა

კულტურული რეგულაციების გავლენით საქართველოში, ძირითადად, მამაკაცი იღებს მემკვიდრეობას, ხოლო ქალი კი მზითვს. სიღრმისეული ინტერვიუების შემთხვევაშიც რესპონდენტებს სწორედ ასეთი გამოცდილება ჰქონდათ, გარდა იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც იმ ოჯახებმა, რომლებსაც რამდენიმე უძრავი ქონება ჰქონდათ, ქალიშვილებსაც მისცეს ერთი უძრავი ქონება. მართალია ეს ქონება, როგორც წესი, ნაკლები ღირებულების არის, ვიდრე ვაჟისთვის მიცემული მემკვიდრეობა, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მაინც უფრო მნიშვნელოვანია, რადგან უძრავი ქონების ფასი ბევრად აღემატებოდა ,,კარგი" მზითვის ღირებულებას.

საინტერესოა, რამდენად მიიჩნევენ რეპონდეტები ქალისთვის მზითვს მემკვიდრეობის ალტერნატივად. იმ ქალებს, რომლებსაც ძმა ჰყავდათ, ჩვეულებისამებრ, მზითვი მისცეს. მიუხედავად იმისა, რომ ქალები მომავალში არ აპირებენ ძმას მემკვიდრეობაზე ედავონ, ამბობენ, რომ მზითვი მემკვიდრეობის თანაბარი ღირებულების არ არის.

დღეს მზითვი არის უბრალოდ საჩუქარი. მზითვი აღარ არის ისეთი ძვირადღირებული, როგორც მემკვიდრეობა. დღეს შეიძლება გაატანო ლოგინი, ფულიც შეიძლება, შეიძლება ბინაც მისცე, მანქანა და ა.შ. ჩემი ოჯახის ტრადიცია არანაირად არ არის (მზითვის მიცემა - მ.ა.). რამე რომც მაჩუქოს ჩემმა მშობელმა, ამას არ ჩავთვლი, როგორც მზითვად, თანამედროვე ცხოვრებაში უკვე აღარ არის მზითვი. რაც მაჩუქა გათხოვებისას, არ დამირქმევია მზითვი და არც დავარქმევ [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, ამჟამად დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

მზითვს რომ აძლევ, უბრალოდ ჩუქნი რაღაცას. თუკი რამე შეიძლება მიიღო მშობლისგან, ეს იქნება მზითვი. დიდ როლს ალბათ უფრო მემკვიდრეობა თამაშობს, იმიტომ რომ მემკვიდრეობა ქონებაა ფაქტიურად [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, ამჟამად დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

ალბათ არ არის (მზითვი მემკვიდრეობის ალტერნატივა - მ.ა), მემკვიდრეობაში შეიძლება იყოს ბინა, აგარაკი ან ძალიან ძვირფასი ნივთი. მზითვის ნივთები, ეს არის ოჯახის კეთილი ნება, რომ ახლად შექმნილ ოჯახს დაეხმაროს [ქალი, 45 წლის, უმაღლესი განათლებით, ამჟამად დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

ქალები თვლიან, რომ მემკვიდრეობას ბევრად პრაქტიკული დანიშნულება აქვს, ვიდრე მზითვს, ეს ალბათ იმითაც არის განპირობებული, რომ მემკვიდრეობა, გარდა ნივთებისა, უძრავ ქონებასაც გულისხობს.

საერთოდ ცუდი ცნებაა ეგ მზითვი. მემკვიდრეობის ერთერთი ფორმა რომაა, ეგ ცუდია, რადგან ქალს მზითვს მისცემენ, მას არაფერი აღარ ეკუთვნის. ცუდი ისაა, რომ შეიძლება რაც მზითევში შევიდა, ვერ გამოიყენოს და სხვა რაღაცა უფრო სჭირდებოდეს [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი].

ჯობია მემკვიდრეობა მიიღოს, მაგრამ ოჯახს გააჩნია რისი შესაძლებლობა აქვს. რა შესაძლებლობაც აქვს პროპორციულად უნდა გაიყოს, თუ და-ძმა არიან. მზითევს რომ მისცემ, ის უნდა დააწყოს და ექნება მშობლის სახელი, რომ გაგიჭირდეს ვერ გამოიყენებ და მემკვიდრეობა უფრო პრაქტიკულია [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

მთელი ცხოვრება უგროვებენ ქალს მზითევს და მერე ყველაფერი მოდიდან გადადის. ზოგჯერ ისეთ რაღაცას ყიდულობენ, მთელი ცხოვრება დევს და ვერ იყენებ [ქალი, 36 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

მზითვები ნივთებია და როცა დაგჭირდება, შეგიძლია მაშინ შეიძინო და მემკვიდრეობის შემთხვევაში - არა [ქალი, 27 წლის უმაღლესი განათლება, დასაქმებული, 3 წლის დაოჯახებული, თბილისი].

გულის სიღრმეში ქალები არ არიან კმაყოფილი მხოლოდ მზითვის მიღებით და თვლიან, რომ მათი ოჯახები, გარდა მზითვისა, გარკვეულ დახმარებას უნდა უწევდნენ მათ გათხოვების შემდეგაც. ზოგ შემთხვევაში, მათ მშობლებისგან სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის მოლოდინიც აქვთ. ქალები კარგად ხვდებიან, რომ მშობლების ქონებაზე ერთნაირი წვდომა არ აქვთ და არ მიაჩნიათ სამართლიანად.

როცა მზითევს წაიღებ სახლიდან, მემკვიდრეობა აღარ გეკუთვნის. წინათ ასე იყო და ეხლა ცოტა შეიცვალა ალბათ. რადგან მე მზითევი მომცეს, აღარ უნდა დამეხმარონ? [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, დროებით უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

მზითვი და მემკვიდრეობა ადრე იყო ერთჯერადი, ეხლა არა. ჩემი მშობლები, სანამ ცოცხლები არიან, დარწმუნებული ვარ, რაც ექნებათ ყველაფერს, გაყოფენ [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

პირველ რიგში, უნდა იყოს განაწილებული თანაბრად. რა თქმა უნდა, მე არ მიყვარს, რომ იციან ერთ შვილს მეტი და მეორეს ნაკლები. რაღაც კრიტერუმით არჩევენ შვილებს ერთმანეთისგან. აი, ეს არ მომწონს. თანაბარი უნდა იყოს [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, ქუთაისი].

რესპონდენტები ხვდებიან, რომ მზითვი არ შეიძლება მემკვიდრეობის თანაბარი მნიშვნელობის იყოს და თვლიან, რომ უძრავი ქონება, რასაც კაცი მემკვიდრეობით იღებს, ქალისგან განსხვავებით, დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში. ორივე სქესის რესპონდენტები თვლიან, რომ უძრავი ქონების შვილისთვის გადაცემა მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ჩემს ასაკში მაგალითად ვერ შევძლებდი ჯერ ბინა მეყიდა. ოჯახის რჩენა ერთია, მაგრამ საცხოვრებელი სულ სხვა [მამაკაცი, 24 წლის, სტუდენტი, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

სახელი მზითვი, რომ დაარქვა, მართლა სისულელეა, რაც სჭირდება შენს შვილს, ის მიეცი. შეიძლება სულ არ უნდა ის საძინებელი და სხვა რაღაცა უნდა. რა სავალდებულოა მაინც და მაინც ის მისცე, მე ასე ვფიქრობ. თუ აქვს სახლში ყველაფერი, ქონება არასდროს არ არის ზედმეტი, ბინა უყიდე და დარჩება შენს შვილს. რათ უნდა შვიდი საძინებელი [ქალი, 35 წლის, უმაღლესი განათლებით, ქუთაისი].

მართალია კანონმდებლობა თანაბარ უფლებას ანიჭებს ქალიშვილსაც და ვაჟიშვილსაც მშობლების მემკვიდრეობაზე, თუმცა ტრადიციები იმდენადაა გამჯდარი ადამიანებში, რომ ისინი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ექცევიან ამ ნორმების ტყვეობაში.

კანონებს ყურადღებას არ აქცევენ. უბრალოდ მოდის გადმონაშთია, რომ მზითვი და რაღაც წვრილმანები უნდა მივცეთ გოგოს და, როგორც ასეთი, ვის რა ეკუთვნის (კანონმდებლობით - მ.ა.). გოგოებისგან გაპროტესტება არ ხდება. ასეთი რამ არ მსმენია. [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, ქუთაისი, სოფელი].

როგორც ვხედავთ, ქალების უმეტესობას, მხოლოდ მზითვი ერგო მშობლების ქონებიდან, რომელიც უძრავ ქონებას ღირებულებით ბევრად ჩარმორჩება. ქალები

შეფარულად გამოთქვამენ უკმაყოფილებას და თვლიან, რომ მშობლები მათ ფინანსურ მხარდაჭერას ქორწინების მერეც უნდა უზრუნველყოფდნენ. იშვიათად, მაგრამ მაინც იყო შემთხვევები, როცა მშობლები, თუ რამდენიმე უძრავი ქონება ჰქონდათ, ცდილობდნენ, ქალი გათხოვებისას, მზითვის გარდა, ბინითაც უზრუნველეყოთ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევებშიც ქალისთვის გადაცემული ქონება ძმის წილს ბევრად ჩამორჩებოდა.

<u>რას ატანენ მზითვში საქართველოში</u>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მზითვი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არასდროს უტოლდება მემკვიდრეობის მატერიალურ მნიშვნელობას. მზითვად ატანენ ძირითადად საოჯახო ნივთებს, რომლებიც მოიაზრება, რომ ახლად დაოჯახებულებს შეიძლება გამოადგეთ. ეს საოჯახო ნივთები კი უმეტესად მოიცავს თეთრეულს და საძინებლის გარნიტურს. რიგ შემთხვევაში, მშობლებმა ,,თანამედროვეობას" ფეხი აუწყვეს და ისინი ქალისშვილს, ახალი ოჯახის საჭიროებიდან გამომდინარე, ჩუქნიან საყოფაცხოვრებო ტექნიკას. რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ მათ დაოჯახებისას მზითვი არ მიუღიათ, თუმცა მშობლები გზადაგზა ჩუქნიან საჩუქრებს, ან თანხით ეხმარებიან.

კი მივიღე, თეთრეული, პირსახოცები, მაგიდის გადასაფარებლები, ჭურჭელი სხვადასხვანაირი და რამდენიმე საყოფაცხოვრებო ტექნიკა (ელ.ღუმელი, მტვერსასრუტი). ეს იყო მზითვი. მემკვიდრეობა არა [ქალი, 27 წლის უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

რომ ვთხოვდებოდი, დედაჩემმა გაიგიჟა თავი, იმას ყიდულობდა, ამას ყიდულობდა, ჩემთვის არანაირად არ იყო ღირებული მზითვი, მე სხვა ტიპაჟი ვარ. დედაჩემმა რომ დაიწყო რაღაცეებზე, ოჯახისთვის უნდა გიყიდოო, მე ძაან დიდი პროტესტი მქონდა, მერჩია ჩაცმა. საძინებელიც მიყიდა და ჩემთვის ეს იყო ძაან მიუღებელი [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული. ქუთაისი, სოფელი].

ქუთაისის პირობებზე ძაან დიდი რომ გაუკეთოს ადამიანმა გოგოს, არის სპალნის ყიდვა და ვსიო. დიდი, დიდი 2000$, რომ მისცენ. თავის ქვეშაგებიანად, მეტი არა. ერთი მეგობარი მყავს ძლიერი ოჯახის შვილი, გათხოვდა ძაან კარგ ოჯახში და მშობელმა უყიდა კარგი სპალნა, თავისი ქვეშაგებით და თეთრეულით, დამთავრდა. მზითვის ტრადიცია გაჟღერებით არის და მაინც არის პოპულარული თემა [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

დედა დედისერთა იყო და მას გადაეცა ყველაფერი მაგრამ, ჩვენ სამი შვილი ვიყავით: 2 ბიჭი და 1 გოგო და მე ავეჯი მომცეს და ბიჭებს გაუნაწილეს ის მემკვიდრეობა რაც დედას ერგო. ჩემს შემთხვევაში მომცეს მარტო ავეჯი [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული. თელავი].

დედაჩემი იტყოდა ხოლმე, როგორც კი გოგო შემეძინა, იმ დღიდან დავიწყე მზითვზე ზრუნვაო. თეთრეულიდან დაწყებული, ჭურჭელი და ყველაფერი, რაც შეიძლებოდა დაგვჭირვებოდა, ყველაფერი გამიკეთეს. საჭიროებაზე მორგებული იყო, იყო ისეთიც, რასაც ყოველდღიურად არ ვხმარობთ, მაგრამ ძირითადად ყოფითი ნივთები. ჩვენ ცალკე გავედით და ბევრი რამე, რაც ჩემებმა მოგვცეს, პირველადი საჭიროებისთვის, ძალიან წაგვადგა [ქალი, 53 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

ჩემ მშობლებს ოქროს სახით არაფერი არ ქონდათ, რომ მოეცათ, ერთადერთი მერე სპალნა უნდა ეყიდათ, იმიტომ რომ დასავლეთში ასეა, რომ სპალნა უნდა ქონდეს და დანარჩენი მე დამოუკიდებელი ვიყავი და მივხედე ყველაფრით ჩემს თავს [ქალი, 34 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

მზითვი ძალიან ისეთ დონეზე, ელემენტარული კი იყო, მაგრამ ძალიან ისეთ ოფიციალურ დონეზე არა, როგორც ესეთი გამორჩევა რომ იციან, არა. თუმცა ჩემი მშობლები მე ჯერ კიდევ უზრუნველმყოფენ. დიფერენციაცია მე და ჩემს ძმას შორის არ არის. მშობლები გვეხმარებიან მე და ჩემს ძმას აქ სწავლაში. ორივეს ჩემი მშობლები გვეხმარებიან თანაბრად. გათხოვებას არანაირი გავლენა არ მოუხდენია, პირიქით უფრო გვეხმარებიან ორმაგად [ქალი, 26 წლის, სტუდენტი, დაოჯახებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

მზითვის ტრადიცია მისაღებია ჩემი ოჯახისთვის, მე თვითონ ძალიან კარგი და დიდი ოჯახიდან ვარ და გავთხოვდი შედარებით დაბალ ფენაზე და ჩემს პატრონს თუკი რამე შეეძლო, ხელი ჩემსკენ ქონდა სულ მოწვდილი. მზითვის სახით წამოღებული მაქვს ოჯახიდან: ჩემი ინსტრუმენტი, რომელიც როიალის კლავიშებით არის აწყობილი, საბნები თავისი თეთრეულით, ლეიბები, თანამედროვე მოდელის სარეცხი მანქანა [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული. ქუთაისის სოფელი].

ბინა და რაღაც ესეთი არ მერგო, მაგრამ სახლიდან რისი გატანებაც იციან, გამატანეს. მშობლებს აქვთ ნაკვეთი და რომ გაიყიდება იქიდან წილი ჩემიცაა და მომცემენ. ექვს ოთახიანი ბინა აქვს ჩემს ძმას და მე არაფერი შემხვდა [ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით. დაოჯახებული, ქუთაისი].

ჩემს შემთხვევაში, მაგალითად, რაც მჭირდებოდა, ისინი შემიძინეს, რომ გადახედეს რაც მეკლდა ისინი. მაინც და მაინც მაშინ კი არა მარტო, ეხლაც რაც მჭირდება ყიდულობენ ხოლმე [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თელავი].

იყო მშობლების მხრიდან რაღაც საჩუქრები. რაღაც განსაკუთრებული ისეთი, რომ მზითვის ფორმა ქონოდა, არა, გრანდიოზული არ ყოფილა არაფერი [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დროებით უმუშევარი, ქმარს გაშორებული, ერთი შვილით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

დღემდე მეხმარებიან. მზითვად მომცეს საძინებელი, სარეცხი მანქანა, გაზი, ტელევიზორი, თუ რამე სახლის არის აბსულუტურად [ქალი, 35 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

ჩემს რძალსაც ოფიციალურად ესე არ მოუტანია არაფერი მზითვი, რაღაცეებს ჩუქნის ხოლმე დედამისი, მაგალითად გადასაფარებელი, ოქროს ნივთებიც აჩუქა [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

უცბად გავთხოვდი. თავიდანვე არ ემზადებოდნენ, მაგრამ მერე იყო რაღაც საჩუქრები სახლიდან, პატარ–პატარა რაღაცეები მაჩუქეს, თეთრეული, წვრილმანი რაღაცეები, ყველა მოსვლაზე რაღაც საოჯახო რაღაცეები მოჰქონდა დედას. რამე სერიოზული ისეთი ჯერ არა, მზითვი ჯერ არ მოუციათ, მაგრამ აპირებს, რომ ავეჯი მიყიდოს [ქალი, 23 წლის, პროფესიული განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი, სოფელი].

მზითვის გატანების ტენდენცია მეტ-ნაკლებად შეცვლილია დედაქალაქში. თითქოს მზითვი მოძველებულ ტრადიციად მიიჩნევა აქ და, ძირითადად, უგულველყოფილი ან ფორმაშეცვლილია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის რესპონდენტებიც, რომლებიც ამ ტრადიციას მოძველებულად მიიჩნევენ, მზითვი მაინც მიაქვთ, თუმცა შესაძლოა ამ მზითვის მნიშვნელობა იყოს შეცვლილი.

ვიცი რომ ადრე ,,ვეფხისტყაოსანს" ატანდნენ, ლოგინს, საკერავი მანქანას, საკაბეებს. ჩვენს ოჯახში ეს ტრადიცია უფრო არ არის. სამნი ვართ ოჯახში და პირველი მე გავთხოვდი დედმამიშვილებიდან და შესაბამისად მასეთი გამზადებული მზითვი არ წამიღია, მაგრამ ნელ-ნელა რაღაცეები მაჩუქეს. ჩემი ოჯახისთვის კონკრეტულად მზითვი არ არის მისაღები, მთლად ტრადიციულ ოჯახში არ ვარ გაზრდილი, ძველ ადათ-წესებს არ მივყვებით. სოფლებში უფრო აქვთ შენარჩუნებული ტრადიციები. ქალაქური ტიპის დასახლებებში უკვე აღარ არის ესე. მზითვში რაღაცეები კი მივიღე. მზითვებს ესე კონკრეტულად არ გვილაგებდა, უბრალოდ ყველას სახელზე ყიდულობდა რაღაც ნივთებს. მაგალითად ფულს რომ გვაჩუქებდნენ, წავიდოდა და რაღაცას ყიდულობდა ჩვენს სახელზე. გამომატანეს, ჭურჭელი, ლოგინი, საბნები, წიგნებიც მაქვს. თუმცა ჯერ არ წამიღია [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული. თბილისი].

საინტერესო იყო, რამდენად ახსოვდათ მამაკაცებს, მათმა მეუღლეებმა თუ მოიტანეს მზითვი და რა შედიოდა მზითვის შემადგენლობაში. იმ შემთხვევაში, თუ და ჰყავდათ, რა გაატანეს მზითვად. მამაკაცებს, რომლებიც ტრადიციებს მკაცრად მისდევენ, უკეთ ახსოვთ, რა მოიტანა მათმა მეუღლემ მზითვში, ან თვითონ რა გაატანეს დას მზითვად, თუმცა, ვინც ნაკლებად ტრადიციების მიმდევარია, მზითვს ზოგადად ,,საყოფაცხოვრებო ნივთებს" არქმევს და ნაკლებ მნიშვნელობასაც ანიჭებს, რადგან, სავარაუდოდ, უფრო ფასეულად უძრავს ქონებას მოიაზრებს.

რაღაცეები მოიტანეს მარა დეტალურად არ ვიცი. საყოფაცხოვრებო რაღაცეები იყო, სახლი და მიწის ნაკვეთი არა. მაგალითად, პიანინო მახსოვს [მამაკაცი, 24 წლის, სტუდენტი, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ტრადიციულ ოჯახში გავიზარდეთ მეც და ჩემი მეუღლეც და, რა თქმა უნდა, როგორც წესი, მეუღლემ მზითვი მოიტანა, და კიდევ სიმამრმა საყოფაცხოვრებო ტექნიკა. ჩემი ცოლის ოჯახმა იკითხა, ოჯახში რა არ იყო და, შესაბამისად, მოიტანეს. მაგალითად, სარეცხი მანქანა და ესეთი რაღაცა, რამოდენიმე ტექნიკა. ჩემი დის შემთხვევში, როგორც წესია, რომ სიძეს ტანსაცმელი უნდა შეუძინო, ტახტი და რაღაც ამის მსგავსები, როგორც ჩანს, ისევ არის და ეგ ვუყიდეთ, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, რომ გავიგე სიტუაცია, ჩემს დას მე ვაჩუქე ზალა. ეგ მზითვის ვარიანტი კი არა, საჩუქარი იყო ოჯახიდან [კაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

იმ შემთხვევაში, თუ კაცი მეუღლესთან გადადის საცხოვრებლად, რადგან ის დედისერთაა, ან იმ შემთხვევაში თუ მხოლოდ და ჰყავს, მაშინ დედმამიშვილები მშობლების უძრავ ქონებას თანაბრად ინაწილებენ, ამ დროს ზოგჯერ ქალს მზითვი აღარ მიაქვს.

აქეთ მე წამოვედი მეუღლის ბინაში, დაკეტილი ბინა იყო და იქ ვცხოვრობთ. რომ მოვიყვანე, მათ დაკეტილ ბინაში გადავედით ცალკე [კაცი, 43 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

როგორც ვხედავთ, ქალი ოჯახიდან წამსვლელად მოიაზრება, რომელსაც გათხოვებისას მზითვის სახით ატანენ საოჯახო ნივთებს. მზითვად მიაქვთ კარგ შემთხვევაში ავეჯი, ზოგჯერ საყოფაცხოვრებო ნივთები: თეთრეული და ჭურჭელი, ბოლო დროის ტენდენციით კი მზითვი შეიძლება საყოფაცხოვრებო ტექნიკაც იყოს.

მზითვი და მისი არამატერიალური ღირებულება

გარდა მატერიალური ღირებულებისა, მზითვში მიტანილ ნივთებს, შესაძლოა, ქალებისათვის მორალური მნიშვნელობა და ღირებულება გააჩნდეს.

გსიამოვნებს, როცა შენი ახლობლების ნივთები გაქვს, რომ თხოვდები და უცხოდ ხარ სხვა ოჯახში თავიდან. ნაცნობ (ნივთს - მ.ა.) როცა ხედავ, ეს ძალიან სასიამოვნოა. მეორე ის, რომ შენი ქმრის თვალში, ქმრისიანების თვალში, შენ უკვე შენი წონა გაქვს [ქალი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თბილისი].

მაგალითად, პიანინო, ჭურჭელი, რაღაც სერვიზზე ვიცოდი, რომ ჩემი იყო, რაღაც ჭურჭელი ჩემი ძმის. მადონას სერვიზები და ფაიფურის ჭიქები რომ იცოდნენ, ისინი. წამოღებული მაქვს ღირებული ნივთები მამიდაჩემის ხსოვნის საპატივსაცემოდ, რაც მისი ნაჩუქარია, მაგალითად ფაიფურის ჭიქები. ეს ყველაფერი ჩემთვის ღირებულია, იმიტომ რომ არის დედაჩემის და მამიდაჩემის სახსოვარი, თორემ სხვა დატვირთვა არანაირი არ აქვს [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თელავი].

ქალიშვილებს აქვთ გარკვეული მიჯაჭვულობა იმ ნივთების მიმართ, რომლებიც მათ მშობლების ოჯახში გატარებულ დროს ახსენებს და აკავშირებს. ამდენად ამ ნივთებს მხოლოდ მატერიალურ მნიშვნელობას არ ანიჭებენ.

მზითვი და უფლებები ახალ ოჯახში:

შუა საუუნეებში, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მზითვი ქალის ცხოვრებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა, შეიძლება ითქვას, რომ მის გარეშე ქალი ვერ გათხოვდებოდა. რაც უფრო კარგი მზითვი ჰქონდა ქალს, ახალ ოჯახში მიტანილი, მისი მშობლების შემლებულობას უსვამდა ხაზს და ქალსაც აღარ უჭირდა ახალ ოჯახში თავის დამკვიდრება. მართალია, დღესდღეობით მზითვის გარეშე ქალი გასათხოვარი აღარ რჩება, თუმცა ,,კარგი" მზითვის მიტანა ამჟამადაც ინარჩუნებს აქტუალობას, როცა საუბარი ახალ ოჯახში ქალის თვითდამკივდრებას შეეხება. ქალები აცნობიერებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მზითვის ნაცვლად ისინი მემკვიდრეობას მიიღებდნენ, მაშინ მათ უფრო მეტი თავისუფლება ექნებოდათ, იქნებოდნენ თვითდაჯერებულები და ოჯახიც უფრო მეტად დააფასებდა.

საძინებელი მჭირდებოდა რა თქმა უნდა, ჭურჭელი ისედაც ბევრი ქონდათ ოჯახში. დიდი როლი არ უთამაშია. თავი დაჩაგრულად რომ არ იგრძნო ახალ ოჯახში, ჯობია გქონდეს მზითვი. რაღაცა გქონდეს სათქმელი [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, ქუთაისი].

უარყოფითი ის არის, რომ ეს ტრადიცია მყარად არის, როცა გოგო შემოდის ოჯახში, მაგას ძაან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ჩემს ოჯახში ნაკლებად, მაგრამ რაც მესმის სხვა ოჯახებიდან, ეხლაც აქცევენ ყურადღებას, რა მოიტანა. მზითევი არ არის იმდენად ისეთი რაღაც, რომ ძალიან მიაქციონ ყურადღება და მაგაზე ილაპარაკონ ძაან ბევრი. დადებითი ის არის, რომ ახალ ოჯახს რომ ქმნი, გარკვეული რაღაცეები გაქვს ოჯახისთვის და უფრო გიადვილდება, ყველაფრის

ერთდროულად შეძენა არ გიწევს. მემკვიდრეობის მზითვის ფორმით განაწილებისას მე უფრო უარყოფით რაღაცას ვხედავ. ვთვლი, რომ მემკვიდრეობა მაინც ჯობია, იმიტომ რომ მემკვიდრეობას რომ იღებ, უფრო დარწმუნებული ხარ შენს მომავალში, არავინ იცის, რა ხდება. ზოგ ქალს რო არ აქვს საშუალება და ძალადობის მომენტია, უფრო ბევრ რაღაცას ითმენს, ვიდრე უნდა მოითმინოს [ქალი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

დადებითი მხარეა ის, რომ გაფასებს ოჯახი. ბევრი სიტუაციებია ისეთი, რომ გოგო საერთოდ ვერ იღებს ვერაფერს იმ პირობებიდან გამომდინარე, რა პირობებშიც არის მისი ოჯახი. მე მადლობელი ვარ იმის, რაც მომცეს, არ ვითხოვ იმაზე მეტს [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

ჩემი დედამთილი რომ გათხოვილა, მის პატრონს უყიდია ზალა, ამ ზალაში შედიოდა მაშინდელი სერვანდი და სკამები, დივანი, კრესლოები და ერთი კარადა ტანისამოსის. ასე მეუბნებოდა, იცი მე დედაჩემმა, აი, ეს მზითვი მიყიდა და ასე და ისე. ანუ სულ იყო საუბარი მისი მხრიდან. ეს იციან ჩემმა მშობლებმა, მაგრამ ჩემი მეუღლე, რომ გავყევი, დაახლოებით 5 წელი არ მუშაობდა. ორსულობა, შვილების გაზრდა, ეს ყველაფერი ხომ თანხებთან იყო დაკავშირებული [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

ისეთი პრობლემა არ გვაქვს ოჯახში, ყველაფერი ჩვენი ყველასია, ვინც ვცხოვრობთ. ის მე მოვიტანე და ჩემია, ასეთი დამოკიდებულება არ გვაქვს. არ უნდა აქცევდნენ ყურადღებას, რძალი რომ მოდის, აბა, რას მოიტანს. ალბათ აქცევენ ყურადღებას, მაგრამ ასე არ უნდა იყოს, ჩემი აზრით [ქალი, სრული საშუალო განათლებით, 19 წლის, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

მგონია, რო მზითვი თუ არ მოგყვა ხშირ შემთხვევაში უდიერად გიყურებენ. საზოგადოებაშიც ამაზე ხმამაღლა საუბრობენ, რომ არაფერი არ მოუტანია და რაღაც ასეთი. ყველგან არის ეს პრობლემა. ჩემი მეგობარია ადვოკატი, რომელიც ზუსტად ახლა მემკვიდრეობის საქმეს არჩევს და და-ძმა წარმოუდგენელ რაღაცეებს კადრულობს. დადებითი ისაა, რომ იცი, რა არის მისი და რა შენი [ქალი, 23 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

არანაირი დისკომფორტი არ შემიქმნია ჩემი მშობლებისთვის, არც ახალ ოჯახს არ შეუქმნია პრობლემა. სამწუხაროდ, ცხოვრებაში რამოდენიმე წლის მერე მაინც დგება ის პრობლემა, რომ თითონ შენი პიროვნული კმაყოფისთვის, ალბათ, კარგია როცა გადმოგეცემა მზითვი ან სხვა, იმიტომ რომ უფრო თვითდაჯერებული ხარ. შედიხარ უცხო ოჯახში და რაღაცა შენი წილი შეგაქვს. ალბათ მხოლოდ და მხოლოდ მაგ თვალსაზრისით. როგორც, ფინანსურად თუ ხარ ქალი უზრუნველყოფილი, უფრო თვითდაჯერებული ხარ და უფრო მეტი შეგიძლია გააკეთო [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

უნდა ითქვას, რომ მართალია მზითვმა სავალდებულო ფორმა დაკარგა. თუმცა ტრადიცია სახეცვლილი ფორმით მაინც შენარჩუნდა. რესპონდენტები თვლიან, რომ ,,კარგი“ მზითვის მიტანით ქმრის ოჯახში უფრო თავდაჯერებულად გრძნობენ თავს და ოჯახის წევრებიც მეტი პატივისცემით არიან განმსჭვალულნი მათ მიმართ.

მზითვისთვის მზადება:

ის ოჯახები, რომლებიც შვილებს მზითვს ატანენ, შეიძლება ბავშვობის ასაკიდან აგროვებდნენ ამ მიზნით ნივთებს. ამ შემთხვევაში, შვილებმა წინასწარ იციან, რა ნივთი ვის სახელზეა ნაყიდი. ზოგჯერ მშობლები არ ამზადებენ მზითვს და მხოლოდ ქალიშვილის დაოჯახების დროს აძლევენ მას სხვადასხვა საოჯახო ნივთს.

რაღაცეები ვიცოდი. საძინებელი რომ მექნებოდა, ვიცოდი. თავიდანვე თვითონ მეუბნებოდნენ. რასაც ქვია საუბარი მზითევზე, არ გვქონია, ხუმრობით თუ რამეს იტყოდნენ, ეს შენ უნდა წაიღო, მაგალითად საბნებს რომ კერავდნენ, მეუბნებოდა, ამას შენთვის ვკერავთო [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

დედაჩემს უყვარდა, ძაან, რაღაცას რომ მიყიდიდა, თუნდაც საღამური იყო ან სხვა რამ, მქონდა ბევრი, ვინახავდი და რომ გავთხოვდი წავიღე. ბავშვობიდან ვაგროვებდი. ეს მახსოვს კარგად, ვამბობდი, რომ გავთხოვდები, ამას წავიღებ მეთქი. სახლზე არ ყოფილა ისეთი სიტუაცია, გვესაუბრა, გავიყოთ ან რაღაც ესეთი. რატომ არ ვიცი [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით. უმუშევარი, დაოჯახებული, ქუთაისი].

უცბად გავთხოვდი. თავიდანვე არ ემზადებოდნენ, მაგრამ მერე იყო რაღაც საჩუქრები სახლიდან, პატარ–პატარა რაღაცეები მაჩუქეს, თეთრეული, წვრილმანი რაღაცეები, ყველა მოსვლაზე რაღაც საოჯახო რაღაცეები მოქონდა დედას [ქალი, 23 წლის, პროფესიული განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავის სოფელი].

რიგ შეთხვევაში მზითვი წინასწარ აქვთ მშობლებს მომზადებული, ზოგჯერ კი ქალიშვილის დაოჯახების მერე მათი საჭიროებიდან გამომდინარე არჩევენ საყოფაცხოვრებო ნივთებს, რომელსაც საჩუქრის სახით აძლევენ. მზითვს სავალდებულო ხასიათი დაკარგული აქვს, ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა ქალიშვილი გათხოვილია, თუმცა მზითვი არ მიუტანია ქმრის ოჯახში.

კანონმდებლობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა

ინტერვიუების დროს ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო იმის დანახვა, თუ რამდენად ერკვეოდნენ რესპონდენტები იმ კანონმდებლობასა და უფლებებში, რომლებიც მემკვიდრეობაზე თანაბარ წვდომას არეგულირებს.

უმრავლესობამ, ვისთანაც ინტერვიუ ავიღეთ, ზოგადად იცის მემკვიდრეობის უფლებების შესახებ, ყური მოუკრავთ სხვების დავების თაობაზე. თუმცა ტრადიციების შესახებ ბევრად მეტ და დეტალურ ინფორმაციას ფლობენ.

გაკვრით კი, რომ გითხრათ ხუთიანზე მეთქი, არა. ვიცი, რომ შემიძლია წილი მოვითხოვო. ანუ სახლს თუ უტოვებენ მარტო ჩემს ძმას, შემიძლია მოვთხოვო წილი. ვიღაცას დასჭირდა და აქედან ვიცი. ანუ ერთი მეგობრის რძალმა აურია, ასე ვთქვათ. ბინის გაყიდვა უნდოდა ამ გოგოს ძმის ცოლს და ცალკე გასვლა. დედამთილთან არ უნდოდათ ცხოვრება [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ზოგადად ვიცი და კონკრეტულად არა. ტრადიციების მიხედვით, ვიცი, და სამართლებრივად როგორ ნაწილდება, არა. საერთოდ არაფერი არ ვიცი და არც დავინტერესებულვარ. ალბათ თუ სადაო რამე გამიხდება და გადამეწყო გონება სხვანაირად, მაშინ, ალბათ, დავინტერესდები [ქალი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

რომ მოვითხოვო მე, შემიძლია წილი გამოვართვა, ზუსტად ვიცი, რომ რაღაც მეკუთვნის, მეოთხედია თუ მესამედი, მასე არა. საიდან ვიცი და სკოლაშიც სამართალს მიკითხვადნენ, მერე უმაღლესშიც ერთი კურსი მქონდა და უფრო დაწვრილებით გავერკვიე, მაგის გარდა, ტელევიზიითაც [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, ამჟამად დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

უბრალოდ მსმენია რომ ნახევრად იყოფა (მემკვიდრეობა - მ.ა.) [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ამ კუთხით შეიძლება ცნობისმოყვარეობის ჭია გაღვიძებული იყოს, მარა, ჩემს ძმას და ჩემს ოჯახს ვერ დავუდებ ამ კანონმდებლობას, რომ იცით მე ამდენი მეკუთვნის და ვითხოვ. მართლა ვერ გავაკეთებ იმიტომ, რომ მართლა იმდენად ბევრი აქვთ ჩემთვის ბავშვობიდან გაკეთებული, განებივრებული ვიყავი, თუ რამე მინდოდა, მისრულებდნენ. ყველანაირად ხელი შემიწყეს, სწავლის მხრივაც და ყველანაირად. მერე გავთხოვდი და არ შევედი ისეთ ოჯახში, რომ ჩემი ოჯახის ტოლი ყოფილიყო, და ამის გამო ბევრი ხელს გაწვდა დამჭირდა მათკენ და დახმარების მიღება. პრობლემას ალბათ შექმნის კი და არ ესიამოვნებათ ნამდვილად. მეტყვიან, ალბათ, იმას, რომ ჩვენ ვიცით, შენ გჭირდება, დახმარება შვილი გყავს, აგერ მეორე და, ვთქვათ, წილი, მაგრამ რა ვქნათ ,არ გვაქვს, არ არის იმდენი, ადრე რომ იყო [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

მე მგონია რომ ბევრმა არ იცის ამ კანონმდებლობის შესახებ, რომ, აი, ის სახლი ყველა დედამამიშვილზე უნდა გადანაწილდეს, მიუხედავად სქესისა [ქალი, 53 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, 2 შვილით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

კი, ნამდვილად ვიცი, ძირითადად უფრო საინფორმაციო საშუალებებიდან ვიცი. თუმცა ვიცი, რომ არსებობს საოჯახო სამართალი, რომელიც არეგულირებს ამ საკითხს. სამართლებრივი დავებიც არის ხოლმე და ვიცი, რომ თანაბრად ანაწილებს [ქალი, 45 წლის. უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

არა, არ მქონია არანაირი შეხება, ძმასთან მქონდა ეხლა ლაპარაკი ნაკვეთის შესახებ, თურმე მეც ვწერივარ და გაყიდვა უნდოდათ და ჩემი ხელმოწერა იყო საჭირო, ისე არც ვიცოდი მანამდე. ისე ის, რომ რჩება ბიჭს, ეს ყველგან იქნება. სულ ესე მოდის ეს და არავინ არ კამათობს. ჩვენ არ გვქონია და არ გვიფიქრია ამის შესახებ [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, ნიუ იორკი, ამერიკა].

აზრზე არ ვარ კანონებში. არასოდეს არ მივმართავ სასამართლოს, იმიტომ რომ პატივს ვცემ მშობლების გადაწყვეტილებას. ჩვენ არ ვცხოვრობთ კანონებით, მივყვებით ნება-სურვილებს და გადმონაშთებს. მემკვიდრეობით, რომ არაფერი მივიღო, არც დამოკიდებულება შემეცვლება, არც პრეტენზია მექნება და არც არაფერი [ქალი, 25 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, ქუთაისი].

ზედაპირულად ვიცი, კანონებიდან. მგონი თანაბრად გვეკუთვნის ყველა შვილს [ქალი, 29 წლის, სტუდენტი, უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

კანონმდებლობა არ ვიცი მაინცდამაინც [ქალი, 26 წლის, სტუდენტი, დაოჯახებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

ზოგიერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ კარგად იცის კანონმდებლობა, რომელიც მემკვიდრეობის განაწილების საკითხებს არეგულირებს, მაგრამ რეალურად არასწორ ინფორმაციას ფლობს.

გამოკითხულთა ნაწილი თვლის, რომ, თუ ცხოვრებაში პრობლემა შეექმნებათ და აზრს შეიცვლიან მემკვიდრეობის წილის მოთხვონაზე, მაშინ გაერკვევიან თავიანთ უფლებებში.

გამოკითხულთა ნაწილი იცნობს კანონმდებლობას და გააზრებულიც აქვს თავისი უფლებების მნიშვნელობა, თუმცა არ არიან მზად, ურთიერთობა გაიფუჭონ მშობლებთან. მათ ისიც კარგად იციან, რომ წილის მოთხოვნის შემთხვევაში პრობლემა შეექმნებათ და დაეძაბებათ სიტუაცია ოჯახთან.

გარდა იმ რესპონდენტებისა, რომლებმაც იციან ან მეტ-ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას თავიანთი უფლებების შესახებ, არიან ისეთებიც, რომლებმაც არ იციან მემკვიდრეობის განაწილების საკანონმდებლო რეგულაციები.

რატომ არ ითხოვენ ქალები მემკვიდრეობას?

ქართულ ოჯახში მემკვიდრეობის განაწილების პრაქტიკები გვიჩვენებს, რომ ქალები, ძირითადად, არ ითხოვენ თავის კანონიერ წილს. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, ეს არის ის კულტურული ნორმა, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ საკითხს. ამის გარდა, არ უნდათ მატარიალურ თემაზე დავით შეურაცხყონ ,,დაძმური სიყვარულის უმწიკვლოება". რიგ შემთხვევებში, ქალები მიიჩნევენ, რომ ასეთია მათი მშობლების არჩევანი და არ აპირებენ მათ წინააღმდეგ წასვლას. ქალები, რომლებსაც მული ჰყავთ, შიშობენ, თვითონ ძმას რომ ქონება გაუყონ, ქმრებსაც არ შეედაონ დები ქონებას.

გარდა ამისა, საკუთარი წილის მიღება აღიქმება, როგორც ძმისთვის კუთვნილ ქონების წართმევა. ქალები თვლიან, რომ მემკვიდრეობის განაწილებისას თანასწორობა არ არის დამახასიათებელი ქართული ტრადიციისთვის, ძმა უნდა მიხვდეს თავისით, რომ დას ცუდ მდგომარეობაში აყენებს. მაგრამ ,თუ ვერ მიხვდა, სასურველია, დამ არ გამოთქვას პრეტენზია. იმ შემთხვევაში, თუ ქალმა მშობლების ქონებაზე პრეტენზია გამოთქვა, ის ცუდ დად, ცუდ მამიდად აღიქმება, რომელმაც ძმასა და ძმისშვილებს ქონება გაუყო.

რესპონდენტები კაცისთვის უძრავი ქონების დატოვებას ამართვლებენ იმით, რომ ის ოჯახში დამრჩენია, მოჰყავს ცოლი და სჭირდება საცხოვრისი, ქალისგან განსხვავებით, რომელიც წამსვლელია და ქმრის ოჯახში უნდა გადავიდეს.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრსაც, ქალს ეშინია, იმ შემთხვევაში, თუ ის თავის წილ მემკვიდრეობას მოითხოვს, რას იტყვის ხალხი, რა რეაქცია ექნებათ გარშემომყოფებს.

რა ვიცი, ცოტა კრიზისული პერიოდები გამოვიდა და ვიცოდი რომ მე რომ მომეთხოვა, ძმებს შორის რაღაც შეიძლებოდა მომხდარიყო და ეს რომ არ ყოფილიყო ამის ფონზე არ მომითხოვია. მე რომ მომეთხოვა, ჩემი მულებიც ამას უყურებენ და შეიძლება მათაც მერე მოეთხოვათ [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

მაინც ვერ ვიტყოდი, ძმის მომერიდებოდა. ხანდახან ძაან მინდა რომ ვთქვა, მაგრამ ვერ ვამბობ [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

რომც ვიცოდე ნახევარი მეკუთვნის, მაინც ვერ მოვითხოვ. ჩვენ სხვანაირი დედმამიშვილობა გვაქვს, ჩემი ძმა ყველანაირად გვერდში მიდგას და ვერ წარმომიდგენია შევეცილო [ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ვთვლი, რომ ძმას ეკუთვნის დარჩენა. ოქრო იყო თუ რაც იყო, ჩემი წილი მომცა დედამ რომ გავთხოვდი. ტრადიციული ოჯახი მაქვს და ასე გადაწყდა. დები არ ითხოვენ ხოლმე წილს, რა ვიცი როგორ გითხრათ, რატომ, ეს ჩვენი ტრადიციაა [ქალი, 33 წლის, უმაღლესი განათებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

არა, არ ვიკადრებდი მაგას, რომ მომეთხოვა. მე ჩემი მშობლების აზრს პატივს ვცემ, რასაც გადაწყვეტენ ისე, იმიტომ რომ ეგ არის დამოკიდებული მშობლებზე. მთავარი ხომ არ არის სახლი, რაც გჭირდება ხომ გაძლევს მშობელი ოჯახისთვის? მთავარი ხომ არ არის კედლები გაიყო? ყოველთვის ისე ხდება, რომ ერთი უფრო მოგებული რჩება. მაგას, თვითონ უნდა მიხვდეს, მაგრამ, თუ ვერ ხვდება, მე მაინც არ დავუწყებდი გამოკიდებას. დაც რომ მყავდეს, მაინც ვერ გავაკეთებ. არაფერი არ უნდა დააყენო დაძმურ ურთიერთობაზე მაღლა [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

მე მაგაზე არც მიფიქრია, მე ძალიან თავისუფლად მივდივარ ჩემს ოჯახში, ვიცი რომ ქონება ჩემს ძმას უნდა დარჩეს, მაგრამ შეზღუდულად თავს არ ვგრძნობ, როცა მინდა მივდივარ ჩემს სახლში. როგორც ასეთი, წინაამდეგობები არ მაქვს, რომ ეს ჩემი სახლია და მე ვერ მივიდე თავისუფლად. რომც მქონოდა წინააღმდეგობა, მე არ ჩავერეოდი, არ მინდა ასეთი უთანხმოება, არც აქ და არც ჩემს ძმასთან. მოვითმენდი ჩემი ძმიშვილების გულისთის თუნდაც, არ მინდა ბავშვებს ჩემს მიმართ ცუდი გული ქონდეს, რომ მამიდა ცუდია. კი, ვიცი (კანონმდებლობის შესახებ) მაგრამ მე არ მინდა წილი, არანაირი სურვილი არ მაქვს რომ აქ ვიცხოვრო, არაა ისეთი დიდი სახლი, რომ მე რამე ოთახი ავირჩიო და აქ შევეკედლო. რამოდენიმე სახლი რომ ქონდეთ და თვითონ ეთქვათ რომ ეს შენია, რატომაც არა, მაგრამ მე არ მოვითხოვდი, თუ ჩემს ძმას დასჭირდებოდა ის ბინა, თუ დაკეტილი იქნებოდა, ვთხოვდი და დროებით ვიცხოვრებდი, სანამ ჩემსას რამეს შევაქუჩებდი, რომ მერე გავსულიყავი. მაგრამ, როგორც ესეთი რომ გამიფორმეთ მე, ეგრე არა [ქალი, 23 წლის, პროფესიული განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი, სოფელი].

მე ამერიკაში ვცხოვრობ და ჩემი გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ დავუთმობ ძმას, მე ამერიკაში ვარ და მერე ვიყიდი ბინას. ის სახლი ჩემს ძმიშვილებს დარჩეთ. იქ რომ ვყოფილიყავი, შეიძლება სხვანაირად მეფიქრა, მაგრამ იქიდანვე ვფიქრობდი, რომ მე ჩემთვის სახლი მინდოდა. მამის სახლშიც აღვიქვავ, რომ ეს ჩემი ძმის სახლია და იქ მაქვს ჩემი ერთი ოთახი [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, ნიუ იორკი, ამერიკა].

კაცი არის ოჯახში ფუძე, გვარის გამგრძელებელი, ეს ტრადიციით მოგვდევს და ჩვენ რომ სხვანაირად მოვიქცეთ, ეს ძალიან ცუდი გავლენაა, განსაკუთრებით პერიფერიულ ზონებში. ,,ჩვენ რომ ასე გავაკეთოთ, რას იტყვის სხვა'' - ეს არის გადამწყვეტი როლი, საზოგადოების აზრი. ერთ ადამიანს გაგიჭირდება, ჯერჯერობით რომ ყველა ერთნაირად აკეთებს, შენ განსხვავებულად გააკეთო [კაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

არ მგონია, იმიტომ რომ ჩემი ძმაც ხომ დაოჯახდება და მოიყვანს ცოლს, არ მინდა, რომ მას ქონდეს რამე საფიქრალი, მე ჩემი ოჯახი მექნება. იცი რა არის, მე ვფიქრობ, რომ ჩემები დღემდე მიდგანან გვერდში, ვიცი რომ არასოდეს არ გამიჭირვებენ, რომ არ მქონოდა სახლი, ალბათ სახლის ყიდვაში დამეხმარებოდნენ და დღემდე ისე არიან მამაჩემიც და ჩემი ძმაც რომ თვითონ მოიკლებენ რაღაცას და მე მომცემენ. და რომ მყოლოდა, მე ვფიქრობ, რომ შუაზე გაიყოფოდა, რადგან ის სახლში არ დარჩებოდა, ანუ ძმა ხომ სახლში რჩება. მე მაგას ვუკავშირებ ქონების ძმისთვის გადაცემას, რადგან ძმა ოჯახში რჩება. ორი და რომ ყოფილიყო და ერთ-ერთი იქ დარჩენილიყო, ალბათ იმას დარჩებოდა [21 წლის, სტუდენტი, დაოჯახებული, თელავი, სოფელი].

თუ ოჯახს აქვს საშუალება, რომ გოგოსაც უყიდოს და ბიჭსაც, ალბათ ყიდულობენ. ბევრი ვიცი, რომ ძმას უფრო რჩება სახლი, გოგო რომ თხოვდება, ქმრის სახლში მიდის და იქ ცხოვრობს და თუ ქმარს შეუძლია, შეიძლება ცალკე იცხოვრონ. ძალიან დიდი ხანია, ოდითგანვე ესეა, რომ გოგო რომ თხოვდება ბიჭს რჩება სახლი. თუ ძმას უნდა, რომ დას მისცეს, ეგ შეიძლება, მაგრამ ძირითადად ძმას რჩება [ქალი, 21 წლის, პროფესიული განათლებით, უმუშევარი, დაოჯაებული, თელავი].

ეგ ტრადიციები (კანონმორჩილების - მ. ა.) ჩვენთან არ არის, თანასწორობა არ არის. ტრადიციული და თემური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, კაცს ანიჭებდა უპირატესობას რაღაც ფორმით და ქალი იყო დისკრიმინირებული [კაცი, 42 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

როგორც ვხედავთ, ქალები უარს მემკვიდრეობის საკუთარ წილზე ძირითადად შემდეგი მიზეზების გამო ამბობენ: არ უნდათ გაიფუჭონ ურთიერთობა მშობლებთან და ძმის ოჯახთან. ასევე იციან, რომ საზოგადოება უარყოფითად შეაფასებს ქალის მიერ ძმისთვის ქონების გაყოფას და ამდენად ამას გაურბიან, მათ ურჩევიათ, მოერგონ სოციალიზაციის ნიადაგზე ათვისებული ,,კარგი" და ,,მზრუნველი" დის როლს.

რა შემთხვევაში ითხოვენ ქალები წილს მემკვიდრეობიდან?

ქალები მემკვიდრეობის წილს, რომელიც კანონით ეკუთვნით, სხვადასხვა ფაქტორის გამო არ ითხოვენ, ასევე მრავალფეროვანია მიზეზებიც, რის გამოც მათ შესაძლოა, მშობლების მემკვიდრეობაზე პრეტენზია გამოეთქვათ.

მშობლები, როგორც ამბობენ, ორივესია ეს სახლი. ძმა რომ მყოლოდა, ალბათ, ტრადიციულად ძმისაა. და სხვაა, როცა მშობლები აღარ გვეყოლება, მერე შეიძლება გავყიდოთ და გავიყოთ ეგ სახლი. და ძმის შემთხვევაში, როცა რძალი გყავს, სხვა სიტუაციაა. წილი შეიძლება იმ შემთხვევაში მომეთხოვა, თუ ცუდი რძალი მეყოლებოდა და ჩემს მშობლებს არ დააფასებდა [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

თავის გადარჩენის ინსტინქტით კი (მოითხოვს წილს - მ.ა.). უბრალოდ თუ არ შემხვდა მემკვიდრეობიდან წილი, ყოველგვარი გართულების გარეშე არ მივმართავდი. თუ მექნება ელემენტარული საშუალება, რითიც ვიარსებებ, არ მივიღებ (ზომებს - მ.ა), მაგრამ თუ სხვა გზა არ მექნება კი [ქალი, 45 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

ახალ ოჯახში რომ შევედი, ახალი რაღაცეები დამჭირდა ჩემი გემოვნებით. საჩუქრების ჩუქება სამართლიანია, იმიტომ რომ ჩემი ძმა რომ ცოლს მოიყვანს, არც იმას მოაკლდება რამე. ალბათ იგულისხმეთ ბინა რომ არ მიყიდეს, შესაძლოა კანონმდებლობა სხვა რამეს ითვალისწინებს, მაგრამ ვფიქრობ სწორად მოიქცნენ ამ შემთხვევაში. ჯერ მოიყვანოს ცოლი ჩემმა ძმამ, თუ მივხვდები, რომ არ არის კარგი გოგო და ჩემებს არ მიხედავს, მაშინ მოვითხოვ წილს აუცილებლად და ვუსაყვედურებ ალბათ მშობლებს, რომ რატომ თავიდანვე არ გაყავით თქო. ვერ გეტყვით, ზუსტად არ ვიცი, შესაძლოა მანამდეც მოვითხოვო, გააჩნია სიტუაციას ჩემს ახალ ოჯახში, ჯერჯერობით კარგად ვართ, მაგრამ რამე თუ შეიცვლება, მოვითხოვ. კი მოვითხოვდი მეც ადამიანი ვარ და უხერხულად ვიქნებოდი ოჯახში, მით უმეტეს, რომ ვთქვა უჭირთ მეთქი ჩემებს, არა, ნამდვილად, უბრალოდ ბინები არ გვაქვს. არ ვფიქრობ, რომ საჩუქრების მოთხოვნით რამეს დავაშავებდი, არ ვამბობ, რომ საჯაროდ წივილ-კივილს ავტეხდი, უბრალოდ ცალკე ვეტყოდი ჩუმად [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

როგორც ვხედავთ, ერთ-ერთ მიზეზად ქალები ყველაზე ხშირად ,,ცუდ რძლებს“ ასახელებენ, რომლებიც მათ მშობლებს არ მოუვლიან. ამ შემთხვევაში, ქალი მზად არის, თუ დედ-მამის მოვლა მის კისერზე გადაივლის, მშობლებსაც უსაყვედუროს, რომ მას ქონება არ მისცეს და ძმასაც მიედავოს. მეორე მიზეზი, რომელსაც ქალები ასახელებენ, არის ქმრის ოჯახში შექმნილი პრობლემა, როდესაც ქალს უწევს მშობლების ოჯახში დაბრუნება. ერთ-ერთ ფაქტორად დასახელდა თავის გადარჩენის ინსტინქტი, როდესაც გათხოვილი ქალის ოჯახს არ აქვს ფინანსური საშუალება, რომ თავი ირჩინოს,

მშობლების ოჯახი კი ,,წელგამართულია“ და შეუძლია ქალიშვილის დახმარება, მაგრამ თავისი ნებით არ ეხმარება. ასეთ სიტუაციაში, ქალები მოითხოვდნენ კუთვნილ წილს მემკვიდრეობიდან. ზოგადად, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ სასურველია მემკვიდრეობის განაწილების განხილვის პრობლემა ოჯახის გარეთ არ გავიდეს და საჯარო განხილვის თემად არ იქცეს.

მემკვიდრეობის წილის მოთხოვნა ქმართან გაყრის ან ოჯახში ძალადობის შემთხვევაში

საქართველოში ქალი ხშირად ქმრის ოჯახში ძალადობის მსხვერპლია და მშობლები აიძულებენ დარჩენას, რადგან იგულისხმება, რომ რადგან გათხოვდა, მისი ადგილი ოჯახში აღარ არის, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ძმა დაოჯახებულია. ამ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ მშობლები ქალიშვილზე ეკონომიკურად თვითონაც ძალადობენ და რეალურად მას მემკვიდრეობის გარეშე ტოვებენ, ისინი, ამასთანავე, აიძულებენ მსხვერპლ ქალს, დაითმინოს ქმრისგან ძალადობა.

მოვითხოვდი არა, მაგრამ რაღაცას ვეტყოდი, რომ დამეხმარნენ, რადგან ჩემი შვილებიანად ვერ დავრჩები ქუჩაში. ჩემს ძმას ეხლა ცოლი არ ყავს, მაგრამ არც ერთ რძალს არ ესიამოვნება მობრუნებული მული ყავდეს სახლში. იმას არასოდეს არ ვიზამ, რომ პაპისეული სახლი გაიყიდოს. არც რძალს არ მინდა დავხვდე სიმართლე გითხრათ, მე ჩემი სიამაყეც მაქვს. ძალადობა რომ ხორციელდებიდეს ჩემზე, მაშინაც კანონმდებლობას არ მივმართავ, მაგრამ თხოვნით ვთხოვ, რაღაცით დამეხმარონ. საერთოდ დიდი სურვილი მაქვს, რომ მოვითხოვო - “იცით მე ესე მეკუთვნის და გამიყავით”, მაგრამ, უბრალოდ ადამიანობა არ გამიშვებს [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

უნდა დაბრუნდეს (ქალი - მ.ა.) მშობლების სახლში. არ უნდა მოითხოვოს (წილი - მ.ა.), თუ აქვს ოჯახს საშუალება ხო, მაგრამ, ისე არა. თუ აქვთ საშუალება და მაინც არ უყიდიან ეგ უკვე მათი გადასაწყვეტია, არ ვიცი. მე რას ვიზავდი, მართლა არ ვიცი [ქალი, 33 წლის, უმაღესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

არა, რადგან, რომ ვთხოვდებოდი, ჩემს არჩეულზე გავთხოვდი. და თუ მასთან უთანხმოება მომივა, ისე წამოვალ, რომ არავის კისერზე არ დავაჯდე. მაგრამ მერე, ალბათ, ჩემები ცალკე კი მიყიდდნენ რაღაცას. არ მოვთხოვ მე და შეიძლება მათ სახლშიც, ანუ ჩემების სახლშიც არ ვიცხოვრო. ალბათ, მერე უფრო გამიჩნდება ამბიცია, რომ ბევრი რამე დავამტკიცო, თუნდაც ის, რომ ვანანო ჩემს ქმარს ცუდად რომ მექცეოდა [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

იყო საცხოვრებელი ბინის შემოთავაზება, მაგრამ მე უარვყავი. მე ახალგაზრდა ვარ და მინდოდა ჩემით მიმეღწია, იმისთვის რაც მჭირდებოდა. თუ ჩემებმა შეძლეს, მეც შევძლებდი, თუ ვერ შევძლებდი, მაშინ მივიღებდი დახმარებას. ისე, ქმარი და მისი ოჯახი იყო ვალდებული საცხოვრებლით დამხმარებოდა. ძალიან დიდ როლს შეასრულებდა, უკეთესი ცხოვრება მექნებოდა. მე მაგალითად, ჩემი ძმის გამო ვთქვი უარი (ბინაზე - მ.ა.). არც მას ქონდა ბევრი. მისი ჯანმრთელობის გამო მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. შეიძლება ითქვას, რომ თავი გავწირე [ქალი, 36 წლის, უმაღლესი განათლებით, ქმართან გაყრილი, თბილისი].

როცა იცი, რომ შენს შვილზე ძალადობენ, ეს არ უნდა დაუშვა და გირჩევნია გყავდეს სახლში. ამათ (მისა დედამთილ-მამამთილმა მული - მ.ა) გაათხოვეს ძალიან პატარა და ალბათ შეგუებულებიც იყვნენ, რომ, როცა იქნებოდა, წამოვიდოდა. იმ სახლიდან, რამოდენიმეჯერაა წამოსული. მაგრამ ,ამავდროულად ეუბნებიან, რომ ეს არაა შენი სახლი [ქალი, 23 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

ამ შემთხვევაში, უნდა სთხოვო რაღაცნაირად მშობელს, რომ დაგიდგეს გვერდში ყველანაირად. ისეთი რაღაცა მაინც მოგცენ, რომ ბავშვები შეგინახონ, ან ქირით წავიდე და გადავიხადო, ან რა ვიცი. რაღაც ხელშეწყობას მოვთხოვდი ნამდვილად. (თუ მშობლები არ დაეხმარებოდნენ - მ.ა) მაშინ, თვითონ ჩემს მეუღლეს მოვთხოვდი, რომ შვილებისთვის თავშესაფარი მიეცა. თუ ნორმალურია ადამიანი და შეიძლება დალაპარაკებით მოხდეს გადაწყვეტა, არ არის აუცილებელი სასამართლოში გაიქცე. მე მყავს მეგობარი, ოჯახი დაენგრა, დიდი ხნის წინ უნდოდა გაშორება, მაგრამ მშობლების გავლენა იყო, რომ არ დაენგრია ოჯახი, რომ შვილებს მამისეული სახლი შეენარჩუნებინათ, ამ მიზნით არ აშორებდნენ. (მშობლებმა მისცეს - მ.ა.) მხოლოდ ავეჯი, საცხოვრებელი არ მიუციათ. ამ წუთში მშობლების სახლში ცხოვრობს. ქმრის მშობლები ცდილობენ, რომ ბავშვებს მისცენ სახლ-კარი [ქალი, 32 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, ქუთაისი].

ვეცდებოდი, წყნარად მომეგვარებინა და მე ჩემთვის წყნარად გავსულიყავი სადმე. ხდება ეს პრობლემა და ზუსტად იმის გამო იკავებს ქალი თავს, რომ ძმა ყავს და მერე იმას კისერზე არ დააწვეს [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, ნიუ იორკი, ამერიკა].

(თუ შვილი ძალადობის მსხვერპლია და ოჯახი არ არის თანახმა, შვილი უკან მოვიდეს ოჯახში - მ.ა.) ასეთ შემთხვევაში, მშობლების მხრიდან ძალადობაა, მე ასე მიმაჩნია. როგორც ერთ შვილს აქვს იმ სახლში ცხოვრების უფლება, ისე მეორეს აქვს ხო უფლება. წამოვიყვანდი ჩემს შვილს და ვეტყოდი, აი, ამ ერთ ოთახში იყავი შენ, მას მივაკუთვნებდი [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, თელავი].

თუ ძალადობის მსხვერპლია გოგო, მშობელმა უნდა წაავლოს ხელი და წაიყვანოს, თუ არ მიყავს, მაშინ ტყუის მშობელი. მამას თუ არ მიყავს, მაშინ ის კაცი არ არის და განწირულია შვილი [კაცი, 38 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი, სოფელი].

მყავს ძმა, რომელსაც ყავს თავისი ოჯახი, ბინა ეკუთვნის, ჩემი აზრით, უკვე ჩემს ძმას, რადგან ცხოვრობენ მშობლები, ძმა, რძალი, ძმისშვილები. ერთადერთი, მოვითხოვდი იმას, თუ საშუალება აქვთ, დამხმარებოდნენ, ცალკე გავსულიყავი, თუნდაც ქირით, თუნდაც გირით. მაგრამ ვთვლი, რომ ამ შემთხევვაში ჩემი მშობლები კი არ არიან ვალდებულები, რომ ეს გააკეთონ, ვალდებული უფრო არის ქმარი. თუ გაშორების საკითხი დგება, თავი უნდა შეიწუხოს,

აუცილებლად, მეუღლემ [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

იმ შემთხევვაშია დამნაშავე მშობელი, თუ ქონდა ამის საშუალება და არ მისცა (გოგოს ბინა - მ.ა), მარა, თუ არ ქონდა ორი ბინის ყიდვის უნარი, მაშინ არა. წილს არ მოვითხოვ ამ შემთხვევაში, უბრალოდ, ან ავიტან პრობლემებს, ან მშობლებთან დავბრუნდები [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

მშობლის მხრიდანაც ერთგვარი ძალადობაა, თუ არ წამოიყვანენ შვილს იმის გამო, რომ სახლში არ დაუჯდეს ძმის ოჯახს. არის ნამდვილად ძალადობა, მშობელიც ხელშემწყობია ამ ძალადობის [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

მე მყავს ორი გოგო და დავუშვათ გავაჩინე ბიჭი და ჩემს შვილს შეხვდა ცუდი (მეუღლე - მ.ა.) იმის გულისთვის, რომ მე სახლში რძალია და ვერ მოვიდეს, ამას არ ვამართლებ, თუ საშუალება მექნებოდა, ცალკე ვუქირავებდი [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

კი მიმაჩნია, რა თქმა უნდა, ეს არის შვილის უფლებების შეზღუდვა, ის ადამიანი იჩაგრება და რა მნიშვნელობა აქვს ფიზიკურად დაიჩაგრება, თუ ისე [კაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

გაწირვა არა, ეს უფრო საშუალების მომენტია, თუ მექნება საშუალება ვუყიდიდი სახლს. იმ რაღაც მანქანას, იმას და იმას ვამჯობინებდი, მეყიდა სახლი. კი არის, ბევრი ვერ ხვდება ამას, არის მენტალიტეტიდან გამომდინარე გაზრდილები, ყოველთვის ესე იყო და თვლიან რომ ესე იქნება. შემორჩენილია ეგ ყველაფერი კიდევ. კი არის ძალადობა ნამდვილად, მაგრამ არ გვაქვს ბოლომდე გაცნობიერებული. არ აღვიქვავთ ისე მწვავედ, როგორც არის ეს სინამდვილეში [ქალი, 21 წლის, სტუდენტი, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი, სოფელი]/

ჩემს შემთხვევაში, მშობლების სახლში დავბრუნდი და მათი მხრიან არანაირი უარყოფითი დამოკიდებულება არ იყო. თუ არ ენდომებოდათ, რომ დავბრუნებულიყავი, მაშინ გამოვიყენებდი თავისთავად კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებას, შესაბამის ორგანოს მივმართავდი. მშობელის მხრიდან ის მიდგომა არაა სწორი ნამდვილად, როდესაც არათანაბარ პირობებში აყენებს გოგოს [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, ქმარს გაშორებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

მე რომ მქონდეს საშუალება, მიუხედავად სქესისა, ბიჭი მეყოლება, თუ გოგო, აუცილებლად ვუყიდიდი მეორე სახლსაც. თუ ერთი მაქვს, ისეა აშენებული, რომ იმას ორ ადამიანზე ვერ გაყოფ, მაშინ უნდა გაყიდო. ტრადიციაა ისეთი ძლიერი, რომ ამასთან ამ კანონმდებლობის შესაბამისობა შეუძლებელია. მაგრამ, ამ ბოლო ხანებში, ქალები უფრო არჩენენ ოჯახს და ამის გამო ენებიც დაიგრძელეს, კაცები უფრო გაზარმაცდნენ. ადრე კაცი იყო მეომარი, მებრძოლი, ეხლა კი ქალები მართავენ ოჯახებს. მშობლის მხრიდან აქვს თუ არა ძალადობას ამას ბევრი კუთხით უნდა შევხედოთ, ჩვენ ვეუბნებით მშობლები, რომ თუ გაუსაძლისი არაა რომ მოითმინოს, თუ იქამდე მივიდა საქმე, მაშინ უნდა წამოიყვანო, თორემ მარტო კაპრიზების გამო წამოვიდეს, ეს არაა გამართლებული [მამაკაცი, 54 წლის, უმაღლესი განათლების, დასაქმებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

არ არის სამართლიანი, იმიტომ რომ ქალი ხშირ შემთხვევაში დაჩაგრულ მდგომარეობაში გადადის. თუ კაცს გადაეცა ყველაფერი, მიიჩნევა, ქალი რომ გათხოვდება ქმრის ოჯახში მიდის და მასზეა დამოკიდებული. ხშირი შემთხვევაა, როცა ქალს გაშორება უნდა და მატერიალური დამოუკიდებლობა რომ არ აქვს, ხშირად უწევს ძალადობის ატანა. რომ გაშორდეს, უხეშად რომ ვთქვათ, არ აქვს არაფერი. იმიტომ რომ მშობლებმა ყველაფერი დაუტოვეს ბიჭს და თვითონ დატოვეს ხელცარიელი, ამიტომ არ არის სამართლიანი [კაცი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

ამაზე არ ფიქრობ რატომღაც ადამიანი, შეიძლება ბოლოს უკვე დაგვიანებულიც იყოს და ჯობდა თავიდანვე მიგეცა (ქონების ნაწილი ქალიშვილისთვის - მ. ა.). მე ჩემს შვილთან ისე მოვაგვარებდი საქმეს, რომ მას თავისი პატარა კუთხე ჰქონდეს. გოგო უფრო უსუსურია [ქალი, 40 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

რესპონდენტების ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს სტერეოტიპი ქალებშიც მყარადაა ფესვგადგმული და აცხადებენ, რომ ისინი ქმართან გაყრის შემთხვევაში, მშობლებს არ მოსთხოვდნენ წილს, რადგან თვითონაც თვლიან, რომ სახლ-კარი ძმისაა. მშობლების გარდა, არც რძლებს ,,სიამოვნებთ" მულის ოჯახში მობრუნება და მას ზედმეტად თვლიან მშობლიურ ოჯახში. ქალები აცხადებენ, რომ ეცდებოდნენ, თავი თვითონ დაემკვიდრებინათ, იმ შემთხვევაში თუ გაუჭირდებოდათ, მშობლებს სთხოვდნენ დახმარებას ბინის დაქირავებას ან დაგირავებაში, თუმცა ვერ აიძულებდნენ, თუ მათი მხრიდან კეთილი ნება არ იქნებოდა.

ზოგ რესპონდენტს გულის სიღრმეში წილის მოთხოვნა უნდა, მაგრამ ამას ძალადობის შემთხვევაშიც კი ვერ ბედავს, რადგან ,,ადამიანობა" არ აძლევს საშუალებას.

ქალები თვლიან, რომ სხვადასხვა მიზეზით ოჯახის დანგრევის შემთხვევაში, მათ შორის ძალადობის საფუძველზეც, მათი და შვილების საცხოვრებლით უზრუნველყოფა ქმრის ოჯახის მოვალეობაა და არა ქალის მშობლების ოჯახისა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქალიშვილის დედ-მამა გამოთქვამს მისი დახმარების მზადყოფნას, ქალები "ძმის სასარგებლოდ" უარს ამბობენ ამაზე.

ზოგჯერ ქალებს მშობლები ადრეულ ასაკში დაოჯახებას აიძულებენ, განსაკუთრებით სოფლად. ასეთ დროს ხშირია ოჯახების დანგრევის შემთხვევებიც, თუმცა მშობლები ამ შემთხვევაშიც ქალიშვილს ქმრის ოჯახში დარჩენას აიძულებენ.

მაგრამ. თუ გოგო მაინც დაბრუნდა ოჯახში, აუცილებლად წამოაძახებენ, რომ აქ მისი ადგილი არ არის და მხოლოდ დროებით ცხოვრობს.

მშობლების მხრიდან, კეთილ ნებად აღიქმება ისიც კი, თუ ქალიშვილს მეუღლესთან გაყრის შემთხვევაში უკან დაბრუნების უფლება მისცა და საცხოვრისად ,,ერთი ოთახი" გამოუყო. ასეთ დროს მშობელს მხოლოდ მაშინ ადანაშაულებენ, თუ მას ჰქონდა საშუალება, მაგრამ მაინც არ შეუძინა ქალიშვილს უძრავი ქონება.

ამერიკაში მცხოვრები ქართველები უფრო უკეთ ხვდებიან, რომ ასეთ შემთხვევებში ყველაზე მკვეთრად იგრძნობა ქალის დისკრიმინირებული მდგომარეობა და სტატუსი. თუმცა წინსწრებით პრევენციული გადაწყვეტილებების მიღება მაინც უჭირთ.

მემკვიდრეობის უფლების დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობა

რესპონდენტების ნაწილი მეტ-ნაკლებად ფლობს მემკვიდრეობის განაწილების საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ ინფორმაციას, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც არ იცის ამის თაობაზე არაფერი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეობის შესახებ კანონმდებლობაში გათვითცნობიერებულობა ნაკლებად განსაზღვრავს ქალების მზაობას, მიმართოს სასამართლოს. ისინი ძმასთან ქონებაზე დავას სასამართლოში არ გეგმავენ.

ჩემს ძმას არ ჩავუდგები ჯიბრში. ჩხუბს და კონფლიქტს თავს ავარიდებ [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი.]

არ გვაქვს ისეთი დაძმობა, რომ მაგაზე სადაო გავხადოთ. არ მეკუთვნის, ნუ მეკუთვნის, (მემკვიდრეობა - მ.ა.) ღმერთი ყველას მიხედავს [ქალი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

არა, არ მივმართავ (სასამართლოს - მ.ა.). ისიც, რომ არ მოეცათ, რაც მომცეს, მე არ მოვითხოვდი. არც სასამართლოს არ მივმართავ, იმიტომ რომ არ გავაფუჭებდი იმ ურთიერთობებს, რაც გვაქვს, რომელიც ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ნებისმიერი ქონება. სასამართლოს როცა მიმართავ და რაღაცას მოითხოვ, იქ უკვე ურთიერთობები ფუჭდება [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებეული, ქუთაისი].

დღეს საერთოდ კავშირი არ აქვს მზითვს და მემკვიდრეობას. ეხლა მე რომ მივიდე და მოვითხოვო ის ბინა, შეიძლება არც არავინ არ გაბრაზდეს, მაგრამ ერთ ბინას რომ შლი, ნიშნავს

რომ მოგივა ბევრად ცუდი ბინა და გამოდის, რომ გამოყარე ისინი სახლიდან, ამიტომ ცივილურად არ გამოდის. მე გავთხოვდი მარტო, იმათთვის ხომ არ დამთავრდა ცხოვრება, იქნებ ისინი შორდებიან, ხომ ვერ ვეტყვი, მე ჩემი მომეცით და თქვენ კარგად იყავით. ამ ეტაპზე მე რაც მჭირდებოდა, მომცეს და შემდეგისთვის კიდევ მომცემენ. მე თუ ჩემი მეოთხედი მოვითხოვე ეხლა და წავედი, მომავალში თუ მილიონს იშოვიან, კარგად იყავიო მეტყვიან. ვიცი, რომ ამ საკითხებზე ბევრი დავაა ხოლმე. დედაჩემმა რაც მომცა: ბეჭედი თუ სერვიზი, არ წამომიღია, დღემდე იქ არის, დედაჩემი მეუბნება, სანამ რძალი შემოსულა, წაიღეო, თორემ მერე ვეღარო, რძალი ჩათვლის რომ თავისიაო [28 წლის, უმაღლესი განათლებით, ამჟამად დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი]

არა, რას ამბობ, ღმერთმა დამიფაროს (სასამართლოსთვის მიმართვა - მ.ა.). ეგ რა შუაშია. არ მივიჩნევ ამ საქციელს სწორად და საზოგადოებაც უარყოფითად აღიქვამს. სასამართლოს გზით არა, ისე ვთხოვდი დახმარებას. არ ვიცი, რას ვიზავდი, მე ესეთ ოჯახში არ გავზრდილვარ და არ ვიცი, ვერ გეტყვით. მე ყოველთვის მაქვს ჩემი ოჯახის იმედი. რამის მოთხოვნა ჩემი სტილი არ არის [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

რომ ვიცოდე, რომ ნახევარი მეკუთვნის, მაინც ვერ მოვითხოვ. ჩვენ სხვანაირი დედმამიშვილობა გვაქვს, ჩემი ძმა ყველანაირად გვერდში მიდგას. და ვერ წარმომიდგენია შევეცილო. ჩემს ძმას თქმა არც უნდა, თვითონვე დამეხმარება. თხოვნა არც დამჭირდება, ისე დამეხმარება [ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული ქუთაისი].

არა, სასამართლო ხანგრძლივი, დამღლელი პროცესია და თან უსამართლო [ქალი, 36 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

არა და შენ წარმოიდგინე პირველად დამაფიქრე. რომც ვიცოდე, არაფერს შევცვლიდი, სირცხვილია, ჩემს ძმას რამეში შევედავო, ეგ როგორ უნდა გავაკეთო, არ მესმის. მაინც ქართული მენტალიტეტია, ხალხიც ვერ გაიგებს ამას სწორად. და არც მე ვიზამ, ხალხის გამო არა, შეგნება არ მომცემს ამის საშუალებას. თუ დავინახავ, რომ ჩემს ძმას არ ედარდება ჩემი მშობლები, მოვთხოვ, რომ გავყოთ და ცალკე გავიყვან ისევ მშობლებს, მერე ის ბინა თავისთავად მე დამრჩება, როცა ცოცხლები აღარ იქნებიან. მხოლოდ მაგ შემთხვევაში მოვითხოვ. სხვა შემთხევვაში რატომ არ მოვითხოვდი, მაგაზე არ მიფიქრია. მიამიტი ვარ ალბათ ძაან. იმდენად მიყვარს ჩემი ძმა, ბინის გამო რატომ უნდა დავუპირისპირდე. მე მყავს ქმარი და მაქვს ორი ხელი [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ თუ გაუსაძლისი მდგომარეობა მექნება, შეიძლება დავუშვა ეგეც (სასამართლოსთვის მიმართვა - მ.ა). გაუსაძლის მდგომარეობაში ვგულისხმობ რძალთან კონფლიქტს, და ა.შ. [ქალი, 45 წლის. უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი.]

სასამართლოს არ მივმართავდი, უფრო საკუთარ თავს ვუსაყვედურებდი, რატომ არ გავხდი ღირსი, მოეცათ. მშობლებს არ ვუსაყვედურებდი, არც მოვთხოვდი, არ ვარ ბუნებით ესეთი, რომ ვინმეს რამე მოვთხოვო. ოჯახური რაღაც არის, ის რაც ოჯახში ხდება, არ მგონია, რომ სასამართლომდე უნდა მივიდეს. მე ვთვლი, რომ ჩემზე უფროსმა ჩემზე მეტი იცის და იცის, ვის როგორ გაუნაწილოს. ძალით წართმეული ისედაც არ შემერგება [ქალი, 32 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, ქუთაისი].

ასე წინასწარ არ ვიცი სიმართლე გითხრათ, ალბათ ვიბრძოლებდი უფლებებისთვის, იმიტომ რომ თუ მეკუთვნის, მე მგონი უნდა მოვითხოვო [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, ქუთაისი].

სულ რომ ქუჩაში დავრჩე, მაგას არ მოვითხოვ. ეს ქართული მენტალიტეტის ბრალია. ალბათ, ძმის სიყვარულიც არის. ალბათ, ვისაც არ უნდა კითხო, ყველა მაგას გიპასუხებს. შეიძლება კანონით არის გათვალისწინებული, მაგრამ ჩემთვის ადამიანური თვალსაზრისით მიუღებელია [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

სასამართლოთი მაინც არ მოვითხოვდი, შეიძლება მეთხოვა ჩემზე გააფორმეთ. არ მოვითხოვდი [ქალი, 28 წლის დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

ქალების უმრავლესობა განურჩევლად იმისა, იცის თუ არა კანონი მემკვიდრეობის შესახებ, აცხადებს, რომ არ აპირებს უჩივლოს ძმას სასამართლოში. ქალები ,,ღმერთს მფარველობას" სთხოვენ, რომ დაიცვას ასეთი ცუდი საქციელისგან, რომელსაც საზოგადოებაც ცუდად შეაფასებს. დები ძმასთან ურთიერთობის გაფუჭებას გაურბიან და ამბობენ, რომ სასამართლოში არ უჩივლებდნენ, რადგან "სხვანაირი" დაძმობა აქვთ.

რიგ შემთხვევებში, ქალები, მიუხედავად იმისა, რომ უკმაყოფილონი არიან მშობლების მიერ მემკვიდრეობის განაწილების გადაწყვეტილებით, მაინც მიიჩნევენ რომ სასამართლოში ჩივილი მიუღებელია და ამას მაშინაც კი არ გააკეთებდნენ, სულ რომ არაფერი მიეღოთ ოჯახიდან.

რესპონდენტების ნაწილი სასამართლოს არ მიმართავდა საკუთარი სამემკვიდრეო წილის მისაღებად იმიტომ, რომ ქართული ტრადიციებს პატივს სცემს და სხვა მენტალიტეტი აქვს. ზოგიც აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში მის ოჯახს რესურსი რომ ჰყოფნოდა, მას თავადვე დაეხმარებოდნენ და შესაბამისად სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველს ვერ ხედავს; თუმცა მანამდე ამბობს, რომ მის ძმას საკმაოდ დიდი ქონება დარჩა მშობლებისგან და მას ქმრის ოჯახში ძალიან უჭირს ეკონომიურად.

ერთი რესპონდენტია მხოლოდ მზად, საჭიროების შემთხვევაში, მემკვიდრეობის უფლება სასამართლოში დაიცვას, თუმცა აღსანიშნავია, რომ მას მხოლოდ ერთი და ჰყავს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მას ჰყავს სამი შვილი, აქედან ერთი ვაჟი და თვითონაც ტრადიციისამებრ უპირატესობას მას ანიჭებს ქალიშვილებთან მიმართებით.

საზოგადოების დამოკიდებულება დის მიერ მემკვიდრეობის წილის მოთხოვნის ან სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში:

საზოგადოების დამოკიდებულებას ადამიანის მოქმედებაზე დიდი გავლენა აქვს. ინდივიდი, განსაკუთრებით კოლექტივისტურ საზოგადოებაში, ცდილობს, გაამართლოს სხვისი მოლოდინები. სოციუმის ზემოქმედება ხშირ შემთხვევაში პიროვნების ქცევის განმსაზღვრელი ხდება. საქართველოში საზოგადოების ,,ჩარევა" ინდივიდის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ტრადიციების დარღვევას კი უარყოფითად აფასებს და გაკიცხვის საგნად ხდის.

საზოგადოებას არავინ ეკითხება ამ შემთხვევაში, ეგ ჩემი და ჩემი ძმის გადასაწყვეტია, მაგრამ საქართველოში ყველა ცხვირს ყოფს ყველგან და შეიძლება ვიღაც გამოჩნდეს და დაიწყოს რაღაცეები [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

ქუთაისი განსხვავებული ქალაქია იმ მხრივ, რომ ტრადიციებს ძალიან აფასებენ. მეც მომიწია რაღაც ტრადიციების დარღვევა და საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას ვგრძნობდი ძალიან. არა მარტო ასაკოვანი ხალხისგან, არამედ ახალგაზრდებისგან და მეც იძულებული გავხდი ან შემერბილებინა, ან რაღაცაზე უარი მეთქვა [კაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ვიტყოდი, რომ უი რა მაგარია, იმიტომ რომ ძაან ბევრი არ გააკეთებს მაგას. დადებითად შევაფასებდი. .ჩემი ასაკის გოგონებისთვის და ბიჭებისთვის უფრო არ იქნებოდა ისეთი მწვავე, მაგრამ უფროსი ასაკისთვის უფრო იქნება [ქალი, 21 წლის, სტუდენტი, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი, სოფელი].

ქართველები ესეთები ვართ. არ იქნება კარგი შთაბეჭდილება, რომ და შეეცილოს, წილი მოითხოვოს [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული. თელავი]

ერთი მეზობელი მყავს, ძმა ჰყავს, რომელმაც ბინა გაიფორმა, მშობლები აღარ ჰყავთ, და ამ გოგომ მოითხოვა გაეყოთ, იურისტია და კანონებს კარგად იცნობს, ძმამ უარი უთხრა, მაგრამ სასამრთლომ დააკმაყოფილა დის მოთხოვნა, გაყიდეს ბინა და გაინაწილეს აღებული თანხა, ბიჭი გირაოთია მგონი ეხლა და გოგომაც თუ არ ვცდები, გირით აიღო ბინა, ცალკე საცხოვრებელი არ ჰქონდა ცოლ-ქმარს და მასე გავიდნენ, მშობლებთან რომ არ უნდოდათ. ხალხმა სიმართლე გითხათ ზოგმა ბევრი იჭორავა, მაგრამ ზოგმა გაამართლა, ვინც ასე თუ ისე ერკვევა საქმეში. საზოგადოების პრობლემა ინფორმაციის ნაკლებობაა. [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

კომუნისტების დროს იყო ერთი ასეთი სპექტაკლი „რას იტყვის ხალხი", და ეს იყო მომართული იმისკენ, რომ ყველა აკეთებდა ისე, რომ რას იტყვის ხალხი და ამ დროს აკეთებდნენ

სისულელეებს [ქალი, 53 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

მეზობელი რა შუაშია, რა უნდა თქვას, დამ მოითხოვა თავისი წილი და მეზობელი რა შუაშია. საქართველოში მიდის მერე ჭორაობა. აქ არ ადარდებთ საერთოდ, ვინ რა მოითხოვა და ფანჯრის იქით რა ხდება. არაა სწორი, რა თქმა უნდა, რა მეზობლის და საზოგადოების სალაპარაკოა და– ძმა როგორ იყოფს ქონებას. მე რაც მსმენია უარყოფითი დამოკიდებულებაა [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, ქმარს გაშორებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

რესპონდეტების უმრავლესობა აცხადებს, რომ დის მიერ ძმისთვის წილის მოთხოვნას საზოგადოება უარყოფითად შეაფასებს. თვითონაც, ხშირ შემთხვევაში, არ ამართლებენ ქალებს, რომლებიც გათხოვილები არიან, ,,საკუთარი ჭერი" აქვთ და ძმას ქონებას ეცილებიან.

რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ დის მიერ წილის მოთხოვნას უფროსი თაობა უფრო ნეგატიურად შეაფასებს, ვიდრე ახალგაზრდობა. ზოგიც თვითონ მართალია, არ შეედავებოდა ძმას ქონებას, მაგრამ სხვა დის ასეთ ქმედებას პოზიტიურად შეაფასებდა და მოეწონებოდა კიდეც, რადგან დებისგან ამას გაბედულ საქციელად ჩათვლის, რადგან საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობაა და ეს შესაძლოა სხვებისთვისაც კარგი მაგალითი გამოდგეს.

მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში ქალების ცხოვრების ცვილებები

რესპონდენტთა ნაწილი თვლის, რომ მათი მშობლების ქონება იმდენად მწირია, რომ წილის მიღების შემთხვევაში დიდად არაფერი შეიცვლებოდა. გამოკითხულთა ნაწილს ურჩევნია საზოგადოებაში პირადი წარმატების საფუძველზე დამკვიდრდეს და ამას კავშირი მემკვიდრეობასთან ნაკლებად ჰქონდეს. უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ ქალების ცხოვრება მემკვიდრეობის წილის მიღების შემთხვევაში ბევრად გაუმჯობესდებოდა, როგორც მატერიალური მდგომარეობით, ასევე სტატუსით საზოგადოებაში.

ჩემი ცხოვრება არანაირად არ შეიცვლებოდა. მე რომ ვიყო მილიონერის შვილი, მაგ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან შეგიძლია შენი დამოუკიდებელი ცხოვრება აიწყო. ამ შემთხვევაში კი, მემკვიდრეობას მივიღებდი თუ არ მივიღებდი, მე მაინც ესე ვიქნებოდი, რა დონეზეც ეხლა ვარ, დამოუკიდებელი [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, ამჟამად დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

უფრო მეტი შემოსავალი მექნებოდა. ვთქვათ ამ ეტაპზე მივიღებდი ბინას [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, ქუთაისი].

არ მგონია დიდი განსხვავება იყოს, ჩემთვის პირადად თუ რამე შეიცვლებოდა, არ მგონია. მე რაც მინდა და რაც მჭირდება, მირჩევნია თვითონ ჩემი შრომით და ჩემი გაკეთებული იყოს და არა მაინც და მაინც მშობლებისგან მიღებული მემკვიდრეობა ან მზითვები [ქალი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

რა თქმა უნდა, შეცვლიდა. არ მექნებოდა იმხელა ტვირთი, რაც მაქვს დღესდღეობით. რაიონში გვაქვს ძირითადი ოჯახი, დიდი სამსართულიანი სახლი, ნაწილობრივ აქ უნდა იყოთ რადგან ეს ოჯახი თქვენ გრჩებათ და ასეთი საუბრებია ხოლმე, მაგრამ ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის რთულია ეს, მე პედაგოგი ვარ, მეუღლე მსახიობი, და გვინდა ქალაქისკენ ვიყოთ და იწვევს დიდ პრობლემებს. არც შაბათ-კვირა არსებობს ჩვენთვის და არც შუაკვირა და ვართ ესე. თანაბრად რო გაეყოთ, უფრო გამიზნულად გამოვიყენებდი, როგორც გვინდოდა და როგორც გვაწყობდა[ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

დედაჩემი ყოველთვის ამბობს რომ უფრო მეტი თუ ექნება, ბინას მიყიდის, მასე რომ მოხდეს ალბათ ჩემი ცალკე ჭერი მექნება, მაგრამ თუ ასე არ იქნება, არც არაფერი დაშავდება, ჩემით მივაღწევ [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი დაოჯახებული, თელავი].

ალბათ, კარგი იქნებოდა მიმეღო მემკვიდრეობა, იმიტომ რომ მე მჭირდება ჩემი კუთხე [ქალი, 45 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

მე თუ მივიღებდი, ჩემი ცხოვრება გაცილებით უკეთ წარიმართებოდა, სულ სხვანაირად [ქალი, 45 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

პირველ რიგში, უფრო დამოუკიდებელი იქნებოდა და თავისუფალი (ქალი - მ.ა). რამდენიმე ხმაურიანი პრეცენდენტი უნდა მოხდეს და მერე უკვე ალბათ გარდაუვალი იქნება ეს [კაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ალბათ უფრო მაღალი სტატუსის მქონე ქალები იქნებოდნენ. მაგრამ ესე არ ხდება ჯერჯერობით, გამონაკლისი ოჯახებიც იქნებიან ალბათ [ქალი, 19 წლის, უმუშევარი დაოჯახებული, სრული საშუალო განათლება, თელავი].

უფრო თავდაჯერებული იქნებოდა ქალი, ჩემი აზრით, ძალიან სწორი და კარგი გადაწყვეტილებაა, თანაბრად გაუყონ [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, რომ შეიცვლებოდა (ქალის ცხოვრება - მ.ა.), რომ ჰქონდეს ფინანსურად მყარი ბერკეტი [კაცი, 33 წლის უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

მე რომ ქონება მიმეღო მშობლებისგან, ჩემი ცხოვრება 100% -ით შეიცვლებოდა, იმიტომ რომ არსებობს ოჯახში კონფლიქტები, როცა შეიძლება, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდეს. მე ვფიქრობ, რომ მეც და სხვა ძალიან ბევრიც ოჯახს ინარჩუნებს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ არ აქვს სხვა გზა. ბინა რომ მქონოდა, შეიძლებოდა ოჯახი დამენგრია. ჩემი ცხოვრება მომეწყო ჩემთვის. აქვს მნიშვნელობა. შენს მეორე ნახევარსაც, ალბათ ეს ადამიანის ხარბი ბუნებიდან გამომდინარეა, რომ უფრო მეტი პატივისცემა აქვს, როცა იცის, რომ შენ შენი გაქვს და როცა არ გაქვს, ხელში უჭერიხარ. (ქმრები - მ.ა.) მანიპულირებენ ხშირად ამით [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

ალბათ, შეიცვლებოდა, გენდერული მდგომარეობა რა თქმა უნდა გათანაბრდებოდა და რა თქმა უნდა, ქალის სასარგებლოდ გათანაბრდებოდა [მამაკაცი, 42 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები]

ეს გენდერული უთანასწორობაა, ეს ცუდია, რა თქმა უნდა. მეტი ველურობა რა შეიძლება იყოს საქართველოში, გამოვირჩევით სხვებისგან ძალიან ცუდი ნიშნებით [მამაკაცი, 44 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, დასაქმებული, თელავი]

რეპოსნდენტთა უმრავლესობა, ქალებიც და კაცებიც, თვლიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქალი მშობლების მემკვიდრეობიდან თანაბარ წილს მიიღებდა, მათი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. ქალებს ექნებოდათ უფრო მაღალი სტატუსი და ამასთანავე, თავდაჯერებულნი გახდებოდნენ. იქნებოდნენ მატერიალურად უზრუნველყოფილნი და ექნებოდათ საკუთარი ჭერი.

ოჯახში კონფლიქტისა და ძალადობის შემთხვევაში ქალს ქმრის სახლში დარჩენა აღარ მოუწევდა, თუ თავისი ,,ჭერი" და ,,კუთხე'' ექნებოდა. ის აღარ მოითმენდა ძალადობას და ქმარს გაშორდებოდა.

რესპონდენტი მამაკაცები თვლიან, რომ უკეთესი იქნებოდა, ქალსაც მიეღო მემკვიდრეობით უძრავი ქონება, ეს, მათი თქმით, შეამცირებდა დაოჯახებისას ქალების მიერ ,,სახლკარიანი" კაცების მოძებნის შემთხვევებს. ქართული ტრადიცია კაცს არ აყენებს ხელსაყრელ მდგომარეობაში იმ შემთხვევაში, თუ მას მშობლებისგან არაფერი დარჩა, რადგან მიიჩნევა, რომ ცოლი სახლით ქმარმა უნდა უზრუნველყოს.

შედარებით მცირეა იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც თვლიან, მათ ცხოვრებას მემკვიდრეობის მიღება ნაკლებად შეცვლიდა, რამდენადაც მშობლების ქონება იმდენად მწირია, რომ ბევრიც არაფერი შეხვდებოდათ.

რესპონდენტების მშობლების მემკვიდრეობის განაწილების გამოცდილება

მშობლების მიერ მემკვიდრეობის განაწილების ისტორიები შვილებს კარგად ახსოვთ. უნდა ითქვას, რომ ტრადიცია დიდად არ არის შეცვლილი, შვილებისა და მშობლების ისტორიები ჰგავს კიდევაც ერთმანეთს.

ბაბუა როცა გარდაიცვალა, ბოლოს ავტომატურად მამაჩემზე გადაფორმდა ყველაფერი. მამას და ყავს, მამიდაჩემს არაფერი არ მოუთხოვია ნამდვილად. რაჭის სახლი მამაჩემმა მიიღო მემკვიდრეობით და იქვე ახლოს ქონდა მამიდაჩემსაც სახლი, ის სახლი გაიყიდა იმიტომ რომ ვერ მოუვლიდნენ და მოკლედ ის სახლი იყო მამიდაჩემის სახელზე. ვინ რა მიიღო და რა დახარჯა, ეგ არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ის სახლი მამიდაჩემის სახელზე იყო [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, ამჟამად დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

მამაჩემს ერთი ძმა ყავს. მამა უმცროსია და დარჩა იმ სახლში, სადაც დაიბადნენ. ბიძაჩემს სხვა სახლი აქვს და იქ ცხოვრობს. დედაჩემს ორი და ყავდა და ერთი ძმა, რომელსაც დარჩა ბინა [კაცი, 43 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი]

დედაჩემის და დეიდაჩემის მაგალითს გეტყვი - დეიდაჩემი ცხოვრობს საერთო ბინაში და დედაჩემი არის წამოსული სხვა ბინაში. ის კი ცხოვრობს იმ ბინაში, მაგრამ სამაგიეროდ რაღაცა მიიღო. მამა გარდაცვლილი ყავდა და გადაწყვიტა ყველაფერი დედამ. ეს მოხდა ძაან ბუნებრივად. პირველი გათხოვდა დეიდაჩემი, ბათუმში, სტუდენტები იყვნენ, ქმარიც, სწავლობდნენ თბილისში და ცხოვრობდნენ ამათთან, მერე დედაჩემი რომ გათხოვდა, ქუთაისელს გაყვა და ქუთაისში არ უცხოვრიათ ერთი დღე, ცხოვრობდნენ იმ სახლში ბებიაჩემთან და მერე ვიღაც უნდა გასულიყო ალბათ და ალბათ დედაჩემმა გადაწყვიტა, რომ ამათ ცალკე ბინა მიეღოთ და მიიღეს ბინა. ასე უმტკივნეულოდ ჩაიარა, წყენაც კი არ ჩანს. სიმართლე გითხრა, ვითომ გამოდის რომ დეიდაჩემს უკეთესი ბინა აქვს დღეს, მაგრამ იყო პერიოდი, როცა დეიდაჩემის ქმარი და სიდედრი ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ეს ცოტა უხერხულობის მომენტია [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

მე ჩემს დედამთილთან მქონდა საუბარი, როგორ იყო მიღებული ადრე. ჩემი დედამთილი არის ახალციხის რაიონიდან, და გათხოვდა სამეგრელოში. ქორწილამდე სამი დღით ადრე გოგოს მშობლებს უნდა მიეტანათ მზითვი აუცილებლად. ესე თუ არ მოხდებოდა, იყო დიდი სირცხვილი გოგოსთვის. მიიტანდა ყველას დასანახად და ყველა მეზობელს აჩვენებდნენ. აუცილებლად ახალი ტანსაცმელიც უნდა ყოფილიყო [ქალი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული თბილისი].

დედაჩემი არის დედისერთა, და მამას ყავს და, რომელიც ცხოვრობს ჩვენთან ერთად, განქორწინებულია. მამიდაჩემს აქვს თავისი ბინა, რომელიც მშობლებმა უყიდეს, მაგრამ მაინც

ვცხოვრობთ ერთად, ბინა რომ არ ეყიდათ, მაინც ჩვენთან იქნებოდა [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

დედაჩემის შემთხვევაში სამი და იყვნენ და თავიდანვე იგულისხმებოდა, რომ უფროს დას ყავს ორი ბიჭი და სახლი რჩება, დანარჩენს გოგოები ყავთ და პრეტენზია არასოდეს გამოუთქვამთ. ბებია დაიღუპა და ფაქტიურად ყველა წასულია, ამიტომ დედაჩემი მიდის პაპაჩემის მოსავლელად და იყო ლაპარაკი, რომ იმიტომ უვლიდა, რომ, სახლი უნდოდა დარჩენოდა. უარყოფითად მოიაზრებოდა ეს ფაქტი. გამიგია ისიც, რომ, როცა ორი ბიჭია სახლში, უფროსი უნდა წავიდეს და ბინა უმცროსს რჩება. მამაჩემის შემთხვევაში და–ძმანი არიან, სახლი დარჩა ბიჭს, მაგრამ მშობლები ყველანაირად დაეხმარნენ, რომ სახლი აეშენებინა ცალკე [ქალი, 23 წლის. უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

დედაჩემს ყავს და. მშობლების სახლი ჯერ არაა გაყოფილი, ორივე თანაბარი მოწილეა. მამასაც ძმა ყავს და ისინიც თანაბარი მოწილე არიან ბინის [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

ხშირად მესმოდა ხოლმე პატარა რომ ვიყავი, რომ ბებია-ბაბუას ყავდა ორი ბიჭი და ორი ქალიშვილი და როდესაც სოფლის მიტოვებულ სახლზე იყო საუბარი, ამბობდნენ გოგოებსაც მივცეთ წილი, დედაჩემს და დეიდაჩემს. მაგრამ, მაინც ამბობდნენ ისინი, რომ ხალხი რას იტყვის, იმიტომ რომ ბიჭს ეკუთვნის კერძო საკუთრება [ქალი, 45 წლის. უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

დედაჩემის ძმა საზღვარგარეთ არის და ყველაფერს ითხოვს თავისზე დამტკიცდეს და 1 % არ განიხილავს, რომ რაღაც დედაჩემსაც მისცეს, მით უმეტეს რომ სულ დედა უვლის მშობლებს და მის ძმას არანაირი ამაგი არ აქვს. ყოფილა, ამის გამო რაღაც კონფლიქტი ან რაღაც, და ბაბუჩემს უთქვამს დედაჩემისთვის რა გინდა, შენ წადი შენს ოჯახშიო. დედას უნდა, რომ გაყიდონ ბინა და აიღოს წილი [მამაკაცი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

დედაჩემს ყავს ძმა, რომ წამოვიდა, რა თქმა უნდა, წილი არ მოუთხოვია, უყიდეს რაღაც-რაღაცეები. მამაჩემს ყავს ორი ძმა, ერთ ძმას თბილისში უყიდეს ბინა და იქ გადავიდა, მეორე ძმა ცხოვრობდა ჩვენს სახლში, მერე ააშენეს სახლი ჩვენს მეზობლად და გადავიდა იქ, მამაჩემი დარჩა მშობლების სახლში [ქალი, 21 წლის, სტუდენტი, უმუშევარი, თელავი. სოფელი].

მამას ყავს დაც და ძმაც. როგორც მახსოვს მამაჩემს მანქანა მისცეს და დაეხმარნენ ცალკე გასულიყო. უფროსი იყო მამა და ის სახლი და ყველაფერი უმცროს ძმას დარჩა, რა თქმა უნდა. მამაჩემი უკმაყოფილოა. დას არაფერი, რაღაც მზითვებს კი მისცემდნენ, ალბათ, მგონი ფული აჩუქეს. მამა იმიტომ იყო უკმაყოფილო, რომ წამოსვლა მოუხდა და მაინცდამაინც ისე არ დაეხმარნენ, როგორც საჭირო იყო [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

შვილები აცხადებენ, რომ მშობლების შემთხვევაშიც უძრავი ქონება კაცს დარჩა, მაშინაც კი, თუ ოჯახს რამდენიმე უძრავი ქონება ჰქონდა. გენდერული დისბალანსი

ცხადი ხდება, როცა ოჯახში ორი და და ერთი ძმაა, ან ორი ძმა და ერთი დაა. ამ დროს ყველაზე ცხადად ჩანს ქალის მზითვის ანაბრად დატოვების პრაქტიკა. პირველ შემთხვევაში, ძმას რჩება ყველაფერი და დები თხოვდებიან; მეორე შემთხვევაში მოიაზრება, რომ ოჯახს ორი უძრავი ქონება სჭირდება ვაჟიშვილების უზრუნველსაყოფად. თუ ქალი გასათხოვარი დარჩა ან ქმარს გაცილებულია, მაშინ ის ძმის ოჯახში, რომელიც მშობლების დანატოვარ სახლში ცხოვრობს, გადადის. როდესაც მშობლები გათხოვილ ქალს მხარში უდგანან, ძმის ოჯახის წევრებისგან ეს ფასდება ,,მამიდაზე გადაყოლად", მაშინ როდესაც რეალურად ქონება კაცს რჩება და ქალის დახმარება მასთან მიმართებით უმნიშვნელოა.

ოჯახში ერთი სქესის შვილების შემთხვევა ტრადიციულად მშვიდად რეგულირდება, რამდენადაც ნაგულისხმევია, რომ ქონება თანაბრად უნდა გაიყოს. დების შემთხვევაში ამ დროსაც ვხვდებით შემთხვევას, თუ ერთ დას ბიჭი ან რამდენიმე ბიჭი ყავს, მას მშობლების მემკვიდრეობის გადაცემისას უპირატესობა აქვს. ასევე, თუ უმცროსი და ოჯახში დარჩა და თან მშობლების მოვლის ვალდებულებაც აიღო, ქონება მას რჩება. მაგრამ ,,ჩასიძება" მაინც ნეგატიურად აღქმული მოვლენაა, „სიდედრთან ცხოვრება უხერხულია".

მემკვიდრეობის განაწილება და ვალდებულება მშობლების მიმართ

მშობლების მიერ შვილებისთვის მემკვიდრეობისა თუ მზითვის მიცემის ტრადიცია, მეორეს მხრივ, წარმოშობს მათი მოვლისა და პატრონობის პასუხისმგებლობას. მშობლები ,,პატრონად" ვაჟიშვილს მიიჩნევენ, მათ უძრავი ქონებით, თუ სხვა მატერიალური დოვლათით უზრუნველყოფენ, თუმცა სანაცვლოდ სიბერეში მათი მოვლა კაცის ვალდებულებად მიაჩნიათ.

მემკვიდრეობის არ ვიცი. დღესაც, რაც მჭირდება, მეხმარებიან, მაგრამ ვცდილობ, არ გავაგებინო, რადგან საერთოდ ესეა, როცა მატერიალურად გეხმარებიან, შენს ცხოვრებაშიც მეტად ერევიან [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

თუ ბიჭს უტოვებენ ამ ყველაფერს, ბიჭს პასუხისმგებლობასაც აკისრებენ, რომ უნდა მიხედოს მშობლებს. მე მაგალითად კომაროვი დავამთავრე, ჩემმა ქმარმაც თეატრალური და მეგონა ავტომატურად თბილისში დავრჩებოდით, მე არც ვიცოდი, თუ ქუთაისში თეატრი იყო, მაგრამ ნურას უკაცრავად, არც იფიქროთო და წამოვედით აქეთ. ანუ ეს იყო ძაან დიდი წნეხი. კარგი ისაა, რომ არ ფიქრობ, რომ გაქვს შესაძენი, და ცუდი ისაა, რომ შენს ჭკუაზე ვერ ხარ. შრომატევადია, პასუხისმგებლობაა, მაგრამ გამართული ხარ, რომ არ ზრუნავ ახლის (ბინის - მ.ა.) შეძენაზე [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ვთვლი ვალდებულად თავს, ჩემებს მივხედო, თუნდაც იმიტომ, რომ, რაც გავთხოვდი, მატერიალურად გვერდში მიდგანან [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

იყო ერთი შემთხვევა, როდესაც ოჯახში იყო სამი ძმა. უფროსს დაუმტკიცეს რაღაც ბუდრუგანა ბინა, სადაც ადამიანი ვერ იცხოვრებდა, პატარას დიდი სახლი, ხოლო შუათანას, რომელმაც ყველანაირად მიხედა მშობლებს წამლებით და ა.შ, მერე დამარხა, მას არაფერი მისცეს და თავის თავს თვითონ მიხედა. თავისი პროფესიით მიაღწია და ეხლა ორივე ძმას თვითონ ეხმარება [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი დაოჯახებული, თელავი].

მე მივიღე მემკვიდრეობა ჩემი მშობლებისგან, ჩვენ გვაქვს ოჯახის სახლი, მაგრამ ბებია-ბაბუის ბინა არის ჩემს სახელზე. დედაჩემის მშობლები ხშირად ჩვენთან იყვნენ, რატომღაც გადაწყვიტეს ასე და პირდაპირ მე მომცეს (ბინა - მ.ა.) [ქალი, 45 წლის. უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

არ დავწვრილმანდები ძალიან, მაგრამ ძირითადად ვეცდები, რომ თანაბარი იყოს. ერთი ბიჭი მყავს და ორი გოგო და თავისთავად ვეცდები, რომ, ჩვენთან არის ეს მენტალიტეტი, ბიჭი თავისთავად უნდა დარჩეს დედასთან, ანუ ბინა დარჩეს ბიჭს. ახალგაზრდებს თავისებურად უნდათ ყველაფერი და ვეცდებოდი, რომ თავიდან მაინც ცოტა ხნით ყოფილიყვნენ ცალკე. მე ძალიან მინდა, რომ იყოს ჩემთან ბიჭიც და რძალიც, იმიტომ რომ ჩემი მშობლებიდან ვიცი, რომ ეს არის საშინელება, ორივე გოგონა წამოსულები ვართ ჩვენს ოჯახებში და იციან, რომ შეიძლება ორი კვირაც ვერ მივიდეთ. არ მინდა, მეც ასე ვიყო. შეგუების მომენტი სანამ იქნება ქმართან, ვეცდები ის პერიოდი მაინც რამოდენიმე წელი იყვნენ ცალკე. ერთი შემთხვევა იყო, დედამ გაყიდა სახლი, რადგან გოგო გათხოვდა და გაყო შუაზე, რაც იყო თანხა, ნახევარი ბიჭს მისცა, ნახევარი გოგოს. ბიჭმა ცალკე იყიდა ბინა და მშობელი მასთან წავიდა საცხოვრებლად. კი, მესმის, შვილია ორივე, ორივეს თანაბრად გაუნაწილა ეს ერთი მხრიდან, მაგრამ მეორე მხრიდან არის ის, რომ მე ვფიქრობ, ბიჭს მეტი ეკუთვნოდა, რადგან ამ ბიჭთან ცხოვრობენ და ისინი ინახავენ უკვე ათი წელია და იმ გოგომ წაიღო თავისი ფული და წავიდა. ეს არასწორია. ბიჭს მეტი უნდა ხვდებოდეს, იმიტომ რომ ამ ათი წლის მანძილზე და კიდევ შემდეგი წლები ამ ბიჭის კისერზე იქნებიან მშობლები. ან ქალიშვილმაც უნდა წაიყვანოს და როგორც ბიჭი ხედავს, ისე გოგომაც უნდა მიხედოს [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, ქუთაისი].

ყველა ახალგაზრდა თავის მეორენახევართან ერთად თუ ცალკე უნდა ყიდულობდეს საცხოვრებელს და შემდეგ უკვე, როცა მშობლები გარდაიცვლებიან, უნდა ხდებოდეს ბინის თანაბრად გაყოფა. ეხლა მამიდამ, რომ რამე მოითხოვოს, აღარ გვრჩება ჩვენ. ამიტომ იძულებულია და ვერც იტყვის, ასე გამოდის, და მშობლებს ცალკე რომ ეყიდათ მისთვის, დარწმუნებული ვარ, პრეტენზია გაუჩნდებოდა. სამართლიანადაც. მოვლასთანაც ასოცირდება იცით, ეხლა მამიდაჩემმა რომ თქვას: ნახევარი ჩემიაო, როცა მამაჩემი უვლის 30 წელია ოჯახს და

მამიდა არაფერ შუაშია, არასწორი იქნება. ამიტომ არის ანდერძის შედგენა კარგი და მშობელმა იმის მიხედვით, ვინ როგორ მიაქცია ყურადღება, იქ გაუნაწილოს. ერთი შემთხვევა იყო, ძმები იყვნენ, დედის სიცოცხლეშივე გაყიდეს ბინა, გაიყვეს თანაბრად და დედა სათნოების სახლში მიაბარეს. იმ ქალის ბრალია, რომ ნება მისცა გაყიდვის, მაგრამ შვილი როცა მოგთაფლავს და ერთიორ კაი სიტყვას გეტყვის, ძნელია წინააღმდეგობის გაწევა [მამაკაცი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

მაინც ჩემი ძმის მისახედი უფრო იქნება ჩემი მშობლები, ცოლს რომ მოიყვანს, მართალია, ახლოს ვარ გათხოვილი, მაგრამ მაინც. მე ჩემი ოჯახი მაქვს და მაინც ვერ მივაქცევ იმდენ ყურადღებას, როგორც იქ რძალი და ჩემი ძმა. ბიჭს კი რჩება ქონება, მაგრამ პასუხისმგებლობაც აქვს გოგოზე მეტი [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

კარგი ისტორიები გამახსენდა, ჩემს დედამთილს ყავს ერთი და. როდესაც მამა დაეღუპათ, იყო გაჭირვება, ორივე გათხოვილები იყვნენ. მიხედეს, რაც საჭირო იყო, დასაფლავება და ა.შ. ანუ ჩემმა მამამთილმა. რადგან ასე იყო, ჩემი დედამთილის დედამ გადაწყვიტა, ბინა დაეტოვებინა თორნიკესთვის. ბებია თავიდანვე მეუბნებოდა, რომ ბინა თორნიკეს დავუტოვეო და ნანას პრეტენზია საერთოდ არ გამოუთქვამსო, ანუ დებს შორის მანამდე არაფერი იყო საერთოდ. თორნიკე არის შვილიშვილი, ანუ ჩემი მეუღლე. მიუხედავად იმისა, რომ ნანას ყავს ორი ბიჭი და აქვს ერთი ბინა, ხომ შეიძლებოდა გაეთვალისწინებინა, მაგრამ ესე გადაწყვიტა [ქალი, 21 წლის, სტუდენტი, უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

არ ვიცი, ეგ არასწორია. შეიძლება გოგომ უფრო პატივი გცეს და სიბერეში გოგო უფრო გამოგადგეს და გოგომ უფრო მოგიაროს, ვიდრე ბიჭმა, ბევრი ვიცი ასეც. თუმცა მაინც ბიჭს რჩება ხოლმე. ეს ალბათ გვარის გაგრძელებას უკავშირდება [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

დედას ძმა ყავდა და გარდაიცვალა, არ ვიცი, ის ბინა ვისი იქნება, სადაც ახლა ბებიაჩემი ცხოვრობს, არ ვიცი, რას იზამენ. ბიძას ყავს შვილები და რუსეთში ცხოვრობენ ბიცოლაც და შვილებიც. არ ჩამოდიან, მარა ჩემი დეიდები და დედიკო ამბობენ, რომ არასდროს არ გავყიდითო მაგ სახლს და იყოსო ისე და მაგ სიტუაციაში არ ვიცი, რა იქნება. ბებიაჩემს ისინი ვერ ხედავენ, დეიდები მიდიან რიგრიგობით. ჩემს ბიძაშვილს მაინც არავინ წაართმევს ბინას, თვითონ არ მოდიან და რა იქნება, არ ვიცი [ქალი, 35 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ბიჭმა რატომ უნდა მოუაროს მშობელს. ნუ შეიძლება, იმანაც მოუაროს. მაგრამ ქალმა უნდა მოუაროს. მე იმიტომ ხომ არ ვუვლი, რომ ქონება მინდა [ქალი, 40 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რამდენადაც საქართველოში მემკვიდრეობა ძირითადად კაცს რჩება და ამასთან მის ფასეულობას მზითვის ღირებულება დიდწილად ჩამორჩება, კაცს უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებენ მშობლებზე ზრუნვის შემთხვევაში, ვიდრე ქალს, რომელიც გათხოვილია და თავისი

ოჯახი აქვს. თუმცა, რიგ შემთხვევაში, ქალებს ფიზიკური ზრუნვის ვალდებულება მაინც რჩებათ, ზოგჯერ არც მატერიალურ მზრუნველობას გაურბიან, თუმცა ქონება მაინც კაცებს რჩებათ. გარკვეულ შემთხვევებში მშობლების მოვლაზე პასუხისმგებლობის აღება შვილების პიროვნული ხასიათიდან გამომდინარეობს, შესაძლოა სწორედ იმ შვილმა აიღოს თავის თავზე, რომელსაც მშობლები ყველაზე ნაკლებად დაეხმარნენ.

მშობლების როლი მემკვიდრეობის განაწილებაში

ვის უნდა დარჩეს მემკვიდრეობა ვაჟიშვილს თუ ქალიშვილს, ამ გადაწყვეტილებას, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, მშობლები უნდა იღებდნენ. ეს გადაწყვეტილება კი სასურველია, მათ სიცოცხლეშივე გაცხადებული იყოს, რადგან მომავალში დედმამიშვილებს შორის დავისა და უთანხმოების მიზეზი არ გახდეს.

კი, დარწმუნებული ვარ. ჩემთვის ორივე შვილები არიან, გოგოც და ბიჭიც და ორივეს ეკუთვნის წესით. ვფიქრობ, რომ, აი, თუნდაც ჩემს შემთხვევაში, არ ღირს დედმამიშვილთან დავა ქონებაზე. მაგ თემას არასოდეს არ წამოვწევ. ეს უნდა გადაწყვიტონ მშობლებმა და არა დედმამიშვილებმა ერთმანეთში [მამაკაცი, 43 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

ძმა მყავს და, როგორც წესი, ბინა ჩემი ძმისაა, როგორც ეს ტრადიციით არის უმეტეს ოჯახებში. მე ოქრო მომცეს, სხვა ისეთი ღირებული, არა. ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს, ასე რომ, მე ოქროს მომცემდნენ, ჩემს ძმას კი ბინა დარჩებოდა, იმიტომ რომ ბიჭია და, როგორც ხდება ხოლმე, მას უტოვებენ. ისე, არც დავფიქრებულვარ მაგაზე ნორმალურად, როგორც წესი, ალბათ ჩემი ძმის იქნება. არასოდეს არ გვისაუბრია, ალბათ იმიტომ, რომ არ დავინტერესებულვარ [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

არასოდეს მისაუბრია მსგავს თემაზე, მაგრამ ჩემი მშობლები ჩვენთვის თანაბრად აკეთებენ ყველაფერს. ოჯახში ხშირად გაჟღერებულა ფრაზა – ეს სახლი ყველასია [ქალი, ვარ 26 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

არა, მე არ მახსოვს ასეთი შემთხვევა. ჩემს ახლობლებშიც ბინა ყოველთვის დარჩა ბიჭს. არც აღიარებენ ამას, რომც იყოს. საქართველოში არის სირცხვილი, რომ რაღაც მოითხოვო. ყველაზე კარგი არის, მშობლებში უნდა შეიცვალოს აზროვნება. მშობელმა თვითონ უნდა გააკეთოს ძალიან სამართლიანი გადაწყვეტილება [ქალი, 22 სტუდენტი, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი]

არასოდეს, არც არასდროს დავიწყებ ამაზე ლაპარაკს. როცა მშობელს აქვს ორი სახლი და ორივეს აძლევს ბიჭს, ჩემი აზრით, ეს არასწორია, თუ ერთი აქვს, ამ შემთხვევაში, კი. მე პირადად ასე ვიფიქრებ. თუ გოგოც უსახლკაროა და ისიც ქუჩაში რჩება, მაშინ რაღაც ნაწილი გოგოსაც უნდა მისცე. თუ გოგო უზრუნველყოფილია, მაშინ ბიჭს. ის მოსაზრება რომ ყველაფერი ბიჭს, ჩემი აზრით, არასწორია. დების შემთხვევაში, არ მქონია შეხება ჩემს ოჯახში, მერე რა იქნება, არ ვიცი. ჩემი მშობლები ვიცი, რომ თანაბრად გაანაწილებენ, მაგრამ, თუ ეთოს მიაკუთვნებენ, ე.ი. ასეა საჭირო და ეთოს უფრო სჭირდება, მე მაგ შემთხვევაში ქონების გამო დას არ გადავეკიდები. კიდე რომ მყოლოდა ძმა, ალბათ ამ შემთხვევაში დაუტოვებდნენ ძმას. თუ დის მაგივრად ძმა მეყოლებოდა, მაშინ მაინც ძმას.. მეც მივცემდი ძმას. მე არ გავაპროტესტებდი არც ერთ შემთხვევაში. ძმების შემთხვევაში, მე რაც მაგალითები ვიცი, უყოფენ ხოლმე, ან უმცროსს რჩება და მერე მშობლები უფროსის სახლის შეძენაზე ზრუნავენ [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

მსმენია, როცა მშობელს აქვს ქონება, ბიზნესიც, მაგრამ ყველაფერს უტოვებს ბიჭს. ამ შემთხვევაში არის ხოლმე მერე წეწვა–გლეჯვა ქონებაზე. მშობელზეა ბევრი რამ დამოკიდებული და მშობელმა უნდა დააბალანსოს ეს [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

არ ჩავერეოდი მე, მშობლები რასაც გარგუნებენ, იმას უნდა დაკმაყოფილდე. ანუ მშობელი არეგულირებს ამას. აი, ჩემი მეუღლის შემთხვევაშიც ვიცი, რომ არასოდეს არ ექნება პრეტენზია ქონებაზე, რასაც არგუნებენ მშობლები, იმას დასჯერდება. მაგრამ, გამიგია იშვიათად, რომ და ედავება ძმას ქონებას, მე ცუდად მხვდება ყურში ასეთი რამე, არაა მიღებული ჩემთვის ასეთი რამე [ქალი, 25 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

ჩემი და დადიოდა მუსიკაზე, როიალი გვქონდა სახლში და რაღაცეები და მამაჩემი თავიდანვე ამბობდა, რომ ეს უნდა წაელო ჩემს დას. არასოდეს არ მიგვრძვნია, რომ ოჯახში უნდა დავრჩენილიყავი მე, ან ეს ოჯახი უნდა გაყოფილიყო. თუმცა ძმების შემთხვევაში, ალბათ, ასე მოხდებოდა, რომ მამას რომელიმე შვილი ქონებით არ დაეკმაყოფილებინა. ჩემი და არ მოითხოვს ქონებას ვიცი ეგ [მამაკაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

საერთოდ, საქართველოში ბიჭს ანიჭებენ უპირატესობას. ჩემს გარშემოც უმეტესობა ასეა, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც თანაბრად ყოფენ. ყოველ შემთხვევაში ჩემს სანათესაოში ასე საქმე არ დამდგარა, რომ გასაყოფად საქმე გადაგვეწყვიტოს. თავიდანვე ჩვენი მშობლებისგან წინასწარ გვქონდა მე და ჩემს ძმას განსაზღვრული, ვის რა გვექნებოდა და არ დაგვჭირვებია მაგაზე თქმა, რომ ეს მე ან ეს შენ და ვაპირებ, მეც მასე გავზარდო ჩემი შვილები. ერთს ქონდეს თავისი, მეორესაც ქონდეს თავისი. საზოგადოების მხრიდან ეს ჩემი და ჩემი მეუღლის დამოკიდებულება როგორ შეფასდება, არ მაინტერესებს, მთავარია ჩემს ოჯახს როგორ გამოადგება [მამაკაცი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ადამიანის ხასიათს გააჩნია, ჩემი აზრით, ოჯახსაც გააჩნია, როგორ არის გაზრდილი, კი, გამიგია, რომ წინააღმდეგია და როგორც შენია, ისე ჩემიო, იძახის, მინახავს კონფლიქტური ოჯახებიც, მაგრამ არ ვიცი, ეგ საიდან გამომდინარეა, ალბათ ხასიათიდან. უარყოფიდათ ფასდება ქალის ასეთი საქციელი. მე იმის დამოკიდებულება არ მაქვს, ჰარიქა, რატო არ ეთანხმება თქო, მარა თუ არ აქვს დას და ვერ ეტევიან იმ ერთ სახლში, გაყიდონ, გაიყონ და ყველამ თავიანთი

იყიდოს. თუ ძმა იძახის ჩემიაო და დას ტოვებს გარეთ, ეგეც არ არის სწორი და მიზანშეწონილი. აუცილებლად უნდა შეუქმნას ის პირობები, რაც აქვს თვითონ. ეგ არის ბავშვობიდან აღზრდაზე დამოკიდებული, რას ჩასმენ შვილს. ჩემი მეუღლე ისე ზრდის შვილებს, რომ რაც არის ერთის, ის არის მეორის და ჩემი შვილები ამ აზროვნებით გაიზრდებიან [მამაკაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დროებით უმუშევარი, დაოჯახებული, ქუთაისი].

მითქვამს ხუმრობით, ეხლა ეს სახლი ორივეს გვეკუთვნის და აქედან წილს წავიღებ მეთქი, ჩემი ძმა კი ძაან იცინის ხოლმე, მაგრამ დედაჩემმა შენ სადაც წახვალ, შენი იქ არისო ასე იცის ხოლმე, ესეთი დამოკიდებულება აქვს. იმ სახლში, ისე ვგრძნობ, როგორც ჩემად, არც მიფიქრია რომ რამე წილს მოვთხოვ. მშობლების დამოკიდებულება არის, რომ ეკუთვნის ძმას, სადაც წახვალ შენი იქ არისო. ჯერ ჩემად ვერ მივიღე, სადაც წავედი, ჩემი უფრო ის სახლი არის, მაგრამ წილის მოთხოვნას არ ვაპირებ, იმიტომ რომ მაქვს ორი სახლი, რომელიც მომავალში იქნება ჩვენი, ვარდისუბანში და თელავში, და არ ვფიქრობ, რომ ის სახლი გასაყოფია. მამაჩემი პირიქით, ეს შენია და მოდი და აქ იცხოვრე, თუ გინდა და რაღაც. დედაჩემი არა [ქალი, 21 წლის, სტუდენტი, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავის სოფელი].

დედმამიშვილებს შორის რომ უკმაყოფილება არ იყოს, სიცოცხლეშივე უნდა გააკეთო ის, რაც შეგიძლია [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

ზოგადად ეს მშობლების გადასწყვეტია, თუმცა მე ვთვლი, რომ ყველა შვილმა თავისი წილი უნდა მიიღოს მემკვიდრეობიდან, რომელიც მშობლებმა უნდა გაანაწილოს. მზითვის სახით იქნება ეს თუ არა არ აქვს მნიშვნელობა. რატომღაც საქართველოში მემკვიდრეობას მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები იღებენ, დადებითი მხარე მემკვიდრეობის განაწილების იმაში მდგომარეობს, რომ ყველა შვილია და ამიტომ უმჯობესია ყველა მათგანს მშობლებისგან დარჩეს მემკვიდრეობის რაღაც ნაწილი [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

არც ვაპირებ წილის მოთხოვნას. როგორც საქართველოში ხდება, ისე მოხდა ჩვენს შემთხვევაშიც, საერთოდ მაგაზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა, ინიციატივა არ გამიკეთებია. ქალი თხოვდება, არც მომითხოვია წილი და არც მოვითხოვ, მაგრამ დედაჩემს თავიდანვე ქონდა ლაპარაკი და რამოდენიმე დღის წინაც მითხრა , რომ ჩემს მეუღლეს ყავს ძმა, ჩვენი ბინა არის გასაყიდი, იმიტომ რომ ორი ბინა აქვთ და ორი ძმა არიან და მომავალში, როცა გაიყიდება ჩემების ნაკვეთი, რაღაცა წილს მეც მომცემენ. მე ეს არც მომითხოვია, ჩემი მშობლების ინიციატივაა [ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ჩემი მშობლებიც ასე ფიქრობდნენ, მაგრამ ჩვენ რომ ეს გავინაწილეთ, ეს კანონით არ გატარებულა, უბრალოდ მე და ჩემმა დამ შუაზე, დავადეთ ხელი და, გავიყავით. ორივეს გვაქვს საშუალება და ქონებაზე დავა არ გვქონია და ცივილურად მოხდა ყველაფერი. ჩვენს შემთხვევაში, სხვას შეიძლება კონფლიქტი დამართნოდა, მაგრამ ჩვენ ეს არ მოგვსვლია [მამაკაცი, 42 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

შვილებს მემკვიდრეობის განაწილება მშობლების „კომპეტენციად“ მიაჩნიათ. ისინი თვლიან, რომ ამ შემთხვევაში დედმამიშვილებს შორის კონფლიქტი აღარ მოხდება. ინტერვიუების შედეგებს თუ შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხშირ შემთხვევაში, ეს

ასეც ხდება, მშობლების ქონების გაყოფის შესახებ ოჯახში საუბარი ნაკლებადაა, დედ-მამა ამ გადაწყვეტილებას იღებს და უმეტესწილად ტრადიციას მიჰყვება. მშობლების გადაწყვეტილებას კი შვილები არ აპროტესტებენ, მიუხედავად იმისა, სამართლიანად მიიჩნევენ ამას, თუ არა. შვილები არ ან ვერ ერევიან დედ-მამის გადაწყვეტილებაში, თუმცა მიიჩნევენ, რომ სამართლიანობა უნდა დაიცვან, რაც თითქმის არასდროს არ ხდება. მათი აზრით, იმისათვის, რომ საქართველოში თანასწორობა დავიცვათ და არ მივიღოთ უსამართლო გადაწყვეტილება, მშობლებმა აზროვნება უნდა შეიცვალონ და ასე ბრმად არ უნდა მისდიონ იმ ტრადიციებს, რომელიც ასეა ფესვგადგმული. მშობლები, შესაძლოა, ბავშვობიდანვე პირდაპირ არ ეუბნებიან შვილებს, რომ ვაჟს უპირატესობა აქვს, მაგრამ გამონათქვამები, რომლებიც დამკვიდრებულია, ცალსახად მიანიშნებს ქალს, რომ ის მემკვიდრედ არ მოიაზრება. ეს გამონათქვამები შესაძლოა იყოს: "ქალი ხარ და რომ გათხოვდები, წახვალ", "შენი სახლი იქ იქნება, სადაც წახვალ", "ოჯახის მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი კაცია" და ა.შ. ასეთ სტერეოტიპულ მიდგომებს ქალები უფრო რადიკალურად ნერგავენ შვილების აღზრდისას, ვიდრე კაცები. მემკვიდრეობის განაწილებისასაც დედები ქალიშვილების დისკრიმინაციისას უფრო მკვეთრ ნაბიჯებს დგამენ, ვიდრე მამები, რამდენიმე შემთხვევაში დედა მეორე ქორწინებიდან შეძენილ ვაჟს უტოვებდა სახლს, რომელიც მის ქალიშვილს პირველმა ქმარმა დაუტოვა. ამ დროსაც კი გოგოები დედის გადაწყვეტილებას არ აპროტესტებენ და თვლიან, რომ მშობლის გადაწყვეტილებაში არ უნდა ჩაერიონ.

რესპოდენტების მიერ შვილებისთვის მემკვიდრეობის განაწილების დაგეგმვა

ბევრი ქალი გულნატკენია და შეფარვით გამოხატავს გულისტკივილს იმის გამო, რომ ძმებს, დასთან შედარებით, მემკვიდრეობის განაწილების დროს, და არა მარტო, მშობლები უპირატესობას ანიჭებენ. საინტერესო იყო თვითონ თავისი შვილების შემთხვევაში როგორ წარმოედგინათ ქონების გაყოფა.

შვილებისათვის ქონების განაწილებაზე, ბევრს მანამდე ნაფიქრი არ ჰქონდა. რესპონდენტების უმრავლესობა თვლიდა, რომ მემკვიდრეობას ქალ-ვაჟს შორის თანაბრად ანაწილებდა, თუმცა ამაში უძრავი ქონების შემთხვევაში, სამწუხაროდ, ისევ ვაჟის პრივილეგირებას გულისხმობდა.

რესპონდენტების ნაწილი კი, რომელიც გენდერულ თანასწორობას ემხრობოდა, მიიჩნევდა, რომ, სქესის მიუხედავად, შვილებს თანაბარი წვდომა უნდა ჰქონოდათ მათ ქონებაზე.

კი, დარწმუნებული ვარ (თანაბრად გაუყოფს - მ.ა.). ჩემთვის ორივე შვილები არიან გოგოც და ბიჭიც და ორივეს ეკუთვნის წესით [მამაკაცი, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

თუ მექნებოდა, აუცილებლად გოგოსაც იგივეს გავუკეთებდი, თუ არ მექნებოდა, ვიტყოდი, რომ ტრადიცია არის, რომ ბიჭი რჩება სახლში. რა ვქნა, ეს ადამიანური თვითგადარჩენაა [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ეხლა სწორედ მაგ მწვავე პროცესში ვარ. მეც ორი ბიჭი მყავს და სულ ვჯავრობ და ვფიქრობ, ეხლავე, აქედანვე, რა შევუძინო მეორე შვილს. მაგრამ ქუთაისის პირობებზე და საქართველოს პირობებზე იმის შეძენა ცოტა არ იყოს რთულია [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

რისი საშუალებაც მექნება, იმის მიხედვით გავანაწილებ. ბინას არ გავყოფ. ვაჟს დავუტოვებ. ბიჭისაა ყოველთვის, ესეა ჩვენში [ქალი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

მე შევეცდებოდი, რომ ყველაფერი თანაბრად, მაგრამ ვინაიდან ბიჭი გვარის გამგრძელებელია, ის ოჯახში უნდა ცხოვრობდეს. თუ მექნებოდა საშუალება, გოგოსაც ცალკე გავუკეთებდი. შევეცდებოდი ყველაფერი თანაბრად მეყიდა. თან ამას დროც გვიჩვენებს, რომ ვთქვა, რომ აუცილებლად გავყიდიდი, არა [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

მეც, ალბათ, ჩემი მშობლების მსგავსად მოვიქცეოდი, ბიჭს დავუტოვებდი და გოგოს რაღაც პირველადი მოხმარების ნივთებს და, ალბათ, მეც სპალნას ვუყიდიდი. არ მომწონს, მაგრამ ეს ჩვენში დევს რაღაც კოდირებული. ანუ მე, ეხლა ძაან მომხრე ვარ იმისა, რომ ყველა ახალგაზრდამ, რაც არ უნდა კაი დედამთილი ყავდეს, ცალკე უნდა იცხოვროს. საშუალება რომ მქონდეს, მეც ვუყიდიდი მაგალითად ჩემს გოგოს ცალკე, დიდი სიამოვნებით [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, ქუთაისი].

უფრო თანაბრად, მაგრამ ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ თუ ჩემი გოგო უვარგისს გაყვება. არაფერს არ ვაღირსებ [ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

თავიდანვე რომ ვიყოთ გათვიცნობიერებული, რომ ჩვენ ქალებსაც გვეკუთნის, შეიძლება მართლაც ბევრმა მოითხოვოს. იმიტომ რომ არის შემთხვევები, გოგოს ერთი სახლი აქვს და სამი ბიჭი ყავს და მის ძმას არც არავინ და სამი სახლი აქვს. თავიდანვე უნდა ვიცოდეთ ჩვენი უფლებების შესახებ. მე მაგალითად არც ვიცოდი, რომ არ გეთქვათ, რომ კანონმდებლობით ორივეს თანაბარი უფლებები აქვს, ამიტომ თავიდანვე უნდა ვიყოთ ყველანი გათვიცნობიერებულები. მესამე, რომ გოგო მეყოლოს, არ აქვს მნიშვნელობა, მე სულ იმას ვიძახი, რომ გოგოსაც თავისი კუთხე უნდა ქონდეს. ორი ბიჭი მყავს და თუ მეყოლა კიდევ გოგო და მაქვს ორი უძრავი ქონება, ამ შემთხვევაში არ ვიცი, რას ვიზავ, შევეცდებოდი, რაღაც მეყიდა გოგოსთვისაც, მაგრამ თუ არ მოითხოვდა, ალბათ, არ მისცემ არაფერს. ეს ცუდად გვაქვს ჩვენ. თუ არ მოითხოვა თვითონ, ალბათ, ჩვენ არ ვაძლევთ, ესე გვაქვს ჩამჯდარი, მაგრამ თუ მოითხოვს, მივცემ. არ არის სამართლიანი, გოგო ძალიან დაჩაგრულია. იმითაც იჩაგრება გოგო, იმას ნაკლები ხვდება ეხლანდელ დროში. უნდა გადავერთოთ რაღაცნაირად, ქართველებში ესეა გამჯდარი, რომ ყველაფერი ბიჭს უნდა დარჩეს და რა მნიშვნელობა აქვს, ნამდვილად ვერ ვხვდები [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი სოფელი].

მეც ვფიქრობ, რომ სახლი ბიჭს დარჩება. გოგოსთვის სხვა, რაც საჭირო იქნებოდა, იმას გავუკეთებდი. თუ გოგოს ზოგადად ეცოდინებოდა, რომ თავისი ქონება ექნებოდა, გოგო უფრო თავდაჯერებული იქნებოდა. მაგრამ ყველა ასე ფიქრობს, რომ ბიჭს უნდა დარჩეს ქონება, თუ მაგის შესაძლებლობა გაქვს, გოგოსაც უნდა უყიდო სახლი, ბევრისგან გამიგია ასე. არათანაბარ მდგომარეობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავაყენებდი, თუ არ მექნებოდა საშუალება. კაცი არის გვარის გამგრძელებელი და ალბათ იმიტომ რჩება ბიჭს. გამიგია შემთხვევაც, როცა ძმა არის წასული, და უვლის მშობლებს, მერე ბიჭი ბრუნდება და მაინც იმ ბიჭს რჩება ქონება. ალბათ, რაღაცით გავამართლებ, (თუ და უჩივლებდა ძმას სასამართლოში - მ.ა) რომ იმას სჭირდება, ალბათ. ალბათ, უარყოფითად არ შევაფასებ, თუ ბიჭიც ცხოვრობს ცალკე სახლში, მეც ვიზრუნებ და თანაბრად გავუყოფ. თუ არ არის საშუალება, მეც მივეხმარებდი. თუ მეყოლებოდა გოგო და კიდევ ორი ბიჭი, ჯერ გოგოს გავათხოვებდი, მერე ბიჭებზე ვიზრუნებდი. ალბათ, ერთი ძმა დარჩება, ერთი წავა, ძალიან რთული სიტუაციაა. ალბათ წინა თაობებიდან მოდის ასე: სულ ბიჭი, ბიჭი, და იმიტომაა საზოგადოებაში ასეთი აზრი [ქალი, 23 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

ძნელია განსაზღვრა, მე ვიზრუნებ, რომ თანაბრად მივცე ყველაფერი. თუ ერთი სახლი მექნება, მაშინ ბიჭს იმ სახლს დავუტოვებ, რადგან გოგო ისედაც მიდის სახლიდან. მაგრამ, თუ გოგო ვერ გათხოვდა ან გამოთხოვდა, მაშინ, მასაც ექნება თანაბარი წილი [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

თუ მეყოლება კიდე ბიჭი, ამ ერთი სახლით სამი სახლი არ მომივა, მომავალში დანაზოგს გავაკეთებდი და შეიძლება ორზე გამეყო ეს ბინა და მესამეს ვუყიდიდი ცალკე, ერთოთხიანი იქნებოდა, ორიანი თუ სამიანი. თუ ორი ბიჭი მეყოლებოდა, უფრო მეტ აქცენტს ბიჭებზე გავაკეთებდი, ვეცდებოდი, რომ ცალ–ცალკე ეცხოვრათ, რეალურად ამ ორი გოგოს შემთხვევაში თანაბრად გავუყოფ. ბავშვობიდან ასე გაგვზარდეს ჩვენც მე და ჩემი და. ჩემი და პატარაა, და ბავშვობიდან სულ იძახდა, სახლი ჩემია, მაგრამ მშობლები სულ გვეუბნებოდნენ, რომ ორივესია. მეც ასე გავზრდი ჩემს გოგოებს, რომ სახლი ორივესია [ქალი, 26 უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი.]

თანაბრად გავუნაწილებდი. თუ ერთი სახლი მაქვს, გოგო ხომ გათხოვდება და წავა, თუ არ ექნება საშუალება, ყველანაირად დავეხმარები. როგორც შემეძლება, დავეხმარები, ჯერ არ მიფიქრია ამაზე, ჯერ ადრეა, ამიტომ სრულყოფილად ჯერ ვერ გაგცემთ პასუხს. პრივილეგიას არ მივანიჭებდი ბიჭს. მაგრამ უძრავ ქონებას ბიჭს დავუტოვებდი, ასეა, გოგო მიდის და ბიჭი რჩება. თუ ორივე ცალცალკე იცხოვრებდა ოჯახიდან ორივე გასული იქნებოდა, მაშინ თანაბრად გავუყოფდი ორივეს. რამდენიმე ბიჭის შემთხვევაშიც თანაბრად გავუნაწილებდი [ქალი, 25 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

მე თანაბრად გავუნაწილებდი, მე სხვანაირად ვფიქრობ, თუ მექნებოდა საშუალება, თანაბრად გავუყოფდი, როგორც ბიჭს, ასევე გოგოს. თუ ორი უძრავი ქონება მაქვს და მყავს ორი გოგო და ერთი ბიჭი, არ ვიცი, მაგ შემთხვევაში იმედია, მესამე სახლსაც ვიყიდდი. თუ ორი ბიჭი მყავს, ყველანაირად ვეცდებოდი, რომ მეორე ბიჭისთვისაც მეყიდა, გოგო გათხოვდება [ქალი, 23 წლის, პროფესიული განათლება, უმუშევარი, თელავის სოფელი].

შვილი შვილია და მნიშვნელობა არ აქვს, თანაბრად გავანაწილებდი. გოგო რადგან თხოვდება, მერე რა, მას ჭირდება ყველაფერი თავისი. ამიტომ, მნიშვნელობა არ აქვს შვილების სქესს [ქალი, 32 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ტრადიციას არ ვეთანხმები , მე რამდენი შვილიც მეყოლება, იმდენს გავუკეთებ თანაბრად, ეს საქართველოშია, რომ გოგოს არ სჭირდება სახლ–კარი – ასეთი შეხედულებაა. ორივეს თანაბრად გავუკეთებ, ვეცდები, რომ ორივეს გავუკეთო, ვეცდები, ორივეს ვუყიდო უძრავი ქონება, თუ არა ალბათ მაინც შუაზე გავყოფდი [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

თანაბრად, რა თქმა უნდა. ნაკლებად მიფიქრია ამაზე, იმიტომ რომ მშობელი სქესს კი არ ანიჭებს უპირატესობას, არამედ ვის უფრო მეტი საჭიროება ექნება. მე ბავშვობიდან ვუხსნი იმას, რომ მათი არაფერი არ არის, ყველაფერი არის ჩემი შექმნილი და მათ უნდა მიაღწიონ თვითონ ყველაფერს, მე დავეხმარები მაქსიმალურად, განათლება რომ მიიღონ. მე მომხრე ვარ მათ დამოუკიდებლად მიაღწიონ [მამაკაცი, 44 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

თანაბრად გავუნაწილებდი, ალბათ. ერთი უძრავი ქონების შემთხვევაში, ალბათ, თანხას გაიყოფდნენ თანაბრად, თუ ქონება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთად იცხოვრონ. მე სულ მსმენია ბიჭს ენიჭება უფრო პრივილეგია, მე მგონია, რომ ორივე შვილია, გოგოსაც უნდა თანაბრად გაუნაწილდეს [ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

აბსოლიტურად თანაბრად. ჩემს შემთხვევაში არასდროს არ ყოფილა, რომ გავერჩიეთ და არც მე გავარჩევ [ქალი, 26 წლის, სტუდენტი, დაოჯახებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

მე რომ ჩემი ბინა მაქვ,ს ის უნდა მივცე გოგოს და ის ძირითადი სახლი, რაც არის ჩემი ქმრის, ის უნდა მივცე ბიჭს [ქალი, 28 წლის დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

თუ რამე მაქვს, რა თქმა უნდა, ორი გოგო მყავს, და შუაზე გავყოფ. მაგრამ ძმა რომ ყავდეთ, რა თქმა უნდა, მას უნდა ქონდეს ჭერი, ნუ წესია ასეთი, რომ თავის ოჯახში უნდა მიიყვანოს (ცოლი - მ.ა.) ესეა საერთოდ. ბიჭს უნდა ჰქონდეს აუცილებლად. მე თუ საშუალება მექნება, გოგოსაც მივცე, რა თქმა უნდა, მივცემ. ნუ არ ვიცი, ჩემი მშობლებიდან მოდის ესე, ჩემში დევს ესე. თუ საშუალება მექნებოდა, მივცემდი გოგოებსაც, რაც დასჭირდებოდა, მაგრამ ბიჭს დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი (ერგება - მ. ა.) [ქალი, 40 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

ერთს მივცემ გოგოს, ერთს მივცემ ბიჭს.უფრო მეტი ღირებულისას, სიმართლე გითხრა, ალბათ, მივცემდი ბიჭს. ჩემი რძლის დედა არის ძალიან ჭკვიანი ქალი, ყავს სამი შვილი, ორი გოგო და ერთი ბიჭი, ერთი ბათუმის ძირი სახლი მისცა ბიჭს, ერთი ბინა საბურთალოზე მისცა ერთ გოგოს და მეორე ბინა საბურთალოზე - მეორეს. მაგრამ, თქვა რომ თუ ვატყობ, რომ მშობლის პატივისცემა არ ექნებაო, მაშინვე შევცვლი გადაწყვეტილებასო. ანუ მე ვინც მომივლის, იმასო. რაღაც მომენტში სხვისი მოსავლელი არ უნდა გაგხადოს ღმერთმა [ქალი, 34 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

მეც, ალბათ, ასე თანაბრად გავყოფ. თუმცა ასე წინასწარ თქმა ძნელია, რომელსაც ნაკლები შესაძლებლობა ექნებოდა, ალბათ იმას მეტს მივცემდი [მამაკაცი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

მე ოთხი შვილი მყავს, სამი ბიჭი და ერთი გოგო და მაქსიმალურად თანაბრად გადანაწილდება ჩემი ქონება, როცა გადანაწილდება. აბსოლუტურად თანაბარი რაოდენობით. მე ვერაფრით ვერ ვანსხვავებ ჩემს შვილებს. ამაზე ძალიან მკაცრად ვდგავარ და ამერიკამ თავისებური გავლენა იქონია ჩემზე. იმიტომ რომ ეს საზოგადოება უფრო მზად არის ზუსტად კანონის თვალსაზრისით, აქ უფრო ნაკლებად ირღვევა გენდერული თანასწორობა, თითქმის გათანაბრებულია ქალი და კაცი, ხო და არ არის ცუდი [მამაკაცი, 42 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

მე შევეცდები, როგორც ჩემმა სიმამრმა გააკეთა, ისე მექნა, ქონების სახით ცალკე შეუძინა შვილს, რომ უზრუნველყოფილი ყოფილყო [მამაკაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ორი ბიჭი რომ მყავდეს, მართლა აქედანვე დავიწყებდი ზრუნვას, რომ მართლა ცალკ-ცალკე შევუძინო. გოგო და ბიჭი უფრო ლაითი სიტუაციაა, რაც არ უნდა გვინდოდეს ჩვენში, ასეა გამჯდარი, რომ წლებია და საუკუნეებია ასეა და გააჩნია ფინანსებს, ბევრი რომ მქონდეს, ერთსაც ვუყიდი და მეორესაც. თუ არ მექნებოდა საშუალება, გოგოს მაინც მივცემდი მზითვებს [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი, სოფელი].

ჩვენ დამოუკიდებლად დავიწყეთ ყველაფერი და დამოუკიდებლად გვინდა, რომ მივაღწიოთ. და საერთოდ, დები არიან, ძმები თუ და-ძმა, ყველაფერი უნდა გაიყოს თანაბრად. და რომ მყოლოდა, მაინც ასე ვიფიქრებდი. ბიჭი მყავს, მაგრამ გოგოც რომ მეყოლოს, ასე ვიფიქრებ და გავყოფ თანაბრად, იმიტომ რომ ისიც ადამიანია, რა მნიშვნელობა აქვს გოგოა თუ ბიჭი. თუ თანაბარუფლებიანობაა, ყველაფერში თანაბარულებიანობა უნდა იყოს... შეიძლება ბიჭმა უფრო კარგად წარმოაჩინოს თავისი თავი, ვიდრე გოგომ და შეიძლება გოგოს უფრო მეტი მივცე, ვიდრე ბიჭს. მასეც ვერ გადაწყვეტავ, ზუსტად თანაბრად გაყო, შეიძლება გოგოს რაღაც გაუჭირდეს და

მეტი მისცე. ვის როგორ დაჭირდება, იმის მიხედვით გადაწყდება ყველაფერი [მამაკაცი, 27 წლის, *უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული,* ქუთაისი].

მეც მაგის მომხრე ვარ. რაც მაქ მე, არის ორივე შვილის და რაც არ უნდა დაჭირდეთ, გაიყოფენ თანაბრად. სახლს ვერ გავჭრი, მართალია, მაგრამ რაც უნდა ქალს, რომ დარჩეს, ყველაფერს გავუყოფ. თუ უნდა, აქაც იცხოვროს. შევეცდები, რომ ქალიშვილსაც ანალოგიურად შევუძინო ყველაფერი, რაც დავუტოვე ბიჭს, უძრავ ქონებასაც ვგულისხმობ და თუ თანხაზე იქნება საუბარი, იმასაც გავუყოფ შუაზე. ძირითადი სახლი, სადაც ვცხოვრობ, თავისთავად დარჩება ვაჟს, მაგრამ შევეცდები, რომ იმის შესაბამისად მივცე გოგოს. მაინც ქართველები ვართ, ტრადიციაა, და იყოს ის ჩემი გვარის სახლში და გააგრძელოს კიდევ, შვილები ეყოლება და გვარი გვარად იქნება. ქუთაისის სახლზე შეიძლება არ მქონდეს იმდენად გართულება, როგორც ფუძე სადაც მაქვს, გელათში ვცხოვრობ, ტაძართან და იქ მე ვარ მეხუთე, მეექვსე თაობა ჩემი გვარის, იმ სახლში სხვა არავინ არ ყოფილა [მამაკაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, ქუთაისი].

როგორც წესი, ბიჭი რჩება ხოლმე სახლში. თუ მექნებოდა საშუალება, რა თქმა უნდა, ვეცდებოდი ორივესთვის მეყიდა ცალ-ცალკე სახლი, იმიტომ რომ იქნებ გოგოს ისეთი პირობები აქვს, რომ თვითონ უნდა ცალკე ცხოვრება, ვეცდებოდი ორივესთვის მეყიდა, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი უნდა დაოჯახდეს, ვეცდებოდი, რომ ცალკე ეცხოვრა. ვინაიდან, მეც დავინახე, რომ ცალკე ცხოვრება უკეთესია, ვიდრე დედამთილთან, მამათილთან, ოჯახთან ერთად ცხოვრება. თუ არ მექნებოდა საშუალება და ვერ ვუყიდიდი ორივეს ბინას, და ბიჭი დარჩებოდა, ვეცდებოდი გოგოსთვის ისეთი პირობები შემექმნა, არ ეგრძნო ისე, რომ გარიყულია. თუ ერთი ბინა მექნებოდა და მეტის საშუალება არა, დარჩებოდა ვაჟს [ქალი, 21 წლის, სტუდენტი, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი, სოფელი].

ორივეს შევუქმნიდი, ორივეს ცალკე ვუყიდიდი სახლს. თანაბარ პირობებში ჩავაყენებდი. ჩემთვის ორივე შვილი იქნება. ბიჭი მყავს და აუცილებლად გავუშვებ ცალკე ცოლს, რომ მოიყვანს და გოგოსთვის თუ მექნებოდა საშუალება, ვეცდებოდი, რომ რაღაც პატარა მაინც მეყიდა, რომ თავისი ქონოდა, იქნებ რა პირობები აქვს იმ ოჯახს, სადაც თხოვდება. რომც არ გათხოვდეს [ქალი, 19 წლის, სრული საშუალო განათლება, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

თუ მექნებოდა საშუალება, ყველას ვუყიდიდი და თუ არ მექნებოდა, იმას მაინც გავაკეთებდი რომ ბიჭებს მაინც ქონოდათ სახლი, მარა წინასწარ არ ვიცი ესე. ჯობია, ცალკ-ცალკე იცხოვრონ ყველამ, რადგან ცხოვრებაში ბევრი წინააღმდეგობა შეხვდებათ. მშობლისთვის მნიშვნელობა არ უნდა ქონდეს, რომ ის ბიჭია. მე რომ მყავს ორი ბიჭი, ან ბიჭი და გოგო, ვეცდები რომ ორივეს თანაბრად ქონდეთ. ბიჭს უფრო მეტი ხვდება ყოველთვის [ქალი, 21 წლის, პროფესიული განათლება, უმუშევარი, თელავი].

ყველანაირად ვეცდები, რომ ერთნაირად დავეხმარო და გავუყო. თანაბარ განაწილებაში ვგულისხმობ, მაგალითად შეიძლება სახლი დავუტოვო ბიჭს და იმაზე მეტი პატივი ვცე გოგოს. ყველაფერში დავეხმარები, რომ მეცოდინება, რომ სახლი არ აქვს, სახლისთვის ვუყიდი ყველაფერს, რაც დაჭირდება, ავეჯს, შევუძენ იმას, რაც თვითონ უნდა, რომ გული არ დასწყდეს სახლზე [ქალი 31 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

აქ პრობლემა არის გაჭირვება, ქვეყანაში რომ გაჭირვება არ იყოს, ეს პრობლემები არ იქნებოდა. ანუ თუ მექნება ორი სახლი, მეყოლება ორი ბიჭი და ერთი გოგო, აუცილებლად მივცემ

სახლებს ბიჭებს, გოგო თხოვდება. თუ გათხოვდება ისეთ ვინმეზე, ვისაც ბინა არ აქვს, ბიჭებს ვეტყვი, რომ მიეხმარნენ და მეც უნდა მივეხმარო [კაცი, 38 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი, სოფელი].

თანაბრად, რა მნიშვნელობა აქვს, გოგო და ბიჭი იქნება თუ არა. მე არ ვარჩევ სქესის მიხედვით და, ვფიქრობ, იურიდიულადაც ასე უნდა იყოს. შვილი შვილია [მამაკაცი, 33 წლის, უმაღლესი განათლებით, დროებით უმუშევარი, ქუთაისი].

ერთი ბინაც რომ მქონდეს, გავყოფდი და გირით მაინც გავიდოდნენ, არ მინდა, რამე უკმაყოფილება იყოს, იმიტომ რომ ისეთი თაობა მოდის, რომ ყველა ყველაფერში კარგად ერკვევა, თან არ ვიქნები მართალი. ძველ თაობას რომ რამეში შეეკამათო, ცოტა რთულია, იმიტომ რომ ინფორმირებულები არ იყვნენ და არც მენტალიტეტში ზის, მაგრამ ეხლანდელი თაობა უფრო ჯანსაღად აზროვნებს. ჩემი ასეთი გადაწყვეტილებით საკუთარ თავთანაც მართალი ვიქნებოდი და შვილებთანაც [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლება, უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

მშობლებმა უნდა მიიღონ რაღაც ზომა, ქუჩაში ვერ დატოვებ. რაღაცას აგვარებენ, რაღაცას გააკეთებენ. თაობების ცვლასთან ერთად კანონმდებლობაც იცვლება და ვეღარ გათვლის კაცი რა უნდა გააკეთოს. კანონის შეცვლა უფრო ადვილია, ვიდრე ხალხში ამ კანონის დანერგვა. და არ ფიქრობენ, არის ეს გამართლებული თუ არა. ყველაფერს ამართლებენ ტრადიციებით, და ამას აკეთებენ თავიანთი ქმედების გასამართლებლად [ქალი, 53 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

წინა თაობასთან შედარებით ახალგაზრდა მშობლები ცდილობენ, უფრო დაბალანსებული იყვნენ და აცხადებენ, რომ, მიუხედავად სქესისა, მემკვიდრეობას შვილებს შორის თანაბრად გაანაწილებდნენ, თუმცა ,,თანაბარი განაწილების" გაგება სხვადასხვანაირია და ხშირ შემთხვევაში ისევ ტრადიციულ მიდგომას ასახავს: უძრავი ქონება ვაჟიშვილს და საყოფაცხოვრებო ნივთები, რიგ შემთხვევაში ავეჯიც, ქალიშვილს მზითვის სახით.

ტრადიციული ხედვის გარდა, არის თანამედროვე მიდგომებიც, როცა მშობლებიც იაზრებენ გენდერული თანასწორობის პრინციპებს და მიაჩნიათ, რომ ერთი უძრავი ქონების შემთხვევაში მშობელმა თანაბრად უნდა გაუყოს შვილებს ქონება, მიუხედავად იმისა, ვაჟი ჰყავს თუ ქალი. მშობლები აცხადებენ, რომ ახალი თაობა საკმაოდ ინფორმირებულია თავისი უფლებების შესახებ, სხვა მენტალიტეტი აქვს, მშობლის უსამართლო გადაწყვეტილების მიმართაც ისეთი დამყოლი შეიძლება არ აღმოჩნდეს. შესაბამისად, იმისთვის, რომ დედ-მამა საკუთარ თავთანაც და შვილთანაც სამართლიანი იყოს, სასურველია, სქესის მიუხედავად, დაიცვას თანასწორობის პრინციპები.

შვილების შემთხვევაშიც რესურსები დიდ როლს თამაშობს, დღევანდელი მშობლები თვლიან, რომ შვილებს თანაბარი პირობა უნდა შეუქმნან ცხოვრებაში და თუ საშუალება ექნებათ, სურთ, ყველა შვილი უზრუნველყონ უძრავი ქონებით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მდგომარეობა არ ექნებათ, მაშინ უპირატესობას ბიჭს მიანიჭებენ და თავს კი ტრადიციით გაიმართლებენ.

მშობლები ,,უვარგისი" სიძის შემთხვევაში, თუ ქალიშვილი მათ დაუკითხავად გათხოვდა, შვილს არ უზრუნველყოფენ მზითვით, მაგრამ არ დგება განხილვის საგანი, რას იზამდნენ ისინი, მათთვის არასასურველი რძალი რომ მოეყვანა ვაჟს.

მათ, ვისაც ორი ბიჭი ჰყავს, ფიქრობს, რომ ორივეს ცალკ-ცალკე უძრავი ქონება სჭირდებათ, მაგრამ ქალ-ვაჟი რომ ჰყოლოდა, თვითონაც თავისი მშობლების მსგავსად მოიქცეოდა, მიუხედავად იმისა, რომ თავისი მშობლების მსგავს ქმედებას უარყოფითად აფასებს და მიიჩნევს, მემკვიდრეობის თანაბარი განაწილება უფრო სამართლიანი იქნებოდა მასსა და მის ძმას შორის. ვაჟიშვილისთვის უპირატესობის მინიჭების შემთხვევაში შეიმჩნევა საკითხის გვარის გამგრძელებელთან დაკავშირება, ასევე, გამოიკვეთა ,,საგვარეულო" და ,,მამაპაპეული" სახლის ცნება, რომელიც აუცილებლად ვაჟს უნდა დარჩეს.

მშობლები შეეხნენ ქალიშვილის გამოთხოვების ან ვერ გათხოვების შემთხვევასაც. ამ დროს ისინი თვლიან, რომ დამ ძმის ოჯახთან ერთად მშობლების სახლში უნდა იცხოვროს, მაგრამ აქ მხოლოდ ცხოვრება მოიაზრება და არ განიხილება, რომ მას წილის მოთხოვნის და ცალკე ცხოვრების სურვილის გამოხატვის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს.

ამერიკაში მცხოვრები რესპონდენტების უმრავლესობა შვილების მიმართ, სქესის მიუხედავად, უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს და თვლის, რომ მემკვიდრეობა თანაბრად უნდა გაანაწილოს, ან იმ შვილს დაეხმარნონ უფრო მეტად, რომელსაც უფრო უჭირს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შვილებისთვის განათლების მიცემა, რომ ცხოვრებაში ინდივიდუალურად მიაღწიონ წარმატებას.

ცვლილებების ტენდენციები

ცვლილებები მართალია, დიდი არ არის, მაგრამ მაინც შესამჩნევია. რესპონდენტები თვლიან, რომ დღეს ქალს უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე უწინ. უფრო ხელშესახები ცვლილებებისათვის კი დროა საჭირო. მშობლების თაობისგან განსხვავებით შვილების თაობა უფრო "პროგრესულად" ფიქრობს.

საქართველოში ეს ყოველთის სადაო იყო და სადაო დარჩება. მაგალითს ვერ ვიხსენებ, მაგრამ ზოგადად ვიტყვი, რომ ეს ძალიან ხშირია. თბილისში სხვანაირად აზროვნებენ და აქ ქუთაისში სულ სხვანაირად. ჯერ კიდევ ვერ შევეგუე, თბილისელი ვარ და აქ გავთხოვდი. ჩვენი შვილები უკვე სხვანაირად იაზროვნებენ. ჩვენი თაობა მაინც ჩამორჩენილია. უფროსი თაობა სულ იმას აღნიშნავს, რომ ბიჭის არის (მემკვიდრეობა - მ.ა.), მშობლებსაც ასე გაუნაწილდათ. რომ ბიჭს დარჩა სახლი [ქალი, 30 წლის უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

მამაკაცი ადრე უფრო მაღლა იდგა, ეხლა აღარ არის ასე, ბევრად უფრო თანაბრდება უფლებები წარსულთან შედარებით. ნელ–ნელა იცვლება ყველაფერი და დარწმუნებული ვარ, მომავალში ასე აღარ იქნება [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

აზროვნებაა ასეთი, მე მახსოვს, ქალი ითვლებოდა არასულფასოვან არსებად და უნდა გაეკეთებინა ის, რაც უნდოდა კაცს, არ აღიქმებოდა, როგორც თანასწორი. ისედაც ოჯახში ბიჭზე იყვნენ გადაყოლილები და გოგო იყო ჩრდილში ყოველთვის [ქალი, 53 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, 2 შვილი, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

არა მგონია, გოგოს თუ არაფერი არ აქვს, მაგის გამო ვერ გათხოვდეს [ქალი, 23 წლის. უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი]

ადრე აუცილებელი იყო მზითვი, მშობლები ისე არ ათხოვებდნენ. ადრე იყო სავალდებულო, მაგალითად, ზალის მოწყობილობები და ასეთი რაღაცეები. ეხლა აღარაა ასე. ვისაც რისი საშუალება აქვს, იმას უკეთებს. ჩემთვის მაგალითად არც საძინებელი მოუციათ, არ იყო მაგის საშუალება და იმიტომ. რისი საშუალებაცაა, იმას უკეთებს მშობელი შვილს. არც მე დამიჭერია წიხლი, რომ თქვენ ეს გამიკეთეთ აუცილებლად. ოჯახიც ასეთი შემხვდა, რომ არ მოითხოვეს, მაგრამ არის ისეთი ოჯახებიც, რომ დიდ ყურადღებას აქცევენ მზითვს, ზოგს სახელისთვის უნდა და საჩვენებლად, რომ, აი, რძალმა ეს შემოიტანა, მე კი ეს დავახვედრე, ხალხის საჩვენებლად უფრო [ქალი, 26 წლის უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი.]

რა თქმა უნდა, ბევრად შეიცვლება და კაია, მე მგონი ნელ-ნელა წავალთ მაგ სიტუაციისკენ, რო შვილები არ გაარჩიონ და წილი მისცენ თანაბრად. ამ წუთას მშობლების გადასაწყვეტია 100 %-ით. [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

ყველა ცდილობს, რომ გოგოსაც უყიდოს, ეს ტენდენციაა უკვე, ჩვენს თაობაში ეს არ იყო. ახლა უკვე ყველა ფიქრობს, რომ გოგოსაც თავისი ბინა უნდა. ახლაც ამბობს დედაჩემი, რომ შევცდი რომ ამდენი ფული დავხარჯე და ბინა უნდა მეყიდა კიდევ ერთიო. გოგოსაც უნდა უყიდო კანონით [ქალი, 35 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი, სოფელი].

გადაფორმებით არაფერი, მაგრამ მზითვი მივიღე - საძინებელი, სამზარეულოში რაც საჭიროა, ყველაფერი, ტექნიკა, ნივთები და რა ვიცი, ძალიან ბევრი რამე. მე ამას მზითვებს არ ვეძახი, შვილისთვის გაკეთებული საჩუქრებია მშობლის მხრიდან. ამ საუკუნეში სახელი ,,მზითვი'' მისაღები აღარ არის. მშობლებმა თავიანთი ნებით გადაწყვიტეს, ჩემთვის რა უნდა მოეცათ, პირიქით, მე წინააღმდეგიც კი ვიყავი, ამდენი რაღაცა არ მინდოდა [ქალი, 25 წლის უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, ქუთაისი].

მთლიანობაში საზოგადოება არ არის ინფორმირებული, მაგრამ ცალკე თბილისს თუ ავიღებთ, საზოგადოებამ კარგად იცის თავისი კანონები და ხშირ შემთხვევაში კანონის მიხედვით ნაწილდება [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თბილისი].

ვიცი ის, რომ ძველ თაობებში მზითვი დაოჯახებისთვის აუცილებელ ნაწილად და შეფასების გარკვეულ კრიტერიუმად ითვლებოდა. დღესდღეობით, ასეთი აქტუალური არ არის ეს ტრადიცია და ვფიქრობ, მართებულიცაა. აქედან გამომდინარე, ჩემს ოჯახში მზითვი დასაოჯახებლად აუცილებელ წინაპირობად არ მიიჩნევა. არაა, არ ნაწილდება, თუმცა, ეხლა ბევრად შეცვლილია სიტუაცია, უფლებებს ასე თუ ისე ყურადღებას აქცევენ და ცოტა გამოვედით თითქოს ნაჭუჭიდან და ,,ძაან ქართველები'' აღარ ვართ, მე ასე მგონია. მე მივესალმები სიახლეებს, თუმცა ჯერ დროა კიდევ საჭირო შეგნების დასახვეწად [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

ამერიკაში მცხოვრები ქართველების უმრავლესობა აცხადებს, რომ მათთვის ძირითადად გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების კუთხით არაფერი შეცვლილა. ისინი მანამდეც ლიბერალურად უდგებოდნენ მემკვიდრეობის განაწილების საკითხებს. თუმცა ზოგი ამბობს, რომ შეიცვალა და ეს ცვლილებები ინდივიდუალურია. ის ქართველობა, რომელიც იქ ცხოვრობს და საქართველოში ჰყავს შვილები, ცდილობს მათთვის უძრავი ქონება შეიძინოს. როგორც კი მათ ამის შესაძლებლობა გაუჩნდათ, შეუძინეს სახლ-კარი ქალიშვილებსაც და ვაჟიშვილებსაც. ამ შემთხვევაში, შვილების სქესს აღარ უთამაშია გადამწყვეტი როლი.

ჩემთვის არაფერი შეცვლილა, იმიტომ რომ მე თავიდანვე ასეთი წარმოდგენა მქონდა, რომ გენდერულად თანასწორი უფლება აქვთ, რაც შეეხება ამერიკაში, აქ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს გენდერულ ასპექტს [მამაკაცი, 44 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

კი ყველა თანასწოუფლებიანად ყიდულობს გოგოსთვისაც და ბიჭსთვისაც. აქ ვინც არის, ყველა ცდილობს, ორივეს უყიდოს, რადგან იმის საშუალება მიეცათ, რომ ორივე წელში გაემართათ. არ მიაბრდღვნეს ყველაფერი ბიჭს, როგორც საქართველოშია, რომ ბიჭია და ერთადერთი წერტილი [ქალი, 34 წლის, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

რესპონდენტების ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეიცვალა ტრადიცია, რომლის თანახმადაც, თუ ქალი გამზითვებული არ იყო, ვერ გათხოვდებოდა. მზითვის მიცემა ქალიშვილისთვის ნებაყოფლობითი გახდა და მისი დაოჯახებისას გადამწყვეტ როლს აღარ თამაშობს.

ახალი თაობის მშობლები ცდილობენ, ქალიშვილებსაც შეუძინონ უძრავი ქონება, სურთ, გოგოს მისცენ თავშესაფარი, რაც მას თავდაჯერებულობას შემატებს.

საზოგადოება დედაქალაქში უფრო ინფორმირებულია და იზიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს, რაც მემკვიდრეობის განაწილების უფრო მეტი შემთხვევების წინაპირობას ქმნის.

ახალგაზრდა მშობლები იმედოვნებენ, რომ მალე ტენდენცია უფრო პოზიტიურად შეიცვლება და დედმამიშვილებს სქესის გამო არ განასხვავებენ.

რესპოდენტების რეკომენდაციები მდგომარეობის შესაცვლელად

იმისათვის, რომ მდგომარეობა პოზიტიურისკენ უფრო მეტად და სწრაფად შეიცვალოს, რესპონდენტების აზრით, სახელმწიფოს სხვადასხვა ზომის მიღება შეუძლია, იქნება ეს კანონის გამკაცრება თუ საზოგადოების ინფორმირება.

უფრო მკაცრი სანქციები უნდა დაწესდეს, ხალხის აზროვნება უნდა შეიცვალოს და ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. საქართველოში გვარის გამგრძელებელი ისეთ ზენიტშია აყვანილი, რომ ყველანაირ პიროვნებაზე და ყველაფერზე მაღლა დგას [ქალი, 22 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

უნდა იყოს ეს ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი, როგორც სხვა რაღაცეებს აცხადებენ ტელევიზიაში, ესეც უნდა გამოაცხადონ. მაგრამ წინა თაობები სიახლეებს ვერ ეგუებიან, მაგრამ ნელ–ნელა ყველას უნდა ჩაუჯდეს თავში, და იფიქრონ, რომ ყველას თანაბრად

გაუნაწილონ ქონება [ქალი, 23 წლის, უმაღლესი განათლებით, უმუშევარი, დაოჯახებული, თელავი].

სემინარების სახითაც შეიძლება, ტელევიზიით მიეწოდოს ინფორმაცია, სარეკლამო რგოლების სახით ქალის უფლებების შესახებ, ოჯახებშიც [ქალი, 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

ტელევიზიით და ოფიციალური სახე რომ მიეცეს, უფრო არა, ალბათ, უფრო ტრენინგები რომ ჩატარდეს, მოუყვე უფლებების შესახებ, გაარკვიო. გაეცნო არა მარტო ამ საკითხს, არამედ ზოგადად ქალთა უფლებებს. იმიტომ რომ ბევრმა არ ვიცით, ქალებს რა უფლებები გვაქვს. მაინც ხომ უნდა იცოდე, შეიძლება მე არა, მაგრამ სხვამ გამოიყენოს და წაადგეს ცხოვრებაში [ქალი, 26 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი, სოფელი].

საინფორმაციოს კუთხით უნდა გავრცელდეს, რო ადამინებს შეხედულებები შეეცვალოთ და იფიქრონ თანაბარუფლებიანობაზე ქონების განაწილებაში. უნდა დაიწყონ საუბარი ამაზე და გაიხსნება ერთხელ და სამუდამოდ ეს თემა. ბევრი თემებია, რომლებიც არ იყო გახსნილი და ეხლა გაიხსნა. ადამიანი მიჩვეულია, რომ ან უმცროსს რჩებოდა, ან ბიჭს და ფიქრობს, რომ ეს ესე უნდა იყოს, მაგრამ ერთხელ მოისმენს მოსაზრებებს, ორჯერ მოისმენს და მერე მიეჩვევა, ვიღაცამ უნდა ახსნას ეს აუცილებლად. მერე აღარც მშობლები აღარ იფიქრებენ მასე და იფიქრებენ, რომ ერთსაც უნდა და მეორესაც [მამაკაცი, 43 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თელავი].

ზოგადად ტელევიზია კარგად მუშაობს ადამიანების ფსიქოლოგიაზე, რაც შეიძლება ბევრი უნდა ვისაუბროთ ამ საკითხზე და ვფიქრობ დაინტერესდება საზოგადოებაც, ჯერ აღშფოთებას გამოიწვევს, მარა საბოლოოდ მაინც დაინტერესდებიან. ამას დიდი დრო დასჭირდება, მე ასე მგონია [ქალი, 28 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, დაოჯახებული, თბილისი].

კანონის უპატივცემულებაა, კანონი არ მოქმედებს, ხალხია მოწამლული, გაბრუებული და ყოველთვის ასე იქნება ეს, სანამ ქვეყანა არ იქნება ჩამოყალიბებული დემოკრატიულ-ლბერალურ სახელმწიფოდ [კაცი, 44 წლის, უმაღლესი განათლებით, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

მე მგონია, რომ ეგ არის უფრო სოციალური სტიგმა, მე რომ ეს ვთქვა, ხალხი რას იტყვის. ცნობიერება უნდა შეიცვალოს, ხალხი რას იტყვის, მაგას რა მნიშვნელობა აქვს. როცა არეული სოციალური ფონია, მაშინ ვერ შეიცვლება ცნობიერება, ამიტომ ლაპარაკი ამ კანონმდებლობაზე შეუძლებელია, როცა ხალხს აწუხებს ყოფითი პრობლემები და ნერვები აქვთ დაგლეჯვაზე [ქალი, 53 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები].

რესპონდენტების აზრით, საჭიროა სანქციების გამკაცრება. კანონის დონეზე უფრო მეტი ჩარევა.

გამოსავალია, ასევე, საზოგადოების ინფორმირება მემკვიდრეობის განაწილების საკითხებზე. ეს კი შესაძლოა სხვადასხვა ფორმით მოხდეს, იქნება სატელევიზიო

გადაცემები, სარეკლამო რგოლები, ტრენინგები და სემინარები, არაფორმალური შეხვედრები. რეპოსნდენტები იაზრებენ, რომ საზოგადოება თავიდან ამას კეთილი განწყობით არ შეხვდება და სავარაუდოდ აღშფოთებასაც გამოთქვამს, თუმცა დროთა განმავლობაში შეეგუება ამ აზრს და საკითხის მნიშვნელობასაც გაიაზრებს.

ამერიკაში მცხოვრები რესპონდენტების აზრით, უნდა მოწესრიგდეს ქვეყანაში როგორც სოციალური ფონი, ასევე ქვეყანა უნდა ჩამოყალიბდეს ლიბერალურ-დემოკრატიულ ქვეყნად იმისათვის, რომ მოქალაქეები პატივს სცემდნენ მის კანონმდებლობას.

შედეგების ინტერპრეტაცია და დისკუსია

საქართველოში 1997 წლის 26 ივნისიდან მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მეექვსე წიგნიც (მემკვიდრეობის სამართალი), სწორედ რომ, მემკვიდრეობის გადაცემასა და მიღებას არეგულირებს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე). მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე ქალის დისკრიმინაცია არ ხდება, კულტურული ნორმები იმდენად არის გამჯდარი საზოგადოებაში, რომ ქალი რიგ შემთხვევაში გაცნობიერებულად, ზოგჯერ კი გაუცნობიერებლადაც უარს ამბობს მემკვიდრეობის თავის წილზე.

ე. კოჰაკი აცხადებს, რომ დემოკრატიის სპონტანური დეკლალირება არ შეიძლება განხორციელდეს, რამდენადაც ის უნდა განვიხილოთ, როგორც მიღწევა. ძირითადი მოლოდინები, რომლებიც დემოკრატიული ქვეყანას თავის მოქალაქეებისგან უნდა ჰქონდეს, ეს "მორალური სიმწიფეა". მხოლოდ იმით, რომ სახელმწიფო დემოკრატიულ წყობაზე გადადის, არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში სპონტანურად შეიქმნება პირობები თავისუფლებისთვის, ტოლერანტობისა და პასუხისმგებლობიანი მოქალაქეობისათვის, რამდენადაც ,,ძველი წეს-ჩვეულებები ძნელად კვდება" (Kohak 1997, 2-3). ამდენად, საქართველოშიც მხოლოდ ლიბერალური კანონმდებლობის მიღებით პრობლემა არ მოგვარებულა. მოქალაქეები არ იზიარებენ კონსტიტუციითა თუ კანონით აღიარებულ ადამიანის უფლებებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ქალთა უფლებებს ეხება. პატრიარქალური საზოგადოებისათვის რთულია, მიიღოს და აღიაროს ქალის თანასწორუფლებიანობა, პატივი სცეს ქალთა კანონით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

საქართველოში ქალის უფლებებს თვითონ ქალებიც კი არ სცემენ სათანადოდ პატივს და ხშირ შემთხვევაში აგდებულად ეკიდებიან ან, უფრო მეტი, კიცხავენ მათ, ისეთ შემთხვევებშიც, როცა სხვა ქალები საკუთარ უფლებებს იცავენ ოჯახსა თუ სასამართლოში. საინტერესოა ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ქალები გენდერული თანასწორობის კრიტიკისას უფრო რადიკალურებიც კი არიან, ვიდრე მამაკაცები. ეს ასპექტი მნიშვნელოვანია, რადგან კულტურული ნორმები სწორედ სოციალიზაციის

პროცესში ახალ თაობას ძირითადად ქალების მიერ გადაეცემა. მ.პ. ლარა აცხადებს, რომ ქალთა ნარატივებს დიდი მნიშვნელობა აქვს მათი იდენტობის ჩამოყალიბებისათვის (Lara 1998, 44-49). ამდენად, ქართულ რეალობაშიც ქართველი ქალის იდენტობის ჩამოყალიბებაზე დიდწილად გავლენას ისევ ქალები ახდენენ და გენდერული დისკრიმინაციის შენარჩუნებასაც თვითონვე უწყობენ ხელს.

საქართველოში მემკვიდრეობის განაწილების დროს უძრავი ქონება, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ვაჟს რჩება. თითქოს განხილვას არც ექვემდებარება ის, რომ ოჯახში ქალ-ვაჟის ყოფნის შემთხვევაში, ბინა იქნება თუ სახლი, აუცილებლად მამაკაცს უნდა დარჩეს. პ. ბურდიეს მოსაზრებით, ,,წლების განმავლობაში მრავალჯერ გაკვალული ბილიკები თაობიდან თაოაბამდე იგივე რჩება, რადგან არაფერი ითქმება, იმიტომ რაღაცა ყოველვის ისე იყო და უნდა იყოს, როგორც არის" (Bourdieu 2005, 53).

დაოჯახებულ ქალებს ,,თავის" სახლად მეუღლის სახლი მიაჩნიათ და თვლიან, რადგან ქალი თხოვდება, ის ოჯახიდან წამსვლელია. ისინი მშობლებსა და ძმებს არც ამტყუნებენ, რომ მზითვით გაისტუმრეს და არ აქვთ არა თუ თანაბარი, ნაწილობრივი წვდომაც კი მემკვიდრეობაზე. ქალები კარგად იაზრებენ იმასაც, რომ მზითვი, რაც გათხოვებისას ან მას შემდეგ მიიღეს, ოჯახის მემკვიდრეობის მიზერული ნაწილია, თუმცა, მიუხედავად ამისა, უძრავ ქონებაზე დავას ძმებთან არ აპირებენ. რეპონდეტები ჩვენთან საუბრის დროს აღნიშნავდნენ, რომ ქალისთვის მზითვი მემკვიდრეობის ალტერნატივაა, თუმცა კარგად ხვდებიან, რომ მზითვს მემკვიდრეობის თანაბარი ღირებულება არ აქვს. გულის სიღრმეში ქალები არ არიან კმაყოფილი მხოლოდ მზითვის მიღებით და თვლიან, რომ მათი ოჯახები, გარდა მზითვისა, გარკვეულ დახმარებას უნდა უწევდნენ მათ გათხოვების შემდეგაც. ზოგ შემთხვევაში მათ მშობლებისგან სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის მოლოდინიც აქვთ. ქალები კარგად ხვდებიან, რომ მშობლების ქონებაზე ძმების მსგავსად არ მიუწვდებათ ხელი და ეს, ხშირ შემთხვევაში, სამართლიანად არ მიაჩნიათ. თუმცა იმისათვის, რომ საზოგადოების მოლოდინები გაამართლონ, ერგებიან იმ კულტურულ ნორმებს, რომლებიც ქართულ რეალობაში სოციალურ პრაქტიკებს თავის ჩარჩოებში აქცევს. პ. ბერგერი და ტ. ლუკმანი აცხადებენ, რომ ,,ჩემი ყოველდღიური გამოხატვა ორიენტირებულია სხვაზე და პირიქით, და ასეთი

განგრძობადი გამოხატვის აქტების თანაზიარობა თანადროულად ხელმისაწვდომია ორივესათვის" (Berger and Luckmann 1967, 29-31). მათი აზრით, ყოველდღიური ცხოვრების რეალობა მოიცავს "ტიპიფიკატორულ სქემებს", რომლის მეშვეობითაც რეგულირდება უშუალო ურთიერთობები და ყველა ტიპიფიკაცია ამ ინტერაქციებზე უწყვეტად ახდენს გავლენას. არსებული "ტიპიფიკატორული სქემები" ჩვენი თემის შემთხვევაშიც რელევანტურია, რადგან დის მიმართება ძმისადმი და პირიქით, სწორედ ამ ტიპიცირების საფუძველზე ხდება. ეს ურთიერთობა ჰარმონიულად გრძელდება მანამდე, სანამ ერთმანეთის ტიპიცირება არ ამოვარდება ჩარჩოდან. მაგალითად, და ძმას აღიქვამს მემკვიდრედ და არ თვლის მიზანშეწონილად, რომ უნდა მოითხოვოს თავისი კუთვნილი ქონება. ანალოგიურად, ძმაც თვლის, მხოლოდ იმიტომ რომ მას და ჰყავს და არა ძმა, ის ერთპიროვნულად ფლობს მშობლების ქონებას. აქედან გამომდინარეობს ის, რომ საზოგადოებაში ქალის, როგორც ძმაზე მზრუნველი დის ტიპიცირება ხდება. სწორედ, ასეთი ტიპიცირება აიძულებას მას ამგვარი ქმედებისა თუ უმოქმედობისაკენ. ეს ტიპიფიცირება ირღვევა მაშინ, თუ და აღმოჩნდება თავისი უფლებების დამცველი და მოითხოვს თავის კუთვნილს. ამ შემთხვევაში, უკვე პრობლემა იჩენს თავს. მ. წერეთელიც ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ქალს მორგებული აქვს ,,ჭეშმარიტი ქართველი დედის" და დის როლი. მართალია, ის, ერთი მხრივ, უარს ამბობს მემკვიდრეობაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ამით იღებს ,,ფსევდო სტატუსს" საზოგადოებაში.

საქართველოში, უმრავლეს შემთხვევაში, გარკვეული სახის გენდერული დისკრიმინაცია საერთოდ არ არის აღქმული, როგორც ძალადობა, რაც მის წინააღდეგ ბრძოლას განასკუთრებულად აძნელებს. ჩვეულებრივი მოქალაქეები არ იზიარებენ ახალ კანონებს გენდერულ თანასწორობაზე. უფრო მეტიც, "მიუხედავად იმისა, რომ კანონი უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას, ტრადიციული შეხედულებები პრივილეგიას მამაკაცებს ანიჭებს" (Sabedashvili 2007, 37).

ის ფაქტი, რომ საქართველოში კაცის პრივილეგია მემკვიდრეობაზე ცალსახაა და ამ საკითხში გენდერული დისბალანსი ცალსახაა, ქართულ საზოგადოებაში, უნდა ითქვას, რომ ეს სულაც არ არის მიჩნეული უსამართლოდ. პირიქით, თუ ქალი კანონით გათვალისწინებულ უფლებას იყენებს მემკვიდრეობაზე, ის საზოგადოების მოლოდინებს

ვერ ამართლებს და მისგან გაკიცხული რჩება. ქართველები აღიარებენ, რომ კაცის უპირატესობა მემკვიდრეობაზე მისაღებია და ამას უსამართლოდ საერთოდაც არ თვლიან. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ლიბერალური კანონმდებლობის შემთხვევაშიც, ქალისთვის ძნელია თავისი უფლებების დაცვა და მემკვიდრეობის მიღება. მიუხედავად იმისა, რომ მზითვმა თავისი მატერიალური მნიშვნელობა და სავალდებულო ფორმა, მოყოლებული საბჭოთა პერიოდიდან, დაკარგა და ქალი გათავისუფლდა ოჯახის შექმნის დროს მშობლების ზეწოლისგან, ქალმა მაინც ვერ შეძლო მემკვიდრეობის უთანასწორო განაწილების კარგად დამკვიდრებული პრაქტიკისთვის წინააღმდეგობის გაწევა. დღესდღეობით, როცა ქალი ცდილობს საკუთარი თავის რეალიზებას, იგი აწყდება კარგად ნაცნობ ემოციურ განწყობებს გარშემო მყოფი ადამიანების მხრიდან. საინტერესო ის არის, რომ ის ხშირად საკუთარ თავთანაც მოდის წინააღმდეგობაში, რადგან ეს განწყობები მისთვისაც ნიშანდობლივია და "ტრადიციულ იდეალებზე დაფუძვნებით" ჩამოუყალიბდა (კიკნაძე და დონაძე 2006, 40). ხშირად, ქალებმა იციან თავიანთი უფლებები, რომლებსაც კანონმდებლობა ანიჭებთ, მაგრამ ემორჩილებიან და ექცევიან იმ კულტურული ნორმების გავლენაში, რომლების საფუძველზეც გაიზარდნენ. საქართველოში ყოველი მეთერთმეტე ქალი მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, თუმცა, ამასთანავე, რესპონდენტთა 78% თვლის, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახური პრობლემაა და მისი გარეთ გატანა დაუშვებელია, 52% მიიჩნევს, რომ ოჯახის სხვა წევრიც კი არ უნდა ჩაერიოს ამ სიტუაციაში (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2010, 43-44), ასეთ ვითარებაში რთულია, ვისაუბროთ მემკვიდრეობის განაწილებაზე, როგორც ეკონომიკური თუ სტრუქტურული ძალადობის ფორმაზე. მით უმეტეს, ძნელია, ეს პრობლემა გავხადოთ ფართო საზოგადოებისათვის სადისკუსიო თემად. თუმცა ი.მ. იანგის აზრით, სისტემატურობა ძალადობას სოციალური უთანასწორობის ფენომენად აქცევს. ის სოციალურ პრაქტიკებშია დამკვიდრებული და ხშირად გაუცნობიერებელ ქცევებში ვლინდება. გაუცნობიერებელი რეაქციები, ქცევები და სტერეოტიპები, რომლებიც ხელს უწყობენ ძალადობას და ამა თუ იმ ჯგუფის ჩაგვრას, უნდა დაიგმოს. საჭიროა მათი, როგორც

არასამართლიანი პრაქტიკების შესაცვლელად საჭირო მიდგომების შემუშავება (Young 1990, 3, 62,124, 150).

ვ.ა. გალსტონი აცხადებს, რომ პოსტ-კომუნისტურ ქვეყნები დამოუკიდებლობას და დემოკრატიას მზამზარეული ფორმით ვერ მიიღებენ, მათ უნდა შექმნან ინსტიტუტები, რომლებიც დაიცავენ ძირითად ინდივიდუალურ და პოლიტიკურ უფლებებს, ამ მიმართულებით კი მოქალაქეების ვალდებულებაა არა მარტო დაემორჩილონ საკანონმდებლო რეგულაციებსა თუ ინსტიტუტებს, არამედ შეასრულონ თავიანთი წილი ვალდებულება და ხელი შეუწყონ მათ შექმნასა და მდგრად განვითარებას (Galston 1997, 7). საქართველოში, გენდერული თანასწორობის და ლიბერალური კანონმდებლობის მიღების მოტივაცია წამოსული იყო არა საზოგადოებიდან, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ექსპერტები თამარ გურჩიანი და ლელა ტალიური, ინტერვიუში აცხადებდნენ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ევროპულ სივრცესა თუ ნატოში ინტეგრირების პროცესი, ასევე საერთაშორისო სტანდარტების ინკორპორირება შეუძლებელი გახდებოდა კანონების ჰარმონიზაციის გარეშე, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველო ხალისით აწერდა ხელს საერთაშორისო აქტებსა თუ კონვენციებს, რომლებიც ქალთა უფლებების დაცვას ეხებოდა. თუმცა არც სახელმწიფო და არც საზოგადოება არ აღმოჩნდა მზად, შეექმნა გენდერულად სენსიტიური ინსტიტუტები და მათი მდგრადი განვითარებისათვის შეეწყო ხელი. ჩვენივე კვლევის (კონტენტ ანალიზი: სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ასევე რაიონული და საქალაქო სასამართლოებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზი) შედეგებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ჯერ კიდევ ადრეა საუბარი სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკურ ნებაზე გენდერულად მგრძნობიარე ინსტიტუტების განვითარების კუთხით. ხშირ შემთხვევაში, თუნდაც გენდერული სტატისტიკის წარმოება საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან რეკომენდაციებისა ფორმალური მოთხოვნის საფუძველზე ხდება. საქართველოს სტატისტიკის სამსახური 2011 წლიდან აწარმოებს გენდერულ სტატისტიკას და გამოსცემს ყოველწლიურ ბიულეტენს ,,კაცი და ქალი", თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ ზოგადი სურათის აღქმაა შესაძლებელი, ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ მოსახლეობის დემოგრაფიის მიმოხილვას, ჯანმრთელობის დაცვის კუთხით

აბორტების შესახებ მონაცემებს, სოციალური უზრუნველყოფის მიმართლებით კი პენსიის მიმღებთა შესახებ ინფორმაციას, ასევე განათლების საკითხებში მოსწავლეებისა და პედაგოგების რიცხოვნობას, სამართალდარღვევების, დასაქმების, უმუშევრობის და ბიზნეს სექტორის შესახებ ზოგად ინფორმაციებს (,,ქალი და კაცი საქართველოში", 2013). იმისათვის კი, რომ სახელმწიფო ორგანოებმა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა სქესის ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკა გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისათვის გამოიყენონ, საჭიროა უფრო კომპლექსური და დეტალური მონაცემების აღრიცხვა, ასევე, აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტების მზადყოფნა, აწარმოონ გენდერული სტატისტიკა და საჭირო შემთხვევაში საჯარო ინფორმაცია გასცენ, ამაზე გარკვეულწილად სახელმწიფომ კონტროლი უნდა აიღოს. ჩვენი კვლევის ფარგლებში ექსპერტებსა და სიღრმისეულ ინტერვიუების რესპოდენტებს თუ შევადარებთ, ორივე მხარეს პრობლემის გადაწყვეტა ორი გზით წარმოუდგენია, ერთი, პროაქტიული კანონმდებლობაა და მეორე კი გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირება, განათლება. ამას, ასევე გაამყარებდა პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებში მეტი ქალების ჩართვა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საკითხების სწორი მიმართულებით წარმართვას. გარდა იმისა, რომ ამ მოსაზრებას იზიარებენ ექსპერტები (ჯავახიშვილი, გურჩიანი), უცხოეთის, მაგალითად, პოლონეთის შემთხვევა ადასტურებს, რომ პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობითობის ზრდამ ხელი შეუწყო ქალთა საკითხების წინ წამოწევას და პრობლემის მოგვარებას (Matinya 2010, 193-229). ამ მექანიზმებით შესაძლოა კანონმორჩილი მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საკუთარი, ასევე სხვათა უფლებების პატივისცემასა და დაცვას.

დასკვნა

სადისერტაციო კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში გენდერული თანასწორობის პრინციპების ანალიზს ეკონომიკური და სტრუქტურული ძალადობის ერთ-ერთი კომპონენტის - მემკვიდრეობის განაწილების პრობლემის კონტექსტში. ამ პრობლემის შესწავლისთვის საჭიროდ ჩავთვალეთ ისეთი საკითხების კვლევა, როგორებიცაა:

- მემკვიდრეობის სამართალის ქართულ კულტურასთან შესაბამისობისა და პრაქტიკაში ქალების წინაშე მდგარი პრობლემები;
- მზითვის, როგორც ქალზე მემკვიდრეობის გადაცემის ერთ-ერთ ალტერნატივად ჩამოყალიბებისა და დროთა განმავლობაში მისი ფორმის შეცვლის მიზეზები;
- ქალების მიერ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებების გამოუყენებლობის ან გაუთვითცნობიერებლობის მიზეზები ;
- არსებული რეალობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში საზოგადოებრივი აზრის როლი.

უშუალოდ კვლევის პროცესში გამოიკვეთა დამატებითი მიმართულებებიც. შევაჯეროთ კვლევის შედეგები თითოეული კვლევითი ამოცანისათვის:

მემკვიდრეობის სამართლის შესაბამისობა ქართულ კულტურასთან: ქალების წინაშე მდგარი პრობლემების თემის შეჯამებისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვეულებითი სამართალი არ კარგავს ძალას და ბევრად უფრო ქმედუნარიანია, ვიდრე მემკვიდრეობის შესახებ საკანონმდებლო რეგულაციები. თუმცა კანონი გენდერულად ნეიტრალურია, შესაბამისად, ყველას, განურჩევლად სქესისა, მემკვიდრეობის მიღების უფლება აქვს. კანონი არ არის ქმედუუნარო, მაგრამ ის არც პროაქტიულია და მიიღებს თუ არა ადამიანი კანონიერად კუთვნილ მემკვიდრეობას, ეს უკვე კონკრეტულ სუბიექტზეა დამოკიდებული. როგორც ირის მერიონ იანგი აცხადებს, უფლებების ფლობა შესაბამისად არ არის გააზრებული. უფლებები უნდა მოვიაზროთ ურთიერთობებად, რომლებიც ინსტიტუციურად გამყარებულია იმ წესებით, რომლებითაც ადამიანები

ურთიერთქმედებენ. ამ შემთხვევაში, უფლებები უფრო მეტად კეთებას გულისხმობს, ვიდრე ფლობას, ანუ სოციალურ ინტერაქციას, რომელიც ქმედების შესაძლებლობას ან შეზღუდვას განაპირობებს (Young 1990, 25). საქართველოს შემთხვევაში, საკანონმდებლო აქტები ვერ გახდა ქმედუნარიანი, რამდენადაც მოქალაქეები უფლების ქონიდან ,,კეთების" ეტაპზე ვერ გადავიდნენ. მათ სოციალურ ინტერაქციასაც მართავს კულტურული ნორმები, რომლებიც აწესებენ მშობლებსა და შვილებს, თუ და-ძმას შორის შესაძლო ურთიერთობის ფორმებს. ამდენად, მაშინაც, როცა საქართველოში სამოქალაქო თვითშეგნება და კანონმორჩილების კულტურა სუსტია და არის არის გამყარებული ინსტიტუციურად, ჩვეულებითი სამართალი განაგრძობს საზოგადოებისათვის მისაღები ქმედების კარნახს. სქესობრივი განსხვავების საფუძველზე მშობლები მემკვიდრეობას არათანაბრად ანაწილებენ და იმ შემთხვევაში, თუ მათ ქალ-ვაჟი ჰყავთ, კაცის პრივილეგია მემკვიდრეობაზე უდავო ხდება.

იანგი მიიჩნევს, რომ ძალადობას სოციალური უსამართლობის ფენომენად მისი სისტემატიური ხასიათი აქცევს, რამდენადაც ის დამკვიდრებულია სოციალურ პრაქტიკებში. ეს სოციალური მოცემულობაა და საზოგადოების წევრებმა კარგად იციან, რომ ის ხდება და კვლავაც მოხდება მომავალში. ამ ტიპის ძალადობა ინსტიტუციონალიზებული და სისტემატურია. გარკვეული ხარისხით, ინსტიტუტები და სოციალური პრაქტიკები ხელს უწყობენ და ახალისებენ ძალადობას ამა თუ იმ ჯგუფის წევრებისადმი. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, ამ ინსტიტუტებისა თუ სოციალური პრაქტიკების როგორც უსამართლოდ განსჯა და მათი შეცვლა (Young, 1990, 62-63) საქართველოში განსხვავებული სქესის შვილებისათვის მემკვიდრეობაზე არათანაბარი წვდომა როგორც ექსპერტებს, ასევე, რიგ შემთხვევაში, რესპონდენტებსაც არ მიაჩნიათ სამართლიანად. კულტურული ნორმები იმდენადაა გამჯდარი საზოგადოებაში, რომ თანაბარი წვდომა რიგით მოქალაქეებს ზოგჯერ არაერთგვაროვნად ესმით და თვლიან, რომ ქალისთვის მზითვის და კაცისთვის ძირითადი უძრავი ქონების მიცემა თანაფარდია. უმეტესწილად, მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება საზოგადოებაში უსამართლო სოციალურ პრაქტიკად არ განიხილება. შესაბამისად, მისი შეცვლის საჭიროებას მოქალაქეები ვერ ხედავენ.

გარდა იმისა, რომ ექსპერტები მემკვიდრეობაზე შვილებისათვის არათანაბარ განაწილებას უსამართოდ თვლიან, მიიჩნევენ, რომ ყველაფერთან ერთად, ეს არის ეკონომიკური და სტრუქტურული ძალადობა; თუმცა საზოგადოება, საკანონმდებლო რეგულაციების მიუხედავად, მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილების პრაქტიკას ძალადობად არ აღიქვამს. სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტები მშობლების მხრიდან ძალადობის თემას მხოლოდ მაშინ ეხებიან, თუ მისი ქალიშვილი ქმრის ოჯახში ძალადობის მსხვერპლია და დედ-მამა აიძულებს ოჯახის შენარჩუნებას, რადგან არ სურთ ქალის ოჯახში უკან დაბრუნება. გამოკითხულთაგან ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მშობელი ძალადობს შვილზე, თუ ის აიძულებს ქალიშვილს, დარჩეს ქმრის ოჯახში და ითმინოს ძალადობა, მხოლოდ იმიტომ, რომ ძმასა და რძალს მისი უკან დაბრუნებით ,,დისკომფორტი" შეექმნებათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაშინაც კი თუ ქალი ძალადობის მსხვერპლია, არ აპირებს ძმას ,,ქონება გაუყოს". ამგვარად, შესაძლოა ქალი გახდეს ორმაგი ძალადობის მსხვერპლი: ოჯახის მხრიდან, რომელმაც ის მემკვიდრეობის და, შესაბამისად, უძრავ ქონებაზე წვდომის გარეშე დატოვა, ასევე ქმრის მხრიდან, რომლისგანაც წასასვლელიც არსად აქვს და იძულებულია ეს ძალადობა ითმინოს. აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ რესპონდენტები ძალადობას ხედავენ უფრო ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობის კონტექსტში, ვიდრე ვიდრე მშობლებსა და შვილებს, ან და-ძმას შორის ურთიეთობის შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში, ინტერაქცია თითქოს ორ სხვადასხვა სუბიქტს შორის ხდება, ხოლო მეორე შემთვევაში, სისხლით ნათესაობის გამო ერთიანობის განცდა აქვთ ოჯახის წევრებს (მშობლები და დედმამიშვილები) და ურთიერთობის გაფუჭებასაც მაქსიმალურად არიდებენ თავს.

რაც შეეხება საკითხს, რატომ ვერ გახდა კანონმდებლობა ჩვეულებითი სამართლის კონკურენტუნარიანი, უნდა ითქვას, რომ ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. როგორც კონტენტ-ანალიზის კვლევის, ასევე ექსპერტული და სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები გვიჩვენებს, საზოგადოება არ იზიარებს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გაწერილ ღირებულებებს, განსაკუთრებით კი, როცა საკითხი ქალთა უფლებებსა და თანასწორობას ეხება. ამასთან, არ არსებობს რეალური პოლიტიკური ნება, ქვეყანაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობისათვის. ის

რეგულაციები კი, რომლებიც სახელმწიფომ ამ კუთხით მიიღო, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით გააკეთა. სახელმწიფო და საზოგადოება არ არიან მზად, ხელი შეუწყონ გენდერულად სენსიტიური ინსტიტუტების შექმნას და მდგრად განვითარებას. შესაბამისად, ის რაც გენდერული თანასწორობის მიმართულებით კეთდება, მათ შორის სქესის ნიშნით სტატისტიკის წარმოებაც კი, ძირითადად, ფორმალურ ხასიათს ატარებს და რეალურად შედეგზე ორიენტირებული არ არის.

მემკვიდრეობის მიღების უფლებისგან ქალი გარიყულია, მას მხოლოდ შეზღუდული არსებობის საშუალება აქვს და არასდროს ეძლევა საშუალება თავისი საგვარეულოს სიმბოლური კაპიტალის კვლავწარმოებაში მონაწილეობა მიიღოს. სქესის ნიადაგზე სამუშაოს განაწილებაც კი მას საშინაო სამუშაოების შესრულების ჩარჩოებში აქცევს, რომელიც მას, მამაკაცისგან განსხვავებით, წარმომადგენლობით ფუნქციას უკარგავს. ყველაფერი კაცის ინტერესზეა მორგებული, როგორც მატერიალური, ასევე სიმბოლური კაპიტალის თვალსაზრისით, რამდენადაც კაცი დაკავშირებულია გვარის გამგრძელებლის იდეასთან, რასაც ქალი ავტომატურად ეთიშება (Bourdieu 2005, 66). საქართველოშიც მზითვის, როგორც ქალზე მემკვიდრეობის გადაცემის ერთ-ერთ ალტერნატივად ჩამოყალიბების და დროთა განმავლობაში მისი ფორმის შეცვლის მიზეზებს რაც შეეხება, ლიტერატურის ანალიზიდან, ასევე ექსპერტული ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შუა საუკუნეების ტრადიციისამებრ, რამდენადაც გვარის გამგრძელებლად და ოჯახში ეკონომიკური თუ სიმბოლური კაპიტალის კვლავ მწარმოებლად კაცი მიიჩნეოდა, ქალი კი ოჯახიდან წამსვლელად და ,,სხვისი" ოჯახის წევრად, უძრავი ქონების ოჯახიდან გასვლა მისაღები არ იყო. შესაბამისად, უდავო მემკვიდრე მამაკაცი იყო. ქალიშვილს კი მიჰქონდა მზითვი, რასაც იმ დროისათვის კარგი ღირებულება ჰქონდა და ეხმარებოდა მას, ახალ ოჯახში თავი დაემკვიდრებინა. უნდა აღინიშნოს, რომ მზითვს სავალდებულოო ფორმა ჰქონდა და მის გარეშე ქალი ვერ გათხოვდებოდა. კარგი მზითვი კი მისი ხელსაყრელად დაოჯახების წინაპირობა იყო. მშობელი იღებდა პასუხისმგებლობას ქალიშვილის გამზითვებაზე, თუმცა მისი მეორე ნახევრის შერჩევაში თავად იღებდა აქტიურ მონაწილეობას. უკვე

საბჭოთა კავშირის დროს იწყება მზითვის ტრადიციის შესუსტება და სიყვარულის საფუძველზე ოჯახის შექმნის საკითხის პროპაგანდირება. ამასთანავე, ნივთებმა, რომლებიც ქალს მზითვში მიჰქონდა, მასობრივი წარმოების შედეგად ღირებულება დაკარგა. მზითვი მოძველებულ ტრადიციად მიიჩნიეს და მას სავალდებულო ხასიათი აღარ ჰქონდა. შესაბამისად, მშობლების მონაწილეობა ქალიშვილების დაოჯახებაში შესუსტდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტრადიცია არ გამქრალა და დღემდე შემორჩა. ქალს მზითვში, ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნივთები მიაქვს, რასაც ის მატერიალური ღირებულება, რაც ადრე ჰქონდა, აღარ აქვს.

სოციალური სტრუქტურა ნორმების საშუალებით განაპირობებს და განსაზღვრავს ინდივიდების ქცევას. წმინდა სტრუქტურალისტური მიდგომით ადამიანები მექანიკურად იქცევიან სტრუქტურირებული პატერნებზე დაყრდნობით. ასეთი მიდგომა ბურდიესთვის ისეთივე რადიკალურია, როგორც იმის განცხადება, რომ სოციალური აგენტი სრულიად თავისუფალია თავის არჩევანში. ველის, ჰაბიტუსისა და კაპიტალის კონცეპტების შემოტანით ის ცდილობს გადალახოს ეს დუალობა. მისი მიდგომის თანახმად, სოციალური აგენტები მოსამართი თოჯინები არ არიან და ხშირ შემთხვევაში, გარკვეული ფორმით, თავიანთ სასარგებლოდ ირგებენ სოციალურ ნორმებსაც (Walther 2014, 7-15)

საქართველოში ქალების მიერ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობის ან გაუთვითცნობიერებლობის მიზეზების ანალიზს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ორივე შემთხვევაში საზოგადოებას გადამწყვეტი როლი აქვს. ქალებმა ვერ დაძლიეს კულტურული ნორმები და სტერეოტიპები, რომლებიც მათ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. ქალი, რიგ შემთხვევაში, იცნობს კიდევაც თავის მემკვიდრეობით უფლებებს; იმასაც იაზრებს, მშობლების ქონებაზე მხოლოდ იმიტომ არ აქვს წვდომა, რომ ძმა ჰყავს და ეს სამართლიანად სულაც არ მიაჩნია, მაგრამ, ამავდროულად, არც უკმაყოფილებას გამოხატავს და არც სამკვიდრო დავას აპირებს საოჯახო თუ სასამართლო დონეზე. ქალი, სოციალიზაციიდან გამომდინარე, შეგუებულია თავის ბედს და კომფორტულადაც კი გრძნობს თავს, რამდენადაც თუ დაემორჩილება საზოგადოებაში მიღებულ შეხედულებებს, მას არავინ გაკიცხავს. მაგრამ,

თუ დამოუკიდებლობასა და უფლებებისათვის ბრძოლას გადაწყვეტს, ეს რთული გზის დასაწყისი იქნება. აქედან გამომდინარე, ქალების უმეტესობა პრობლემების თავის ასარიდებლად ისევ უმოქმედობას ირჩევს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქალები შვილებს შორის მემკვიდრეობის განაწილებაზე საუბრობენ და უნდათ გენდერული თანასწორობა დაიცვან, აცხადებენ, რომ თუ ქალიშვილის უძრავი ქონებით უზრუნველყოფის საშუალება არ ექნებათ, ამას, მარტივად, ტრადიციას გადააბრალებენ.

ამრიგად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩატარებული კვლევის შედეგებმა დაადასტურა კვლევის დასაწყისში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები, მათ შორის:

- ეკონომიკური და სტრუქტურული ძალადობის ეს ფორმა არ არის გაცნობიერებული და აღიარებული საზოგადოების მიერ;
- საქართველოში, მიუხედავად ლიბერალური კანონმდებლობის არსებობისა, რომელიც ქალს და კაცს მშობლების ქონებაზე თანაბარი მისაწვდომობის საშუალებას აძლევს, კულტურული ნორმები და ტრადიციები იმდენად მყარია, რომ ქალი უმეტეს შემთხვევაში მემკვიდრეობის გარეშე რჩება;
- ქალები ხშირ შემთხვევაში შეგნებულად არ იყენებენ თავიანთ უფლებას მემკვიდრეობაზე ან საერთოდ არ იციან ამ უფლებების არსებობის შესახებ.

კვლევის შედეგებმა სხვა ტენდენციებიც გამოკვეთა. როგორც მარია პია ლარა აღნიშნავს ქალები გენდერული თანასწორობის საკითხებზე საუბრისას უფრო რადიკალურები არიან, ვიდრე მამაკაცები (Lara 1998, 44-49). ჩვენი კვლევის შემთხვევაშიც, უნდა აღინიშნოს, რომ ქალები ხშირად ბევრად კრიტიკულები არიან მემკვიდრეობის თანაბარი განაწილების საკითხებთან დაკავშირებით, ვიდრე მამაკაცები. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა გულის სიღრმეში უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ მშობლებმა მემკვიდრეობის გარეშე დატოვეს, თვითონაც მსგავს გადაწყვეტილებას იღებენ შვილების შემთხვევაში და პრივილეგიას ვაჟს ანიჭებენ. თუ ვაღიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ძირითადად, კულტურული ნორმებისა და ტრადიციების თაობიდან თაობაზე ,,გადამტანები“ ქალები არიან, შესაბამისად, მემკვიდრეობის განაწილების შემთხვევაშიც, შვილებს ბავშვობიდან სწორედ დედები ასწავლიან და აცნობენ, რომ

მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი კაცია. პირველადი სოციალიზაცია კი სამომავლოდ დიდწილად განსაზღვრავს ქალებისა და მამაკაცების დამოკიდებულებასა თუ ქმედებას, როგორც მემკვიდრეობის, ასევე სხვა საკითხებთან მიართებით.

მეორეს მხრივ, კვლევამ აჩვენა, რომ მატერიალური რესურსების გაზრდის შემთხვევაში, მშობლები ქალიშვილსაც უძრავი ქონების მემკვიდრეობით მიღების შანსს უფრო ხშირად აძლევენ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ამერიკაში მცხოვრებ ქართველებთან ინტერვიეუბშია შესამჩნევი. თუმცა. უნდა აღინიშნოს, რომ ბინა თუ სახლი, რომელსაც ქალიშვილს ამ დროს უტოვებენ და სჩუქნიან არასდროს არის ,,საგვარეულო სახლი", ამაზე პრივილეგია როგორც გვარის გამგრძელებელს, კვლავ ვაჟს აქვს.

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, ქალის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა და მშობლების მემკვიდრეობაზე წილის უქონლობის გამართლებას რესპონდენტები იმით ცდილობენ, რომ ის ოჯახიდან წამსვლელია და ქმრის სახლკარი წარმოადგენს მის თავშესაფარს. იმ შემეთხვევაზე ნაკლებად ფიქრობენ, თუ ქალი გასათხოვარი დარჩა ან მეუღლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლია. ასეთ დროს, თუ ქალი სიცოცხლის ბოლომდე მშობლებისა თუ ძმის ოჯახმა შეიფარა, მიიჩნევა, რომ ისინი შვილზე თუ დაზე ეკონომიურად არ ძალადობენ. ამ სიტუაციაშიც, დას ძმის თანასწორი უფლება არ აქვს მემკვიდრეობაზე.

რეკომენდაციები

სქესის ნიშნით მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილების, როგორც ქალზე ეკონომიკური და სტრუქტურული ძალადობის ფორმის, დასაძლევად საქართველოში რამდენიმე ღონისძიების გატარება შეიძლება. გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად აუცილებელია, პირველ რიგში, გენდერული უთანასწორობის, როგორც პრობლემის გააზრება. ამას როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ხელს შეუწყობდა სქესის ნიშნით დიფერენცირებული

სტატისტიკის წარმოება და მასზე დაფუძვნებით მემკვიდრეობის განაწილების საკითხზე გენდერული თანასწორობის დამკვიდრების პოლიტიკისათვის სამოქმედო გეგმის გაწერა. ამ თვალსაზრისით, საჭიროა უფრო კომპლექსური და დეტალური მონაცემების აღრიცხვა, ასევე სახელმწიფოს კონტროლი ამ ტიპის საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე. ამასთან, სახელმწიფო ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანზაციები უნდა უზრუნველყოფდნენ ამ სტატისტიკური მონაცემების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.

მართალია, მემკვიდრეობის სამართალი ლიბერალურია და ქალსა და კაცს თანაბარ პირობებში აყენებს, თუმცა, რამდენადაც ქალებმა დღემდე ვერ შეძლეს საკუთარი უფლებების დაცვა, სასურველია პროაქტიული კანონმდებლობის შემუშავება და იმპლემენტაცია.

აგრეთვე, უნდა მოხდეს გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირება და განათლება. ეს შესაძლებელია სემინარების, ტრეინინგებისა თუ სატელევიზიო გადაცემების საშუალებით. ამასთან, განათლების სისტემის სხვადასხვა კომპონენტში უნდა ჩაიდოს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაზე ორიენტირებული საკითხები, რომლებიც სამომავლოდ, ახალი თაობის აღზრდას ამ პრინციპებზე დაფუძვნებით უზრუნველყოფენ.

კიდევ ერთი გზა, პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებში გათვითცნობიერებული ქალების მოსვლაა, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ ამ საკითხების სწორი მიმართულებით წარმართვასა და დანერგვას.

ამგვარად, ჩამოთვლილი მექანიზმებით შესაძლებლად მიგვაჩნია კანონმორჩილი გენდერული თანასწორობის პრინციპებით გაჯერებული მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც საკუთარი, ასევე სხვათა უფლებების პატივისცემასა და დაცვას.

ბიბლიოგრაფია

ბექაია, მზია. *საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის.* თბილისი: გამომცემლობა "მეცნიერება", 1981.

გაეროს განვითარების პროგრამა. "გენდერის აქტუალური საკითხები, ქალის უფლებებები ნაბი-ნაბიჯ". თბილისი, 1998.

--------"საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში". თბილისი, 2013.

მაჩაბელი, ნუნუ. *ქორწინების ინსტიტუტი ქართლში.* თბილისი: მეცნიერება, 1978.

მესხი, მარიამ. *ქონებრივი უფლებეები: ქალების მიერ ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვები.* თბილისი: ეროვნულ-დემოკრატიული ინისტუტი, 2004.

საბედაშვილი, თამარ. *გენდერი და დემოკრატიზაცია, საქართველო 1991-2006.* თბილისი, 2007.

--------*ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა სერია, 2006.

საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 24 იანვარს მიღებული დადგენილება „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის" დამტკიცების შესახებ". https://matsne.gov.ge/ka/document/view/2235622.

---------- საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 5 მაისის დადგენილება. ,,გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოგად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმა".

---------- საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 5 მაისს მიღებული დადგენილება. "გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/1333925.

---------- საქართველოს პარლამენტის 2010 წლის 12 აპრილის დადგენილება. "საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624

---------- საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 24 ივლისს მიღებული „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია" https://matsne.gov.ge/ka/document/view/44014

საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 2006. http://police.ge/files/pdf/ojaxshi%20dzaladoba/Law_on_Domestic_Violance.pdf.

საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. "სახელმძღვანელო გენდერული სტატისტიკის გამოყენების შესახებ", 2011.

---------"ქალი და კაცი (ანალიტიკური ვერსია)", 2011.

--------- "ქალი და კაცი (ანალიტიკური ვერსია)", 2012.

--------- "ქალი და კაცი (ანალიტიკური ვერსია)", 2013.

ხომერიკი, ლელა. *გენდერი და პოლიტიკა.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.

ხარაძე, რუსუდან. *დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში.* ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1939.

ყიფშიძე, ლალი. "ოჯახური ძალადობა და ქალების სოციალური პრობლემები". *ალმანახი.* თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 1998.

წერეთელი, მზია. *გენდერი - კულტურული და სოციალური კონსტრუქტი.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.

ჭაბაშვილი, ანა. *გენდერული თეორიების ანთოლოგია. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაა, 2003.*

ჯავახიშვილი, ნინო. ”ფემინიზმის მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა, გენდერული პრობლემატიკა საქართველოში”. *ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი*, თბილისი, 2002.

ჯაფარიძე, ელენე. *გენდერული თანაწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში ქალთა ორგანიზაციების მიერ*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2012.

Afkhami, Mahnaz. Faith and Freedom: Women's Human Rights in the Muslim World. I.B.Tauris, 1995.

--------- *Muslim Women and the Politics of Participation*. Syracuse University Press, 1997.

Anderson, Siwan. “Why Dowry Payments Declined with Modernization in Europe but Are Rising in India”. *Journal of Political Economy*, 111, No. 2 (Apr., 2003): 269-310.

---------- “The Economics of Dowry and Brideprice”. *Journal of Economic Perspectives*. 21, No. 4 (Fall, 2007): 151-174.

Ashraf, Nehal. “Dowry among Muslims in Bihar”. *Economic and Political Weekly*, 32, No. 52 (Dec. 27, 1997 - Jan. 2, 1998): 3310-3311.

Basu, Srimati. *Dowry and Inheritance (Issues in Contemporary Indian Feminism)*. Zed books, 2005.

Beauvoir, Simone. The Second Sex. Vintage, 1989.

Bennett, V. “The Dowry of Silence”. *Music & Letters*. 19, No. 1 (Jan., 1938): 61-66.

Berger, Peter and Thomas Luckmann. *The Social Construction of Reality*. Garden City, NY: An Anchor Book, 1967.

Bourdieu, Pierre. *Outline of a theory of practice*. Cambridge University Press, 2005.

Bradley, Harriet. *Gender*. Cambridge: Polity Press, 2008.

Butler, Judith. *Bodies That Matter: On the Discursive Limits of Sex*. New York: Routledge, 1993.

--------Undoing Gender. New York: Routledge, 2004.

-------- *Gender Trouble: Feminism and the Subversion of Identity.* New York: Routledge, 2006.

Committee on the Elimination of Discrimination against Women, *fifty-eighth session.* Summary record (partial)* of the 1228th meeting, Held at the Palais des Nations, Geneva, on Tuesday, 8 July 2014, at 3 p.m.

--------- Summary record of the 1227th meeting Held at the Palais des Nations, Geneva, on Tuesday, 8 July 2014, at 10 a.m. Chairperson: Ms. Jahan (Vice-Chairperson).

Desan, Suzanne. "War between Brothers and Sisters": Inheritance Law and Gender Politics in Revolutionary France". *French Historical Studies*, 20, No. 4 (Autumn, 1997):597-634.

Dogra, B. "Burden of Dowry System". *Economic and Political Weekly*. 32, No. 44/45 (Nov. 8-14, 1997): 2855.

Fawole, Olufunmilayo I. *"Economic Violence to Women and Girls, Is it Receiving the Necessary Attantion?",* Trauma Violence Abuse OnlineFirst, May 21, 2008.

Fraser, Nancy and Axel Honneth. *Redistribution or Recognition?: A Political-Philosophical Exchange*. Vesro, 2004.

Galston, W. A. "The Role of citizens: rights and responsibilities". *Democracy is a Discussion*, edited by Sondra Myers, 7. New London: Connecticut College. 1997.

Herzfeld, Michael. "The Dowry in Greece: Terminological Usage and Historical Ethnohistory". *Ethnohistory*. 27, No. 3 (Summer, 1980): 225-241.

Holmes, Mary. *What is Gender?: Sociological Approaches*. London: Sage, 2007.

Kohak, E. (1997). "The faces of democracy looking to the twenty century". *Democracy is a Discussion*, edited by Sondra Myers, 2-4. New London: Connecticut College. 1997.

Lara, Maria, Pia. *Moral Textures: Feminist Narratives in the Public Sphere*. Oakland: University of California Press, 1999;

Marrese, Michelle Lamarche. *A Woman's Kingdom: Noblewomen and the Control of Property in Russia, 1700-1861*. Ithaca, NY: Cornell Unoversity Press July, 2002.

Menski, Werner. *South Asians and the Dowry Problem.* Trentham Books, 1998.

Minturn, Leigh. *Sita's Daughters: Coming Out of Purdah: The Rajput Women of Khalapur*. New York, NY: Oxford University Press, 1993.

Nazzari, Muriel. *Disappearance of the Dowry: Women, Families, and Social Change in Sao Paulo, Brazil, 1600-1900*. Redwood City: Stanfod University Press, 1991.

National Democratic Institute (NDI). "Public attitudes in Georgia: results of March 2013 Survey". (2013, April 23), Tbilisi. https://www.ndi.org/print/20254.

Poonacha V. R. and U. R. Lalwani. "Source Dowry and Inheritance". *Economic and Political Weekly*. 24, No. 18 (May 6, 1989): p. 946.

Philips, Arnal. "Society Stridhanam: Rethinking Dowry, Inheritance and Women's Resistance among the Syrian Christians of Kerala". *Anthropologica,* 45, No. 2 (2003): 245-263.

Smith, James. "Modeling the Distribution and Intergenerational Transmission of Wealth". In *National Bureau of Economic Research - Studies in Income and Wealth*. 46, edited by James D. Smith, 273-289. Chicago: The University of Chicago Press, 1980

Sonbol, Amira. *Women, the Family and Divorce Laws in Islamic History*. Syracuse, NY: Syracuse University Press, 1996

Srinivasan, Padma and Gary. R. Lee. "The Dowry System in Northern India: Women's Attitudes and Social Change". *Journal of Marriage and Family*. 66, No. 5. Special Issue: International Perspectives on Families and Social Change (Dec., 2004): 1108-1117.

Gaulin, Steven J. C. and James S. "Dowry as Female Competition". *American Anthropologist*. New Series, 92, No. 4 (Dec., 1990): 994-1005.

Tomes, Nigel. "The Family, Inheritance, and the Intergenerational Transmission of Inequality". *The Journal of Political Economy*. 89, No. 5 (Oct., 1981): 928-958.

Walther, Mathias. "Repatriation to France and Germany: A Comparative Study Based on Bourdieu's Theory of Practice". Springer, 2014.

Young, Iris Marion. *Justice and the Politics of Difference*. Princeton, NJ: Princeton University Press, 1990.